

ნაზი მიქელაძე
მამია ფაღავა

ქართული ენის პრაქტიკული
კურსი და სტილისტიკის
საკითხები

ბათუმი
2005

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ენის კათედრა

ნაზი მიქელაძე მამია ჯაღავა

ქართული ენის პრაქტიკული
კურსი და სტილისტიკის
საკითხები



გამომცემლობა
„ბათუმის უნივერსიტეტი“
2005

წიგნში მოქმედი პროგრამის შესაბამისად განხილულია ქართული ენის პრაქტიკული კურსისა და პრაქტიკული სტილისტიკის საკითხები..

სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტის არაჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. იგი დახმარებას გაუწევს ასევე ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაუფლების მსურველთ.

რედაქტორი: დოც. მერი ცინცაძე

რეცენზენტები: დოც. მაია კიკვაძე,
დოც. ნანა ცეცხლაძე,
დოც. ნათია ფარტენაძე

გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“
ISBN 99940-25-67-8



-16H21-

ავტორთაგან

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება საგანი „ქართული ენის პრაქტიკული კურსი და პრაქტიკული სტილისტიკა“, რომლის მიზანია, ახალგაზრდობა დაეუფლოს სწორად წერასა და მართლმეტყველებას. ამავე კურსის პროგრამაში გათვალისწინებულია ე.წ. საქმიანი ქაღალდების (საკანცე-ლარიო დოკუმენტების) შედგენის სწავლებაც. აღენიშნაეთ, რომ დღეს ამ მიმართებით ისეთი „მრავალფეროვნებაა“, ძნელია, კაცმა გაარკვიოს „თეთრი და შავი“, ყველა „საქმიანი კაცი“ თავისი შეხედულებისამებრ აწარმოებს თავის კანცელარიას. ამიტომაც ამჯერად მოვერიდეთ „საქმიანი ქაღალდების“ შედგენის წესებისა და სათანადო ნიმუშების შეტანას წიგნში.

აღნიშნული საგნის ჩვენს უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამა შედგენილია ქართული ენის კათედრის წევრების მიერ. ბუნებრივია, მასში გათვალისწინებულია საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არსებული პროგრამები.

უკანასკნელ ხანს ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა — კარი გაეხსნა უცხოურ ტექნოლოგიებსა და კულტურას, რასაც, ბუნებრივია, შემოჰყვა შესაბამისი ტერმინოლოგია; როგორც არასდროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უცხო ენების შესწავლას, ჩვენს ენაში შემოდის და მკვიდრდება მრავალი (ხშირად არასაჭირო) სიტყვა, გამოთქმა და ფრაზეოლოგიური ერთეული. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სწავლებას საშუალო და უმაღლეს სკოლებში. შექმნილ ვითარებაში თითოეული ქართველი უნდა დადგეს მშობლიური ენის სადარაჯოზე. ამდენად, „ქართული ენის პრაქტიკული

კურსისა და პრაქტიკული სტი-ლისტიკის” სწავლების აუცი-
ლებლობა დღის წესრიგში შექმნილმა ვითარებამაც დააყენა.

წიგნი გამოადგებათ, უპირველესად, სტუდენტებს, როგორც
დამხმარე სახელმძღვანელო, ქართული ენის მასწავლებლებს
და ყველას, ვინც დაინტერესებულია მშობლიური ენის უკეთ
შესწავლითა და სწავლებით.

ნაშრომი, ბუნებრივია, ვერ იქნება დაზღვეული ნაკლისა-
გან. ავტორ-ები ყველა საქმიან შენიშვნასა და რჩევას მადლყ-
ერებით მიიღებენ და გაითვალისწინებენ შემდგომ მუშაობაში.

და ბოლოს, ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას
მოვასხენებთ წიგნის რედაქტორს, ქალბატონ მერი ცინცაძეს,
რომელმაც არ დაი-ზარა, ხელნაწერში წაიკითხა წიგნი და
მოგვცა საქმიანი შენიშვნები და რჩევები.

22 ნოემბერი 2005 წლისა.

ნაწილი I

თავი I. ზოგი რამ ქართველებისა და ქართული ენის შესახებ

§1. ქართული ენა, როგორც ქართველთა საერთო ერონული ენა

ქართველი ერის (ქართველების, სვანების, მეგრულ-ჭანების, იმავე ზანების, იმავე კოლხების) ერთიანი საერთო ერონული ენა არის ქართული. იგი ქართველურ ტომთა სასაზღვრო ენაცაა და სამწერლობოც. სამწერლობო ენას სალიტერატურო ენასაც უწოდებენ. ამ ენაზე იწერება სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ნაშრომები, მხატვრული ლიტერატურა, გამოდის ჟურნალ-გაზეთები.. ამ ენაზე წარმოებს ყველა საგნის სწავლება საქართველოს ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებში.. ამ ენაზე მიმდინარეობს საქმის წარმოება სახელმწიფო დაწესებულებებში. ერთი სიტყვით, ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა. მის უფლებებს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია.

ქართული სამწერლობო ენა ერთ-ერთი უძველესი, უმდიდრესი და მაღალგანვითარებული ენათაგანია. მას სულ მცირე 1500 წლის ისტორია მაინც აქვს. ქართულ ენაზე ძველთაგანვე შექმნილა მდიდარი სასულიერო, მხატვრული, ფილოსოფიური და სხვა სახის ლიტერატურა.

ქართული სამწერლობო ენა მშობლიურია სხვა ქართველური ტომებისთვისაც. სხვა სამწერლობო ენა ქართველ ხალხს არ მოეპოვება. ქართველური ტომები უხსოვარი დროიდან კომპაქტურად ესახლნენ ერთ საერთო მიწა-წყალზე, საიდანაც იწყება მათი ერთობის შეგნება, რაც ენობრივი ერთიანობითაც იყო განპირობებული (შ. ძიძიგური).

ქართული ენის, როგორც ერონული საუნჯის, მიმართ ქართველმა კაცმა იმითაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება, რომ მას დედა ენა უწოდა. ენის დაკავშირება დედის ცნებასთან ერის ცხოვრებაში მისი როლის მანიშნებელიცაა.

ქართულ ენას, როგორც ძვირფას ეროვნულ საუნჯეს, ხოტბა-დიდებას ასხამდნენ ძველთაგანვე. ერთ-ერთი ასეთი თვალსაჩინო ძეგლია „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, რომლის ავტორობასაც მიაწერენ X საუკუნის ცნობილ მოღვაწეს-იოანე ზოსიმეს. თუმცა ქართველთმცოდნეობაში არის სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ხსენებული ჰიმნი გაცილებით ადრეა შექმნილი, ვიდრე X საუკუნეა და იოანე ზოსიმე ოდენ გადამწერია (მხსრეკელია) მისი.

ჩვენი ერის ღირსეული შეილები ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ მშობლიურ ენას. ვინც მშობლიურ ენას არ აფასებს, პატივს არ სცემს, აკინებს მის მნიშვნელობას და უპირატესობას სხვა, უცხო ენებს ანიჭებს, იგი ფეხქვეშ თელავს თავისი ხალხის უძვირფასეს საუნჯეს, ღალატობს თავის ქვეყანას. „მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის“- ბრძანებდა დიდი ილია. „ ერის ცხოვრება, მის ისტორია დაცულ არს ენით... რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“- გვმოდგვრავდა უფრო ადრე გრიგოლ ორბელიანი.

„დედაენა არის ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისაო“- აცხადებდა იაკობ გოგებაშვილი.

ცნობილი მეცნიერი, მრავალი ენის მცოდნე, აკადემიკოსი ნიკო მარი მაღალ შეფასებას აძლევდა ქართული ენის შესაძლებლობებს: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდ რა ენით“. ქართული ენა არის „მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ცოცხალი სამწერლობო ენა“.

„ქართულ ენაში ასახულია.. მისი შემქმნელი და მატარებელი ხალხის წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება“- მიუთითებდა აკადემიკოსი ვარლამ თოფურია.

ენაში უკუფენილია ერის ისტორია. იგი არის ცოცხალი მოწმე საუკუნეთა სიღრმიდან გამოვლილი წინაპართა ცხოვრებისა, მამა-პაპათა სისხლით დაცული და მისივე არსებობის პირველწყარო.

ილია ჭავჭავაძის სიტყვებითვე დავასრულებთ: „ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს „დედა

ქალაქს”, მკვიდრს და ბოქს სახლისას-„დედა ბოქს”, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს-„დედა ბურჯს”, სამთავრო აზრს-„დედა აზრს”, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი-„გუთნის დედას”.

ქართული ენის შესაძლებლობების წევლომა, მისი ღრმად დაუფლება ქართველი კაცის ღირსების საქმეა, მისი გაფრთხილება და მოვლა კი- უპირველესი მოვალეობა.

§2. ქართული ენის ადგილი მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის

ქართული ენა შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში. იგი მიეკუთვნება „ქართველურ ენათა ჯგუფს”, რომელსაც „სამხრულ კავკასიურ ენათა ჯგუფსაც” უწოდებენ. ამ ჯგუფის ენებია: ქართული, მებრულ-ჭანური და სვანური. მებრულ-ჭანურის საერთო სახელია კოლხური, უფრო ადრე კი იხმარებოდა ტერმინი ზანური.

დღეს მსოფლიოში 5651 ენას ითვლიან (მონაცემი აღებულია გერმანული „ლინგვისტური ცნობარიდან”), აქედან ოთხი ათასზე მეტი ცოცხალია. მათში გამოყოფენ საერთო წარმოშობის ენებს, რომელთაც მონათესავე ენებს უწოდებენ. ისინი მომდინარეობენ საერთო წინარე ენისაგან, ანუ პრაენისაგან, იგივე ფუძე-ენისაგან. ეს ენები გარკვეულ ისტორიულ პირობებში დაშორდნენ ერთმანეთს და დამოუკიდებელ ენებად იქცნენ, მაგრამ შეინარჩუნეს ზოგიერთი საერთო ნიშანი. საერთო წარმოშობის ენები ქმნიან მონათესავე ენათა ოჯახებს. თითოეულ ენათა ოჯახში კი გამოყოფენ ერთმანეთთან ახლოს მდგომ ენათა ჯგუფებს. ასე მაგალითად: იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში გამოყოფენ აფხაზურ-ადიღურ, ქისტურ-ბაცბურ, დაღესტნურ და იბერიულ, ანუ ქართველურ ენათა ჯგუფებს. ქართველურ ენათა მონათესავე ენად ზოგიერთი მკვლევარი პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ბასკების ენასაც მიიჩნევს. თუმცა ბასკურ-ქართული ნათესაობის საკითხი დღემდე ჰიპოთეზად რჩება.

მე-19 საუკუნიდან ენათმეცნიერებს არაერთხელ უცდიათ გაერკვიათ ქართველურ ენათა სხვა ენებთან ნათესაობის საკითხი. გამოითქვა მრავალი ურთერთგამომრიცხავი მოსაზრება. ზოგი მეგლეგარი ფიქრობდა, რომ ქართველური ენები ენათესავენა ინდო-ევროპულ ენათა ოჯახში შემავალ ინდურ ენათა ჯგუფს (მარი ბროსე, ფრანც ბოპი), ზოგი კი მათ უკავშირებდა თურანულ-თურქულ (თათრულ) ენებს (მაქს მიულერი), ზოგი კიდევ ქართველურ ენებს სემიტურ ენათა ნათესავედ თვლიდა (ნიკო მარი). იტალიელმა ლორენცო ვრვანსიმ კი ქართველური ენები ბერძნულსა და ლათინურს დაუკავშირა და მიუთითა ევროპულ და კავკასიის იბერთა ნათესაობაზე.

1864 წელს გამოითქვა მოსაზრება, რომ კავკასიური ენები არ უკავშირდება არც ინდო-ევროპულ და არც ურალურ-ალთაურ ენებს. ისინი, მსგავსად ბასკურისა, წარმოადგენენ გადმონაშთს ენათა იმ დიდი ჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიასა და მის სახრეთით, ვიდრე აქ დამკვიდრდებოდნენ არიული და სხვა წარმოშობის ხალხები (ფრიდრიხ მიულერი). ეს მოსაზრება გაიზიარა ალ. ცაგარელმა, პეტერ-ბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა.

კავკასიურ ენათა თავდაპირველ ბუნებასა და ნათესაობას ფუნდამენტური გამოკვლევა მიუძღვნა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. იგი მიუთითებდა, რომ ქართველებისა და მთის კავკასიელი ტომების შორეული წინაპრები იყვნენ მონათესავე ტომები, რომელთაც ერთი საერთო ენაც უნდა ჰქონოდათ. ივანე ჯავახიშვილის აზრით, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალი ენები ნაშთია ოდესღაც მრავალრიცხოვან ენაია ოჯახისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის მიწა-წყალზე და მის სამხრეთით, წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზში ჯერ კიდევ მანამ, სანამ აქ დამკვიდრდებოდნენ ინდო-ევროპულ, სემიტურ და ურალურ-ალთაურ ენებს ხე მოლაპარაკე ხალხები. ესენი იყვნენ წინა აზიის ძველი ცივილიზაციის შემქმნელები-ხეტები, ურარტუელები, შუმერები, ელამები და სხვები.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ქართველურ ენათა ნათესაობის საკითხზე ორი თვალსაზრისი უპირისპირდება ერთმანეთს. 1). ქართველური ენები ენათესავენა მთის კავკასიურ

ენებს (არნოლდ ჩიქობავა, ივანე ჯავახიშვილი...); 2). ქართველური ენები ენათესავენ ინდო-ევროპულ ენებს. (ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენენ წინარე ინდოევროპულ ენებთან). თამაზ გამყრელიძემ და გივი მაჭავარიანმა შრომაში “სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში” (1966) — ბგერათშესატყვისობის საფუძველზე მოქმენეს პარალელური მოვლენები ქართველურსა და წინარეინდოევროპულ ენებში. ტიპოლოგიური პარალელები აღმოჩნდა გრამატიკაშიც. კერძოდ, თამაზ გამყრელიძემ და ვიაჩესლავ ივანოვმა პრაინდოევროპული ენის რეკონსტრუქციით აღმოაჩინეს ამ ენათა სტრუქტურული მსგავსების ხელშესახები მაგალითები. ამასვე ადასტურებს ინდოევროპული ენიდან ქართველურ ენებში დამკვიდრებული სიტყვები: სისხლი, ეშვი, უღელი, მატლი, თიხა, მკერდი, ქმარი, თხა, დევს, კრეფს, ალაგია და მისთ. დადასტურდა პირუკუ შემთხვევებიც. აღმოჩნდა, რომ წინარეინდოევროპული რასა ჩამოყალიბდა იმავე არეალში, სადაც წინარექართველური. ესაა წინა აზია. იგივე არეალი ითვლება თანამედროვე ცივილიზაციის აკვნადაც, რომლის შექმნაშიც, ჩანს, ქართველთა წინაპრებიც მონაწილეობდნენ.

როგორც ვხედავთ, ქართველურ ენათა ნათესაობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ ორივე მოსაზრებას აქვს საფუძველი და, გამომდინარე აქედან, არსებობის უფლებაც.

აღსანიშნავი ისიც, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში არ შედის კავკასიაში ამჟამად მცხოვრები ყველა ხალხის ენა. კერძოდ, სომხური და ოსური ენები შედიან ინდოევროპულ ენათა ოჯახში, ხოლო აზერბაიჯანულ—ალათურ (თურქულ-თათრული) ენათა ოჯახში.

§3. ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა უაღრესად დიდია. მასში დაუნჯებელია ქართველი ხალხის

ისტორია, მისი მდიდარი წარსული, საუკუნეთა სიღრმეში შე-
მუშავებული ტრადიციებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ნი-
შანდობლივი თვისებები.

ქართულმა ენამ, მის მატარებელ ხალხთან ერთად, განვი-
თარების მეტად გრძელი და საინტერესო გზა განვლო,
ხელი შეუწყო ქართველ ტომთა ერთიანი ეროვნული მსოფლ-
მხედველობის ჩამოყალიბებას. მას დიდი ხნის მანძილზე გა-
დაშენებით ემუქრებოდნენ დიდი იმპერიების ენები, რომელთა
გავლენის ქვეშ ექცეოდა ხოლმე ჩვენი ენა ისტორიული
განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დევნასა და შევიწროებას
განიცდიდა, მაგრამ ქართული ენა იმდენად ძლიერი აღმოჩნ-
და, რომ გარეგანმა ზეწოლამ სრულიადაც ვერ შეარყია მისი
გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ქართული ენა ყველა ქართველური ტომის მშობლიური
ენაა, რომელ ენაზეც არ უნდა დაპარაკობდნენ ისინი შინ.
საუკუნეთა მანძილზე ქართველი კაცის აზროვნებაში ცნება
„ქართული“ ერთიანი საერთო ნიშნის, — ეროვნული მთლიანო-
ბისა და კონსოლიდაციის ყველაზე მძლავრი იარაღი იყო. სა-
ერთო სამწერლობო ენამ კი უდიდესი როლი შეასრულა
ქართველი ერის ერთიანობის შენარჩუნებასა და ქართული
სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში. საერთო სალიტერატუ-
რო ენის საფუძველზე წარმოიქმნა ნაციონალური კულტურა.
საერთო ეროვნული კულტურის შექმნას დიდად შეუწყო
ხელი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება-
მაც. შემთხვევითი არ არის, რომ IX—X საუკუნეებში სინას
მთაზე გადახვეწილი ქართველი ბერები ლოცულობდნენ „ყო-
ველთა ქრისტიანეთა და უფროის ყოველთასა — ყოველთა
ქართველთათვის“...

ენობრივი ერთობის შეგნება მძლავრად იკიდებს ფეხს ერ-
თიანი სახელმწიფოს სამეფოებად და სამთავროებად დაქუც-
მაცების ხანაშიც. ერთიანობისკენ სწრაფვა მომდევნო საუკუ-
ნეებშიც იგრძნობა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „თუ ჰკით-
ხავთ ვინმე ქართლელს, იმერელს, მესხს, ჰერ- კახელს, — რა
სჯული ხარ? — მოგვიგებს: „ქართველი“. მეორე მხრივ, მათ
აქვთ დამწერლობა და ენა ერთი და იგივე, შექმნილი პირ-
ველი მეფის-ფარნაოზის მიერ და თუ ჰკითხავთ ზემოხსე-
ნებულებს, — რა ენა და დამწერლობა იცი?“ — მოგიგებს მყის:

„ქართული“ და არ იტყვის არცა სჯულსა, ენასა და წიგნსა იბერთასა ან მესხთა, ან ჰერ-კახთასა, არამედ „ქართულსა“. მეგრელნი „ენით არიან დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქვთ თავისიცა ენა.. და აქვთ წიგნი ქართულივე და არა სხვა“.

ძველთაგანვე ქართველებს მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან, ბიზანტიელებთან, სპარსელებთან, სომხებთან, სირიელებთან.. მრავალი ლიტერატურული თუ სხვა ხასიათის ძველი ქართველ მოღვაწეებს უთარგმნიათ ბერძნულიდან, სპარსულიდან, ძველი სომხურიდან, სირიულიდან, ლათინურიდან.. აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი ძველის დედანი დაკარგულა და ოდენ ქართულ თარგმანებში შემონახულა.

ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოსა (გელათი, შატ-ბერდი) და მის ფარგლებს გარეთ (იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონის მონასტერში, პეტრიწონში..) დაარსდა სამწიგნობრო კერები, სადაც ქართველი მოღვაწეების რუდუნებით სხვადასხვა ენიდან ქართულად ითარგმნებოდა წმინდა წიგნები, ყალიბდებოდა ძველი და ახალი აღთქმის რედაქციები, იწერებოდა ორიგინალური სასულიერო, ისტორიული, ლიტერატურული, ფილოსოფიური... ხასიათის თხზულებები. ამ კერებში შექმნილი ორიგინალური თუ თარგმნილი ძეგლები ქართული მწერლობისა და ზოგადად კულტურის უძვირფასესი განძია.

ქართული ენის სტრუქტურით, მისი ბუნებითა და ისტორიით დაინტერესდნენ უცხოელი სწავლულებიც. ევროპულ ენებზე მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული ქართული ენის გრამატიკის, ლექსიკისა და ისტორიის შესახებ.

1629 წელს რომში, ლათინურ ენაზე დაისტამბა სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის (ირუბაქისძე) „ქართული-იტალიური ლექსიკონი“. 1643 წელს კი ლათინურ ენაზევე დაიბეჭდა ერის მარია მაჯოს „ქართული ენის გრამატიკა“ – ქართული ენის გრამატიკის შექმნის პირველი ცდა. 1834 წელს პარიზში გამოქვეყნდა მარი ბროსეს „ქართული ენის გრამატიკა“, 1837 წელს კი მისი „ელემენტი ქართული ენისა“.

ქართული ენის სტრუქტურას მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნა ავსტრიელმა მეცნიერმა ჰუგო შუხარდტმა. საყურადღებოა მისი წვლილი ხანმეტი ლექციონარის შესწავლის საქ-

მეში. 1928 წელს დაიბეჭდა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის, რ. მეკელანის ქართულ-გერმანული, 1937 წელს კი-გერმანულ-ქართული ლექსიკონები. 1930 წელს ლაიფციგში გამოვიდა პროფ. გეორგ დევტერის კაპიტალური შრომა ქართველური ენების ზმნის შესახებ, 1962 წელს კი დაისტამბა პროფ. კ. შმიდტის ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი. 1964 წელს (მეორე შეესწავლილი გამოცემა 1998 წ.) გამოვიდა პროფ. გიორგი კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (რუსულ ენაზე). ეს იყო ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენის პირველი ცდა. 1936 წელს ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ნორვეგიელი პროფესორის-ჰანს ფოგტის „ქართული ენის გრამატიკა“... კიდევ მრავალი შრომა დაისტამბა ქართული და ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის შესახებ საზღვარგარეთის სამეცნიერო გამოცემებში. ყველა მათგანზე საუბარი, ბუნებრივია, აქ შეუძლებელია. საქართველოს გარეთ ქართველოლოგიური კვლევა წარმოებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, კერძოდ: გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, რუსეთში, აშშ-ში და სხვა. ამ დაინტერესების მიზეზი ისიცაა, რომ ქართული ენისა და, საერთოდ, საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ცივილიზაციის ფესვების ძიება.

§4. ქართული ენა და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა

წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ პრობლემა უადრესად რთულია და მრავლისმომცველიც, მაგრამ მაინც შესაძლებელია ზოგიერთ საკითხზე საუბარი.

ქართული ენის თავდაპირველი სახის, მისი შემდგომოდელი ჯანვითარებისა და სხვა ენებთან ისტორიული კონტაქტების გარკვევასთან ორგანულად არის დაკავშირებული

ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა. საკითხის გარშემო არსებობს მრავალი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება.

ქართველი ხალხის წარმოშობაზე მსჯელობდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში.

მაგალითად, ბერძნები ქართველებს კავკასიის მიწა-წყალზე მოსულებად თვლიან. კერძოდ, პეროდოტეს (ძვ. წ. აღ. V ს.) აზრით, კოლხები ეგვიპტური წარმოშობისანი არიან. ხოლო მეორე ბერძენი ისტორიკოსი მეგასტენი იბერების სამშობლოდ ესპანეთს ასახელებდა (ამ ქვეყანას ელინები საერთოდ იბერიას უწოდებდნენ). ამ აზრს შემდგომ იმეორებს იოსებ ფლავიუსიც (I საუკუნე).

ძველი ქართული ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაწოდის ცნობას, რომ ქართველები გადმოსახლებული არიან არიან-ქართლიდან ალექსანდრე მაკედონელის დროს. კერძოდ, ნათქვამია, რომ აღ. მაკედონელმა არიან-ქართლის მეფის შვილი აზო დასვა მეფედ მცხეთაში. აზომ არიან-ქართლიდან მოიყვანა მრავალი „სახლი“ თანამემამულეთა, რომელთაგან წარმოიშვნენ ქართველებიო. ამავე ცნობას ვხვდებით ძველი სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის (V ს. ახ. წ. აღ.) შრომაშიც.

ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ არიან-ქართლი საერთოდ არ იხსენიება, მაგრამ მითითებულია აზოს მამის სახელი-იარედოსი. მკვლევართა აზრით, ეს სახელი ახლოს დგას ირან, არიანა-სთან. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ არიან-ქართლი და ლეონტი მროველის შრომაში მოხსენებული იარედოსი ექვივალენტები უნდა იყოსო—შენიშნავს გ. მელიქიშვილი.

დღეისათვის საბოლოოდ არაა გარკვეული, თუ რა იგულისხმება არიან-ქართლში. ნათელი არ არის რა ქვეყანაა ის. მოსე ჯანაშილის აზრით, ეს არის შუა აზიის არიანა. სიმონ ჯანაშიას დაკვირვებით, არიან-ქართლი წარმოადგენს პარი-ქვეყანას, ქართველთა უძველეს საცხოვრისს; შესაძლოა, ეს იყოს მიტანი ან ურარტუ-ვანის ტბის მიდამოები, რადგანაც პარი-ქვეყანა მოიცავდა ერთსაც და მეორესაც. ს. ჯანაშიას რედაქციით გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“ (1943 წ.) ნათქვამია: „არიან-ქართლი პარი-ქვეყანას უნდა წარმოადგენდეს, ასე უწოდებდნენ ძველი სუბარეთის სამხრეთ რაიონებს.

აზო, იგივე იაზონია, რომელიც ბერძნებში იბერიის მამამთავრად ითვლებოდა”.

თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცულია ლეგენდა ქართველთა წინაპრების ბიბლიური პერსონაჟებიდან მომდინარეობის შესახებ. სახელდობრ: მას შემდეგ, რაც ღმერთმა ადამიანები სხვადასხვა ენაზე ააღაპარა და ბაბილონის გოდლის აშენება ვერ მოხერხდა, ისინი დაიფანტნენ მთელს დედამიწაზე. ქართველებისა და სხვა კავკასიელი ტომების საერთო წინაპარი თარგამოსი წამოვიდა „ნათესავითურთ მისით“ და დამკვიდრდა არარატისა და მასისის მთათა შორის. აქ მისი შთამომავლობა იმდენად გამრავლებულა (თვითონ თარგამოსს 600 წელი უცოცხლია), რომ ველარ იტყვება „ქუყყანა არარატისა და მასისისა“. თარგამოსს ჰყოლია რვა შვილი: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკანოს, ლეკოს, ჰეროს, კავკასოს, ეგროს, რომელთაც გაუყო თარგამოსმა თავისი სამფლობელო. ჰაოსიდან მოდიან სომხები, ქართლოსიდან-ქართველები, ბარდოსისაგან-რანები, მოვაკანოსიდან-მოვაკანნი, ლეკოსიდან-ლეკები, ჰეროსიდან-ჰერები, კავკასოსიდან-კავკასიელნი, ეგროსიდან-მეგრელნი.

ქართველთმცოდნეობაში დიდი პოპულარობა მოიპოვა ს. ჯანაშიას მიერ წამოყენებულმა ეთნოგენეტიკურმა კონცეფციამ, რომელმაც ფაქტიურად დღის წესრიგიდან მოხსნა ქართველთა მიგრაციის თეორია. მკვლევრის აზრით, 6000 წლის წინათ წინა აზიასა და სამხრეთ ევროპაში (ბალკანეთისა და პირენეის ნახევარკუთხელებზე) ცხოვრობდნენ ჩვენი ხალხის წინაპრები-ხეთები და სუბარები. წინა აზიაში სახლობდნენ ხეთები, სუბარებს კი ეჭირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან კავკასიონამდე.

ძვ. წ. აღ. I ათასწლეულის დასაწყისში დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ქართველურ ტომთა ორ-დასავლურ და აღმოსავლეთ-ქართულ გაერთიანებას ეყრება საფუძველი. ამავე ხანაში წინა აზიაში, საბერძნეთში, გაბატონდა ასურული, ხეთურ-სუბარული კი მრავალ წერილ სამთავროდ დაქუცმაცდა. ხეთურ-სუბარულ ტომთაგან უფრო ძლიერნი მუსკები (მესხები) ყოფილან. ძვ. წ. აღ. IX-VIII საუკუნეებში ხეთურ-სუბარულმა ტომებმა შექმნეს ახალი ძლიერი სახელმწიფო-ურარტუ. ძვ.წ.აღ. VI საუკუნისათვის დაწინაურდნენ

ქართული სახელმწიფოები-კოლხეთი და იბერია., ურარტუ კი დაეცა. უძველესი წერილობითი ძეგლების მიხედვით კოლხი ზოგადი მნიშვნელობის სახელი იყო და აერთიანებდა რამდენიმე ტომს. სტრაბონის ცნობის საფუძველზე ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ იბერთა ტერიტორია სამხრეთისაკენ მდ. არაქსამდე იყო გადაჭიმული.

„ისტორიის მამად“ წოდებულ ჰეროდოტეს დაწვრილებითი ცნობები აქვს მოცემული კოლხებზე, მაგრამ კავკასიის იბერებს საერთოდ არ ახსენებს. ს. ჯანაშია, ანალიზებს რა ჰეროდოტეს ცნობებს, ფიქრობს, რომ მის ისტორიაში ნახსენები სასპედრები მერმინდელი ბერძენი მწერლებისათვის კარგად ცნობილი იბერები არიან. სასპედრ'ს ლინგვისტური ინტერპრეტაციით მკვლევარი უკავშირებს ტერმინებს: თაბალ, სუბარ, იბერ-ივერ'ს...(სასპედრ'ში სპერელი ხომ არ უნდა ვიგულისხმობთ?-ავტორები).

ძვ.წ. აღ. V საუკუნის II ნახევარში წინა აზიის ოთხი ხალხიდან (სპარსელები, მიდიელები, კოლხები და სასპედრები) ორი ქართველური მოდგმისა იყო.

წინარექართველური ეპოქის გასათვალისწინებლად საყურადღებოა სვანების უძველესი ადგილსამყოფელიც. გ. მელიქიშვილი ყურადღებას აქცევს პერაკლიტე პონტოელის ცნობას (ძვ. წ. აღ. IV ს.): ფაზისის გაყოლებით თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჰენიოხები, შემდეგ კი მილეტელები“. ჰენიოხების ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს სვანები. სვან ფუძის ვარიანტად მიჩნეულია ასევე სანიგი. საგულისხმოა, რომ ძველი დიოსკურიის ქართული სახელწოდება ცხუმი (ცხ-უმ) სვანურია და ნიშნავს რცხილას.

სტრაბონის ცნობით, დიოსკურიის მახლობლად მცხოვრებ სვანებს შეუძლიათ 200 000-იანი ლაშქრის გამოყვანა. ისინი ძლიერ და მრავალრიცხოვან ტომებს წარმოადგენენო.

მითი არგონავტების შესახებ ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის ბოლოს ჩანს წარმოშობილი. მასში დაცულია ცნობები კოლხეთის ძლიერი სამეფოს შესახებ, რომელიც მოთავსებული იყო მდ. რიონის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალზე. ნ. მარი კი კოლხეთს ათავსებდა ჭოროხის აუზის მიდამოებში.

ქართველმა მეცნიერებმა ქართულ და უცხოურ წყაროთა და არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალების შეჯერებით

დამაჯერებლად დაამტკიცეს, რომ ქართველები კავკასიისა და მცირე აზიის უძველესი მკვიდრნი არიან.

გ. მედიქიშიველი ასკვნის, რომ ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის ბოლოდან მდ. რიონის სამხრეთით სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე მდებარეობდა კოლხთა ძლიერი და დიდი სამეფო, რომლის ცენტრი სავარაუდოდ ჭოროხის ქვემო წელზე გადიოდა. მისივე ვარაუდით, ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს ძვ. წ. აღ. III-II ათასწლეულის მიჯნაზე უნდა ჰქონოდა საკუთარი სახე. ამ დროისათვის არსებობდა წინარექართველური ფუძე ენა, რომლის დიფერენციაციის პროცესი მოგვიანებით დაიწყო.

§5. ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი

ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა თანამედროვე გრამატოლოგიის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებითაც არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები:

1. XI საუკუნის ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი წერს: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განაგრძო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუნიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

2. V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კორიუნის თხზულებაში „ცხოვრება მესროპ მაშტოცისა“ დაცულია ცნობა, რომ მესროპ მაშტოცმა შექმნა სომხური დამწერლობა, შემდეგ კი — ქართული და ალბანური.

3. ქართული ტრადიციული ცნობის მიხედვით, ქართველებს ფარნავაზ მეფემდეც ჰქონიათ დამწერლობა, რომელიც ქართველ ქურუმებს შეუდგენიათ ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთა შინა ფარნავაზამდე... წერილნი მათნი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი... წერილნი... პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერი-


66291 - 4294

ლისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ხუცურნი...(ცნობა თ. ბაგრატიონს ამოუწერია ანტონ II კათალიკოსის კუთვნილი წიგნიდან „მატიანე შემეცნებათა“ და შეუტანია თავის შრომაში).

ამ ცნობების საფუძველზე მეცნიერებაში შემუშავდა ქართული ანბანის შექმნის რამდენიმე თეორია.

პირველი მკვლევარი, რომელმაც სარწმუნოდ მიიჩნია ქართული ანბანის შექმნის სომხური ვერსია, იყო აკად. კ. კეკელიძე. მისი აზრით, ქართული ანბანი შექმნილი უნდა იყოს ქრისტიანულ ხანაში ბერძნულ და სომხურ დამწერლობათა საფუძველზე მესრობ მაშტოცის მონაწილეობით. ამ თეორიის უსაფუძვლოებაში პირველად ეჭვი შეიტანა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მან საგანგებოდ შეისწავლა კორიუნის თხზულება და დაასაბუთა, რომ მესრობ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსია მასში მოგვიანებით არის ჩამატებული სხვა მელნით, კერძოდ, იგი VI საუკუნის დამლევის ჩანართია. ამას ადასტურებს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის—ლავარი პარფელის შრომაც, რომელშიც იგი მესრობ მაშტოცს მიიჩნევს ოდენ სომხური ანბანის შემქმნელად. ასევე, სხვა სომეხი ისტორიკოსების— ფავსტოს ბუზანდისა (V ს.) და მხითარ აირიენელის ნაშრომებშიც არსად არაა მითითებული ქართული დამწერლობის შემქმნელად მესრობ მაშტოცი. ირიქით, მხითარ აირიენელი ქართული დამწერლობის შემქმნელად ასახელებს ფარნავაზ მეფეს.

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი კიდევ უფრო სარწმუნო გახდა მომდევნო პერიოდში ჩატარებული კვლევა-ძიებით. კერძოდ, პროფ. ალ. აბდალაძემ გამოიკვლია, თუ როდის და რა პირობებში ჩაამატეს კორიუნის შრომაში მესრობ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ცნობა. სახელდობრ: 428 წელს სომხეთის სამეფო გაუქმდა. სომხეთის კათალიკოს სპაკისა და მესრობ მაშტოცის მეთაურობით დაიწყო დიდი მოძრაობა სომხეთის სახელმწიფოს აღსადგენად. კორიუნის ცნობით, მაშტოცს ამ მიზნით უმოგზაურია დასავლეთ სომხეთში, ხლებია ქართლის მეფესაც, სომეხი მემატიანეების შრომებში ისიცაა აღნიშნული, რომ მაშტოცს ორჯერ უმოგზაურია ქართლსა და აღბანეთში. იგი სომხურ წერა-კითხვას ასწავლიდა სომხებით დასახლებულ ქართლის სოფლებ-



ში. ალბათ ამის გამო ტენდენციურად განწყობილმა წრეებმა შექმნეს ლეგენდა მესროპის მიერ ქართული და ალბანური დამწერლობების შექმნის შესახებ. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით VII საუკუნის დასაწყისში, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული და სომხური ეკლესიები.

მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსიის უსაფუძვლობა დაასაბუთეს ასევე სხვა ქართველმა მეცნიერებმაც: რამაზ პატარიძემ, ზურაბ სარჯველაძემ და სხვ.

ცნობილი გახდა ის ფაქტიც, რომ მესროპს ქართული და ალბანური არ სცოდნია. გაირკვა ისიც, რომ თვით სომხური ანბანის შემქმნელი სირიული და ბერძნული დამწერლობების გარდა იცნობდა და იყენებდა ქართულ ანბანსაც.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დღეისათვის ქართული ანბანის შექმნის სომხურ ვერსიას იზიარებს ბევრი სომეხი სპეციალისტი, ასევე მრავალი უცხოელი მკვლევარიც.

ქართული დამწერლობის ბერძნულიდან მომდინარეობის ვერსია საქართველოში პირველად წამოაყენა დ. ბაქრაძემ. იგი აღნიშნავდა, რომ ქართული ანბანი შეიქმნა ბერძნულის გავლენით ჯერ კიდევ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების არსებობის ხანაში ფარნავაზემდე ბევრად უფრო ადრე. ამ თეორიას მხარს უჭერდა პავლე ინგოროყვაძე. საკითხი სპეციალურად არ უკვლევია აკად. აკ. შანიძეს, მაგრამ აკად. გიორგი წერეთლის შრომის—„არმაზის ბილინგვა“ რეცენზიაში წერდა: „ქართული ანბანის წარმოშობის კვლევისას უთუოდ ანგარიშგასაწევია ბერძნული ანბანის ზეგავლენა“.

აკად. თამაზ გამყრელიძის აზრით, ქართული ასომთავრული ანბანი მომდინარეობს ბერძნულიდან. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ძველი ქართული ანბანის სისტემური შეპირისპირება ბერძნულ დამწერლობასთან ავლენს სტრუქტურულ თანხვედრას.

ზ. სარჯველაძე და კ. დანელიაც იზიარებენ ქართული ანბანის ბერძნულიდან მომდინარეობის იდეას.

მართლაც, ძველი ქართული ასომთავრული ანბანი ავლენს სტრუქტურულ თანხვედრას კლასიკურ ბერძნულ ანბანთან, ესაა:

1. წერის ანბანურობა (სისტემაში როგორც ხმოვანთათვის, ისე თანხმოვანთათვის ნიშნების არსებობა).

2. წერის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ.

3. სისტემაში ასო-ნიშანთა რიგი.

4. ასო-ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობა.

ყოველივე ეს და ისიც, რომ ძველი ქართული ასომთავრული მრგვლოვანი ანბანი დადასტურებულია ოდენ ქრისტიანობის შემდეგდროინდელი ძეგლებით, სარწმუნოს ხდის მოსაზრებას, რომ ქართული ანბანი მომდინარეობს კლასიკური ბერძნული ანბანიდან და იგი ქრისტიანობის შემონატანია.

ხანგრძლივი ისტორია აქვს ქართული დამწერლობის სემიტიურიდან მომდინარეობის ვერსიასაც. ამ თეორიას მხარს უჭერდა გერმანელი მეცნიერი ფრიდრიხ მიულერი (XIX ს), ხოლო ჩვენში სარგის გორგაძე.

ქართული ანბანის სემიტიურიდან მომდინარეობის თეორია ჩამოაყალიბა ივ. ჯავახიშვილმა ნაშრომში „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“ (1926), მკვლევარმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია VII ს-ში ჩვ.წ. აღ-მდვ. ივ. ჯავახიშვილი გრაფიკული შედარების მეთოდით იკვლევდა ქართული დამწერლობის წარმომავლობის საკითხს. ასო-ნიშანთა გარეგნული მსგავსება, ბუნებრივია, საკმარისი ვერ იქნება ამა თუ იმ დამწერლობის გენეზისის დასადგენად. დიდი მეცნიერი სიფრთხილისათვის თავის თეორიას უწოდებდა ჰიპოთეზას, რომლის სიმართლე მომავალს უნდა გაერკვია, თუმცა დაბეჯითებით აცხადებდა: “ეხლა მაინც სამუდამოდ უკუგდებულ უნდა იყოს აზრი, ქართული ანბანის V საუკუნეში გამოგონების შესახებ ქრისტეს წინ და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ”. ივ. ჯავახიშვილის დებულებები გაიზიარა რამაზ პატარძემ, ოღონდ მიიჩნია, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია V ს-ში ჩვ. წ. აღ-მდვ.

ქართული დამწერლობის სემიტიურიდან მომდინარეობის იდეის დასაბუთებას შეეცადა გიორგი წერეთელიც 1940 წ. მცხეთა-არმაზში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი „არმაზის ბილინგვის“ შესწავლის შემდეგ. მკვლევარმა შეისწავლა აღნიშნული ძეგლი და მიიჩნია, რომ ბილინგვა შესრულებულია არამეული დამწერლობის იმ სახეობით,

რომელსაც პირობითად შეიძლება „არმაზული არამეული“ ვუწოდოთ. ვ. წერეთელი კდილობს დაადგინოს, რომ „არმაზულ არამეულსა“ და ქართულ ანბანებს უთუოდ აქვთ საერთო: ასოთა მოხაზულობა ერთნაირია, მაგრამ ზოგი ქართული ასო ამჟღავნებს უფრო მეტ სიძველეს, ვიდრე არმაზული. ამიტომ ქართული დამწერლობა არ შეიძლება მივიჩნიოთ არმაზულის შემდგომ საფეხურად, ისინი ერთმანეთის მონათესავენი უნდა იყვნენ და მომდინარეობდნენ საერთო წყაროდან-არამეულიდან.

ქართული დამწერლობის სემიტურიდან მომდინარეობის პრობლემას ელობება მრავალი დაბრკოლება, რომელთა შორის მთავარია ის, რომ ძველი ქართული ანბანი და სემიტური სტრუქტურულად განსხვავებული წერითი სისტემებია. ქართული ასომთავრული აღფაბეტია, ანუ ისეთი დამწერლობა, რომელშიც როგორც თანხმოვანთათვის, ისე ხმოვანთათვის გრაფიკული ნიშნებია შექმნილი, ხოლო სემიტური კონსონანტური სისტემაა, სადაც გრაფიკული ნიშნები მხოლოდ თანხმოვანთათვის (კონსონანტებისათვის) არის შექმნილი, ხმოვანი ბგერა კი სისტემაში არაა აღნიშნული.

ასევე განსხვავებულია წერის მიმართულებაც. სემიტურში წერის მიმართულება მარჯვნიდან-მარცხნივია, ხოლო ქართული კი მისდევს კლასიკურ ბერძნულს- მარცხნიდან მარჯვნივ. სხვათაშორის ცნობილია, რომ არქაულ ბერძნულშიც წერის მიმართულება მისდევს სემიტურს (მარჯვნიდან-მარცხნივ), შემდგომ ეტაპზე წერის მიმართულება იცვლებოდა ყოველ მომდევნო სტრიქონზე (მარჯვნიდან-მარცხნივ, მარცხნიდან-მარჯვნივ...), ბოლოს ჩამოყალიბდა წერის კლასიკური მიმართულება მარცხნიდან-მარჯვნივ).

აღვნიშნავთ, რომ ქართული და სემიტური წერის სისტემებს შორის თუ არის ზოგიერთი მსგავსება, ამის მიზეზი, ალბათ, ბერძნული ანბანის წარმომავლობაში უნდა ვეძიოთ, იგი ხომ ფინიკიურის საფუძველზეა შექმნილი (ამიტომაც იხსენებდა ჰეროდოტე ბერძნულ ანბანს როგორც კადმიურს, ფინიკიელი კადმეს მიხედვით, რომელსაც ანტიკური ტრადიცია მიაწერს ფინიკიურის საფუძველზე ბერძნული ანბანის შექმნას საბერძნეთის ქალაქ ბეოტიაში), ხოლო ქართული კი-

ბერძნულის საფუძველზე. გარეგნული მსგავსებაც აქაა საძიებელი.

და ბოლოს: მაინც როდის შეიქმნა ქართული დამწერლობა? ქართული დამწერლობის შექმნის თარიღის შესახებ ქართველოლოგიაში აზრთა სხვაობაა, კერძოდ, კ. კეკელიძის აზრით, იგი უნდა შექმნილიყო ახ. წ. აღ. 420-422 წლებში.

ივ. ჯავახიშვილმა არ გაიზიარა ეს მოსაზრება და მიიჩნია, რომ ქართული ანბანი შექმნილია ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში.

პ. ინგოროყვას ვარაუდით, „ქართული ანბანი გამომუშავებულია მცირე აზიაში არქაული ბერძნული ალფაბეტის საფუძველზე 284 წელს ჩვენს ერამდე“.

რ. პატარიძის დაკვირვებით, ქართული დამწერლობა შექმნილია წარმართულ ხანაში, დაახლოებით 403-284 წლებს შორის, რადგანაც მასში გათვალისწინებულია უნიფიცირებული ბერძნული ანბანის (403 წ. ძვ. წ. აღ-ით.) პრინციპებიც. ასევე ირკვევა, რომ ძვ. წ. აღ. 284 წ. ფარნავაზ მეფეს ქართული ანბანი შემოუღია, როგორც სახელმწიფო დამწერლობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო აზრი გამოთქვა ზ. სარჯველაძემ. მისი ვარაუდით, ქართული ანბანი უკვე გვქონდა ახ. წ. აღ-ით IV ს-ის II ნახევარში, ან V საუკუნის დამდეგს. ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღება რომ ვივარაუდოთ, მაშინ „არმაზის ბილინგვას“ სხვაგვარი ახსნა დასჭირდებაო. ცნობა ფარნავაზის მიერ ქართული მწიგნობრობის შემოღებისა ალბათ გულისხმობს სახელმწიფო საჭიროებისათვის ბერძნული ან არამეული (იმდროისათვის გავრცელებული) დამწერლობების გამოყენებას, სხვაგვარად ძნელად აიხსნება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ადრეული ხანის ბერძნულ-არამეული... დამწერლობის ძეგლები, ქართული კი არა. თუკი ამ დროისათვის ქართული დამწერლობა არსებობდა, მაშინ არმაზის ბილინგვაზე იბერთა სამეფო კარის ამბავი რატომ იქნებოდა ბერძნულად და არამეულად დაწერილი?!

აკად. თ. გამყრელიძე წერილში „მწიგნობრობა ქართული“ (1987 წ.) მიუთითებს, რომ ქართული ასომთავრული შექმნილი უნდა იყოს IV საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის დასაწყისში. უფრო მოგვიანებით წიგნში „წერის ანბანური სის-

ტემა და ძველი ქართული დამწერლობა”(1990წ.) მკვლევარი აღნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა ან გამოაძევა მანამდე არსებული წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემაო.

ქართული დამწერლობის შემოღება ქრისტიანობის ხანაში სარწმუნოდ მიაჩნია პროფ. კორნელი დანელიასაც.

როგორც ვხედავთ, ქართული დამწერლობის შექმნის თარიღის შესახებ ქართველოლოგიაში აზრთა სხვაობაა. ერთი რამ ნათელია. ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი ძეგლები (ბოლნისის სიონის, პალესტინის, მცხეთის ჯვრის... წარწერები) განეკუთვნება ქრისტიანობის ეპოქას. ქრისტიანობამდელი ხანის წერილობითი ძეგლები არ მოგვეპოვება. მიტოვაც უფრო სარწმუნო ჩანს მოსაზრება, რომ ქართული დამწერლობა ქრისტიანობის შემონატანია და შექმნილია ბერძნული ანბანური დამწერლობის საფუძველზე, ისევე როგორც ბევრი სხვა ანბანური სისტემა.

ბოლოს ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: მაინც როგორ გავიგოთ ლეონტი მროველის ცნობა, რომ ფარნავაზმა... „შექმნა მწიგნობრობა ქართული“? თუ გავითვალისწინებთ, რომ „მწიგნობრობა“ ზოგადად წერა-კითხვას ნიშნავს, მაშინ შეიძლება დაეუშვათ, რომ ფარნავაზ მეფემ ქართლში შემოიღო მწიგნობრობა იმდროისათვის გავრცელებული რომელიმე წერითი სისტემის მიხედვით. სხვაგვარად: ფარნავაზმა შემოიღო სხვათა ენაზე წერა, რაც გავრცელებული მოვლენა იყო ძველ დროში.

§6. ქართული ანბანის განვითარების საფეხურები

ქართულმა დამწერლობამ განვითარების სამი საფეხური მაინც გაიარა, ესაა: ასომთავრული, იგივე მრგლოვანი, ნუსხური და მხედრული.

V-IX საუკუნის ძეგლები (წარწერები, ხელნაწერები) ასომთავრულითაა შესრულებული. IX საუკუნიდან გვაქვს ნუსხური დამწერლობის ნიმუშები. მისი უძველესი ძეგლია ატენის სიონის 835 წლის წარწერა (გამოაქვეყნა გ. აბრამიშვილმა). X საუკუნიდან ნუსხურით შესრულებული ხელნაწერების რიცხვი თანდათან მატულობს. ქართული ანბანის ამ სახეობითაა შესრულებული სინური მრავალთავის ანდერძი (864 წ.), სინური ოთხთავი (978 წ.), სინური პარაკლიტონი (954 წ.), ოშკის ბიბლია (978 წ.), ჭილ-ეტრატის იადგარი (X ს.) და მრავალი სხვა. არის ხელნაწერები, რომელთა ერთი ნაწილი მრგლოვანითაა შესრულებული, მეორე-ნუსხურით. ასეთია, მაგალითად, სვანური მრავალთავი (X ს.), სინური ლიტურგიული კრებული (X ს.)... ზოგიერთი ხელნაწერის ტექსტი ასომთავრულით დაუწერიათ, ანდერძი კი-ნუსხურით; არის პირიქითაც: ძეგლი ნუსხურითაა გადაწერილი, ანდერძი კი-ასომთავრულით. გვაქვს ძეგლები, რომლებშიც ასომთავრულ ტექსტში გადამწერის გამორჩენილი ადგილები ნუსხურით შეუვსიათ. საზოგადოდ, ნუსხურით გადაწერილ ხელნაწერებში მრგლოვან ასოებს ერთგვარ სამკაულად იყენებდნენ. ასომთავრულით წერდნენ სათაურებს, იწყებდნენ აბზაცებს და ა.შ.

ძველ ქართულში გვაქვს ტერმინი ასომთავარი: „და ყოველი ასომთავარი ოქრომელნითა დაწერილი“ (X-XI საუკუნეების ოთხთავი). აქედანაა ნაწარმოები ტერმინი ასომთავრული. უფრო ადრინდელ ძეგლებში გვხვდება ტერმინი მრგლოვანი (XI საუკუნის სვინანქსარის ფრაგმენტები).

ნუსხური ნაწარმოებია ტერმინისაგან ნუსხა: „ნუსხა ჩქარად წერილ არს“- წერს საბა ორბელიანი. ნუსხა დედანსაც ერქვა. ნუსხური, როგორც ქართული ანბანის ერთ-ერთი სახეობის სახელი, ძველ ხელნაწერებში ჯერ-ჯერობით არ არის გამოვლენილი.

მხედრული ანბანის უძველეს ნიმუშებს X საუკუნით ათარიღებენ (მ. აბრამიშვილი, ე. მაჭავარიანი, ზ. აღექსიძე). მხედრულით შესრულებული პირველი ძეგლია ატენის სიონის 982-986 წლების წარწერა. მხედრული თანდათან ვრცელდება XI-XII საუკუნეებში.

ამრიგად, უკვე X საუკუნეში გვერდიგვერდ არსებობს ქართული ანბანის სამი სახეობა: ასომთავრული, ნუსხური და

მხედრული. ასომთავრულსა და ნუსხურს ხუცურსაც უწოდებენ, რაკი მათ დამწერლობას უპირატესად ეკლესიაში იყენებდნენ, შესაბამისად, მხედრულს იმიტომ უწოდებდნენ, რომ დამწერლობის ამ სახეობით იქმნებოდა საერო თხზულებები.

§7. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები

ქართული კულტურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობისაა ის წერილობითი ძეგლები (წარწერები, ხელნაწერები), რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია. ამ ძეგლებში კარგად იკითხება ქართველი კაცის სულიერი მოღვაწეობის ხანგრძლივი ისტორია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე მოღწეული მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც ჩვენს წინაპრებს დიდი ჯაფით შეუქმნიათ.

ა) წარწერები

გასული საუკუნის 50-იან წლებში (1952-1953 წ.) ცნობილმა იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ პალესტინაში, იუდას უდაბნოში, აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნანგრევები სამი ქართული წარწერით. ბუნებრივია, რომ ამ წარწერებმა იმთავითვე მიიქციეს მკვლევართა ყურადღება. მათ შესახებ შრომები გამოაქვეყნეს მ. თარხნიშვილმა (*La Terra Santa*, 1953. „ბედი ქართლისა“, №16, 1954 წ.), ვ. კორბომ (1955წ.), შ. ნუცუბიძემ (ე. „მნათობი“, 1959. 1), გ. წერეთელმა (1960წ.)... მკვლევრები მივიდნენ დასკვნამდე, რომ პალესტინის წარწერების სახით საქმე გვაქვს ქართული დამწერლობის უძველეს ნიმუშებთან, რომლებიც V საუკუნის I ნახევრით თარიღდება. მოვიყვანთ ამ წარწერებს:

1. წმიდაო თეოდორე მარ(ოუ)ან და ბო()რზნ..ენ ამიე...
2. და ძუძეულნი მათნი ბაკურ და გრი ორმიზდ და ნაშობნი მათნი ქ-ე შენ ამენ.
3. შეწვენითა ქ სითა და მეოხებითა წმიდისა თემსითა შ..ნ ანტონი აბაჲ და იოსია და მომსხმელი ამის სეფისაჲ და მამადედაჲ იოსიაჲსი ამენ.

წარწერები დათარიღებულია მასში მოხსენებული ისტორიული პირების მიხედვით, კერძოდ, I წარწერაში მოხსენებუ-

ლია მარუან (მურვან< მურვანოსი,-პეტრე იბერიელის საერო სახელი) და ბურზენ (ბუზმირი,-პეტრე იბერიელის მამა). მეორე წარწერაში იხსენება ბაკური (პეტრე იბერიელის დედის მამის სახელი. ს. ყაუხჩიშვილი), მესამეში კი— ანტონი აბაჲ (წინამძღოლი).

ქართული დამწერლობისა და, საერთოდ, კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ბოლნისის სიონის წარწერები. აღნიშნულ ძეგლზე მრავალი წარწერაა. ყურადღებას იქცევს ოთხი უძველესი, რომელნიც V საუკუნის II ნახევრით თარიღდება. აღენიშნავთ, რომ დროთა სვლაში წარწერები დაზიანებულია და მათი თავდაპირველი სახის აღდგენა ყოველთვის ვერ ხერხდება, ამიტომაც არსებობს ერთი და იმავე წარწერის სხვადასხვაგვარი წაკითხვა. ბოლნისის სიონის სააღმშენებლო წარწერის აკაკი შანიძისეული წარწერა ასეთია:

[შეწევნითა წმიდ]ისა სამებისაჲთა ოც წლისა პეროზ მე[ფისა ზე ხიქმნა დაწყებაჲ] ამის ეკლესიისაჲ და ათხუთმეტ წლის[ა შემდგომად განხეშორა. ეი]ნ აქა შინა თავყანის-ხცეს, ღნ შეიწყალენ და ვინა [მის ეკლესიაჲსაჲ დთ ექისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღნ შეიწყალენ (ამენ).

ეს წარწერა აკ. შანიძემ 493-494 წლებით დაათარიღა (არსებობს ამავე წარწერის სხვა წაკითხვებიც).

ქართული მწერლობისა და ქართული ენის ისტორიისათვის უაღრესად საიტერესოა სხვა წარწერებიც, კერძოდ, მცხეთის ჯვრის, უკანგორის, წყისის, იშხნის, დავათის სტელა და მრავალი სხვა. ბუნებრივია, ყველა მათგანზე აქ ვერ შევჩერდებით. დაინტერესებული მკითხველი მათ შესახებ სათანადო მასალებს ადვილად იპოვის. ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ორიოდე ნიმუში იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ხასიათისაა ეს წარწერები.

ბ). ხელნაწერები

ჩვენამდე მოღწეულია 10 000-ზე მეტი ხელნაწერი. V-IX საუკუნეთა ძეგლები მხოლოდ სასულიერო ხასიათისაა, X საუკუნიდან უკვე ჩნდება ფილოსოფიური, საისტორიო, საერო მწერლობის ნიმუშთა შემცველი ხელნაწერები.

ძველი ქართული ხელნაწერების შეგროვება XIX საუკუნეში დაუწყიათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრებს (ე. თაყაიშვილი, დ. კარი-

ჭაშვილი), 1888 წლიდან მათ შეუერთდნენ საეკლესიო მუზეუმის წევრებიც (დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანი, მ. ჯანაშვილი). ისინი იყვნენ ძველი ხელნაწერების არა მხოლოდ უბრალო შემოკრები, არამედ პირველი შემფასებლებიც. 1907 წელს დაარსდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება (1921 წლამდე ხელმძღვანელობდა ექვთ. თაყაიშვილი). აღნიშნული საზოგადოების წევრებმაც თავიანთ ამოცანად დაისახეს ძველი ქართული ხელნაწერების, სიგელ-გუჯრებისა და სხვა საისტორიო დოკუმენტების შეგროვება და სისტემატიზაცია.

1958 წლიდან ყველა ამ საზოგადოების კოლექციებმა თავი მოიყარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც დღემდე ინახება. ამჟამად დასრულებულია ინსტიტუტის ფონდების აღწერა და კატალოგთა გამოცემა.

ძველი ხელნაწერები სამ ჯგუფად იყოფა: ხანმეტი, ჰაემეტი და სანნარევი. დაყოფა პირობითია და ემყარება იმას, თუ რომელი პრეფიქსი გამოხატავს ზმნაში მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტურ პირს.

ხანმეტი ეწოდება ისეთ ხელნაწერებს, რომლებშიც სუბიექტურ მეორე (ხ-კლავ) და ობიექტურ მესამე (ხ-ერთვის) პირს აღნიშნავს ხ-პრეფიქსი. იგივე პრეფიქსი გვხვდება უფროსობითი ხარისხის ფორმებში (ხ-უმჯობესი) და ი-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში (ხ-იმალები).

ჰაემეტი ეწოდება ისეთ ტექსტებს, რომლებშიც ზემოაღნიშნული ფუნქციით იხმარება პრეფიქსი პ-.

სანნარევს უწოდებენ წერილობით ძეგლებს, რომლებშიც სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირების მაწარმოებლად დ, თ, ტ, ძ, წ, ც, ჯ, ჩ, ჭ- თახმონების წინ იხმარება ს-.

V-VIII საუკუნეთა ძეგლები ხანმეტია. ჰაემეტობის უძველესი ნიმუშია წყისის ეკლესიის 616-619 წლების წარწერა. ა. შანიძის მიერ გაშიფრული ჰაემეტი ხელნაწერი VIII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება, თუმცა იგი უფრო სანნარევი ძეგლია, ვიდრე ჰაემეტობის ტიპური ნიმუში, რადგანაც მასში დასტურდება 62 შემთხვევა, როცა მოსალოდნელია პ-, მაგრამ არ იხმარება, ან დაუწერიათ პს-კომპლექსი: მი-ჰს-ცემდა, მი-ჰს-ცემს, და-ჰს-ცხრა. პს კომპლექსის ძეგლში გამოყენება მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ ცოცხალ მეტყველებაში უკვე

დაწვებულია ჰაემეტობის მოშლის პროცესი, რომ სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის აღმნიშვნელ პრეფიქსად უკვე იხმარება ს-

დღემდე მოღწეულია შემდეგი ხანმეტი ტექსტები:

ბოლნისის სიონის სამი წარწერა (V ს.);

უკანგორის ორი წარწერა (VI ს.);

მცხეთის ჯვრის წარწერა დემეტრე უპატოსისა (VI ს.);

იერემიას წინასწარმეტყველების ოქსფორდული და

კემბრიჯული ნაწვეტები (VI-VII სს);

ივ. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხული ახალი აღთქმის

ფრაგმენტები (VI-VII სს);

ესაიას წინასწარმეტყველების ფრაგმენტები (VI-VII სს);

ხანმეტი ლექციონარი (VIII ს.);

იაკობის პროტოევანგელე (VIII ს.);

ხანმეტი მრავალთავი (VIII ს-ის I ნახევარი);

ჯ. ბერდოლის მიერ გამოცემული ოთხთავის ფრაგ-

მენტები (VIII ს.);

ჯ. ბერდოლის მიერ ამოკითხული ეზრა I წიგნის

ფრაგმენტები (VII ს.).

შედარებით მცირეა ჰაემეტი ტექსტების კორპუსი. ამის მიზეზი შეიძლება რამდენიმე გარემოება იყოს: 1. ჰაემეტი დიალექტი სამწერლობო ენას მაშინ დაედო საფუძვლად, როდესაც საქართველოში არაბები ბატონობდნენ და შეჭირვებულ ქართველობას არ ეცალა მწიგნობრობისათვის; 2. შეიძლება სხვაც იყო ასეთი ტექსტები და დაიღუპა. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ბევრი ძველი ჰაემეტი დედნიდან ჩანს გადაწერილი (მაგალითად, ადიშის ოთხთავი), მაგრამ თავად დედანი ჯერ-ჯერობით არ ჩანს. 3. შეიძლება სადმე ინახება კიდევც ჰაემეტი ტექსტები და ელის თავის აღმოჩენას.

ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისთანავე დღის წესრიგში დაისვა ხანმეტობისა და ჰაემეტობის ურთიერთმიმართების საკითხი.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტს და ამიტომაც სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირების პრეფიქსად ქართულში თავდაპირველად ხ- გეჰონდა, რომელიც შემდეგში

ფონეტიკური ცვლილების შედეგად 3-დ იქცა. ა.შანიძემ თავის მხრივ დაასაბუთა, რომ ხანმეტობა და ჰაემეტობა ქრონოლოგიური და ფონეტიკური პროცესი კი არ არის, არამედ დიალექტური. „...ხანმეტი ტექსტები ერთ დიალექტზეა დაწერილი და ჰაემეტი-მეორეზე“. მოყვანილი ორი მოსაზრება სრულიადაც არ გამორიცხავს ერთმანეთს. ხანმეტობა და ჰაემეტობა სხვადასხვა დიალექტისათვის დამახასიათებელი მოვლენა რომაა, ეს არ უარყოფს იმას, რომ ხ>ჰ ფონეტიკურ ნივთიერებად (დამწერლობამდელი) ქართულის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ჰ ფონემის უქონლობა, რაც ასახულია ხანმეტ ტექსტებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰ ფონემა ჩნდება VII საუკუნიდან ცალკეულ სიტყვებში (ძირითადად შორისდებულებში) და ხ ფონემის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად გარკვეული ტიპის მორფოლოგიურ სტრუქტურებში (სუბიექტ-ობიექტური პირის გამომხატველი მორფემებში), რაც ძველ ქართულ ჰაემეტ ტექსტებში აისახა“.

ხანმეტობისა და ჰაემეტობის ურთიერთმიმართების პრობლემას სხვა მკვლევრებიც შეეხნენ. საკითხი არაა ბოლომდე შესწავლილი და დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენამდე მოღწეულია 10 000-ზე მეტი ხელნაწერი. მათ შორის მნიშვნელოვანია „სინური მრავალთავი“ 864 წლისა (პირველი თარიღიანი ხელნაწერი, გამოიცა 1959 წელს), რომელმაც შემოგვინახა „ქება და დიდება ქართულისა ენისა“-იოანე ზოსიმეს მიერ X საუკუნის ბოლოს გადაწერილი ჰიმნი; „ჰადიშის ოთხთავი“(897წ.)-ჰადიშის ოთხთავს უწოდებენ იმიტომ, რომ ინახება სვანეთში, სოფ. ჰადიშში, სინამდვილეში იგი გადაწერილია შატბერდში. ძველი სხვა ორ შატბერდულ ხელნაწერთან (ჯრუჭის-936 წ. პარხლის-973 წ.) ერთად გამოსცა აკ. შანიძემ: „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“ (1945 წ.). „ადიშის ოთხთავი“ 2003 წელს ცალკე გამოიცა პროფ. ზ. სარჯველადის რედაქციით. ქართული ოთხთავის მნიშვნელოვანი ნუსხაა ოპიზის სახარება, გადაწერილი 913 წელს (ათონის კოლექცია).

ძველი აღთქმის წიგნთაგან მნიშვნელოვანია ოშკის ბიბლია (978 წ.), გადაწერილი იოანე ნათლისმცემლის ლავრაში თორნიკე ერისთავის დაკვეთით. თორნიკე რისთავმა იგი შესწირა ათონის ქართველთა მონასტერს. ძველი გამოსცა ა. შანიძემ: „წიგნნი ძუელისა აღთქმისანი“ (ტ.1, ნაკ. 1. 1947 წ. ნაკ.2. 1948 წ.).

ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლებია ასევე პარხლის მრავალთავი (X-XI ს.), სვანური მრავალთავი (X ს. ამ ხელნაწერმა შემოინახა „აბოს წამება“), ლატალის ლექციონარი (X ს.), მესტიის ოთხთავი (XI ს.), იელის იადგარი (X-XI ს.), მამათა ცხოვრებანი (XI ს.), „მცხეთური ბიბლია“ და მრავალი სხვა.

ძველი ქართული ხელნაწერები საქართველოში, გარდა ხელნაწერთა ინსტიტუტისა, ინახება საქართველოს სახელმწიფო არქივში (700-მდე ხელნაწერი), საქართველოს პარლამენტის (ყოფილ რესპუბლიკურ) ბიბლიოთეკაში-100-მდე ხელნაწერი, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში, მესტიის, გორის, ზუგდიდის, მარტვილის, ბათუმის, თელავის მუზეუმებში. ქართული ხელნაწერები დაცულია ასევე საქართველოს გარეთ, კერძოდ: ერევანში (მატენადარის კოლექცია), სანკტ-პეტერბურგის, პარიზის, რომის, ვენის, გრაცის, გოტინგემის, პალეს, ლაიფციგის, ლონდონის, პარვარდის, ოქსფორდის, ბირმინგემის, სოფიის, კრაკოვის, პრატის... მუზეუმებსა და წიგნსაცავებში. ქართული ხელნაწერები ინახება საზღვარგარეთის ძველ ქართულ სახანეებში-პალესტინაში (პალავრაში, იგივე ძველ ლავრაში) სინას მთაზე, ათონის ივერთა მონასტრის კოლექციაში, პეტრიწონის (ბულგარეთი) ქართველთა მონასტერში და ა.შ.

§ 8. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების საფეხურები

ქართული უძველესი სამწერლობო ენაა. პირველი ქართული წერილობითი ძეგლები V საუკუნით თარიღდება, მაგრამ

ირკვევა, რომ ამ დროისათვის უკვე არსებობს სალიტერატურო ენა.

ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის საკითხი გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მასზე სპეციალისტთა შორის დღემდე არაა აზრთა ერთიანობა. სალიტერატურო ენის განვითარებაში მეცნიერთა ერთი ჯგუფი გამოყოფს სამ პერიოდს: 1. ძველი ქართული სალიტერატურო ენა (V-XI სს.); 2. ახალი ქართული სალიტერატურო ენა (XIX-XXI სს.); 3. XII-XVIII საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენა კი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ძველი ქართულიდან ახალი ქართულისაკენ, მას საშუალო ქართულს უწოდებენ. ამ დაყოფის მოთავე არის აკად. აკაკი შანიძე. იგი შენიშნავს, რომ „აღნიშნული დაყოფა, რა თქმა უნდა, მიახლოებითია. ზედმიწევნითი საზღვრის დადება ძველსა, საშუალოსა და ახალ ქართულს შორის არ შეიძლება“. ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში სამი საფეხურის გამოყოფას ემხრობიან პროფ. ივ. ქავთარაძე, აკად. კ. კეკელიძე, პროფ. ზ. ჭუმბურიძე, გ. დევტერსი და სხვანი.

მკვლევართა მეორე ჯგუფი კი სალიტერატურო ქართულის განვითარებაში ორ პერიოდს გამოყოფს: ძველი ქართული ენა (V-XI სს.) და ახალი ქართული სალიტერატურო ენა (XII-XX). ასეთი დაყოფის მომხრეა აკად. არნ. ჩიქობავა. მისი აზრით, საშუალო ქართულის ცალკე გამოყოფა არაა გამართლებული... „ახალი ქართული სალიტერატურო ენა ისახება მეთორმეტე საუკუნიდან (ნ. მარი, ს. გორგაძე), მესოტბეთა (შაველი, ჩახრუხაძე), შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენა უკვე აღარაა ძველი ქართული“ (არნ. ჩიქობავა).

ძველი ქართული მკვეთრად ჩამოყალიბებული სახის მქონე სალიტერატურო ენაა. გრამატიკულად ამ პერიოდის ქართულს ახასიათებს ხანმეტობა და ჰაემეტობა. მოღწეული ძეგლები ძირითადად სასულიერო ხასიათისაა. XII საუკუნიდან იწყება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ახალი პერიოდი. სალიტერატურო ენა დაუახლოვდა ხალხის სასაუბრო ენას. იგი შედარებით გამარტივდა და უფრო გასაგები გახდა მასებისათვის. ამ პერიოდში იქმნება „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ენის ხალხურობა, მუსიკალურობა და რიტმულობა, სიტყვაქმნადობა და მხატვრულ ფორმათა სიუხვე კარ-

გად გამოავლენს ქართული ენის შესაძლებლობებს. პოემამ უდიდესი გავლენა მოახდინა მომდევნო პერიოდის ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე.

„ვეფხისტყაოსნით“ დაწყებული სალიტერატურო ქართულის სასაუბრო ენასთან დაახლოების ტრადიცია გრძელდება XVI–XVII საუკუნეებშიც, თეიმურაზ პირველისა და არჩილ მეფის, შემდგომ კი სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის (XVIII ს.) შემოქმედებაში. ანტონის სკოლის ბრმა მიმბაძველობით XVIII ს-ის 60-იანი წლებიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე ქართული სალიტერატურო ენა ასცდა ბუნებრივი განვითარების გზას.

ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის პროცესი კიდევ უფრო შორს წავიდა XIX ს-ში, 60-იან წლებში. ერთიანი ქართული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე. „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო ცხოვრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს... ენას კანონსა თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა... ხალხია ენის კანონის დამდები...“ ბრძანებდა დიდი ილია.

სალიტერატურო ქართულის პრობლემებზე XIX ს-ის სამოციან წლებში გაიმართა ცხარე პაექრობა, რომელიც ისტორიაში „მამათა და შვილთა ბრძოლის“ სახელითაა ცნობილი. ილია მეთაურობდა „შვილთა“ ბანაკს. მის გვერდით იდგნენ ახალი თაობის სხვა წარმომადგენლები: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი... „ქართული ენა ინახება ხალხში, იქ არის ენის საღარო“-წერდა აკ. წერეთელი.

„მამათა“ ბანაკს ძველი თაობის ბევრი მესვეური უჭერდა მხარს. კამათში მონაწილეობდნენ: ბარბარე ჯორჯაძე, ვახტანგ ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი და სხვანი. „ბრძოლა“ „შვილთა“ გამარჯვებით დამთავრდა. ქართული სალიტერატურო ენა დაუბრუნდა განვითარების ბუნებრივ გზას-გადრმავდა სასაუბრო ენასთან დაახლოების პროცესი. ამავვე პერიოდში დასრულდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება.

§9. ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები

ერთიანი ეროვნული ენა იყოფა ტერიტორიულ დიალექტებად, რომელთაგან ერთ-ერთი (ან რამდენიმე ერთდროულად) საფუძვლად ედება სალიტერატურო ენას. სალიტერატურო ენა ემორჩილება გარკვეულ ნორმებს, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე ყალიბდება.

ლიტერატურული ენა კონსერვატიულია თავის განვითარებაში, დიალექტები – შედარებით თავისუფალი.

სალიტერატურო ენის განვითარებასა და მისი სიწმინდის დაცვას თვალყურს ადევნებს სახელმწიფო. ნორმათა შემუშავებაში მონაწილეობს ხელისუფლების მიერ უფლებამოსილი სუბიექტი, ან რომელიმე ორგანო. საქართველოში ეს საქმე მინდობილი აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, რომელიც შემუშავებულ ნორმათა პროექტებს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ „სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიას“. ქართული ენის სიწმინდისა და კონსტიტუციური უფლების დასაცავად ასევე შექმნილია ენის სახელმწიფო პალატა.

ამდენად, ლიტერატურული ენა რამდენადმე ხელოვნურია, დამუშავებული, ნორმირებული. მისი სიწმინდის დაცვას აკონტროლებს სახელმწიფო, რომ მასში არ შეიჭრას მიუღებელი ლექსიკური ერთეულები და უმართებულო გრამატიკული ფორმები.

როგორც აღვნიშნეთ, სალიტერატურო ენას თავდაპირველად რომელიმე კილო ედება საფუძვლად. უფრო მეტად ის კილო (ან კილოები), რომელიც ქვეყანაში პოლიტიკურად, კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებული კუთხის მეტყველებს. ქართული სალიტერატურო ენისათვის ასეთი ქართლური აღმოჩნდა, შემდეგ კი მის განვითარებაში სხვა დიალექტებმაც მიიღეს მონაწილეობა.

სალიტერატურო ენაზე იქმნება მხატვრული ნაწარმოებები, სამეცნიერო, ტექნიკური, პოლიტიკური, პუბლიცისტური ლიტერატურა. ლიტერატურულ ენაზე მიმდინარეობს სწავლევ-

ბა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, საქმის წარმოება— სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, დიალექტი კი მხოლოდ მცირე ენობრივი კოლექტივის სასაუბრო ენაა.

სადღეისოდ გამოიყოფა ქართული ენის შემდეგი დიალექტები (ქვესისტემები): ხევსურული, თუშური, მოხეური, მთიული, ფშაური, ქართლური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, მესხური, ჯავახური, იმერული, რაჭული, ლენხუმური, გურული, აჭარული, შავშური, კლარჯული, ტაოური. ისტორიულად ქართული ენის დიალექტური შედგენილობა შეიძლება განსხვავებული იყო. აღვნიშნავთ, რომ ქართულ დიალექტთაგან რამდენიმე დღეისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთაა და მოქცეულია უცხო ენათა გარემოცვაში, კერძოდ: ინგილოური-აზერბაიჯანში; ფერეიდნული-ირანში, შავშური (ქვემომაჭახლურის გამოკლებით), კლარჯული (კირნათ-მარადიდის მეტყველების გამოკლებით) და ტაოური თურქეთის რესპუბლიკაშია. რაც დრო გადის, აღნიშნული დიალექტები უფრო მეტად განიცდიან უცხო ენობრივი სისტემის გავლენას. ჩვენს თვალწინ კედება მაგალითად, ტაოური დიალექტი. ოდესღაც ვრცელ ტერიტორიაზე (ამიერ და იმიერტაოში) განფენილი დიალექტისგან „ნამსხვრევებიდა“ შემორჩა ერთი ხეობის რამდენიმე სოფელი.

კილოები იყოფა კილოკავებად (დიალექტზე, კილოზე უფრო მცირე ერთეული) და თქმებად. მაგ.: აჭარულში გამოეყოფთ ზემოაჭარულ, ქვემოაჭარულ და ქობულეთურ კილოკავებს; შავშურში-მაჭახლურსა და იმერხეულს... კახურში—გურჯაანულ თქმას...

დიალექტებს შორის სხვაობის დასადასტურებლად მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს.

მესხური: კვირა არი, გალაგებული არიან ეკლესიაში. მივიდა პატარა გოგომ, დაგვა სახლი... მოვიდა ხელმწიფე... ხალაელებ უთხრა: ჰაზირიარო? მოდი ერთი მოუროვინე კოვზი და ეჭამოთო”(შ.ძიძიგური).

მთიულური: მოიდა ეგეთი ხორხოშაჲ, ეგეთი ხორხოშაჲ, რო უჭუჭუ. ცეტმა ფარჩა შამიხვივა ტანზე და იჭკვიანმა ვერაფერი ვერა შამიხვივა რა და ეუბნევა ამასა, რო:- მაიტა, ერთი თითზე გადახვევა ტყლაპი (=ნაჭერი) მაინც მამეცი, რო თავზე დავიფაროო...(ქლ.).

თუშური: ზამთარ ყოფილიყუ, წელწდობად. დამ სო-
ფელ ჳარში ყოფილიყუ. ერთ დიაცუ გარეთ გამოსუ-
ლიყუ, ხალხისად ეთქე შინ შესრულს: ემანდაე ფეხის
ჭრიალ მოდისაე თოვლზედაე... (ქ.დ.).

ინგილოური: დილლაზე კიდემ მენაღრიები დოტქკრონ.
იმ ზროხასაც დაჰკლონ, ჩაჰბაკანსაც ქალის სახში
წაფონენ. მემრე დაბრუნდებიან, ბიჭისა მოვლენ. ბიჭის
სახში საღმომდინ უკრონ, შიპრობენ, ჭამენ, ლევენ...
(ქ.დ.).

ფერეიდნული: ერთი ციცვა მივიდა შირთან. შირმა
უთხრა, რო: ციცავ, რას ეგრე დაჩაგრულხარო და და-
ბაღტაკებულხარო? უთხრა: რა ვიცი, ყენი იყოს სა-
ღამათადლო, რა გითხრაო, რო აგეთი ადამიზადის
ხელნიგა მივსუღვარო, რო ხოშ ესეცლა ვარო... (ქ.დ.).

შაგოური: ორ საათ იქით გამეფიშმანა: „ამ კაცმა ჩვენ
გამიგვარვილა. თუ იტყოდეს მის სოფელში, მანუქვა
ქოროლლიმ ე ცხენი; თუ თქვა, რომ- დალატობით ვქე-
ნი მუ ე საქმე, ჩვენ მაშინ დაერჩით შერცხვენილი. მო-
მიყკანეთ ჩემი ცხენი, სილაჰი გამუეკიდო ამ კაც
მე“ (ქ.დ.).

კლ არჯული: აწალას გაეკეთავთ, ავასხამთ ხეზე ჩა-
ლა. ს. პატიტუანი კონებია დაკეთებული. სიმინდი რომე
დაჰრილია ბევრი, იმას ზენი ქეია. ჩანჩი გავარჩევთ,
კოტოში გაღ გაეკეთავთ, ჩამოეკიდავთ. ჩანჩითა
ნარცხი გაეკეთავთ, ისეც დუჰყრით საქონელსა...
(„ი. ფუტკარაძე).

ტალოური: ძველათ ერმენები აქ ყოფილან. ერთი ფა-
ფკაზი ყოლიათ. ძველათ აქა არ უთოვლებია. ერთხელ
თის წვერზე ცოტა გათოვლებულა. იმ ფაფაზ კაცებ
ქუჰუგზანია, ერთი შეხედეთ, ის რა არიო, ფორი. ცოტა
ქასულდან, ბიჭებ კი თოვლი, ცივი. ხელში უწვენინან,
ხელებ უტკივნებიან, გამქრალა, გამდნარა. ჰოდა,
უთქვიან იმ ფაფაზისთუნ ასე: გაველით, ხელში ვწევთ,
აელსა გვატკივნებს, მოგვაქვს-იკარქვის. იმას უთქვია
კი: აქ აღარ იცხოვნებო, ადექით, წველეთო (მ. ფაღავე
და სხვანი).

არნ. ჩიქობავას შენიშვნით, „ენის ნაძღვილი და ბუნებრივი სიცოცხლე მოცემულია მის დიალექტებში“.

§10. სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები

სალიტერატურო ენა მკვეთრად ჩამოყალიბებულ ნორმებს ეყრდნობა, თუმცა მათგან გადახვევებიც არაა მისთვის უცხო, რაც ხშირად ცოცხალი მეტყველების გავლენით აიხსნება. ახალი ქართული სალიტერატურო ენა ძველი და სასაშუალო ქართული სამწერლობო ენის უშუალო გაგრძელებაა. XVIII საუკუნეში ფაქტიურად დასრულდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი, რაც კარგად ჩანს სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის შემკვიდრებიდან. მაგრამ XVIII ს.-ის 60-იანი წლებიდან, ანტონის მიმდევართა გავლენით, ერთგვარად შეფერხდა სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების გზას. XIX ს.-ის 60-იანი წლებიდან „თერგდალეულთა“ მოღვაწეობით კი იგი დაუბრუნდა ბუნებრივ განვითარებას. ამავე პერიოდიდან დღის წესრიგში დადგა სალიტერატურო ენის ნორმათა მოწესრიგების საკითხი. ჩვენს ენაში გატარდა სერიოზული გრამატიკულ-ორთოგრაფიული რეფორმა. ხმარებიდან ამოიღეს ძველი, ახალი ქართულისათვის უკვე ზედმეტი, ასო-ნიშნები (ა, ბ, კ, ჯ, შ, ჭ), სადავო და პარალელურ ფორმათა შესახებ პრესაში გამოქვეყნდა წერილები. პროცესს ხელი შეუწყო პროზის აღორძინებამ, პუბლიცისტიკისა და ჟურნალისტიკის ჩამოყალიბებამ, სალიტერატურო ენის დაახლოებამ ცოცხალ მეტყველებასთან... XIX ს.-ის ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისში ასეთმა პროცესებმა უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო. 1921 წელს გამოვიდა წიგნაკი „სალიტერატურო ქართულისათვის“-I, პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაგვარებლად, რომელიც შეადგინა კომისიამ გ. ახვლედიანის, ვუკ. ბერიძის, ს. გორგაძის, კ. კეკელიძის, აკ. შანიძის (თავმჯდომარე) შემადგენლობით.

1925 წელს დაარსდა სატერმინოლოგიო კომისია, რომელიც მეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინების შემუშავებასთან ერთად სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა მოგვარებითაც იყო დაკავებული. ამ საქმიანობის შედეგები გამოქვეყნდა ცალკე ნაკვეთებად 1932- 1933 წწ. მოგვიანებით განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა სადავო საკითხების მოწესრიგების ძირითადი პრინციპები და დაადგინა სალიტერატურო ენის ზოგიერთი ნორმა. 1936 წელს დაიბეჭდა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ კრებული. ამ ნორმათა საფუძველზე დამუშავდა „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (I გამოცემა 1941წ. II-1946წ. III-1949წ.).

ქართული სალიტერატურო ენის უნიფიკაციისათვის მუშაობა არც მომდევნო პერიოდში შეწყვეტილა. 1946-48 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეზიდენტთან შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია. სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის მუშაობას უფრო სისტემატური და გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მწერლები, ლიტერატურისა და პრესის მუშაკები, მეცნიერები, ქართული ენის სპეციალისტები.

კომისიის დანიშნულება ჩამოყალიბდა ასე: „გაეწიოს ხელმძღვანელობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს იმ მხრივ, რომ ქართული სალიტერატურო ენა სრულად იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ საგანძურს, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ჭეშმარიტად ხალხური და ჯეროვნად მოემსახუროს ქართველ ხალხს, როგორც სოციალისტური კულტურის წინსვლის იარაღი.“ ვფიქრობთ, მოყვანილი ამონარიდი ენაზე სახელწიფოებრივი ზრუნვის კარგი გამოხატულებაა.

1963 წლიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომელსაც დაევალა შეიწავლოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში წარმოშობილი სადავო საკითხები

და შეიმუშავოს ნორმათა პროექტები სახელმწიფო კომისიაზე სამსჯელოდ და დასამტკიცებლად.

სახელმწიფო კომისიის მიერ დადგენილი ნორმები შემდგომში უკვე სავალდებულოდ ითვლებოდა.

1970 წელს (II გამოცემა 1986წ.) გამოიცა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ I კრებული, რომელშიც წარმოდგენილია 40 სტატია. თითოეულ სტატიაში მოცემულია საკითხის წარმოშობისა და განვითარების მიმოხილვა, ენათმეცნიერული ანალიზი და მიღებული ნორმების სათანადო დასაბუთება.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პრინციპებს საფუძვლად დაედო არნ. ჩიქობავას მოხსენება.

ნორმათა დადგენა, უპირველეს ყოვლისა, ემყარება ობიექტური ანალიზის პრინციპებს. უნდა გაანალიზდეს ენობრივი ფაქტის ისტორია, გაირკვეს, რამდენად ეგუება ეს მოვლენა ენის განვითარების ტენდენციებს, რამდენად არის გამართლებული თანამედროვე ქართული ენის გრამატიკული სისტემის მიხედვით და რამდენად გავრცელებული და დამკვიდრებულია იგი ენაში. ამასთან, ყურადღება ექცევა იმასაც, თუ როგორია მისი გამოყენების სიხშირე კლასიკოსთა ენაში, არის თუ არა სხვაზე უფრო მარტივი წარმოების პრინციპის მიხედვით და რამდენად ნათელია მნიშვნელობის მხრივ.

თანამედროვე ქართული ენის ნორმათა მოწესრიგება გულისხმობს ფონეტიკურ-მორფოლოგიური, ორთოგრაფიული და სინტაქსური სადავო საკითხების გადაჭრას.

ორთოგრაფიის საკითხებად მიიჩნევა სადავო ფორმათა გარკვევა-დაზუსტება და სწორი ფორმების დადგენა. მაგ.: ერთგული თუ ერდგული; საშუალება თუ საშვალება; მრგვალი თუ მგვალი; ხმალამოწვდილი თუ ხმალ ამოწდილი...

ფონეტიკური ნორმების დასადგენად საჭიროა დაზუსტდეს ასეთ მოვლენათა მართლწერის საკითხები: გაუკეთა, გოუკეთა თუ გუუკეთა; შეეშინა თუ შეეშინა; ზრუგი, ძრუგი თუ ზურგი; ტკბილი, ტკპილი თუ ტკიბილი; ხუთშაბათი თუ ხუთშაფათი...

მორფოლოგიური ნორმები მოიცავს სახელთა ბრუნებასა და რიცხვის წარმოებაში დაშვებულ უზუსტობათა, ასევე ზმნის უღვლილებასა და ფორმაწარმოებაში ლიტერატურული

ნორმიდან გადახვევების აღნუსხვასა და სწორი ფორმების რეკომენდირებას. მაგ.: ნისლი თუ ნისლები; გრეხს თუ გრიხავს; რამეს თუ რასმეს; გაუტეხია თუ გაუტეხნია; სხედან თუ ზიან; გდია თუ ყრია.

სინტაქსის საკითხები სიტყვათა შეხამება- შეკავშირებას ეხება, სახელდობრ: სახლები შენდება თუ სახლები შენდებიან, ხეები დგანან თუ ხეები დგას, მოქალაქეები დაიტერესებულნი არიან თუ მოქალაქეები დაიტერესებულია და მისთ.

სალიტერატურო ენის ნორმათა საკითხების მოსაწესრიგებლად ენობრივ ერთეულთა შერჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვათა მნიშვნელობასა და კეთილხმოვანებას, მაგ.: ცხენს მიაქროლებს თუ ცხენს მიაჭენებს, შეურაცყოფა მიაყენა თუ გაუკეთა, გამარჯვებას მიაღწია თუ გამარჯვება იწვნია... ზოგჯერ ესეც არაა საკმარისი და საჭირო ხდება ენათმეცნიერული ანალიზი (ამ დროს ითვალისწინებენ, რომ ენა ცვალებადია დროში. იგი ვითარდება მისი კოლექტივის გავითარებასთან ერთად). ფორმების დადგენისას ასევე მნიშვნელოვანია ისტორიზმის პრინციპის დაცვა და ა.შ. მაგალითად: ძველი ქართული ენის ბგერით სისტემაში დისტინქტური ფუნქციით იხმარებოდა ხ და ჯ ფონემები (ხერხიკერკი, ხელი-კელი...). შემდგომ ენაში მოხდა კ'ს საარტიკულაციო ბაზისის გადაწევა, რის შედეგადაც კ'ს არტიკულაცია დაემთხვა ხ-ს არტიკულაციას. ამგვარად მივიღეთ ომონიმები: ხერხი (იღეთი) და ხერხი (სადურგლო იარაღი), ხელი (კიდური) და ხელი (გიჟი)...

ენაში გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომლებიც კანონზომიერია ქართული ენის სისტემისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არალიტერატურულად მიიჩნევა, მაგ.: კაცი იგი, ყმა იგი ახლა ასეთი ფორმები დიალექტიზმად ითვლება, ძველ ქართულში კი ნორმა იყო.

თუ სალიტერატურო ენაში ორი ან მეტი მოციფე ფორმა არსებობს, საკითხი უნდა გადაწყდეს იმის სასარგებლოდ, რომელიც ა). უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში, ბ). ეგუება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციებს, გ). გამართლებულია დღევანდელი გრამატიკული ნორმით, ე. ი. გრამატიკულად კანონიერია და არ არღვევს ამ სისტემას, დ). სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინ-

ციკლების მიხედვით უფრო მარტივია და ე). მნიშვნელობის მხრივ უფრო ნათელია. იმ შემთხვევაში კი. როცა კრთმანეთის მოცილედ გამოდის ორზე მეტი პარალელური ფორმა, რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკულად და კლასიკოსთა ენაში გაერცვლებულობის მიხედვითაც და არც ერთს არა აქვს უპირატესობა მოხმარების თვალსაზრისით, დასაშვებია ისინი დარჩნენ პარალელურად.

ორთოგრაფიული საკითხების მოწესრიგებისას სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა. ასეთ დროს მოცილვე ფორმათაგან უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც ა).. უფრო გაერცვლებულია სალიტერატურო ქართულში, ბ). გამართლებულია ეტიმოლოგიურად (სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის თვალსაზრისით) და მორფოლოგიურად, გ). მისაღებია ქართული ენის ბინებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით.

სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისას ერთადერთი სწორი გზაა მოვლენის ობიექტური ანალიზი, რომელიც ეწყობა მდიდარ საილუსტრაციო მასალას და მკაცრ მეცნიერულ განსჯას.

§11. მეტყველების კულტურა როგორც სულიერი კულტურის შემადგენელი ნაწილი

მეტყველების კულტურა სულიერი კულტურის ნაწილია. იგი ადამიანის ინტელექტის, განათლების ერთ-ერთი ნიშანია. მეტყველების მაღალი კულტურის დაუფლება შესაძლებელია სალიტერატურო ენის ნორმების შემოქმედებითი ათვისებით. გადმოსაცემი შინაარსის გამოსახატავად შერჩეული ენობრივი საშუალებები ზუსტად, ნათლად უნდა გამოხატავდეს სათქმელს. მაგ: „ჩვენმა გუნდმა პირველი გამარჯვება იწვნია“. აქ „იწვნია“ შეუსაბამოა, იგი არ ეგუება „გამარჯვებას“, თუმცა ქართული ენის გრამატიკული კანონების მიხედვით უნაკლოა, არაა დარღვეული არც მორფოლოგიური და არც სინტაქსური წესები, მაგრამ სრულიად მიუღებელია შინაარსობრივად სიტყვათა შეხამების მხრივ. „გამარჯვება“ შეიძლე-

ბა „მოვიპოვოთ“, გამარჯვებას შეიძლება „მივადწიოთ“, და არა „ვიწვინოთ“. ამიტომაც წინადადება ასე უნდა ჩამოვყალიბოთ: “ჩვენმა გუნდმა პირველი გამარჯვება მოიპოვა”. „იწვინა“ „იგემასაც“ გულისხმობს, ოღონდ უარყოფით განცდებთანაა დაკავშირებული. ზემომოყვანილ წინადადებაში „დამარცხებაზე“ რომ ყოფილიყო ლაპარაკი, მაშინ შერჩეული ენობრივი საშუალებები მთლიანად იქნებოდა სათქმელის ადეკვატური: “ჩვენმა გუნდმა პირველი დამარცხება იწვინა.”

მეტყველების კულტურისათვის არსებითია აზრის სიზუსტე, სიცხადე, ლოგიკურობა და ემოციურობა. აზრი შეიძლება ზუსტი იყოს, მაგრამ არ იყოს ცხადი. სიზუსტე და სიცხადე კულტურული მეტყველების ერთ-ერთი ნიშნებია.

სიტყვა აზრის გამოხატვის საშუალება, აზრის უშუალო სინამდვილეა. აზროვნება და მეტყველება, მათი ურთიერთმართება ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ლოგიკის, ლინგვისტიკის... კვლევის ობიექტია. აღიარებულია, რომ ადამიანის აზროვნების დონე განსაზღვრავს მეტყველების დონეს. მაშასადამე, ენა და აზროვნება დიალექტიკურ ურთიერთობაში განიხილება, ერთი მეორისაგან გამომდინარეობს, ერთი განსაზღვრავს მეორეს.

აზრის სისწორეს განასხვავებენ აზრის ჭეშმარიტებისაგან. აზროვნებას შეისწავლის ლიგიკაც. შეიძლება აზრი ლოგიკური იყოს, ე. ი. აზრთა თანმიმდევრობა და მისგან გამომდინარე დასკვნები სწორი იყოს, მაგრამ არ იყოს ჭეშმარიტი. მაგალითად, ორი აზრიდან: ა) ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია, ბ) რკინა ლითონია, — გამოდის მესამე აზრი-„რკინა ელექტრობის გამტარია“.

ახლა განვიხილოთ ასეთი ნიმუში. აზრი შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ არ წარმოადგენდეს ჭეშმარიტებას: ა) ლითონი სითხეა; ბ) რკინა ლითონია, აქედან მე-3 აზრი: რკინა სითხეა. ეს უკანასკნელი არ არის ჭეშმარიტი, მაგრამ ის სწორია, რადგან მოცემული (I-II) აზრებიდან მომდინარეობს (კ. ბაქრაძე).

მაშასადამე, აზროვნების სისწორისათვის საჭიროა აზრების ერთმეორისაგან გამომდინარეობა, რომ მსჯელობა სწორად გამოხატავდეს აზრს. მეტყველების ლოგიკურობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მწყობრ, თანმიმდევრულ მი-

ზეზ-შედგობრივ აზროვნებას. ასეთი აზროვნებისა და მეტყველებისათვის საჭიროა ადამიანს განვითარებული ჰქონდეს საგანთა და მოვლენათა ანალიზისა და სინთეზის უნარი.

სინთეზი გულისხმობს კერძო, კონკრეტულ მოვლენებზე დაკვირვებით ზოგადი განსაზღვრების მიღებას, ანალიზი კი - ზოგადი დებულებებიდან კერძო დასკვნების მიღებას. ყოველი ადამიანის აზროვნებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სინამდვილის შემეცნების ეს ორი მექანიზმი, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება მოვლენათა განზოგადება.

ინტელექტუალური მეტყველება ამასთანავე უნდა ოყოს ემოციურიც (ეს უკანასკნელი უპირისპირდება ლოგიკურ მეტყველებას). ეს ისეთი მეტყველებაა, რომელშიც შეტანილია განსაკუთრებული ექსპრესია (თვალსაჩინო ხატი, გამომსახველობითი საშუალებების სიმდიდრე...) ემოციური შეფერილობა შეიძლება მიიღოს ენობრივი გამოხატვის ყველა სახემ, განსაკუთრებით კი მხატვრულმა მეტყველებამ. ემოციურ მეტყველებას უმთავრესად ქმნის მოვლენათა დაპირისპირების ენობრივი საშუალებანი: ანტონიმები (კეთილი-ბოროტი, ბრძენი-უგუნური, ძლიერი-სუსტი, ჭკვიანი-უჭკუო...), საგნის მოქმედებათა და ნიშან-თვისებათა, მათი მსგავსების გამომხატველი სიტყვები (ხეტიალი-სიარული, ხვეწნა-მუდარა, სიბნელე-წყვდიადი, უთვალავი-აუარებელი, სწრაფად-დაუყოვნებლივ, მამაცი-ვაჟაკი...), მოვლენათა ინტენსივობის გასაძლიერებლად გამოყენებული ენობრივი საშუალებები (იძარცვება, სუსტდება, პატარავდება, მცირდება, ქრება... საქართველო), ობიექტისადმი გარკვეული (უარყოფითი ან დადებითი) დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი ერთეულები (მამლაცინწა, კაპარჩხანა, ბროზ, წაშავდა, ჩახეთქა, ჭირი წაიღო, ფეხები გაფშეკა, წაეთრია... მობრძანდა, შემოანათა, შემობრწყინდა, დამშვენდა, გაიბადრა, ტანაშოლტილი, ტანწერწეტა, დამშვენებული...)...

ემოციურ შეფერილობას იძლევა ასევე გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა-გამოთქმები, ტროპები, საზეიმო, ირონიული, იუმორისტული, სატირული და სხვა მოდალობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები. ემოციური შეფერილობის ერთეულებს აკუთვნებენ აგრეთვე შორისდებულებს,

ხმაბაძვით ბგერათკომპლექსებს, ანდაზა-აფორიზმებს, გამოცანებს, იდიომებს...

ემოციური (ექსპრესიული, სახოვანი) შინაარსი სიტყვაში შეიძლება იყოს მუდმივი, ე. ი. კონტექსტისაგან დამოუკიდებელი (ქედმაღალი, ამპარტავანი, ქლესა, მლიქვნელი, ლაქლაქა, ყბედი, ლაქია, პრანჭია და სხვა) და კონტექსტუალური (შოლტის „რაინდი“, თითიდან გამოწოვილი, სკამის მეგობარი, კალმის ყაჩაღები და სხვა).

§12. ზეპირი და წერიტი მეტყველება

ადამიანთა უშუალო ურთიერთობის ფორმას წარმოადგენს ზეპირი მეტყველება. წერიტი მეტყველება შუალობითია, უფრო სწორად, დიალოგია დაუსწრებელ თანამოსაუბრესთან.

ზეპირი მეტყველება განსხვავდება წერიტი მეტყველებიდან რიგი ნიშნებით, კერძოდ: ზეპირმეტყველებას ახასიათებს ბგერადობა (ხმა), ურთიერთობის არაენობრივი ელემენტები-აქცენტუაცია, ტემბრი, ტემპი, პაუზა, მახვილი, ვესტი, მიმიკა, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს აზრის გამოხატვისას.

აქცენტი ნიშნავს ხმის აწევას სიტყვაში რომელიმე მარცვალზე, აქცენტუაცია-კი ამა თუ იმ ენაში დამკვიდრებულ მახვილთა სისტემას გულისხმობს. შესაფერისი აქცენტით მეტყველება ნიშნავს ამა თუ იმ ენის ცალკეულ სიტყვათა მახვილიან და უმახვილო მარცვალთა სწორად აღქმას და წარმოთქმას.

ქართულისათვის დადგენილია, რომ ერთმარცვლიან სიტყვებს მახვილი არა აქვთ. ორ და სამმარცვლიან სიტყვებში კი ხმის აწევა ხდება შესაბამისად ბოლოდან მე-2 (კა'ცი, ცი'ვი ქა'ლი) და მე-3 (კა'რადა, სა'ათი...) მარცვალზე. ოთხმარცვლიან სიტყვაში, მართალია, მახვილი ბოლოდან მე-3 ხმოვანზე მოდის, მაგრამ საყრდენად მაინც ბოლოდან მე-4 ხმოვანი აქვს: განთი'ადი, კმაყო'ფილი... ხუთ და ექვსმარცვლიან სიტყვებში ექპერიმენტული გამოკველევებით მთავარ მახვილთან დასტურდება ე.წ. თანამახვილი. აქ ბოლოდან მე-3

და შემდეგი ხმოვნები თანამახვილიანია: თანავარსკვლა'ვედი, მატარებელი...

საერთოდ მიუთითებენ, რომ მრავალმარცვლიან სიტყვებში მოუბრის ტონი ორგვარია: აღმავალი და დამავალი. მაგ.: მას-წაე-ღებ-ელი. თავიდან I და II მარცვალში ტონი აღმავალია, მესამე მარცვალი წარმოითქმის პირველი მარცვლის სიმად-ღეზე, მეოთხე მარცვალზე თანდათან დაბლდება, მეხუთეზე კი უკვე ხმის სიძლიერე აღარ ჩანს..

მეტყველების ტემპი არის ენობრივ ელემენტთა წარმოთქმის სინქარის ხარისხი. ყოველ ენას ახასიათებს მეტყველების ტემპის არაფიქსირებული ნორმები. ლიტერატურული ენა საერთოდ უფრო ნელი ტემპით გამოირჩევა, ვიდრე სასა-უბრო ენა.

ზეპირი მეტყველების ტემპი შეიძლება იყოს აჩქარებული, შენელებული და საშუალო. თითოეული მათგანი გამომდინარეობს გადმოსაცემი შინაარსის ბუნებიდან. თუ გადმოსაცე-მია ამადლევებელი ამბავი, მაშინ მეტყველების ტემპი ჩქარია, როცა სათქმელი არაა ამადლევებელი, მაშინ შენელებული ტემპი გამოიყენება, ხოლო ნეიტრალური ამბავი მოუბრისაგან საშუალო ტემპს მოითხოვს.

პაუზა-ესაა შესვენებები მეტყველების პროცესში. წერისას იგი სათანადო ნიშნებით გამოიხატება. მოუბრის ძლიერი განცდების დროს პაუზები უფრო ხშირია. მშვიდი საუბრის დროს კი პაუზა წინადადების შინაარსზე (სტრუქტურაზეც) არის დამოკიდებული. ზოგჯერ პაუზა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს გადმოსაცემი აზრის მსმენელამდე მიტანასა და გააზრებაში. გამომეტყველებითი იერის შექმნის თვალსაზრისით პაუზა შეიძლება იყოს სამი სახისა: ლოგიკური, მხატვრული, ანუ ექსპრესიული და გრამატიკული.

ლოგიკურია პაუზა, რომელიც გამოიყენება სათქმელის მთავარი აზრის მკაფიოდ წარმოსაჩენად, მაგ.: „ქართველი ხალხის ხსნა / ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შექმნა-შია და არა / განცალკევებაში“. პირველი ლოგიკური პაუზა მოდის ხსნასთან, მეორე კი არას შემდეგ.

მხატვრულია პაუზა, როცა ხატონად, ექსპრესიულად გადმოიცემა მოუბარი პირის სუბიექტური დამოკიდებულება გადმოსაცემი შინაარსისადმი. მხატვრული პაუზა უფრო მე-

ტად მაშინ გამოიყენება, როცა მსმენელში გარკვეული მოლოდინის განწყობილება გვსურს შეექმნათ. მაგალითად: სოლომონ ლიონიძე ერეკლე მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ამბობს: „ცამან მოსტაცა ქვეყანას / სიმდიდრე, ბრძენთა /-გონიერება, ერთა /-გვირგვინი, მხედართმთავართ /-სარდლობა და თვითმპყრობელთა /-სახელმწიფო ზრდილობა.“

გრამატიკული პაუზა სათანადო სასვენი ნიშნებით გადმოიცემა. აქ, ჩვეულებრივ, გასათვალისწინებელია ის მომენტი, როცა პაუზა და სასვენი ნიშანი ერთხვევა ერთმანეთს, მაგ: „ალაზნის ველი ბრწყინვალე, ოქროს მზის ამოსახედი... ვაზდაბურული სამშობლო, ჩემი უკედავი კახეთი“ (გ. ლიონიძე).

მეტყველების ტემპი არის ადამიანის ხმის შეფერილობა, იერი, რითაც ერთი ადამიანის ხმა განსხვავდება მეორის ხმისგან.

მელოდიკა არის მეტყველების პროცესში ხმის ტონის მონაცვლეობა. აწეული თუ დაწეული ტონი იმის მიხედვით გამოიყენება, თუ რა ხასიათის მეტყველებასთან გვაქვს საქმე. ერთნაირი, გაბმული, მონოტონური მეტყველება ადუნებს მსმენელს, ართულებს შინაარსის აღქმა-გაცნობიერებას. ასეთი მეტყველება მოსაწყენი, უინტერესოა მსმენელთათვის. მიტომაც ზეპირი მეტყველებისას ხმის აწეუ-დაწევასა და მონაცვლეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ზეპირმეტყველებას მეტ-ნაკლებად ახასიათებს მოუბრის სახის ნაწილების ან ხელის მოძრაობა. სახის ნაწილების მოძრაობას მიმიკას უწოდებენ. ხელის მოძრაობას კი-ჟესტს. ზეპირ სიტყვაში ეს ორივე სათქმელის ფორმობრივი მხარეა. ჟესტი და მიმიკა, მართალია, არაენობრივი საშუალებებია, მაგრამ ბევრ შემთხვევაში განსაზღვრავენ ზეპირი სიტყვის სიძლიერეს, მის ემოციურობასა და ექსპრესიას.

ზეპირმეტყველების ამ ფორმობრივი კომპონენტების შესახებ თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ ცნობილი ორატორები ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში. არისტოტელე შენიშნავდა: “მკაცრი სიტყვები არ წარმოთქვამთ არამკაცრი ხმით, არ მისცეთ სხვის მკაცრი გამომეტყველებათ”. ციკერონი კი მიუთითებდა, რომ მიმიკა ზეპირ სიტყვაში გადმოსაცემი შინაარსის ახსნააო.

ბოლო პერიოდში ჟესტი და მიმიკა სპეციალური შესწავლის ობიექტად იქცა. დამტკიცდა, რომ მიმიკას და ჟესტს ზეპირმეტყველებაში მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ მათ გარკვეული ფუნქცია აკისრიათ ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გამოსახატავად. სახე ადამიანის სულიერი მოძრაობის უტყუარი სარკეა, რომელზედაც აღიბეჭდება მისი მგრძობიარე კუნთების მოძრაობა. განყენებული აზროვნების დროს, ან პოეტური აღმაფრენის მდგომარეობაში ადამიანის სახეზე შეიმჩნევა ერთგვარი დაჭიმულობა. ამ შემთხვევაში თვალები ზეცისკენაა მიპყრობილი. მწუხარების ან დამცირებული, საწოთირო მდგომარეობის გამოხატვისას მზერა მიპყრობილია ქვემოთ; თუ მოუბარი პირის სულიერი განწყობილება მძიმეა, მაშინ მეტყველება წყვეტილია, მოუბარი ხელებს იფარებს სახეზე, თვალებს არიდებს ირგვლივ მყოფთ... მაგრამ როცა ადამიანი სასიამოვნო განწყობილებას, დიდ სიხარულს გამოხატავს, სახეზე აღებეჭდება ხალისიანი განწყობილება, მოუბრის თვალები გაბრწყინებულია და აღფრთოვანებას გამოხატავს.

ჟესტი, რომელიც ხელების მოძრაობით გამოიხატება, შეიძლება იყოს მიმართებითი, გაკვირვებითი, გამომეტყველებითი და კითხვითი.

მიმართებითი ჟესტის დროს მოუბარი მსმენელის ყურადღებას ამახვილებს ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე, მიმართვის ობიექტზე ერთი ან ორივე ხელით (ხელის წინ გაშვებით, ხელის მტევნის ამობრუნებით, თითების გაშლით...), ამით თითქოს ერთგვარად აზუსტებს თავისი ნათქვამის შინაარსს, მაგ: გალაკტიონის ლექსის “დროშები ჩქარა” ბოლო ტაევის— “გათენდა, შეერთდით, შეჩერდით, შეერთდით, დროშები, დროშები, დროშები ჩქარა”— წარმოთქმას თან ერთვის ხელების (ან მარჯვენა მტევნის) ნახევრად მაღლა აწევა ენერგიული მოძრაობით.

გაკვირვებითი ჟესტის დროს ხელის სანახევროდ აწევით და მტევნის ნახევრად გაშლით მოუბარი თითქოს გაკვირვების კითხავს სვამს. მაგ: „რად გინდოდა სახელმწიფო ტახტი, თუკი დასამიწებელს საფლავს იშენებდი?“

გაკვირვებით ჟესტს უახლოვდება კითხვითიც, რომელიც კითხვითი წინადადების წარმოთქმისას კეთდება. მასაც ხელე-

ბის ისეთი მოძრაობა ახლავს, როგორც გაკვირვების ჟესტს, იმ განსხვავებით, რომ იგი კითხვითს შინაარსს გამოხატავს.

გამომეტყველებითი ჟესტის შემთხვევაში გარკვეული ექსპრესიულობითა და ემოციურობით დატვირთულ სიტყვებს ახლავს ხელის შესაბამისი მოძრაობა. ჩვეულებრივ, ასეთი ჟესტი კეთდება ფსიქოლოგიური პაუზის წინ, კითხვითსიტყვიან მიმართებებთან გარკვეულ მოვლენებზე ყურადღების გამახვილების მიზნით, ან როცა სურთ უფრო მძაფრად წარმოაჩინონ რომელიმე ობიექტი და ა. შ. მაგ.: „განკრთი, განკვირდი, სტიროდე, ცაო, რომ შენის...მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა...დაბნელდი, მზევე, რომ მზე მიწიერი ადამიანი ქართლისა მეფე-ერეკლე შენს ბრწყინვალეობას ვეღარა ჰხედავს“ (სოლომონ ლიონიძე).

ზეპირი მეტყველება წერითისაგან იმითაც განსხვავდება, რომ მისთვის აუცილებელია დრო და სივრცე (იგი ყოველთვის ახლანდელ დროში ხდება), რათა საუბარი გასაგონისი იყოს მსმენელთათვის.

მეტყველების ნაკადის ჩაწერას სათანადო დამწერლობის ნიშნებით წერითი მეტყველება ეწოდება. იგი საზოგადოების უდიდესი მონაპოვარია. ზეპირი მეტყველებისაგან წერითს მეტყველებას შემდეგი ნიშნები განასხვავებს: არა აქვს ხმა (ბგეროვნება), ჟესტი, მიმიკა, ტემპი, ტონი, მახვილი. წერითი მეტყველება ზეპირი მეტყველების მხოლოდ სიმბოლური ასახვაა. წერითი მეტყველებისას ხდება სათქმელის წინასწარ გააზრება, მოფიქრება. მისთვის მთავარია მხედველობითი აღქმა.

წერითი მეტყველებით (დამწერლობით) სარგებლობა შეიძლება მოსაუბრეთა პირადი ურთიერთობის გარეშეც, დაუსწრებლად. ამ გზით მყარდება ურთიერთობა დაუსწრებელ მოსაუბრესთან, მკითხველთან.

წერითი მეტყველების საშუალებით დიალოგი შესაძლებელია შედგეს საუკუნეების შემდეგაც. სწორედ დამწერლობაა ის საშუალება, რითაც საუკუნეთა სიღრმიდან „გვესაუბრებიან“ „ჟამთააღმწერელი“, მუდამ მოფუსფუსე, ნახევრადგანათებულ სენაკებში შრომით თვალდაშრეტილი საეკლესიო მამანი, „ეკუხისტიკოსნის“ გენიალური შემოქმედი, მდივან მწიგ-

ნობარნი და ა.შ. გვესაუბრებიან და მათი აზრების თანაზი-
არს გვხვდნენ.

წერითი მეტყველება მონოლოგური ხასიათისაა, ზეპირი-
დიალოგური.

ზეპირი და წერითი მეტყველების ურთიერთმიმართება
სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია. ზოგ ენაში დაწერილი
მიახლოებით გამოხატავს ნათქვამს, ზოგში კი ისინი დიდად
არის დაშორებული. ქართული წერა და გამოთქმა მეტი
სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს, ვიდრე სხვა ენებში. ეს
იმიტომ, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში ყოველი სა-
მეტყველო ბგერა (ფონემა) ერთი ნიშნით გამოიხატება
(ეწერთ იმას, რაც გვესმის), მაგრამ ზოგჯერ ზეპირ მეტყვე-
ლებაში ფონეტიკური ფაქტორების გავლენით გვესმის სხვა
ბგერა და ვწერთ სხვას. აქ გამოჩნდება შეუსაბამობა წარ-
მოთქმასა და წერას შორის. მაგ: გვესმის "სახში", მაგრამ
ქართული ორთოგრაფიის წესების გათვალისწინებით ვწერთ
"სახლში," ასევეა ქვემოთ მოყვანილ შემდეგ ნიმუშებშიც

გვესმის:	ვწერთ:
ქქვია	გქვია
ქვქონდა	გვქონდა
ვარჯიშობ	ვეარჯიშობ
ომა	ომმა
იალბუზე	იალბუზზე და სხვა.

ქართული წერა ისტორიულად ყოველთვის უწევდა ანგა-
რიშს ცოცხალ მეტყველებაში მომხდარ ბგერითს ცვლილე-
ბებს, მისდევდა ენაში დამკვიდრებულ ახალ წარმოთქმას,
რაც აადვილებდა მართლწერას. თუმცა ქართული სალიტერ-
ატურო ენის ისტორიაში ენის ბუნებრივი განვითარების
გზიდან გადახვევის შემთხვევაც დასტურდება XVIII ს-ის 60-
იანი წლებიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე. ცნობილია, თუ
რა ძალისხმევა დასჭირდათ ქართველ სამოციანელებს სადა-
ვო საკითხების მოსაგვარებლად. იმდენად ძლიერი იყო ტრა-
დიციის ძალა, რომ ძველი თაობის მოღვაწეთა ერთ ჯგუფს
არ ეთმობოდა ძველი, უკვე ხელოვნურად ქცეული ნორმები.

სავარჯიშო 1. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტი და გაარკვიეთ აქცენტუაცია ორ, სამ, ოთხ და მეტმარცვლიანი სიტყვებისა. გამოყავით ლოგიკური, ემოციური და გრამატიკული პაუზები:

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს...

როცა ღმერთმა გამოგვიზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი-ხედვისთვის, ყურნი-სმენისთვის, გულს ჩაუდვა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობად და უბრძანა-წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო...დიდ ტვირთადვე იცნო იგი ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი ანაცვალა..."(ილია).

სავარჯიშო 2. შეარჩიეთ ქართული ლიტერატურიდან თქვენთვის საინტერესო პოეტური ნაწარმოები (ან ნაწყვეტი პროზაული ნაწარმოებიდან) და წაიკითხეთ შესაბამისი ქესტიმიმიკით.

§13. ქართული ორთოგრაფიის ძირითადი პრინციპები

ორთოგრაფია შეისწავლის სწორად წერის წესებს. ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ამ წესების სირთულე-სიმატივით, ისე მათი აგების პრინციპებითაც. ენათა ორთოგრაფიის (ანუ მართლწერის) მეტ-ნაკლებ სხვაობას უპირველესად იწვევს ენის ფონეტიკური სისტემა. თუკი ენის ფონეტიკური სისტემა ისტორიულად ნაკლებად არის შეცვლილი, მისი ორთოგრაფია შედარებით მარტივია. ქართულმა ენამ საუკუნეთა მანძილზე ნაკლები ცვლილებები განიცადა,

ვიდრე, ვთქვათ, რუსულმა, გერმანულმა, ფრანგულმა და ინგლისურმა ენებმა.

ცნობილია ორთოგრაფიის სამი მთავარი პრინციპი: ფონეტიკური, მორფოლოგიური და ისტორიული (ანუ ტრადიციული). “არც ერთი ენის ორთოგრაფიას არ უძევს საფუძველად მხოლოდ ერთი ამ პრინციპიდან, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უპირატესია ამა თუ იმ ენის ორთოგრაფიაში” — შენიშნავს გ. ახვლედიანი. მაგალითად: ქართულში ჭარბობს ფონეტიკური პრინციპი, რუსულში-მორფოლოგიური, ინგლისურში- ისტორიული...

ფონეტიკური პრინციპის თანახმად სიტყვა იწერება ისე, როგორც წარმოუთქვამთ, ე.ი წერა კვალდაკვალ მისდევს წარმოთქმას. მოცემული სიტყვის დასაწერად გამოყენებულ ყოველ ასოს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ძირითადი ბგერითი მნიშვნელობა. მაგ: კაცი, ქალი, წიგნი, შველი, ხატავს, წერს, ჭრის... ქართულში ამ პრინციპით იწერება სიტყვათა დიდი უმრავლესობა. ეს პრინციპი ირღვევა, როცა სიტყვის ჩასაწერად საჭირო რომელიმე ასოს არაძირითადი მნიშვნელობა აქვს. მაგ.: ვამბობთ: ერდგული, კბილი, ქთხოვა, ქქვია და ა.შ. ვწერთ: ერთგული, კბილი, გთხოვა, გქვია და ა.შ.

მორფოლოგიური პრინციპის თანახმად სიტყვა უნდა იწერებოდეს ისე, რომ მასში ჩანდეს მისი მორფოლოგიური აგებულება იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ წარმოითქმება იგი. ამ პრინციპის თანახმად იწერება სწორედ ზემოდასახელებული სიტყვები სწორად: ერთგული (სიტყვის შედგენილობის მიხედვით), კბილი (ისტორიულად აქ კბ კომპლექსი გვაქვს), გ-თხოვა (მორფოლოგიური სტრუქტურა არის გათვალისწინებული: გ-II ირიბი ობიექტური პირის ნიშანი, -ა III სუბიექტური პირის ნიშანი, თხოვ-ფუძე), ასევეა გ-ქვია...

მორფოლოგიური პრინციპის თანახმად ვწერთ I სუბიექტური პირის ნიშანს (ვ) უ-ს, ო-სა და ვ-ს წინ: ვ-ვარჯიშობ, ვ-უყვარვარ, ვ-ოცნებობ და მისთანა ფორმებში. აქ თავიკიდური ვ არ ისმის, მაგრამ ვწერთ იმიტომ, რომ I პირის ფორმა გავარჩიოთ II პირის ფორმისაგან: ვ-უამბე მე მას ის, მაგრამ, უამბე შენ მას ის. შევნიშნაეთ, რომ XIX საუკუნის მწერალთა ნაწერებში ვხვდებით ფორმებს: უყვარვარ მას მე, ოცნებობ... (მე). აქ სწორედ ორთოგრაფიის ფონეტიკური

პრინციპია დაცული და ამიტომაც არ ექცევა ყურადღება სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურას.

ისტორიული პრინციპის თანახმად სიტყვათა დაწერილობა ენაში დამკვიდრებულია ტრადიციის ძალით, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ირდღვევა ხოლმე მორფოლოგიური ან ფონეტიკური პრინციპი, მაგალითად: თერამეტი (<ათრვამეტი), თაყვანისცემა (<თაყყანისცემა), ბეჩავი (<ბეთშავი <ბედშავი), მსგავსი (ისტორიულად ს იწერებოდა, მიუხედავად იმისა, რომ გვესმის ზ. დარღვეულია ფონეტიკური პრინციპი), დაღმართი (ნაცვლად დამართისა), შიმშილი (ნაცვლად სიმშილისა), ჭიშკარი (<ბჭისკარი)...

ორთოგრაფია დროთა განმავლობაში იცვლება და ამის გამო სიტყვის ის დაწერილობა, რომელიც განვითარების ერთ საფეხურზე სწორი იყო, ამა თუ იმ პრინციპიდან გამომდინარე, მეორე საფეხურზე შეიძლება შეიცვალოს და ახალი დაწერილობა დამკვიდრდეს.

თავი II. ზონეტიკა

§1. ქართული ანბანი

ბუნებაში არსებობს მრავალგვარი ბგერა, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა, ესაა: ფიზიკური და ბიოლოგიური ბგერები. ფიზიკური ბგერები სხეულთა ურთიერთშეჯახებით გადმოიცემა, ბიოლოგიურ ბგერებს კი ცოცხალი არსებები გამოსცემენ. ბიოლოგიურია ადამიანის სამეტყველო ბგერაც. უნდა ითქვას, რომ ადამიანს მრავალი ბგერის წარმოთქმა შეუძლია, მაგრამ ყველა მათგანი სამეტყველოდ არ გამოიყენება. მაგალითად, თანამედროვე ქართულ ენაში 33 ბგერაა, ძველში კი გაცილებით მეტი იყო.

სამეტყველო ბგერები წარმოითქმება სამეტყველო ორგანოების საშუალებით და გვესმის. ბგერის გრაფიკულ, წერილობითს ნიშანს ასოს ვუწოდებთ. ასოთა ერთობლიობას ანბანი ჰქვია. ტერმინი წარმომდგარია ქართული ანბანთრიგის პირველი ორი ასოს სახელწოდებიდან: ან+ბანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ანბანს თხუთმეტი საუკუნის ისტორია მაინც აქვს. სპეციალისტები აღფრთოვანებას ვერ მაღავენ ქართული ანბანის სისრულის გამო. მრავალთაგან მოვიყვანთ ორ მოსაზრებას:

კავკასიის ცნობილი მკვლევარი პ. კ. უსლარი აღნიშნავდა, რომ ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილია მსოფლიოში არსებულ ალფაბეტებს შორის. „ყოველი ბგერა აღინიშნება განსაკუთრებული ნიშნით, თითოეული ნიშანი გამოხატავს ერთ ბგერას. ყველა ევროპულ ენაში დიდ დაბრკოლებას ქმნის ორთოგრაფია. ქართული სათვის, მისი ალფაბეტის სრულყოფილების მეოხებით, ასეთი დაბრკოლება არ არსებობს...“

ახლა იაკობ გოგებაშვილსაც მოვუსმინოთ: “ჩვენი ანბანი უსრულესი და უმარტივესი ანბანია ყველა ანბანთა შორის და ხმის მეთოდი ვერც ერთ სხვა ანბანზედ არ არის ისე გამოჭრილი, როგორც ქართულზე”...

მაინც რა არის ქართული ანბანის ღირსებები?

ზოგ ენაში ერთ ასოს ხშირად რამდენიმე ბგერითი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სიტყვაში, მაგ: რუსულში **о** ხან **а**-დ იკითხება **ко́роба**), ხან **О**-დ (**срОя**). გერმანულში **s** ხან **ს**-ს გამოხატავს (**eins**-ერთი), ხან **ზ**-ს (**seltenv**), ხან კიდევ **შ**-ს (**spat**-გვიან)...

ქართულში კი ყოველი ასო, ჩვეულებრივ, ერთ ბგერას გამოხატავს: ა ყოველთვის იკითხება ა-დ, ბ ბ-დ, გ გ-დ...

ქართულ ენაში ყველა ასო სამეტყველო ბგერას გამოხატავს, ზოგიერთ ანბანში კი ბგერების გამომხატველი ნიშნების გარდა არის სხვა დანიშნულების პირობითი ნიშნები. მაგ., რუსული **Ъ** (გამყოფი ნიშანი) და **ь** (რბილი ნიშანი).

ქართულში არა გვაქვს ასევე ერთი და იმავე ბგერის აღმნიშვნელი ე. წ. დიდი და პატარა ნიშანი (შდრ. რუსული **аА, бБ, сС, дД, гГ...**).

ერთი სიტყვით, ქართულ ანბანს აქვს გარკვეული უპირატესობა სხვა ანბანებთან შედარებით. იგი უფრო მარტივია და უფრო მეტი სიზუსტით ასახავს ქართული ენის ბგერით სისტემას.

§2. სიტყვის დამარცვლისა და გადატანის წესები

სიტყვა მეტყველების უმარტივესი ერთეულია. იგი მნიშვნელობის მატარებელი ბგერათკომპლექსია. სიტყვები იყოფა მარცვლებად და ბგერებად.

მარცვალს ქმნის ხმოვანი. იგი ხმოვნის გარეშე არ არსებობს. სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც ხმოვანი.

მარცვალი შეიძლება შედგებოდეს ერთი ხმოვნისაგანაც, ასევე ხმოვნისა და თანხმოვნისაგან, ან ხმოვნისა და თანხმოვნებისაგან. მაგ.:

- ა). ერთი ხმოვნისაგან შემდგარი მარცვლებია სიტყვებში: ა-ი, ი-ა, ა-უ-ღი-ა, ა-უგ-ღი-ი-ა, უ-შენ-ებ-ი-ა...
- ბ) ხმოვნისა და თანხმოვნისაგან შემდგარი მარცვლები შედის სიტყვებში: მა-ტა-რე-ბე-ლი, კა-რა-და, კა-ცი, ქა-

ლა-ქი, ბე-ღე-ლი, ცა, რა (ბოლო სამი მარცვალისაა და სიტყვაც)...

- გ). ხმოვნისა და ერთზე მეტი თანხმოვნისაგან შემდგარი მარცვლები გამოიყოფა სიტყვებში: ვარ-სკვლა-ვი, მრის-ხა-ნე, ბრწყინ-ვა-ლე, ცეცხლს, წვიმს, ქრის, ზრდის...

მარცვალი და სიტყვა ერთხვევა ერთმანეთს მაშინ, როდესაც სიტყვაში ერთი ხმოვანია. მაგ.: მზე, და, ძმა, თრთის, კრთის, ძრწის, თხრა... შეიძლება ერთმარცვლიანი სიტყვა რთული სიტყვის შემადგელობაში შედიოდეს და მარცვალს ქმნიდეს. მაგ.: მზე ერთმარცვლიანი სიტყვაა, მაგრამ მარცვალი ასეთ სიტყვებში: მზე-კაბა, მზე-ქალა, ია-მზე...

წერისას ზოგჯერ საჭირო ხდება სიტყვის გაყოფა და მომდევნო სტრიქონზე გადატანა. ქართულში არსებობს სიტყვის გადატანის წესები, რომელთა დაცვა აუცილებელია. ესენია:

1. დაუშვებელია ერთმარცვლიანი სიტყვის გაკვეთა და მისი მომდევნო სტრიქონზე გადატანა, მაგ.: ძვერს, კრეფს, ხვრეტს, სისხლს, კრთის, ზრდის... ერთმარცვლიანი სიტყვა ან უნდა დავტოვოთ წინა სტრიქონზე, ან მთლიანად გადავიტანოთ მომდევნოზე.

2. მიუღებელია ერთბგერიანი მარცვლის დატოვება წინა სტრიქონზე, ან მომდევნოზე გადატანა. მაგ.: ა-ილო, ი-არა, ა-ფენია, ა-იტანა, ა-აგდო... ან ასე: აუღი-ა, გდი-ა, ყრი-ა, წერი-ა... ეს სიტყვები მხოლოდ ასე გაიკვეთება: აი-ლო, ია-რა, აფენია, აი-ტა-ნა, ააგ-დო... აუ-ღია, წე-რია... რაც შეეხება გდია, ყრია ფორმებს, მათი გაკვეთა და გადატანა არ შეიძლება, რადგანაც ხმოვნები ბოლოსაა მოქცეული. ერთი ხმოვნის გადატანა კი დაუშვებელია.

3. თუ სიტყვაში შემავალი მარცვალი (ან მარცვლები) ორი ან მეტი თანხმოვნისაგან შედგება, ერთი თანხმოვანი წინა მარცვალთან რჩება, დანარჩენი კი მომდევნო სტრიქონზე გადაიტანება, მაგ.: ვარ-სკვლავი, მარ-ცვალი, ბრწყინ-ვალე, ბაგ-ში და მისთ. ამ წესს არ ემორჩილება ე.წ. „ჰარმონიული კომპლექსებისაგან“ (ბღ, დღ, ძღ, ჯღ, ფხ, თხ, ცხ, ჩხ, ჰყ, ტყ, წყ, ჭყ) შედგენილი მარცვლები, რომელთა გაყოფა და მომდევნო სტრიქონზე გადატანა არ შეიძლება. „ჰარმონიული

კომპლექსი” ან უნდა დარჩეს წინა მარცვალთან, ან უნდა გადაყვეს მომდევნოს, მაგ.: სი-ცხე, სა-პყრო-ბილე ან საპყრო-ბილე, ზა-ფხუ-ლი, და-ბლაე-ლება, სა-წყა-ლი და მისთ.

სავარჯიშო 1. დამარცვლეთ სიტყვები ქვემოთ მოყვანილ ტექსტში:

შეძრწუნებული გულით ვუმზერთ საფლაგად ჩამავალს მუშაკს „მადლისა და ჭეშმარიტებისას”. გულისტკივილით ვეთხოვებით მშვიდობისა და სიყვარულის მოძღვარს. სიობლის მწუხარებით ვაბარებთ სამარეს სანატრელს მამას... აქ ნუგეში ძნელი სათქმელია... მან განაღვიძა და გამოიწვია გულში მთვლემარე წმინდა გრძნობა კაცობისა და ქრისტიანობისა ჩვენს შორის” (ნ. დადიანი).

სავარჯიშო 2. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტი და სიტყვები დამარცვლეთ გადატანის წესების გათვალისწინებით.

ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალების თვალთ გადამოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და ღიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს, -რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიღიადეს ერი მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ასეა, ეხლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ედგავართ ჩვენ დღეს”(ილია).

§3. ბგერათა კლასიფიკაცია

სამეტყველო ბგერა წარმოიქმნება ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადით, რომელიც გამოივლის სასუნთქ მილს, ხორხს (სადაც მოთავსებულია სახმო სიმები) და პირისა და ცხვირის ღრუებს. უნდა აღინიშნოს, რომ სამეტყველო ბგერა წარმოიქმნება ამოსუნთქვის დროს, ჩასუნთქვისას კი არა.

სამეტყველო ბგერები იყოფა ხმოვნებად და თანხმოვნებად. ხმოვნების წარმოთქმისას პირის ღრუდან ჰაერნაკადი

თავისუფლად ამოვლინება, სახმო სიმები კი პერიოდულად ჟრერენ.

ქართულში ხუთი ხმოვანი ბგერა გვაქვს, ესენია: ა, ე, ი, ო, უ. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეს სხვაობა გამოწვეულია იმით, თუ რამდენად გაღებულია პირი ამა თუ იმ ხმოვნის წარმოთქმისას და იმითაც, თუ „როგორი მდებარეობა უჭირავს ენას და როგორ არის მოწყობილი ბაგეები“ (ა. შანიძე).

ა-ს წარმოთქმისას პირი ფართოდაა გაღებული, ენის ზურგი კი ოდნავ მაღლა აიწევს სასისაკენ.

ი-ს წარმოთქმისას პირი ოდნავ არის გაღებული, ენის წინა ნაწილი კი მაგარი სასისკენაა აწეული.


ე-ს წარმოთქმისას პირი საშუალოდაა გაღებული, ენის მდებარეობაც საშუალოა ა-სა და ი-ს წარმოთქმასთან შედარებით.

უ-ს წარმოთქმისას ქვედა და ზედა კბილები ახლოსაა მიტანილი, ბაგეები მოკუმულია იმდენად, რომ პატარა წრეს აკეთებენ, ენის უკანა ნაწილი აწეულია და რბილ სასასთანაა მიახლოებული.

ო-ს წარმოთქმისას „ბაგეები და ენა ისეა მოწყობილი, რომ საშუალო მდებარეობა აქვთ“ (ა. შანიძე).

გამოყოფენ მაღალი და დაბალი აწეულობის ხმოვნებს. თუ ენა ხმოვანთა წარმოთქმისას მაღლაა აწეული, ხმოვანი მაღალი აწეულობისაა, თუ დაშვებულია, ხმოვანიც, შესაბამისად, დაბალი აწეულობის იქნება. იმის მიხედვით, თუ ენის რომელი ნაწილია აწეული, გამოყოფენ წინა და უკანა რიგის ხმოვნებს. ქართულში ე და ი წინა რიგის ხმოვნებია, უ და ო უკანა რიგისა. ა კი შუა რიგისად ითვლება.

ხმოვანთა კლასიფიკაციისათვის იყენებენ სქემას, რომელსაც „ხმოვანთა სამკუთხედს“ უწოდებენ:



ფონეტიკაში თანხმოვანთა კლასიფიკაციას ახდენენ ა). მჟღერობა-სიყრუისა და ბ). წარმოთქმის ადგილის მიხედვით.

მჟღერია ისეთი თანხმოვანი, რომლის წარმოთქმისას სახმო სიმები პერიოდულად უღერენ. ქართულში ასეთია 13 თანხმოვანი: ბ, გ, დ, ვ, ზ, ლ, მ, ნ, თ, რ, ღ, ძ, ჯ. ამათგან ვ, მ, ნ, რ, ლ თანხმოვნებს ნარნარა ბგერებს უწოდებენ.

ყრუა თანხმოვანი, რომლის წარმოთქმისას სახმო სიმები არ უღერენ. ასეთია ქართულში 15 თანხმოვანი: პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ, ფ, თ, ც, ჩ, ქ, ს, შ, ხ, ჰ.

ბგერის მჟღერობა-სიყრუის დასადგენად საკმარისია თითო მივიდოთ ყელზე და ისე წარმოთქვათ ბგერები: ბ, დ, გ...და ფ, თ, ც...პირველთა წარმოთქმისას შევიგრძნობთ ჟრჟოლას (ეს სახმო სიმების მოძრაობაა), მეორეთა წარმოთქმისას კი-არა.

მჟღერია ხმოვანი ბგერებიც. ამდენად, ქართულში 18 მჟღერი (13 თანხმოვანი+5 ხმოვანი) და 15 ყრუ ბგერაა.

ზოგიერთი ყრუ ბგერის წარმოთქმისათვის საკმარისია პირის ღრუში არსებული ჰაერნაკადი. ასეთი ბგერებია პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ. ამ ბგერათა წარმოთქმას თან ახლავს დახშული ყელის სკდომაც, ე. ი. ჰაერნაკადით დახშული ყელის გაღება. წარმოთქმის თვისებათა გამო ამ ბგერებს ყელ-ხშულებს, ან აბრუპტივებს უწოდებენ, აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით კი- მკვეთრებს.

ყრუ ბგერათა მეორე ჯგუფის წარმოთქმისას ხორხის ნაკრალი ღიაა, ამოდის ჰაერნაკადი და ისმის ფშვინვა. ამ ნიშნის გამო მათ ფშვინვიერებს უწოდებენ. ესენია: ფ, თ, ქ, ჩ, ც.

წარმოთქმის ადგილის მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, თუ სად და რა სახის დაბრკოლება ხვდება ფილტვებიდან ამონადენ ჰაერს, გამოყოფენ თანხმოვანთა შემდეგ ჯგუფებს:

ბ, ფ, პ-ბაგისმიერნი, ანუ ლაბიალურნი.

დ, თ, ტ-კბილისმიერნი (ა. შანიძე), წინაენისმიერნი ანუ ალვეოლენტალურნი (თ. გამყრელიძე).

ვ- კბილისმიერი.

ძ, ც, წ, ზ, ს-წინანუნისმიერნი.

ჯ, ჩ, ჭ, ჭ, შ- უკანანუნისმიერნი, ანუ სასა-ნუნისმიერნი (ალვეო-პალატარული).

ბ, ქ, კ, ღ, ხ-უკანა სასისმიერნი (ა. შანიძე), უკანაენის-
მიერნი, ველარულნი (თ. გამყრელიძე). ამავე ჯგუფში აერ-
თიანებენ ყ თანხმოვანსაც (თ. გამყრელიძე, თ. უთურგაიძე).

ჰ-ლარინგალური, ანუ ხორხისმიერი.

მ, ნ- ცხვირისმიერნი.

რ, ღ- ენისწვერისმიერნი.

ქართულში წარმოების ადგილისა და გვარობის მიხედვით
გამოიყოფა სამეული, წყვილეული და ცალეული თანხმოვ-
ნები.

სამეულები

ბაგისმიერნი	კბილისმიერნი			წინაუნისმიერნი	
უკანაუნისმიერნი	უკანასასისმიერნი				
მჟღერი	ბ	ღ	ქ	ჯ	გ
ყრუ მკვეთრი	პ	ტ	წ	ჭ	კ
ფშვინვიერი	ფ	თ	ც	ჩ	ძ

წყვილეულები

მჟღერი	ზ	ჟ	ღ
ყრუ	ს	შ	ხ

ცალეულები: ვ, მ, ნ, რ, ღ (არ მოეპოვებათ ყრუ მეწ-
ყვილეები). პ, ყ (არ მოეპოვებათ მჟღერი მეწყვილეები).

შენიშვნა. 1. ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; ჯ, ჩ, ჭ; ძ, ც, წ; გ, ქ, კ სა-
მეულებს ხშულებსაც უწოდებენ, რადგანაც მათი წარმოთქმი-
სას ადგილი აქვს სამეტყველო ორგანოების ხშვას, რასაც
მოსდევს ჰაერნაკადით მათი სკდომა.

2. ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ-აფრიკატები, ანუ რთული თანხმოვნებია.

3. ვ, ზ-ს, ჟ-შ, ღ-ხ, პ- ნაპრალოვნებია, რამდენადაც მათი
წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოებით ჩნდება ნაპრალი,
საიდანაც გამოედინება ჰაერნაკადი.

4. ბოლო გამოკვლევებში გამოყოფენ სპირანტ თანხმოვან-
თა სამეულს: ღ, ხ, ყ (თ. გამყრელიძე)

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოყვანილი ტექსტიდან ამოიწერეთ
თანხმოვნები და დააჯგუფეთ რაგვარობის (მჟღერობა-სიყრუ-
ის) მიხედვით:

“...როგორც მომეტებული ჯავრი და მწუხარება, ისე უზომო და გადაჭარბებული სიხარულიც ხშირად ენას უბამს კაცსა და უნებურათ აღუმებს... სწორედ აღტაცებაში ვარ კახეთისაგან, მხოლოდ ის მკბენს გულში, რომ ეს მშვენიერი მხარე ამისთანა მდგომარეობაშია ჩავარდნილი...”

ჩვენს ქვეყანაში ვერსად ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძველებით არ იყოს გაპოხიერებული და მათი სისხლით დამბალი. ისე ლუკმაპურს ვერ ჩაიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგყვეს და წვეთ ღვინოს ვერ დალევთ ისე, რომ შიგ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლი არ ერიოს (ილია).

სავარჯიშო 2. ქვემოთ მოყვანილი ტექსტიდან ამოიწერეთ თანხმონები, დაალაგეთ წარმოთქმის ადგილის მიხედვით და დააჯგუფეთ სამეულებად, წყვილებად და ცალეულებად:

“ღმერთმა ქვეყანა რომ გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, უღვეველი სიმდიდრე ჩაუდო და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯე და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდან ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო... თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვეებისა აქ, ამ ჩვენ პატარა ქვეყანას დააბერტყაო...” (ილია).

§4. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები

ბგერები მეტყველების პროცესში ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე და იცვლიან სახეს, რასაც ფონეტიკურ მოვლენებს უწოდებენ. ფონეტიკური მოვლენებია: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია, ბგერათა დაკარგვა, ბგერის გაჩენა, რედუქცია, ბგერათა შერწყმა, ბგერთი ანალოგია და ა.შ. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა) ასიმილაცია

ასიმილაცია, ანუ დამსგავსება ეწოდება ბგერათა ისეთ ცვლილებას, როდესაც ერთი ბგერა იმსგავსებს მეორეს რაიმე ნიშნის მიხედვით, კერძოდ: მუღერობა-სიყრუის, ფშვინვიერობის...და ა.შ. იმსგავსებს სრულად ან ნაწილობრივ. მაგ.: ბჭისკარი-თავეიდურა ბ-ს დაკარგვის შემდეგ უნდა ყოფილიყო ჭისკარი, მაგრამ შიშინა ჭ-მ დაიმსგავსა სისინა ს და აქცია შ-დ, მივიღეთ ჭიშკარი (ბჭისკარი>ჭისკარი>ჭიშკარი). მოხდა ნაწილობრივი ასიმილაცია. სრული ასიმილაციის ნიმუშია სიმშილი>შიმშილი. აქ მომდევნო შიშინა შ-მ წინამავალი სპირანტი ს მთლიანად დაიმსგავსა და აქცია შ-დ.

ასიმილაცია განსაკუთრებით ხშირია ცოცხალ მეტყველებაში. მაგ.: კბილი(<კბილი), ქვიტკირი(<ქვითკირი), ორშაფათი(<ორშაბათი), მშაჯული(<მსაჯული), ქქონდა(<გქონდა), ვაშკაცი(<ვაჟკაცი)...ქართულში მრავლად გვხვდება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ასიმილაცია. ზემომოტანილი მაგალითები თანხმოვანთასიმილაციის ნიმუშებია. ხმოვანთა ასიმილაციის მაგალითებია: გუუკეთა, გოუკეთა(<გაუკეთა), დეეწია, დიეწია(<დაეწია), დუუტოვა, დოუტოვა(<დაუტოვა), გადუუხადა, გადოუხადა(<გადაუხადა), შუუგზანა, შოუგზანა(<შეუგზანა), დუუძახა, დოუძახა (<დაუძახა)...მოყვანილ მაგალითებში მომდევნო ვიწრო ხმოვანი იმსგავსებს წინა ფართო ხმოვანს და ხდება ნაწილობრივი, ან სრული ასიმილაცია. ასეთი შემთხვევები ძირითადად დასავლური კილოებისთვისაა ნიშანდობლივი. აღმოსავლურ დიალექტებში კი უფრო პროცესი გაფართოებისაკენ მიდის(ფართო ხმოვანი იმსგავსებს ვიწროს), მაგალითად: გამაიტანა(<გამოიტანა), გამაატარა(<გამოატარა), გამეზადა(<მომეზადა), წამაიყვანა(<წამოიყვანა)...

ასიმილაციასთან დაკავშირებით უნდა დავიმახსოვროთ შემდეგი:

ა. უნდა განვასხვაოთ თანხმოვანთასიმილაცია ხმოვანთასიმილაციისაგან;

ბ. როდესაც წინა ბგერა იმსგავსებს მომდევნოს, ასიმილაცია პროგრესულია;

გ. როცა მომდევნო ბგერა იმსგავსებს წინამავალს, ასიმილაცია რეგრესულია;

დ. თუ ასიმილატორ და ასიმილირებულ ბგერებს შორის სხვა ბგერაა (ან ბგერები), მაშინ ასიმილაცია დისტანციურია;

ე. თუ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან უშუალოდ მდგომი ბგერები, მაშინ ასიმილაცია კონტაქტურია;

ვ. თუ ერთი ბგერა მეორეს სრულად იმსგავსებებს, ასიმილაცია სრულია, ხოლო თუ ნაწილობრივ (რაიმე ნიშნის მიხედვით) იმსგავსებს—ნაწილობრივი.

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში მოძებნეთ შეცდომები და გაასწორეთ.

მერცხლებს არას ვავენბთ, არ დაეაბრთხობთ. დარჩა მგელი რეტდასხმული, მხოლოდ პირი ჰქონდა დაბჩენილი. წახთა გლუხკაცის საქმე, სამუშაო არაა. აღმა წასული ოცნება უბსკრულისაკენ ბრუნდება. ორშაფათს დილა გათენდა, კარგი დარი დადგაო. დიდგვაროვნებმა შჯა-ბაასი გამართეს. ამ წვენს სიტკო აკლია. მაკრინე ოზდაერთი წლისაა, ეს არ უნდა დაგაბიწყტეს. დაჭრილ ვაშკაცს წყალი მუუტანეს. ეზერემ მწვანილი მაიტანა?! კატომ წისკვილიდან საფქვავე წამილო. წერილი დოუწერა ცოლ-შვილს, მოკითხვა შუუთვალა.

სავარჯიშო 2. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შალიტერატურო ნორმით გათვალისწინებული ბგერა:

აუარებელი გამ...იჯვენელი მიაწყდა პაპიანთ ქალსა; ოსტატი ფი...არს ა...ალაშინებდა; თქვით, თუ ვამბობ სიმართლეს, თუ ჩემი სიტყვა მც...არია; საცოდავს მდინარე დაა...რჩობდა; მახარე მზად იყო იქვე მიე...რჩო ირემა; შენ რაღაც სხვა გან...რახვა გაქვს; სახლი სულ ქვი...კირით იყო ნაგები; შეც...ა, არ უნდა წამო...ულიყო.

ბ) დისიმილაცია

დისიმილაცია, ანუ ბგერათა განმსგავსება ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა ქართულში.

სიტყვაში ორი ერთნაირი (ან მსგავსი) ბგერა ზოგჯერ ვერ ძლებს და ერთ-ერთი იქცევა სხვა ბგერად. მაგალითად, ძველა.ღ გექონდა ლელწამი (ლ-ლ>ლ-რ). ასევეა: სულნელი>სუ(რ)ნელი (ლ-ლ>რ-ლ)...

ქართულში დისიმილაცია უმთავრესად მოუდის რ სონორ თანხმოვანს. თუ რ-ს შემცველ ფუძეს დაერთო —ურ სუფიქსი, მაშინ სიტყვაში თავს მოიყრის რ-რ და ხდება ერთნაირი ბგერების განმსგავსება: თუშ-ური, კახ-ური...მაგრამ: აჭარული (<აჭარური), გურული (<გურური), იმერული (<იმერური)...უნდა აღინიშნოს, რომ თუ რ-რ ბგერებს შორის ლ თანხმოვანია, მაშინ დისიმილაცია არ ხდება: ქართლური, ავსტრალიური, მორალური... დისიმილაცია არ ხდება ასევე ნასესხებ სიტყვებში: დირექტორი (თუმცა ცოცხალ მეტყველებაში გვხვდება დილექტორი), რექტორი, პროფექტორი, ღირი-ჟორი (გვხვდება დილიჟორი), პრორექტორი, კორექტორი...

დისიმილაცია მომხდარა ისეთ ფუძეგარკეცებულ სიტყვებში, როგორცაა: ჩურჩული (<ჩურჩური), ცუნცული (<ცუნცური), ძუნძული (<ძუნძუნი), კუნკული (<კუნკუნი)...

ზოგჯერ დისიმილაციის საფუძველზე სიტყვაში იკარგება თანხმოვანი. ამ მოვლენას დისიმილაციურ დაკარგვას უწოდებენ. მაგალითად: კუკური (<კურკური)...

ზემომოყვანილი ნიმუშები თანხმოვანთდისიმილაციის შემთხვევებია. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ხმოვანთა დისიმილაციის მაგალითებიც: ამელამ (<ამაღამ), ეხლა (<ახლა). ეხლანდელი (<ახლანდელი)...

როგორც აღვნიშნეთ, დისიმილაცია შეიძლება შეგვხვდეს მსგავს ბგერებშიც. მაგალითად: ეგვიპტე — ეგვიბტე (პტ მკვეთრი ხშულები ვერ ძლებენ ერთად, განემსგავსებიან და ვღებულობთ ბტ-ს); დაპყრობა — დაბყრობა, აბნევს — აპნევს (ბნ-პნ. ორი მჟღერიდან ერთი დაყრუვდა)...

დისიმილაცია ზოგჯერ მოსდევს მარცვლის დაკარგვას: ფვხშიშველი — ფვხშველი, არაფერი-აფერი, ვერაფერი-ვეფერი...

საეარჯიშო 1. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩასვით სალიტერატურო ნორმით გათვალისწინებული გამოტოვებული ბგერა:

ენას ნუ ატარტა...ებ; ვაჭრები გამოცა...იელებული მალაზიის წინ იდგნენ; ირგვლივ სიცა...იელე და უკუნი დამეა; ორჯე... მაინც უნდა წაიკითხო დაკვირვებით; ამ ბიჭისგან ვერა-

ფე...ი გავიგე; ახლანდელ ახალგაზრდებს ვე...აფერს გააგები-
ნებ.

სავარჯიშო 2. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში არასწო-
რი ფორმები გაასწორეთ და ისე გადაიწერეთ:

1. ბევრჯელ განმიცდია სინანული ჩემ მიერ გადადგმული
არასწორი ნაბიჯის გამო; 2. დაღმართზე გამოჩნდა ხანშე-
სული კაცი, რომელსაც მძიმე ტვირთი მიჰქონდა; 3. დიდდამ
დამსქდარი ხელები გულზე დეიკრიფა და ისე გადმოქეხედა;
4. გიორგი მეფეს ხელთ უბყრია კელაპტარი; 5. საზოგადოე-
ბას დიდი საბრთხე ელოდება; 6. თამრო დიეკონა ავადმყოფს
და მის მღელვარე მკერდს ბევრი ცრემლი დააბკურა; 7.
მელანოს ორი ტყუბი შვილი შიეძინა.

გ) მეტათეზისი

სიტყვაში ბგერათა თანმიმდევრობა, ჩვეულებრივ, მტკი-
ცვა, მაგრამ ზოგჯერ იგი ირღვევა, ბგერა გადაინაცვლებს
ხოლმე თავისი ჩვეული ადგილიდან. ამ მოვლენას ბგერათა
გადასმა, ანუ მეტათეზისი ჰქვია. მაგალითად: ძველ ქართულ-
ში იხმარებოდა ათხუთმეტი, ა-ს დაკარგვით ახალ ქართულში
მივიღეთ თხუთმეტი, მაგრამ დიალექტებში დასტურდება
თუთხმეტი. აქ ხ თანხმოვანი გადასმულია სიტყვის ბოლოსა-
კენ: ათრვამეტი>თრვამეტი(ა-ს დაკარგვით)>თვრამეტი. ნიშაბდ-
ობლივია, რომ ვ გადასმული ფორმა დამკვიდრდა სალიტერა-
ტურო ენაში. შენიშნულია, რომ მეტათეზისი უფრო მეტად
მოსდით ნარნარა თანხმოვნებს, მათგან კი უფრო ხშირად ვ-ს.
მაგალითები: ხნავს>ხნავა>ხნვა>ხვნა; ხრავს>ხრავა>ხრვა>ხვ-
რა; კლავს>კლავა>კლვა>კვლა...(როგორც ვიცით, პირიანი
ზმნისაგან საწყისი რომ ვაწარმოთ, საჭიროა ჩამოვაშოროთ
პირისა და რიცხვის ნიშანი და ფუძეს დაეურთოთ საწყისის
მაწარმოებელი -ა, რომელიც თავის მხრივ იწვევს ზმნის ფუ-
ძის შეკუმშვას). ასევე მეტათეზისის ნიმუშებია: ცალიერი>ცა-
რიელი, თავყანისცემა>თაყყანისცემა.

მეტათეზისი მოქმედა ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში,
მაგალ. თად: ზურგა>ზრუგი, ჩულქი>ჩლუქი, ღრუბელი>ღურ-
ბელი, სულიერი>სურიელი, მადლიერი>მადრიელი და მისთ.

სავარჯიშო. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში გაასწორეთ შეცდომით დაწერილი ფორმები და გაარკვიეთ რომელი ბგერაა გადასმული:

1. დედოფალი წინა ოთახში ზის და იკმაზება. 2. ეს კაცი მთელი სიცოცხლე იღწვის ხალხის კეთილდღეობისათვის. 3. უცხოელი გულისყურით ათვარიელებდა ჩვენს კარმიდამოს. 4. ბავშვობაში ბევრჯელ უბლაჯნია, მაგრამ მაინც ვერ ისწავლა ხატვა. 5. შესაკმაზი ბევრი არ დარჩენილა. 6. მის შეილს მაგრად წრთენის, მაგრამ მაგას ახლა წვრთნა უშველის? 7. ამ გოგომ შალვარის გაუთოება ვერ ისწავლა. 8. გირგოლი დილაადრიან გაემგზავრა. 9. ცხოვრებაში ბევრი გაჭივრება ნავხე. 10. რუსი გერენლები ბევრს სცოდავენ. 11. წუხელ ძრიელი წვიმა ყოფილა. 12. აქ მდინარე ძალიან რღმა იყო. 13. მე სასწრაფოდ მანგალს მოკვიდე ხელი. 14. სიტყვით გამოვედი და ავღნიშნე, რომ ის კაცი ქურდი იყო.

დ). სუბსტიტუცია

ზოგჯერ სიტყვაში მოსალოდნელი ბგერის ნაცვლად სხვა ჩნდება, ოღონდ პირველის მსგავსი წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით. ჩვეულებრივ ყრუს ენაცვლება ყრუ, მჟღერს-მჟღერი, ბაგისმიერს-ბაგისმიერი და ა.შ. ამ მოვლენას სუბსტიტუციას უწოდებენ. მაგალითად, იმ ადგილს, სადაც ბზეს ინახავენ საბზელი უნდა ერქვას, მაგრამ ისტორიულად მოხდა ზღმ მონაცვლეობა და მივიღეთ საბქელი, რაც დამკვიდრდა კიდევ სალიტერატურო ენაში. ასევეა: ზროხა>ძროხა. სუბსტიტუციის სხვა ნიმუშებია: ტიმოთე>კიმოთე (ტლკ), პატიჟი>პატიჯი(ქლჯ), ვიწრო>მიწრო(ვქმ), კოზი>კოპზი, თევზი>თებზი(ვქზ), მეფე>ნეფე(მქნ)...

ზოგიერთმა ბგერათცვლილებამ ისტორიულად შეცვალა სიტყვის მნიშვნელობა და ახალი სიტყვა მივიღეთ. ე. ი. შეცვლილმა ბგერამ შეიძინა სიტყვათგანმასხვავებელი ანუ დისტინქტური ფუნქცია. ენაში დარჩა ორივე ფორმა. მაგალითად: ჟრიალი>შრიალი,(შრიალი-ქართაგან ფურცლის ხმა; ჟრიალი-ძრავალ ეჟუანთ ხმა (საბა); კრება>კრეფა(კრება-შეყრილობა, კრეფა-ხილთ მოწილვა, გინა ყვავილთ მოწყუება (საბა))... სუბსტიტუციად არის მიჩნეული ხმოვანთა მონაცვ-

ლეობაც სიტყვებში: გრეს>გრიხა, ულეტს>ულიტა,
ხვრეტს>ხვრიტა, კრეფს>კრიფა...

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში მონახეთ სუბსტიტუციის შემთხვევები და გაარკვიეთ, რომელი ბგერები ენაცვლება ერთმანეთს:

1. ბატკნის ხორცი მართამ შანფურზე აასხა. 2. გიორგიმ პირი ფარტოდ გააღო და დიდზე უკმინა ვაშლს. 3. სეტყვამ დიდად დააზიანა მორჩი ხეები. 4. ცაზე მარსკლავეები მოჭედელი იყო, როცა აბესალო გამოვიდა სახლიდან. 5. მამამ ვერცხლის კობზეები მოიტანა. 6. ნეფე-დედოფალი სამზარეულოში შეიყვანეს. 7. ტყეში მიწრო ბილიკი გადიოდა.

ე). ბგერის რედუქცია, - დაკარგვა

რედუქცია ფრანგული სიტყვაა, ქართულად შემცირებას, დაკლებას ნიშნავს და გულისხმობს ბგერათა დასუსტებას, ერთი ბგერის მეორემდე დაყვანას დასუსტების გზით, მაგალითად: მაწონი - აქ ო მარცვლიანია, მაგრამ ფორმებში მაწვნის, მაწვნით, მაწვნად იგი სუსტდება და გვაძლევს ვ-ს. ო ასევე სუსტდება შემდეგ ფუძეებში: ნიორი-ნივრის, ნივრით, ნივრად, სანივრე; იორი-ივრის, ივრით, ივრად; ნიგოზი-ნიგვზის, ნიგვზად, ნიგვზიანი, ნიგვზები; მინდორი-მინდვრის, მინდვრით, მინდვრად, მინდვრები...

სიტყვაში ხმოვნის დასუსტებას ზოგჯერ მისი დაკარგვა მოსდევს: ქოჩორი-ქოჩრის, ქოჩრით, ქოჩრად, ქოჩრიანი; ჩოჩორი ჩოჩრის, ჩოჩრები... მსხალი-მსხლის, მსხლით, მსხლად, - მსხლები; დედალი-დედლის, დედლით, დედლად, დედლები... სომეხი-სომხის, სომხით, სომხად, სომხები... ქართულში რედუქცია მოსდის ა, ე, ო ხმოვნებს, ი და უ კი რედუქციას არ განიცდიან.

რედუქციის შედეგად ბგერის დაკარგვას უწოდებენ სინკოპეს.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რა იწვევს ბგერის დასუსტებას, ან ამ გზით მის დაკარგვას? სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ფუძის შეკუმშვის, შეკეცვის, ბგერის დასუსტებისა თუ დაკარგვის მიზეზი არის ხმოვნით დაწყებუ-

ლი აფიქსის დართვა. ჩვენ ვახსენეთ ფუძის კუმშვა და კვეცა. ბარემ აქვე განემარტოთ ეს ცნებები:

კუმშვას ვუწოდებთ ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნას. კვეცა კი-სახელის ფუძის ბოლოკიდურა ხმოვნის დაკარგვაა. ხმოვნის მოკვეცას აპოკოპესაც უწოდებენ.

სახელის კუმშვა უმთავრესად ხდება მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნვებში. კვეცა კი მოუდით ა-სა და ე-ზე გათავებულ სახელის ფუძეებს მხ. რიცხვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში, ხოლო ა-ზე გათავებულ ფუძეებს ებ-იან მრავლობითშიც.

დადგენილია, რომ კუმშვა ხდება მაშინ, როცა სახელის ფუძე თავდება -აღ, -ეღ, -ოღ, -ან, -ენ, -ონ, -ამ, -ემ, -ავ კომპლექსებზე. მაგალითად: წყალი-წყლ-ის, წყლ-ით, წყლ-ად, წყლ-ებ-ი; ძვალი-ძვლ-ის, ძვლ-ად, ძვლ-ებ-ი, ძვლ-იან-ი, საძვლ-ე; რძალი-რძლ-ის, რძლ-ით, რძლ-ად, რძლ-ებ-ი, რძლ-იან-ი, სა-რძლ-ო; ეკალი-ეკლ-ის, ეკლ-ით, ეკლ-ად, ეკლ-ებ-ი, ეკლ-იან-ი...

მღვდელი-მღვდლ-ის, მღვდლ-ით, მღვდლ-ად, მღვდლ-ებ-ი; შველი-შვლ-ის, შვლ-ად, შვლ-ებ-ი; კედელი-კედლ-ის, კედლ-ით, კედლ-ად, კედლ-ებ-ი, კედლ-იან-ი...ობოლი-ობლ-ის,ობლ-ით,ობლ-ად,ობლ-ებ-ი,ობლ-ობა; ფოთოლი-ფოთლ-ის,ფოთლ-ით,ფოთლ-ად,ფოთლ-ებ-ი,ფოთლ-ოვან-ი...

შეიძლება ფუძე შეიკუმშოს სხვა მარცვლებზე დაბოლოებულ სახელებშიც, ასეთებია: კაკაბი-კაკბ-ის, კაკბ-ით, კაკბ-ად, კაკბ-ებ-ი; ხოხობი-ხოხბ-ის, ხოხბ-ით, ხოხბ-ად, ხოხბ-ებ-ი; ბეჭედი-ბეჭდ-ის, ბეჭდ-ით, ბეჭდ-ად, ბეჭდ-ებ-ი...

ერთმარცვლიანი ფუძე, თუ ის რთული სიტყვის შემადგენლობაშია, შეიძლება შეიკუმშოს: ცისკარი-ცისკრ-ის, ცისკრ-ით, ცისკრ-ად; დედაბერი-დედაბრ-ის, დედაბრ-ით, დედაბრ-ად, დედაბრ-ებ-ი. მაგრამ ცალკე აღებული კარი და ბერი უკუმშველია.

როგორც აღვნიშნეთ, კვეცა მოუდით ა-სა და ე-ზე დაბოლოებულ სახელურ ფუძეებს (ზოგიერთ სხვა ფუძესაც). მაგალითები: ძმა-ძმ-ის, ძმ-ით, ძმ-ებ-ი, ძმ-ობ-ა; მთა-მთ-ის, მთ-ით, მთ-ებ-ი, მთ-იან-ი, სა-მთ-ო...ზღვა-ზღვ-ის, ზღვ-ით, ზღვ-ად, ზღვ-ებ-ი, ზღვ-იან-ი...

კლდე-კლდ-ის, კლდ-ით, კლდ-იან-ი; მდინარე-მდინარ-ის, მდინარ-ით; ტყვე-ტყვე-ის, ტყვე-ით...

ქართულში დასტურდება ბგერის დაკარგვის სხვა შემთხვევებიც.

ხშირად იკარგვის ჰ თანხმოვანი ხმოვნების წინ: ჰურია>ურია, ჰომი>ომი, ჰამბავი>ამბავი...

ჰაე დაკარგულა უცხო ენებიდან ნასესხებ სიტყვებშიც: ჰალალი>ალალი, ჰარამი>არამი, ჰუნარი>უნარი, ჰუჯრა>უჯრა და მისთ. ჰ-ს დაკარგვა ჩვეულებრივია ზმნებშიც: ჰყავს(შდრ. ყავს), ჰქონდა(შდრ. ქონდა)...

ჰ-ს შენახვას ხელოვნური ხასიათი აქვს უცხო ენიდან ნასესხებ ასეთ სიტყვებში: ჰარმონია, ჰეგემონია, ჰიპოთეზა, ჰორიზონტი, ჰიდროსადგური და მისთ.

იკარგება მ: მტევანი>ტევანი, მშვილდოსანი>შვილდოსანი, სამყოფი>საყოფი და მისთ.

იკარგება ნ: ნდომა>მნდომი>მდომი...

იკარგება ყ: შეურაცხყოფა>შეურაცხოფა...

იკარგება ს: ვერასგზით>ვერაგზით, ვერასოდეს>ვერაოდეს, თითქოს>თითქო...

იკარგება ხ: დახრჩობა>დარჩობა, სახრჩობელა>სარჩობელა...

იკარგება ხმოვნები: მოკეთობა > მოკეთობა, მონახვერობა > მონახვერობა, მოღალატეობა > მოღალატობა, უგუნური>უგნური...

სავარჯიშო 1. მოძებნეთ შეცდომები და გაასწორეთ:

1. საქართველოს კვიდრი მოსახლეობა არის ქართველობა.
2. ბწყინავს ქართლი, ქვეყნის გული.
3. მაგას მოჩივარი არავინ ჰყავს.
4. ბაეშის ასე აზრდა არ შეიძლება.
5. კაბინეტიდან უმალ გამოაბძანეს.
6. იქვე, ღვიმეში ეგდო საწყალი.
7. აჩვენა მისი ბასრი ბჭყალები.

სავარჯიშო 2. გაასწორეთ შეცდომები. აღნიშნეთ რომელი ბგერებია დაკარგული:

1. რაც გენბოს, ბძანე და მოგართმევ (თ. რაზიკ.).
2. ლუარსაბი იყო მეტად ტლანქი (ეკ. გაბ.).
3. წელი დაუსხვილდა (ი. მაჩაბ.).
4. პლატონმა ცხენი შეაჩერა და თავდაბლად

მიმართა გვერდევანიძეს (დ. კლდ.). 5. ასმათ ყავდა ოთარი და მისი აფსონები დაბატიუებული (გ. წერ.). 6. ჩვენში ბინადარ ცხოვრებს „მკვიდრი“ ჰქვია და არა „დგმური“ (ილია).

ვ). ბგერის განვითარება

ბგერათა დაკარგვის საპირისპირო მოვლენა ბგერის განვითარება, ანუ გაჩენაა. მაგალითად: ზე და ქვე-ს მოქმედებითი ბრუნვის ფორმათა წარმოებისას ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ვითარდება ვ თანხმოვანი და გვაქვს ზევით, ქვევით (თუმცა სამხრულ კილოებში გვხვდება ვ განუვითარებელი ფორმები-ზეით და ქვეით). სახელთაგან-ქვა, მხნე, ტყვე, ჯადო, ტყე, ბრმა, ახლო...ზმნების წარმოებისას ფუძესა და თემის ნიშანს შორის ჩნდება ვ თანხმოვანი: ა-ქვა-ვ-ებ-ს, ა-მხნე-ვ-ებ-ს, ა-ტყვე-ვ-ებ-ს, ა-ჯადო-ვ-ებ-ს, ა-ტყვე-ვ-ებ-ს, ა-ბრმა-ვ-ებ-ს, ა-ახლო-ვ-ებ-ს...

ბავისმიერი მ გაჩენილა სიტყვის თავში (ანლაუტში) შემდეგ ფორმებში: მზუავი, მცხედარი, მცბიერი, მსხვილი, მზღვარი...

ღ,თ თანხმოვნების წინ ნ იჩენს თავს ასეთ სიტყვებში: წმიდა>წმინდა, წარწყმედა>წარწყმენდა||წარწყმინდა... X საუკუნის ძეგლებში დასტურდება ნ-ს გაჩენის შემთხვევები აუსლაუტში (სიტყვის ბოლოს): გარეშენ, რაიმენ, ვიდრემდენ, ზღუამდენ...

რ ჩნდება სიტყვებში: ბჭე>ბრჭე, ჩრუილი>ჩრჩუილი, მღდე-ლი>მღრღელი (მღვდელი), ვეცხლი>ვერცხლი, საფუძველი>საფურძველი...

როგორც ვხედავთ, უფრო ხშირად ვითარდება ნარნარა თანხმოვნები: ვ, მ, ნ, რ. თუმცა სასაუბრო ენაში არც სხვა ბგერათა განვითარებაა მოულოდნელი. მაგალითად: ასე, ისე, მასე თ(ტ)-ს განვითარებით გვაძლევს ასთე||ასტე, მასთე||მასტე, ისთე||ისტე ფორმებს. ასევეა: მერე>მემრე, რამდენი>რამოდენი...

სავარჯიშო. პარალელურ ფორმებში მოძებნეთ შეცდომები და გაარკვიეთ, რა ფონეტიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე:

გაიაფლება || გაეფდება, მუგუზალი || ნუგუზალი || ნაგუზალი, უმცროსი || უნცროსი, პილპილი || პიმილი || პირპილი, წლეულს || წრეულს, ჭინჭარი || ჯინჭარი, საგზალი || საგძალი, შევარდენი || შავარდენი, ინდოური || ინდაური, შეკაზმული || შეკაზული, მკვახე || კვახე, მჟავე || ჟავე, მწარე || წარე, ნული || ნოლი, საშუალება || საშვალება, უბრტყელდება || უპრტყელდება, დაახწია || დააღწია, ტრადედია || ტრაგედია, ლაფსუსი || ლაპსუსი, ეკვივალენტი || ექვივალენტი, საზღვარი || სამზღვარი, მოქმედი || მომქმედი, იპოვნის || იპოვის, ბრდღვნა || ბდღვნა, ჭვარტლი || მჭვარტლი, მოცინარი || მომცინარი, უტყუარი || უტყუვარი, ამჭიდროებს || ამჭიდროვებს, აჯილდოებს || აჯილდოვებს, ნათესაობა || ნათესაეობა...

ზ) ვ-ს შენახვის, ჩართვისა და დაკარგვის შემთხვევები

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან ცნობილია ვ-ს შენახვის, ჩართვისა და დაკარგვის ფაქტები, რასაც შემთხვევითი ხასიათი არა აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მხრივ რაიმე მყარი წესები არ არსებობს. თუ, ერთი მხრივ, შეინიშნება ტენდენცია-წერა მისდევს წარმოთქმას, მეორეს მხრივ, თავს იჩენს ისტორიული და მორფოლოგიური პრინციპების დაცვის აუცილებლობა. სხვაგვარად, სალიტერატურო ენა ანგარიშს უწევს სიტყვის ისტორიასაც და ცოცხალ მეტყველებასაც. ამიტომაც გვაქვს პარალელური ფორმები: დაჯილდოება და დაჯილდოვება, სადაო და სადავო, მოხეური და მოხევეური, პასივობა და პასიობა...

ვ ბგერა სიტყვაში ან ფუძისეულია, ან აფიქსისეული, ან კიდევ ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული. მაგ.: ფუძისეულია იგი ფორმაში მიჯაჭვული (შდრ. ჯაჭვი), აფიქსია სიტყვაში ვ-ვარჯიშობ, ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული სიტყვაში-ასუფთავეებს (შდრ. სუფთა). ფონეტიკურ ნიადაგზე შეიძლება მოხდეს ვ-ს დაკარგვა: თავი > თავობა > თაობა, აქტივი > აქტიური > აქტიური და მისთ.

თუ გაკითხვადი წინებთ ქართულ სალიტერატურო ენაში ვ-ს ჩართვის, შენახვისა და დაკარგვის ძირითად შემთხვევებს შეიძლება დადგინდეს შემდეგი წესები:

1. უუძისეული ვ დაცული უნდა იქნეს:

ა). იმ ბოლოთახმოვნისან სახელთა მიმართვის ფორმებში, რომელთა ფუძე ვ-ზე ბოლოვდება: თავი-თავო, ერისთავი-

ერისთავო, ნიავი-ნიავო, შავი-შავო, ბავშვი-ბავშვო, ვეფხვი-
ვეფხვო, დათვი-დათვო, ლეკვი-ლეკვო, არაგვი-არაგვო... აქვე
შემოვა -ავ და -ევ სუფიქსიან ზმნათაგან ნაწარმოები მიმ-
ღობები: დამხატ-ავ-ი-დამხატ-ავ-ო, მჭედ-ავ-ი-მჭედ-ავ-ო,
მზვერ-ავ-ი-მზვერ-ავ-ო, მფრინ-ავ-ი-მფრინ-ავ-ო, მხარჯ-ავ-
ი-მხარჯ-ავ-ო, გამრჩ-ევ-ი-გამრჩ-ევ-ო, გამტკ-ევ-ი-გამტკ-ევ-
ო, გამწ-ევ-ი-გამწ-ევ-ო, მხილ-ავ-ი-მხილ-ავ-ო... საბეჭდ-ავ-ი-
საბეჭდ-ავ-ო, სახატ-ავ-ი-სახატ-ავ-ო, სახაზ-ავ-ი-სახაზ-ავ-ო,
სარჩ-ევ-ი-სარჩ-ევ-ო, საკვლ-ევ-ი-საკვლ-ევ-ო, სამტვრ-ევ-
ი-სამტვრ-ევ-ო... მცურ-ავ-ი-მცურ-ავ-ო, მოკვდ-ავ-ი-მოკვდ-ავ-ო...

ბ). -ვ უნდა შევინარჩუნოთ აგრეთვე -ავ და -ევ სუფიქსიან
ნი ზმნების პირველსა და მეორე პირში აწმყოსა (ახლანდელ-
ლი) და მყოფადის (მომავალი) დროის ფორმებში ფუძის ბო-
ლოს, როცა მას ერთვის სხვათა სიტყვის ო ნაწილაკი, მაგა-
ლითები:

ვბარავ-ვბარავ-ო, ბარავ-ო; დავბარავ-ო, დაბარავ-ო;
ვთესავ- ვთესავ-ო, თესავ-ო; დავთესავ-ო, დათესავ-ო;
ვხედავ- ვხედავ-ო, ხედავ-ო; დავხედავ-ო, დახედავ-ო;
ვლანძღავ-ვლანძღავ-ო, ლანძღავ-ო; ვავლანძღავ-ო,
გალანძღავ-ო;

ვკრძალავ-ვკრძალავ-ო, კრძალავ-ო; ავკრძალავ-ო, აკრძა-
ლავ-ო;

ვმალავ-ვმალავ-ო, მალავ-ო; დავმალავ-ო, დამალავ-ო...

ვამტვრევ-ვამტვრევ-ო, ამტვრევ-ო; დავამტვრევ-ო, დაამტვ-
რევ-ო

ვამჩნევ- ვამჩნევ-ო, ამჩნევ-ო; შევამჩნევ-ო, შეამჩნევ-ო

ვამსხვრევ-ვამსხვრევ-ო, ამსხვრევ-ო, დავამსხვრევ-ო, და-
ამსხვრევ-ო.

ვახვევ-ვახვევ-ო, ახვევ-ო, დავახვევ-ო, დაახვევ-ო.

ვალწევ-ვალწევ-ო, აღწევ-ო, მივალწევ-ო, მიაღწევ-ო...

გ) ზმნის ფუძეში ან ნაზმნარ სახელში ვ შენარჩუნე-
ბულია აგრეთვე თანხმონებს შორის მაშინაც კი, როცა მას
ბაგისმიერი ბგერის შემცველი სუფიქსი მოსდევს: მიწვდ-ომა,
მოკვდ-ომა, შესვდ-ომა... გვხვდება, დამხვდური, მხატვრული...
გაძვრება... დალახვროს... წვრთნის...

დ) ვ შენარჩუნდება -ურ (-ულ) და -ობა სუფიქსების წი-
ნაც: დათვ-ი-დათვ-ურ-ი, ბავშვ-ი-ბავშვ-ურ-ი, პირუტყვ-ი-პი-

რუტყვ-ულ-ი, ჯაჭვ-ი-ჯაჭვ-ურ-ი, ნასკვი-ნასკვი-ურ-ი, რაგვი-რაგვი-ულ-ი, ლიტვი-ალიტვი-ურ-ი, ბრიყვი-ბრიყვი-ულ-ი, გულუხვი-გულუხვი-ობა, თაგვი-თაგვი-ურ-ი, თაგვი-ობა, მორცხვი-მორცხვი-ობა და მისთ.

ვ) ვ რჩება ფუძეში აგრეთვე -ოვან სუფიქსის წინაც, თუ მას წინ რომელიმე თანხმოვანი უძღვის: წიწვი-წიწვი-ოვან-ი, ბეწვი-ბეწვი-ოვან-ი, ძარღვი-ძარღვი-ოვან-ი, მაგრამ რიცხვი-მრავალრიცხვი-ოვან-ი.

ვ) ფუძისეული ვ შენარჩუნებულია აგრეთვე უქონლობის უ-ო, ან დანიშნულების სა-ო აფიქსებით ნაწარმოებ სახელებში:

თავი-უ-თავ-ო, მზითვე-ი-უ-მზითვე-ო, ნავი-უნავ-ო, სხივი-უსხივი-ო, ბავშვი-უ-ბავშვი-ო, დავა-უ-დავა-ო, ქცევა-უ-ქცევა-ო, სიტყვა-უ-სიტყვა-ო...

ზავი-სა-ზავ-ო, ერისთავი-სა-ერისთავ-ო, ნათესავი-სა-ნათესავ-ო, ბავშვი-სა-ბავშვი-ო, ეჭვი-სა-ეჭვი-ო, დავა-სა-დავა-ო, აღრიცხვა-სა-აღრიცხვი-ო... (სამაგიეროდ ვ დაკარგულია ასეთ ფორმებში: საკლავი-სა-საკლა-ო, საფლავი-სა-საფლა-ო, პატივი-სა-პატი-ო, კაცობრივი-სა-კაცობრი-ო, ნაძლევი-სა-ნაძლე-ო...).

ზ) ვ შენახულია ოდნაობითი ფორმების წარმოების დროსაც მო-ო კონფიქსის დართვის შემდეგ: ბეჩავი-მო-ბეჩავ-ო, შავი-მო-შავ-ო, მჭავე-მო-მჭავე-ო.

თ) ვ შენარჩუნებულია ზმნის ფუძეში -ოდ სავრცობისა და II კავშირებითის ო სუფიქსის დართვის დროსაც, თუ ვ ძირეულია და მოსდევს თანხმოვანს, ან ვ სუფიქსისეულია და თანხმოვნებს შორის არის მოქცეული:

ილტვის-ილტვი-ოდ-ა, იწვის-იწვი-ოდ-ა, ეკვრის-ეკვირ-ოდ-ა, იძვრის-იძვირ-ოდ-ა, იღვწის-იღვწი-ოდ-ა... დაისეტყვა-დაისეტყვი-ო-ს, იელვა-იელვი-ო-ს, იცეკვა-იცეკვი-ო-ს, გაიკვირვა-გაიკვირი-ო-ს, დაიბრიყვა-დაიბრიყვი-ო-ს, დააეჭვა-დააეჭვი-ო-ს... (მაგრამ: ებრძვის-ებრძოდა, ესვრის-ესროდა, ეტყვის-ეტყოდა, უძღვის-უძღოდა...).

ი). ვ უნდა იქნას შენარჩუნებული -ევ სუფიქსიან ზმნათა წყვეტილში მრავლობითი რიცხვის III პირში: ერევა-შევირინენ, ესევა-შევირინენ, ეჩევა-შევირინენ, ეწევა-დაეწივნენ, ეხევა-მოეხივნენ.

კ. ვ შენარჩუნებულია წყვეტილის (ნამყო ძირითადის) მხოლოდობითის I-სა და II პირში და მრავლობითი რიცხვის ყველა პირში ზოგიერთ –ობ თემისნიშნიან ზმნაში, მაგრამ ახალ სალიტერატურო ქართულში გეხვდება პარალელური ფორმებიც: დავახრჩვე || დავახრჩე, დაახრჩვე || დაახრჩე, დავახრჩვეთ || დავახრჩეთ, დაახრჩვეს || დაახრჩეს... შევატყვე || შევატყვე, შე-ატყვე || შეატყვე, შევატყვეთ || შეატყვეთ, შეატყვეს || შეატყვეს... ამ ტიპის ზმნათაგან ზოგიერთი თურმეობითი პირველის ფუძეში ვ-ს წარმოაჩენს, ზოგი კი-არა. ამის მაგალითია ორი ზმნა-ვიწყებ და ვაწყობ: ვიწყებ-დავაწყე-დამიწყია, მაგრამ: ვაწყობ-დავაწყვე-დამიწყვია. ასევეა: ვაცხებ-წავაცხე-წამიცხია, მაგრამ: ვაცხობ-დავაცხვე-დამიცხვია. აქ გასათვალისწინებელია –ებ სუფიქსიანია ზმნა, თუ ობ-იანი. ამ უკანასკნელთან ჩნდება ვ: ვატყობ-შევატყვე, შეატყვე, შევატყვეთ, შეატყვეთ, შეატყვეს-შემიტყვია; ვათრობ-დავათვრე, დაათვრე, დავათვრეთ, დაათვრეს-დამითვრია; ვაღხობ-გავაღხვე, გააღხვე, გავაღხვეთ, გააღხვეთ, გააღხვეს-გამიღხვია; ვასობ-დავასვე, დაასვე, დავასვეთ დაასვეთ, დაასვეს-დამისვია; ვაძრობ-დავაძვრე, დააძვრე, დავაძვრეთ, დააძვრეთ, დააძვრეს-დამიძვრია; ვიღრძობ-ვიღრძვე, იღრძვე, ვიღრძვეთ, იღრძვეთ, იღრძვეს-მიღრძვია...

მაგრამ გვაქვს:

განვაგრძობ-განვაგრძე, განმიგრძია;

ვამკობ-შევაამკე, შემამკია(ძე. ქართულში იხმარებოდა- შე-ვაამკვე);

ვაქრობ-ჩავაქრე, ჩამიქრია;

ვაყრდნობ-დავაყრდნე, დამიყრდნია;

ვაშრობ-გავაშრე, გამიშრია;

ვაფრთხობ- დავაფრთხე, დამიფრთხია...

ამგვარი ზმნები სრულად ორთოგრაფიულ ლექსიკონშია აღრიცხული.

ლ). ვ აღდგება –იერ სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვებში: *მშვენ-ივ-ერ-ი>მშვენ-იერ-ი: მშვენ-ივ-რ-ად; *მაგ-ივ-ერ-ი>მაგ-იერ-ი: მაგ-ივ-რ-ად. გვაქვს უვინო ფორმებიც: ბედნიერი-ბედნიერად, წესიერი-წესიერად...

მ). ვ უმეტეს შემთხვევაში შენარჩუნებულია ასეთ ზმნებში:

პოვებს-მოიპოვებს, მოიპოვა, მოიპოვოს (პირველსა და მეორე პირებშიც შენარჩუნებულია ვ. მყოფადი: მოვიპოვებ, მოიპოვებ, მოიპოვებს; წყვეტილი: მოვიპოვე, მოიპოვე, მოიპოვა; II კავშირებითი: მოვიპოვო, მოიპოვო, მოიპოვოს).

ათხოვებს-ათხოვა, ათხოვოს;

აგროვებს-აგროვა, აგროვოს;

დატოვებს-დატოვა, დატოვოს;

ამათ გვერდით გვხვდება ვ დაკარგული ფორმებიც: იმოძრავებს, იმოძრავა, მაგრამ-იმოძრაოს.

ბ). ვ შენარჩუნებულია -ავ და -ევ სუფიქსიანი ზმნების შუალლობით კონტაქტიან ფორმებშიც:

ბედავს-აბედვინებს; ზიდავს-აზიდვინებს; ხატავს-ახატვინებს; ხევს-ახევინებს; კლავს-აკვლევინებს;

ხნავს-ახვნევინებს; ღებავს-აღებვინებს...

ამცვრევს-ამცვრევივინებს; არკვევს-არკვევივინებს; ანჯღრევს-ანჯღრევივინებს; ანთხევს-ანთხევივინებს; არწევს-არწევივინებს; არხევს-არხევივინებს არჩევს-არჩევივინებს...

ასევე ვ დაცულია ზმნათა ასეთ ფორმებშიც: ა-კვირვებს, ა-ცეკვებს, ა-ნახვებს, ა-ქარვებს, ა-ღელვებს, უჭირვებს და მისთ. მაგრამ ვ დაკარგულია: ბრწყინავს-აბრწყინებს, გორავს-აგორებს, ცურავს-აცურებს, ბრუნავს-აბრუნებს...

ო). პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ- შენარჩუნებული უნდა იყოს ყველა შემთხვევაში, ვ-ს, თ-სა და უ-ს წინაც კი, სადაც იგი არ ისმის. უნდა ვთქვათ და ვწეროთ: ვ-უთხარი, ვ-უყვარვარ, ვ-ოცნებობ, და-ვ-ობლდი, გა-ვ-ოცდი, ვ-ვარჯიშობ, ვ-ვარცხნი, ვ-ვარდები, ვ-ვითარდები, ვ-ვარგივარ და მისთ. ვ- შენარჩუნებული უნდა იყოს აგრეთვე ვ ბგერით დაწყებული ზმნების I თბიექტური პირის მრავლობით რიცხვშიც: გაგვეარდნია (ჩვენ ის), შეგვეაჭრებია (ჩვენ ის), შეგვეედრებია (ჩვენ ის), დაგვეარცხნია (ჩვენ თმა)... სადაც ორი ვ იყრის თავს.

პ) ე ან თ ხმოვნებით დაბოლოებული ფუძეებიდან მე-ე, სა-ე, სი-ე აფიქსებით სიტყვათწარმოებისას ფუძისეულ და სუფიქსისეულ ხმოვნებს შორის ჩნდება ვ თანხმოვანი: ტყე-მე-ტყე-ვ-ე, რძე-მე-რძე-ვ-ე, სა-რძე-ვ-ე, ეზო-მე-ეზო-ვ-ე, სა-ეზო-ვ-ე, კობტა-სიკობტა-ვ-ე, ბრმა-სი-ბრმა-ვ-ე, სუფთა-სი-სუფთა-ვ-ე, ფართო-სი-ფართო-ვ-ე, ვიწრო-სი-ვიწრო-ვ-ე, ახლო-სი-ახლო-ვ-

ე. მაგრამ უ ბოლოხმოვნიან სახელთაგან ნაწარმოებ ზმნურ ფუძეებში ვ არ გვექნება: ყრუ-სიყრუე, ცრუ-სიცრუე.

ჟ). ვ ჩნდება აგრეთვე ე-ზე დაბოლოებულ სახელთა ფუძეებისაგან ზმნის წარმოებისას ყველა დროსა და კილოში და რჩება ყველგან, გარდა II კავშირებითისა:

ხე: ა-ხე-ვ-ებ-ს, ა-ხე-ვ-ებ-დ-ა, ა-ხე-ვ-ებ-დ-ეს, გა-ა-ხე-ვ-ებ-ს, გა-ა-ხე-ვ-ებ-დ-ა, გა-ა-ხე-ვ-ა, გა-უ-ხე-ვ-ებ-ი-ა, გა-ე-ხე-ვ-ებ-ი-ნ-ა, გა-ე-ხე-ვ-ებ-ი-ნ-ო-ს, მაგრამ: გა-ა-ხე-ო-ს.

ტყვე: ა-ტყვე-ვ-ებ-ს, ა-ტყვე-ვ-ებ-დ-ა, ა-ტყვე-ვ-ებ-დ-ეს, და-ა-ტყვე-ვ-ებ-ს, და-ა-ტყვე-ვ-ებ-დ-ა, და-ა-ტყვე-ვ-ა, და-უ-ტყვე-ვ-ებ-ი-ა, და-ე-ტყვე-ვ-ებ-ი-ნ-ა, და-ე-ტყვე-ვ-ებ-ი-ნ-ო-ს, მაგრამ: და-ა-ტყვე-ო-ს;

მხნე: ა-მხნე-ვ-ებ-ს, ა-მხნე-ვ-ებ-დ-ა, ა-მხნე-ვ-ებ-დ-ეს, გა-ა-მხნე-ვ-ებ-ს, გა-ა-მხნე-ვ-ებ-დ-ა, გა-ა-მხნე-ვ-ა, გა-უ-მხნე-ვ-ებ-ი-ა, გა-ე-მხნე-ვ-ებ-ი-ნ-ა, გა-ე-მხნე-ვ-ებ-ი-ნ-ო-ს, მაგრამ გა-ა-მხნე-ო-ს.

ამავე ზმნათა ვნებითის ფორმებშიც შენარჩუნებულია ვ: ხევდება, ტყვედება, მხნედება. აქ იგი ყველა მწკრივშია წარმოდგენილი, გარდა II სერიის კავშირებითისა. მხნე: ა-

მხნე-ვ-ებ-ს, ა-მხნე-ვ-ებ-დ-ა, ა-მხნე-ვ-ებ-დ-ეს, გა-ა-მხნე-ვ-ებ-ს, გა-ა-მხნე-ვ-ებ-დ-ა, გა-ა-მხნე-ვ-ა, გა-უ-მხნე-ვ-ებ-ი-ა, გა-ე-მხნე-ვ-ებ-ი-ნ-ა, გა-ე-მხნე-ვ-ებ-ი-ნ-ო-ს, მაგრამ გა-ა-მხნე-ო-ს.

რ). ვ ჩნდება ისეთ ა-ზე დაბოლოებულ სახელთაგან ნაწარმოებ ზმნებში, რომელთა ამოსავალი ზმნის წარმოებისას ა არ იკვეცება, მაგ.:

ქირა: ი-ქირა-ვ-ებ-ს, ი-ქირა-ვ-ებ-დ-ა, ი-ქირა-ვ-ებ-დ-ეს, და-ი-ქირა-ვ-ებ-ს, და-ი-ქირა-ვ-ებ-დ-ა, და-ი-ქირა-ვ-ა, და-უ-ქირა-ვ-ებ-ი-ა, და-ე-ქირა-ვ-ებ-ი-ნ-ა, და-ე-ქირა-ვ-ებ-ი-ნ-ო-ს, მაგრამ- და-ი-ქირა-ო-ს. ასევე იქნება: გირა-ა-გირა-ვ-ებ-ს, ბინა-ა-ბინა-ვ-ებ-ს და მისთ. მაგრამ ვ არ განვითარდება იმ შემთხვევაში, თუ საყრდენ ფუძეში იკვეცება ა: შეშა-ა-შეშ-ებ-ს და არა ა-შეშ-ა-ვ-ებ-ს და მისთ. ასევე, ვ არ გვექნება იმ შემთხვევაშიც, თუ ზემომოყვანილი რომელიმე სახელური ფუძისაგან ა-ს შეკვეცით იქნება ნაწარმოები ზმნები: მონა-ი-მონ-ებ-ს, და-ი-მონ-ებ-ს, და-ი-მონა, და-უ-მონ-ებ-ი-ა, და-ე-მონ-ებ-ი-ნ-ა, და-ე-მონ-ებ-ი-ნ-ო-ს და მისთ.

ს). ო-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას ვ ჩნდება მხოლოდ წყვეტილში: ჯილდო-და-ა-ჯილდო-ვ-ა (ყვე-

ლა პირში და რიცხვში ვ წარმოდგენილია). ასევე ვ წარმოდგენილია ვნებითის ფორმებში I და II სერიის ყველა მწკრივში, III სერიის მწკრივებში კი არა: ჯილდო-ჯილდო-ფ-დ-ებ-ა, ჯილდო-ფ-დ-ებ-ო-დ-ა, ჯილდო-ფ-დ-ებ-ო-დ-ეს, და-ჯილდო-ფ-დ-ა, და-ჯილდო-ფ-დ-ეს.

ტ). უ-ზე დაბოლოებულ სახელურ ფუძეთაგან მოქმედებითი გვარის ზმნების წარმოებისას ვ არსად არ გვხვდება: ყრუ: ა-ყრუ-ებ-ს, ა-ყრუ-ებ-დ-ა... მაგრამ ყველგანაა ვნებითის ფორმებში გარდა III სერიის მწკრივებისა: ყრუ-ფ-დ-ებ-ა, ყრუ-ფ-დ-ებ-ო-დ-ა, და-ყრუ-ფ-დ-ებ-ა, და-ყრუ-ფ-დ-ებ-ო-დ-ა, და-ყრუ-ფ-დ-ებ-ო-დ-ეს, და-ყრუ-ფ-დ-ა, და-ყრუ-ფ-დ-ეს. სახელზმნებში კი ვ აღარ ჩანს: და-ყრუ-ებ-ა, და-ყრუ-ებ-ულ-ი, და-სა-ყრუ-ებ-ელ-ი, და-მა-ყრუ-ებ-ელ-ი და ა. შ.

2) ვ ბგერა იკარგება: ა) იმ შემთხვევაში თუ -ობა სუფიქსი დაერთვის ვ ბგერით გათავებულ ფუძეს და ამ ვ-ს წინ თანხმოვანი არ უძღვის, მაგ.:

ბედშავ-ობა, ნათესავ-ობა, გამბედავ-ობა, სანახავ-ობა, საცოდავ-ობა, უნახავ-ობა, შესახედავ-ობა, ნარგავ-ობა, ნაძალადევ-ობა, პარასკევ-ობა... მაგრამ ვ რჩება ფუძეში-ერისთავ-ობა, მოურავ-ობა. ასევე იკარგება -ობა სუფიქსის დართვისას -ივ ფორმანტის ვ და გვაქვს ივ+ობა>ობა-ს: კაცობრივ-ობა, საზოგადოებრივ-ობა, ბუნებრივ-ობა, კლასობრივ-ობა, წოდებრივ-ობა... მაგრამ ზოგჯერ ვ დაცულია: მრავალმხრივ-ობა, მუდმივ-ობა, ცალმხრივ-ობა, ხანგრძლივ-ობა...

ვ დაცულია აგრეთვე -ივ ბოლოსართიან სიტყვებში: აქტივ-ობა, ინტენსივ-ობა, პასივ-ობა, უპერსპექტივ-ობა და მისთანანი. მაგრამ ვ იკარგება თუ ასეთ ფუძეებს -ურ სუფიქსი დაერთვის: აქტიური, პასიური, ინტენსიური და მისთ.

ბ) წარსული დროის -ავ და -ევ სუფიქსიანი ზმნებისაგან ნაწარმოებ მიმდროების ფორმებში ვ ყოველთვის იკარგება:

ხატავ-ს-დახატული, მაღავ-ს-დამაღული, პარ-ავ-ს-მოპარული, ქარგ-ავ-ს-მოქარგული, კლ-ავ-ს-მოკლული, ფარ-ავ-

ს-დაფარული, დებ-ავ-ს-შედებილი, ხრ-ავ-ს-დახრული, ბარ-ავ-ს-დაბარული... აქც-ევ-ს-წაქცეული, დახ-ევ-ს-დახეული, არბ-ევ-ს-დარბეული, არხ-ევ-ს-დარხეული, აზღვ-ევ-ს-დაზღვეული, აცმ-ევ-ს-ჩაცმული, ახვ-ევ-ს-დახვეული და სხვა.

გ) ბოლოკიდური ვ ბგერა ყოველთვის იკარგის -ოდ სავრცობიან ფორმებში (უწყვეტლის, I კავშირებითისა და III კავშირებითის მწკრივებში):

ყივის-ყიოდა, ყიოდეს

ჩივის-ჩიოდა, ჩიოდეს

წივის-წიოდა, წიოდეს

ბღავის-ბღაოდა, ბღაოდეს

კნავის-კნაოდა, კნაოდეს

ყვავის-ყვაოდა, ყვაოდეს

ჭყავის-ჭყაოდა, ჭყაოდეს

ერევა-ერეოდა, ერეოდეს, ჩაერეოდა, ჩაერეოდეს

ერკვევა-ერკვეოდა, ერკვეოდეს, გაერკვეოდა, გაერკვეოდეს

ენვევა-ენვეოდა, ენვეოდეს, შეენვეოდა, შეენვეოდეს,

შენვეოდა, შეენვეოდეს

ესევა-ესეოდა, ესეოდეს, შეესეოდა, შეესეოდეს, შესეოდა,

შესეოდეს

იბნევა-იბნეოდა, იბნეოდეს, დაიბნეოდა, დაიბნეოდეს,

ინგრევა-ინგრეოდა, ინგრეოდეს, დაინგრეოდა, დაინგრეოდეს, დანგრეოდა, დანგრეოდეს

ირხევა-ირხეოდა, ირხეოდეს, შეირხეოდა, შეირხეოდეს,

შერხეოდა, შერხეოდეს

ეწვევა-ეწვეოდა, ეწვეოდეს, სწვეოდა, სწვეოდეს

ეწვევა-ეწვოდა, ეწვოდეს

ეხვევა-ეხვეოდა, ეხვეოდეს, დაეხვეოდა, დაეხვეოდეს, დახვეოდა, დახვეოდეს

ერთვის-ერთოდა, ერთვოდეს, ერთოდეს, დაერთოდა, დაერთოდეს, დართოდა, დართოდეს....

ზოგიერთ ფუძეში ვ სემანტიკურ სხვაობას იწვევს, მაგ: პატიება და გაპატიება სხვადასხვა მნიშვნელობას აღნიშნავს, ასევეა, შეცივება და შეციება მაგ: აცივებს წყალს და აციებს ადამიანს (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები).

სავარჯიშო 1. პარალელურ ფორმათაგან შეარჩიეთ სწორი:

აწესებს||ამწესებს, გააწესა||გაამწესა, გააწესებს||გაამწესებს, აბეზარი||მაბეზარი, ტუტიანი||მტუტიანი, შემოქმედი||შემომქმედი, ჩვარი||ჩვარი, ცვრიანი||მცვრიანი, წაგებიანი||წამგებიანი, ჭვარტი||მჭვარტი, გაჭვარტლული||გამჭვარტლული, თვითმოქმედი||თვითმომქმედი, მომგებიანი||მოგებიანი, მომქმედი||მოქმედი, მომშივება||მოშივება, მოშივებული||მომშივებული, მომცინარი||მომცინარი, გამოემცნა||ურება||გამოემცნა||ურება, უმფროსი||უფროსი, უმფროსობა||უფროსობა, უმფრო||უფრო, მხვედრი||ხვედრი, მისრა-მოსრა||მისხრა-მოხრა, სათვითაოდ||სათითაოდ, სინდისი||სინდისი, მტყუანი||მტყუვანი, მძოვრი||მძორი, დაისიძავებს||დაისიძებს, უტყუარი||უტყუვარი... უვითარებს||უწვითარებს, ჰგვანდა||ჰგავდა, მოწვეა||მოწვენა, მწოვნელი||მწოველი, სულიწმინდა||სულიწმიდა, უპოვნის||უპოვის, იდაყვი||ინდაყვი||ინდაყვი, იშოვნის||იშოვის, ინჯრა||ინჯრა, მორევა||მორევა, დაყავდა||დაჰყავდა... დაჰყავდა...

სავარჯიშო 2. შეარჩიეთ სწორი ფორმები და შეადგინეთ წინადადება ქვემოთ მოყვანილი სიტყვებისაგან: ბრდღვნა, მოწვევა, მწოველი, უანგარიშოა, აურწყავს, კამბეჩი, ნაამაგარი, საშვილისშვილო, იღწვის...

სავარჯიშო 3. მოძებნეთ შეცდომები და გაასწორეთ:

1. დედამიწის ცხელი პირი ხმელეთის ჰაერს აცხელებს და ასუბუქებს(ი. გოგებს.); 2. ერთ საღამოს ასმათს ჰყავდა ოთარი და მისი აფსონები დაპატიუებული (გ. წერეთ.); 3. ლუარსაბი იყო მეტად ტლანქი, დარგვალეული ბურთივით (ეკ. გაბ.); 4. ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავსო (ანდაზა); 5. არა, არ ვუქებ ვაჟაკსა კაცთა მუსრვას და ომსაო (ილია); 6. ორ ახალგაზრდა მფრინველს ჯვარსა სწერდა მცხოვანი ჩხიკვი თომა (ვაჟა).

სავარჯიშო 4. გაასწორეთ უმართებულო ფორმები:

1. იემო თაო, ბედი არ გიწერია; 2. წაკითხული მაქ „უთაო მხედარც“; 3. ჩემო მფრინავო, ნუ შეშიდები; 4. გულთამხილაო, მიხსენ განსაცდელისაგან! 5. მუდამ ვბარავ და ვთესო,-აცხა-

დებს გაბრო; 6. დამხდურს მოეთხოვება პასუხისმგებლობა; 7. უდაოა, სამშობლოს სიყვარული მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანშია; 8. ცას მოშაო ღრუბლები გადაეკრა; 9. მთვარე ადგილიდან არ იძროდა.

თ) ბგერათა შერწყმა

ზოგჯერ ორი ბგერის შეერთებით ვლენულობთ ერთს. ამ მოვლენას ბგერათა შერწყმა ეწოდება. მაგალითად:

აუო: დედაუფალიდელოფალი...

ვაო: გვარიგორი, კვამლიკომლი...

უავავ: თუალითვალითოლი, ცხურიცხეარიცხორი...

სალიტერატურო ენა ასეთ შერწყმას გაურბის, მაგრამ მაინც ხდება: კვამლიკომლი; რა გუარირაგორიროგორი (ასიმილაციით).

თანხმოვანთა შერწყმის შესწავლისას გასათვალისწინებელია აფრიკატი თანხმოვნების შედგენილობის ცოდნა. ქართულში ექვსი აფრიკატია, რომელნიც რთული შედგენილობისაა, ესენია: ძ = დ+ზ; წ = ტ+ს; ც = თ+ს; ჯ = დ+ჭ; ჭ = ტ+შ; ჩ = თ+შ.

ცამეტი მიღებულია ათსამმეტი'საგანთსამმეტიცამეტი; ათშეიდმეტითშეიდმეტით

ჩეიდმეტი...

სასაუბრო ენაში ხშირია ბგერათა შერწყმის მაგალითები.

მაგ.: სიტყვა ხუთშაბათს გვესმის როგორც ხუჩაბაც (თშჩ; თსც).

ი). ბგერითი ანალოგია

ანალოგია ეწოდება რაიმე ფორმის გაჩენას სხვა ფორმის მიმსგავსებით (ა. შანიძე). ანალოგია შეიძლება მოხდეს ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში. ერთი სიტყვით, ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე.

გვაქვს ძირი ფრ, რომლისგანაც მიღებულია ფრ-იად-ი. ამავე ძირს გამოყოფენ უფროს'ში. ამ უკანასკნელის ანტონიმია უმცროსი, რომელიც მიღებულია სიტყვისაგან მცირე. უმცროსის ანალოგიით მ გაჩენილა უფროს'შიც(უმფროსი).

ახალ ქართულში ქვემოდან ზემოთ მიმართულებას აღნიშნავს ა ზმნისწინი: ავიდა, აიტანა, აირბინა, ააგდო... ამოსავალი ფორმაა აღ, რომელიც ზოგიერთ სიტყვაში დღემდე შემოგვრჩა მაგ.: აღ-მართი, რომლის ანალოგიით დ გაჩენილა და-ღ-მართ"შიც (და-მართ-ი).

ქართულში გვაქვს უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები არ(ა) და ნუ. მათი ვინ ნაცვალსახელთან შეერთებით მიღებულია: არავინ, ნუვინ. მაგრამ არავინ'ის ანალოგიით რა გაჩენილა ნუვინ"შიც-ნურავინ.

§5. უცხო სიტყვათა გადმოცემის ზოგიერთი წესი ქართულში

ა) უცხო ენებიდან შემოსული სიტყვები, რომლებშიაც მსესხებულ ენაში ჰ იწერება, ქართულშიც ჰ ბგერით უნდა გადმოიცეს: ჰალუცინაცია, აბსტრაქცირება, ალკოჰოლი, ბეჰემოთი, ნიჰილიზმი, ჰაინე, ჰაიმორიტი, ჰალსტუხი, ჰამაკი, ჰანიბალი, ჰარმონია, ჰეგემონია, ჰერაკლე, ჰერბარიუმი, ჰექტარი, ჰიგიენა, ჰოსპიტალი, ჰუმანიზმი, ჰონორარი...

შეცდომაა: აბსტრაგირება, ალკოგოლი, ალკოგოლიკი, ბეგემოტი, ნიგილიზმი, გაიმორიტი...

ბ). თუ მსესხებულ ენაში გ არის, ქართულშიც გ უნდა ვიხმაროთ: განგსტერი, გარიბალდი, გარნიტური, გასტროლი, გენია, გენიოსი, გერცენი, გილიოტინა და სხვ.

შეცდომაა: ჰანგსტერი, ჰარიბალდი, ჰიბრალტარი...

გ). ქართულში თ იწერება იმ სიტყვებში, რომელთაც მსესხებულ ენაში თ აქვთ: ათლეტი, ანტიპათია, აპათია, ბიბლიოთეკა, ეთიკა, ეთნოგრაფია, ენთუზიაზმი, ეპითეტი, ესთეტიკა, თეოლოგია, თეორია, თერაპია, ლაბირინთი, მიზანთროპი, ნევროპათია, ორთოდოქსი, პათოლოგია, სიმპათია, ფილმოთეკა, ქრესტომათია და სხვ.

შეცდომაა: ატლეტი, ანტიპატია, აპატია, ბიბლიოტეკა, ეტიკა და მისთ.

დ) მაგრამ თუ მსესხებელ ენაში ტ იწერება ქართულში-
აც ტ'თი უნდა გადმოიცეს: აბიტურიენტი, ადაპტაცია, არმა-
ტურა, ასტეროიდი, ეტიკეტი, კატალოგი, მეტანსტაზი, მეტონი-
მია, პლატფორმა პორტფელი, ტერმინი და სხვ.

შეცდომა: აბითურიენტი, ადაპთაცია, არმათურა(ან აღმა-
თურა), ასთეროიდი და მისთ.

ე) თუ ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა ამო-
სავალ ფორმაში ხ გვაქვს, ქართულში გადმოტანისას ქ უნდა:
ანარქია, არაქისი, არქაიზმი, არქეოლოგია, არქივი, არქივა-
რიუსი, არქიპელაგი, არქიტექტორი, აქილევსი, ბრონქი, დიაქ-
რონია, იერარქია, მელანქოლია, მექანიზმი, მონარქია, ოლი-
გარქია, პატრიარქი, სინქრონია, სტიქია, სქემა, სქოლიო, ტექ-
ნიკა, ფსიქიატრი, ფსიქიკა, ქარტია, ქაოსი, ქირურგი, ქლორი,
ქრონიკა...

შეცდომა: ანარხია, არახისი, არხაიზმი, არხეოლოგია და
მისთ.

ვ). გერმანული ენიდან ნასესხებ სიტყვებში, რომლებიც ei
დიფთონგს შეიცავენ, ქართულად დაიწერება არა ეი, არამედ
აი: აინშტაინი, ბალეტმაისტერი, კონცერტმაისტერი, ლაიბნი-
ცი, ლაიპციგი, პოლიცმაისტერი, რაიხსკანცლერი, რაიხსტაგი,
ცაიტნოტი, ცვაიგი, ჰაინე და მისთ. შეცდომა: ეინშტეინი,
ბალეტმეისტერი, რეიხსტაგი და მისთ.

აღნიშნულ წესს არ ემორჩილება სიტყვები, რომლებიც
გერმანულიდან რუსულის გავლით შემოსულა ქართულში,
ასეთებია: ბრონშტეინი, ეიზენშტეინი, ეიხენბაუმი, ეიხენვალ-
დი, რუბინშტეინი და სხვ.

ზ). ქართულში რუსულის გზით შემოსულია რამდენიმე
ათეული სიტყვა, რომელთაც რუსულ დაწერილობაში **ПЯ** მო-
უღით, მაგრამ ქართულში ლა-თი უნდა ვწეროთ: აკუმულა-
ტორი, აპელაცია, არტიკულაცია, ასიმილაცია, დისიმილაცია,
ვენტილატორი, იზოლატორი, იზოლაცია, ინფლაცია, იუბილა-
რი, კალკულატორი, კანცელარია, კაპილარი, კაპიტულაცია,
კორელატი, ლაფსუსი, მაღარია, მანიპულაცია, პლაჟი, პოპუ-
ლარიზაცია, პოპულარობა, ჟესტიკულაცია, რეგულატორი,
რელაცია, სიმულანტი, სპეკულანტი, ტრანსლაცია, ფორმუ-
ლარი, ფუტლარი, ცირკულაცია...

შეცდომა: აპელიაცია, აკუმულიატორი, ასიმილიაცია, ეგზემპლიარი, ფუტლიარი და მისთ.

თ) რუსული ენის გზითვე შემოსული სიტყვები, რომლებსაც რუსულში **ΠΙΟ** მოუდით, ქართულში ღუ-თი გადმოიცემა: აბსოლუტი, აგლუტინაცია, აღუშინი, გლუკოზა, ევოლუცია, ვალუტა, ილუზია, ილუსტრაცია, ლუსტრა, ლუქსემბურგი, ლუქსი, ლუციფერი, მოლუსკი, პლურალიზმი, პლუსი, რე-ვოლუცია, სალუტი, ცელულოზა, ჰალუცინაცია და სხვ.

შეცდომა: აბსოლიუტური, აგლიუტინაცია, ალიუშინი, გლიუკოზა, ევოლიუცია და მისთ.

ი) რუსულის გზით ქართულში შემოსულ უცხო სიტყვებს, რომელთაც რუსულ ენაში **КЗ** აქვთ ქართულში გზ ექნებათ: ეგზარქოსი, ეგზეკუტორი, ეგზეკუცია, ეგზემა, ეგზემპლარი, ეგზოტიკა და სხვ.

შეცდომა: ეკზემპლარი, ეკზემა, ეკზეკუცია და მისთ.

კ) ლათინურიდან მომდინარე **qu** კომპლექსის შემცველი სიტყვები ქართულში გადმოიცემა კვ კომპლექსით: ადეკვატი, აკვარელი, აკვარიუმი, ანტიკვარი, ეკვატორი, ეკვივალენტი, კვადრატი, კვალიფიკაცია, კვრტალი, კვარტეტი, კვორუმი, ლიკვიდაცია, რეკვიზიტი, რელიკვია და სხვ.

შეცდომა: ადეკვატური, ანტიკვარი, რელიკვია, ეკვივალენტი და მისთ.

ლ) **kt** კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვები ქართულში გადმოიცემა ქტ კომპლექსით: აბსტრაქტული, ანტარქტიკა, არქიტექტონიკა, არქიტექტორი, არქტიკა, ასპექტი, აფექტი, აქტი, აქტივი, აქტიორი, ბაქტერია, გალაქტიკა, დეტექტივი, დიალექტი, დიალექტიკა, დირექტივა, დიქტატი, დიქტორი, დოქტრინა, ელექტრონი, ელექტრონი, ეფექტი, ინდუქტორი, ნინფარქტი, ისპექტორი, კაქტუსი, ობიექტი პაქტი, რეაქტივი, სექტა, სპექტრი და ა.შ.

შეცდომა: ანტრაქტი, არქიტექტორი, არქტიკა, აფექტი, გალაქტიკა და ა. შ.

მ) **kc** კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვები ქართულში ქც-თი გადმოიცემა: აბსტრაქცია, ატრაქციონი, აუქციონი, აქცენტი, აქცია, აქციონერი, დეფუქცია, ინდუქცია, ინფექცია, დიქცია, ვაქცინა, ლექცია, პროდუქცია, რედაქცია, რედუქცია,

სანქცია, სექცია, სელექცია, ფიქცია, ფრაქცია, ფუნქცია და სხვა.

შეცდომა: ატრაქციონი, აკცენტი, დიკცია, ინსპექცია და მისთ.

ბ) **ps** კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვები ქართულში გადმოიცემა ფს კომპლექსით: აპოკალიფსი, ელიფსი, ეპილეფსია, კაფსული, ლაფსუსი, პეფსინი, რაფსოდია, ფსევდონიმი, ფსიქიატრი, ფსიქიკა, შტეფსელი და სხვა.

შეცდომა: აპოკალიპსი, ელიპსი, ეპილეპსია, კაპსული და მისთ.

გ) **ks** კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვები ქართულში გადმოიცემა კს კომპლექსით: ანექსია, ასფიქსია, აფიქსი, აქსესუარი, აქსიომა, ბოქსი, ექსკავატორი, ექსკურსია, ექსპერიმენტი, ექსპანსია, ექსპედიტორი, ვექსილი, ინდექსი, ინფიქსი, იქსი, კექსი, პრეფიქსი, რეფლექსი, სინტაქსი, ტაქსი, ტექსტი, ფენიქსი, ფლექსია და სხვ.

დ) **pc** გადმოიცემა ფც კომპლექსით: კონცეფცია, კორუფცია, ლაიფციგი, პერცეფცია და მისთ.

ე) რუსული და სხვა ენებიდან რუსულში შემოსული **ჭ**-ს შემცველი სახელები ქართულში გადმოიცემა იო კომპლექსით: აქტიორი, ბოქსიორი, ბუდიონი, გასტროლიორი, გრავიორი, გრიმიორი, კოვალიოვი, მოროდიორი, მონტიორი, პოზიორი, ჟონგლიორი, ფრაზიორი და ა.შ. ხოლო **ჯ, შ, ყ**-ს შემდეგ ქართულში **ჭ**-ს შემდეგ იწერება **ო**: ჟოლტაია (მდინარის სახელია, გვარიც), ჩორნი რინოკი (ადგილის სახელია) და სხვ.

ვ) რუსულში **-იროვ** სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვათა უმეტესობას ქართულში გადმოჰყვება ამ სუფიქსისეული **ირ** ნაწილი და გვაქვს ასეთი ფორმები: **ანнексировать**-ანექსირება, **апробировать**-აპრობირება...ანალოგიური გზითაა მიღებული: ასიმილირება, გაზიფიცირება, დეკლამირება, დემონსტრირება, დიფერენცირება, დოზირება, დომინირება, დუბლირება...

ზ) **-იროვ** სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვათა მეორე ნაწილი ქართულში ჩვენი ენის მორფოლოგიური საშუალებებით გადმოიცემა, ჩაგდებულია დასახელებული სუფიქსის **ირ** ნაწილი და ნაწარმოებია ნასახელარი ზმნა, ამ უკანასკნელ-

ლისაგან კი-საწყისი: **анализировать**- ანალიზი>ა-ანალიზ-ებ-ს>გა-ანალიზ-ებ-ა. ამავე წესით არის ნაწარმოები ფორმები: **балзамировать**-ბალზამი>აბალზამებს>დაბალზამება, **консервировать**-კონსერვი>აკონსერვებს>დაკონსერვება, **пломбировать**-პლომბი>პლომბავს>დაპლომბვა...

ტ) **-изировать** და **-изовать** სუფიქსებით ნაწარმოებ სიტყვებს ქართულში გადმოჰყვება სუფიქსისეული **-из** და გვაქვს ასეთი ფორმები: დეტალიზება, იმპროვიზება, ლეგალიზება, მოდერნიზება, ორგანიზება, ლოკალიზება, მობილიზება, პარალიზება, სტერილიზება და სხვა (გ. შალამბერიძე).

უ) ბერძნულიდან და ლათინურიდან ქართულში შემოსულ სიტყვებში უნდა დაიწეროს ქ და არა ხ: არქაიზმი, არქეოლოგია, არქიმედე, ბრონქი, იქთიოლოგია, პოლიტექნიკური, სტიქიური, ტექნიკა, ტექნიკუმი, ფსიქიკა, ქრონიკა, ქრონოლოგია და სხვ.

შეცდომაა: არხაიზმი, ბრონხი, არხიტექტურა, ტეხნიკა, ფსიხიკა და მისთ.

ფ) თ უნდა დაიწეროს ბერძნულიდან და ლათინურიდან შემოსულ სახელებში, რომელთაც მსესხებულ ენაში თ აქვთ, ხოლო როცა ბერძნულ-ლათინურში ტ არის, ასეთი სიტყვა ქართულშიც ტ-თი უნდა გადმოიცეს. ამის მიხედვით ქართულში თ იწერება შემდეგ სიტყვებში: ათეისტი, ანთოლოგია, ანთროპოლოგი, აპათია, არითმეტიკა, ეთერი, ეპითეტი, თეზისი, თეოლოგია...

ტ-თი უნდა გადმოიცეს შემდეგი სიტყვები: ატროფია, ეტიმოლოგია, კატეგორია, კლიმატი, ონტოლოგია, ტელეგრაფი, ტერორი, ტიფი, ფოტოგრაფია...

ქ) რუსულის გზით შემოსულ **ея**-ზე დაბოლოებული სიტყვები ქართულში უნდა გადმოიცეს ეა-თი: ასამბლეა, ბაკალეა, ბატარეა, გალერეა, იდეა,ეპოპეა, პანაცეა, ტრაქეა, ორქიდეა, ფსიქეა, იუდეა...საკუთარი სახელები უნდა დარჩეს ამგვარად: პელაგია ...

ღ) უცხოური სიტყვები, რომელთაც რუსულში **-ся** დაბოლოება აქვთ, ქართულში ორგვარი სახით დამკვიდრდა: I. ასეთ სიტყვათა უმრავლესობა უცვლელად შემოვიდა -ა დაბოლოებით და ა-ზე გათავებული ფუძეკვეცადი სახელების

რიგში ჩადგა: ბაზა-ბაზ-ის, ბაზ-ით, ბაზ-ად, ბაზ-ები-ი...ლამპა-
ლამპ-ის, ლამპ-ით, ლამპ-ები-ი...II. ზოგ ასეთ სახელს მოეკვეცა
ბოლოკიდური ა და თანხმოვანფუძიან სახელებს გაუთანაბრ-
და, ასეთებია: გაზეთი, პაპიროსი, კატლეტი, ციფრი, პუდრი
და სხვ. თუმცა პარალელური ფორმებითაც შეიძლება შეგვხვ-
დეს: ბომბაქრომბი, გრანატა|გრანატი, ფანერა|ფანერი, ციტა-
ტა|ციტატი და სხვა. ლექსიკონებშიც სხვადასხვა დაბოლოე-
ბით შეაქვთ. მათემატიკურ ტერმინოლოგიაში კი ამგვარი
სიტყვები უფრო ა-მოკვეცილი იხმარება: ამპლიდუტი, ბისექ-
ტრისი, მედიანი, ორბიტი, პრიზმი, პლანეტი, პიპერბოლი, პი-
პოთეზი და მისთ.

ანალოგიური პარალელური ფორმები საკუთრივ ქართულ
სიტყვებსაც მოეპოვებათ, მაგრამ უფრო გაბატონებული ჩანს
ა ბოლოხმოვნიათი სახელები: ძალა|ძალი, მელა|მელი, კალა-
თა|კალათი, წიფელა|წიფელი...

ქამდენად, **ა**-ზე დაბოლოებული რუსულის გზით შემოსუ-
ლი უცხო წარმოშობის სიტყვები ქართულში უნდა გადმოი-
ცეს 1. -ა დაბოლოებით: აბსცისა, ამპულა, ანკეტა, ანტენა,
აორტა, ბაცილა, ბლოკადა, კაბინა...2. გამონაკლისის სახით
თანხმოვანფუძიანებად უნდა დარჩეს: გაზეთი, ციფრი, კატ-
ლეტი, პაპიროსი, პაპი, ვახტი, შახტი, ზამში, იოტი, როზგი
და მისთ.

სავარჯიშო: გაარკვიეთ, რომელია სწორი და არასწორი
ფორმები:

არქივარიუსი|არხივარიუსი, ეხოქეო, რახიტი|რაქიტი, ხო-
ლერაქოლერა, ტეხნიკური|ტექნიკური, ფსიხიკა|ფსიქიკა, ოქ-
ტავა|ოქტავა, არტიმია|ართიმია, ტრომბიო|ტრომბი, გალსტუ-
კი|გალსტუხი, გოსპიტალი|გოსპიტალი, პილზი|პილზა, ეგზო-
ტიკა|ექსოტიკა, ეკვივალენტი|ექვივალენტი, არხაიზმი|არქაიზ-
მი, სიმპატია|სიმპათია, ეტიკეტი|ეთიკეტი, ფსიქოპატი|ფსიხო-
პათი, ლოლიკა|ლოგიკა, ტრადედი|ტრადედი, ეპოპეია|ეპოპეა,
ქვორუმი|კვორუმი, კაპელმეისტერი|კაპელმაისტერი, ვაიმა-
რიევიმარი, მოდულია|ციამოდულია, პლიაჟი|პლაჟი, რეგუ-
ლიარული|რეგულარული, აბსოლიუტიზმი|აბსოლუტიზმი, ევო-
ლიუცია|ევოლუცია, ადექვატური|ადეკვატური, რელიქვია|რე-
ლიკვია, აკცია|აქცია, პეპსინი|პეფსინი, ლაიპციგი|ლაიფციგი...

თავი III. მორფოლოგია

მორფოლოგია შეისწავლის სიტყვას ფორმის თვალსაზრისით.

ენაში არსებულ ყველა სიტყვას ყოფენ ჯგუფებად, რომელთაც მეტყველების ნაწილებს უწოდებენ. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ათი მეტყველების ნაწილია. ესენია:

არსებითი სახელი (აღნიშნავს საგანს და მოგვიგებს კითხვებზე: ვინ? რა? კაცი, ბავშვი, ცხენი, ქალაქი, მთა, ტყე, წიგნი, თევზი, ჩიტო, თაფლი...).

ზედსართავი სახელი (აღნიშნავს საგნის ნიშანს ან თვისებას და მოგვიგებს კითხვებზე: როგორი? რომელი? რანაირი? სადაური? როდინდელი? და ა. შ. მაგ.: თეთრი, ფართო, ტკბილი, დიდი, პატარა, სუფთა, მრისხანე, კეთილი, სოფელი, წუხანდელი...).

რიცხვითი სახელი (აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს, ან ნაწილს მთელთან მიმართებით, დაესმის კითხვები: რამდენი? მერამდენე? (რიგით რომელი?), მერამდენედი? (რა ნაწილი?): ხუთი, ათი, ასი, ცხრაას ორი, ათასი...მეხუთე, მეათე, ოცდამეერთე, ორმოცდამეხუთე, ასმეერთე...მეხუთედი, მეორედი, მესამედი, პირველი...).

ნაცვალსახელი(იხმარება არსებითი, ზედსართავი ან რიცხვითი სახელის მაგივრად, მაგ.: მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ვინ? რა? ყველა, ყოველი...).

ზმნა (აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას, დაესმის კითხვა: რას შვრება? რა ქნა? რას იზამს? და სხვა: წერს, ხატავს, კლავს, ღებავს, კრეფს, ხტის, ზრდის, შრება, დნება, ქრება, დულს, ფიქრობს, ზის, გღია, ყრია, და მისთ.

ზმნიზედა (აღნიშნავს მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს ან მიზანს. დაესმის კითხვები: სად? საიდან? საითკენ? როდის? რა დროიდან? რა დრომდე? როგორ? რამდენად? რამდენჯერ? რატომ? რად? რა მიზნით? რისთვის? მაგალითად: აქ, იქ, ხვალ, ზევ, შარშან, ზევით, ქვევით, ამიტომ, რიტომ...).

თანაუბელი (დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვას და გვიჩვენებს მოქმედების ადგილს, მიმართულებას, საწყის პუნქტს, მსგავსებას, თანაობას, მოქმედების დასასრულ

პუნქტს და ა. შ. ვით, თან, ში, ზე, შორის, შუა, თვის, გან, კენ, ებრ, მიერ, გარდა, შესახებ, მდე, მდის...)

კავშირი (აკავშირებს სიტყვებს ან წინადადებებს ერთმანეთთან, ესენია: მაგრამ, ხოლო, კი, ხან, ან, რომ...).

ნაწილაკი (ბგერა, ბგერათკომპლექსი ან სიტყვა, რომელიც დაერთვის წინადადების რომელიმე წევრს და აღნიშნავს კითხვას, უარყოფას, დადასტურებას და ა. შ. მაგ.: -ვე, -მე, -ც(ა), ღაც(ა), თურმე, ლამის, ხოლმე, ა, ყველა, არა, ვერა, ნუ, ნურა, მცა და სხვა).

შორისდებული (ბგერა, ან ბგერათკომპლექსი, ან სიტყვა, რომელიც ადამიანის გრძნობა-განწყობილებას გამოხატავს, ესენია: ო, უჰ, ვაი, ვაშა, ბიჭოს, ბარაქაღა, ეჰ, ვიშ და მისთ.).

ჩამოთვლილთაგან პირველი ექვსი მეტყველების ნაწილი დამოუკიდებელი მნიშვნელობის გამომხატველია, დანარჩენი ოთხი კი-დამხმარე. ამასთანავე პირველი ხუთი ფორმაცვალებადია, დანარჩენი კი-ფორმაუცვლელი.

§1. არსებითი სახელის ბრუნვისა და რიცხვის წარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

ვიდრე უშუალოდ საკითხს შევხებოდეთ, წინასწარ საჭიროა ვიცოდეთ: რა არის სახელის ფუძე და როგორ გამოვიცნოთ იგი.

ფუძე არის სახელის ის ნაწილი, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები. ფუძე რომ მოვნახოთ სახელი უნდა ჩავსვათ მოთხრობით ბრუნვაში და ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი. დარჩენილი ნაწილი იქნება ფუძე. ბუნებრივია, გაგვიჩნდეს კითხვა: ფუძის მონახვისას რატომ მაიცდამაინც მოთხრობითში ვსვამთ სახელს და არა რომელიმე სხვა ბრუნვაში? ასე იმიტომ ვიქცევით, რომ სახელი მოთხრობით ბრუნვაში არ დაირთავს თანდებულს, ასევე, არ იკუმშება და არ იკვეცება. ერთი სიტყვით, მოთხრობითში სახელის ფუძე სრულადაა წარმოდგენილი: კაც-მა, სახლ-მა,

სოფელ-მა, დედა-მ, ხე-მ, მამა-მ და ა. შ. აქვე აღვნიშნავთ, რომ სახელის ფუძე შეიძლება გათავდეს ხმოვანზე ან თანხმოვანზე. ისეთ სახელებს, რომელთაც ფუძე ხმოვანზე უთავდებათ, ხმოვანფუძიან სახელებს ვუწოდებთ, ხოლო იმ სახელებს, რომელთაც ფუძე თანხმოვანზე უთავდებათ—თანხმოვანფუძიანებს.

ა. თუ სახელის ფუძე ბოლოვდება მ თანხმოვანზე, მოთხრობით ბრუნვაში ორი მ მოიყრის თავს (ქათამ-მა, ომ-მა, სკამ-მა, გურამ-მა, ურემ-მა, იოთამ-მა, აბესალომ-მა, აბრაამ-მა, ბარამ-მა და ა.შ.), რომელთაგან ერთი ფუძისეულია, ხოლო მეორე-ბრუნვისნიშნისეული.

ბ. თუ სახელის ფუძე ბოლოვდება ს თანხმოვანზე, მიცემით ბრუნვაში თავს მოიყრის ორი ს: (აღმას-ს, ხელფას-ს, მაის-ს, ინგლის-ს, დმანის-ს, თბილის-ს...), რომელთაგან ერთი ფუძისეულია, მეორე კი-ბრუნვის ნიშანი.

გ. როცა სახელი ია-ზე ბოლოვდება (ისტორია, ბაჭია...), ნათესაობითსა და მოქმედებითში ფუძის შეკვეცის შემდეგ ორი ი მოიყრის თავს: გეოგრაფი-ის, კანცელარი-ის, ბაჭი-ის, ისტორი-ის და მისთ.

დ. ე-ზე დაბოლოებულ საზოგადო სახელებში -ებ-იან მრავლობითში ორი ე მოიყრის თავს:

სახელობითი:	კლდე-ებ-ი	მდინარე-ებ-ი
მოთხრობითი:	კლდე-ებ-მა	მდინარე-ებ-მა
მიცემითი:	კლდე-ებ-ს	მდინარე-ებ-ს
ნათესაობითი:	კლდე-ებ-ის	მდინარე-ებ-ის
მოქმედებითი:	კლდე-ებ-ით	მდინარე-ებ-ით
ვითარებითი:	კლდე-ებ-ად	მდინარე-ებ-ად
წოდებითი:	კლდე-ებ-ო	მდინარე-ებ-ო

შენიშვნა: ზოგჯერ არამართებულად ხმარობენ „წელს“ მრ. რიცხვში-წლები, რაც მიღებულია ე-ზე დაბოლოებული ხმოვანფუძიანი სახელების მრავლობითის ანალოგიით. წელი თანხმოვანფუძიანი სახელია, კუმშვადი და ებ-იან მრავლობითში გვექნება წლ-ებ-ი და არა წლე-ებ-ი.

ე. -ნარ-თან-იანი მრავლობითის სახელობითსა და წოდებითში თავს იყრის ორი ნ, მაშინ როცა სიტყვის ფუძე ბოლოვდება ნ თანხმოვანზე: ბრძენ-ნ-ი, ბერძენ-ნ-ი, ქან-ნ-ი, ყურძენ-ნ-ი და ა.შ.

ვ. თ-ზე დაბოლოებულ სახელებში თან-იან მრავლობითში ორი თ მოიყრის თავს: საათ-თა, თით-თა, კალათ-თა, ბარათ-თა და სხვ. სადაც ერთი თ ფუძისეულია, მეორე კი- რიცხვის ნიშანი.

ზ. თანხმოვანფუძიანი სახელის ფუძეზე ხმოვნით დაწყებული აფიქსის (ბრუნვის ან რიცხვის ნიშანი, ზოგიერთი სიტყვასაწარმოებელი აფიქსი) დართვისას ფუძიდან ამოვარდება ა და ე ხმოვნები, იშვიათად ო-ც. ამ მოვლენას ფუძის კუმშვას უწოდებენ. კუმშვა ძირითადად მოუღიოთ ისეთ სახელურ ფუძეებს, როლებიც მთავრდება -აღ, -ელ, -ოღ, -ან, -ენ, -ონ, -არ, -ორ, -ერ, -ამ, -ემ მარცვლებზე.

უნდა წარმოვთქვათ და ვწეროთ:

ბალი: ბღ-ის, ბღ-ით, ბღ-ად, ბღ-ებ-ი, ბღ-ებ-მა...კედელი:

კედღ-ის, კედღ-ით, კედღ-ად, კედღ-ებ-ი, კედღ-ებ-მა...

გოდლოღი: გოდღ-ის, გოდღ-ით, გოდღ-ად, გოდღ-ებ-ი, გოდღ-ებ-მა...

აკვანი: აკვნ-ის, აკვნ-ით, აკვნ-ად, აკვნ-ებ-ი, აკვნ-ებ-მა...

ყურძენი: ყურძნ-ის, ყურძნ-ით, ყურძნ-ად, ყურძნ-ებ-ი, ყურძნ-ებ-მა...

საპონი: საპნ-ის, საპნ-ით, საპნ-ად, საპნ-ებ-ი, საპნ-ებ-მა...

ქმარი: ქმრ-ის, ქმრ-ით, ქმრ-ად, ქმრ-ებ-ი, ქმრ-ებ-მა...

მტერი: მტრ-ის, მტრ-ით, მტრ-ად, მტრ-ებ-ი, მტრ-ებ-მა...

ქორორი: ქორრ-ის, ქორრ-ით, ქორრ-ად, ქორრ-ებ-ი, ქორრ-ებ-მა...

ატამი: ატმ-ის, ატმ-ით, ატმ-ად, ატმ-ებ-ი. ატმ-ებ-მა...

ზოგიერთ ფუძეში ო სუსტდება და გვაძლევს ვ-ს: იორი-იერის, ნიორი-ნიერ-ის, ნიგოზი-ნიგვზ-ის, მაწონი-მაწვნ-ის მინდორი-მიდვრ-ის და ა.შ. არის ფუძეები, რომლებშიც ო უკვალოდ იკარგება: გოდორი-გოდრ-ის, კოჯორი-კოჯრ-ის და სხვ.

სახელის კუმშვას იწვევს ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვა.

თ. ხმოვნით დაწყებული აფიქსების დართვისას ა-სა და ე-ზე დაბოლოებულ სახელებს ეკვეცებათ ფუძე: დედა-დედ-ის, დედ-ით, დედ-ებ-ი, დედ-იან-ი, დედ-ურ-ი...კლდე-კლდ-ის, კლდ-ით, კლდ-იან-ი, კლდ-ოვან-ი და სხვ.

საერთოდ ფუძის კუმშვა ან კვეცა ხდება საზოგადო სახელებში. ადამიანის საკუთარ სახელებს კუმშვა და კვეცა არ მოსდით.

არასწორია შეუკუმშავი და შეუკვეცავი ფორმების ხმარება: წყალ-ის, წყალ-ით, წყალ-ად, წყალ-იან-ი; ქმარ-ის, ქმარ-ით, ქმარ-ად, ქმარ-იან-ი; ზამთარ-ის, ზამთარ-ით, ზამთარ-ად; ცვარ-ის, ცხვარ-ით, ცხვარ-ად... მამა-ის, მამა-ით, და-ის, და-ით, ხე-ის, ხე-ით...

ი. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებად უნდა ვიხმაროთ: თანხმოვანფუძიანებთან -ად, ხმოვანფუძიანებთან კი-დ: კაც-ად, წიგნ-ად, სოფლ-ად, ქალაქ-ად, სახლ-ად, ცხენ-ად, ვეფხვ-ად, ღომ-ად, კლდე-დ, მდინარე-დ, ტყე-დ, მზე-დ, ზღვა-დ, მთა-დ, ხმა-დ...

არასწორია: კაც-ათ, წიგნ-ათ, სოფლ-ათ, ქალაქ-ათ, სახლ-ათ, ცხენ-ათ, ღომ-ათ, მამა-თ, დედა-თ, მთა-თ, მზე-თ, მდინარე-თ, მთვარე-თ, ტყე-თ...

მოქმედებითი ბრუნვისაგან წარმოქმნილ სიტყვათა ერთ ჯგუფთან, რომლებიც ახლა ზმნიზედებს წარმოადგენენ, იწერება თ და არა დ: ზევით, ქვევით, წინათ, უნებლიეთ, შიგნით, უკეთ, გარეთ, აქით, გვერდით, თავით, გაღმით...

კ. წოდებითი ბრუნვის დაბოლოება თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან არის ო: კაც-ო, ქალ-ო, ბიჭ-ო... ხმოვნით დაბოლოებული სახელები კი წოდებითში ვ-ს წარმოგვიდგენს, იშვიათად შეიძლება ისიც დაიკარგოს: დედა-ვიდედა, წყარო-ვიწყარო, მდინარე-ვიმდინარე, ქვეყანა-ვიქვეყანა და ა. შ.

ერთმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებთან წოდებითში ო უნდა ვიხმაროთ: ძმა-ო, და-ო, მზე-ო...

მიუღებელია ადამიანის საკუთარი სახელების წოდებითში ბრუნვის ნიშნით გაფორმება, მაგ.: პეტრეე, შოთაე, ნინოე, ეკაე, მზიაე, ეთერო, ქეთევანო, ნოდარო, ნუგზარო და ა. შ.

შენიშვნა: ზოგ შემთხვევაში დასაშვებია ერთმარცვლიანი საზოგადო სახელების წოდებითში ვ დაბოლოებით ხმარება: ძმაე, დაე, ძეე, მზეე, მთაე და სხვ. („მართალია, ძმაე, კაცს მოსწყინდება, ძუნწი ცხოვრება ეს მოსაწყენი“. ილია).

-ძე-ზე, -ვა-ზე, -ია-სა და -უა-ზე დაბოლოებული გვარები წოდებითში უთანაბრდება ადამიანის საკუთარ სახელებს და იხმარება ბრუნვის ნიშნის გარეშე, ფუძის სახით. უნდა ითქვას და დაიწეროს: ჭავჭავაძე, ბაქრაძე, გუგუნავა, მონიავა, ფადავა, ნოდია, კვარაცხელია, გოთუა, ჯაბუა და მისთ. ბოლოთანხმოვნიანი გვარები კი გაუთანაბრდება საზოგადო

სახელებს და იხმარება ო სუფიქსით: წერეთელო, გომართელო, მაჭავარიანო, ბარათაშვილო... ყურადღებას იქცევს ერთი ჯგუფი თანხმოდანი ფუძიანი გვარებისა, კერძოდ: ჟღენტი, ღლონტი, ბუთხუზი და მისთ., რომლებიც თანხმოდანი სახელებია და მოთხრობითსა და მიცემითში ასე უნდა ვიხმაროთ: ჟღენტი-მა, ღლონტი-მა, ბუთხუზი-მა, ჟღენტი-ს, ღლონტი-ს, ბუთხუზი-ს... და არა: ჟღენტი-მ, ღლონტი-მ, ბუთხუზი-მ და ა. შ.

ხმოდანი ცხოველთა და გეოგრაფიული სახელები წოდებითში ან -ვს დაირთავენ, ან იხმარებიან უნიშნოდ: ნიშავ, ნიკორავ, შვინდავ, ყურშავ, ფისუნიავ... ნიშა, ნიკორა, ყურშა... აბაშავაბაშა, სამტრედიავსამტრედია, ოდესავოდესა, ვოლგავოლგა, აგარავაგარა და მისთ.

ბოლოთანხმოდანიები კი წარმოგვიდგება ბრუნვის ნიშნით: გორ-ო, თბილის-ო, თერგ-ო, პარიზ-ო, ყირიმ-ო და ა. შ.

ღ. ქვემოთ ჩამოთვლილ ადამიანის საკუთარ სახელებში ბოლოკიდური ი ფუძისეულია და ამიტომ ყველა ბრუნვაში უნდა შევინარჩუნოთ: აკაკი, ალექსი, ავქსენტი, ამბერკი, არკადი, გენადი, გივი, გიორგი, დიმიტრი, დომენტი, ევგენი, ევსევი, ევტიხი, ერასტი, ვალერი, ვახუშტი ნელი, ნანული, ფატი და სხვ. ჩამოთვლილი და მსგავსი სახელები მოთხრობითში ასე უნდა ვიხმაროთ: აკაკიმ, ვასასიმ, მერიმ, ევგენიმ და ა. შ.

მ. ქვემოთ ჩამოთვლილი საკუთარი სახელები თანხმოდანი ფუძიანია: ავთანდილ-ი, დავით-ი, მალხაზ-ი, გურამ-ი, ივლით-ი და მისთ. მსგავსი სახელები მოთხრობითში ასე უნდა ვიხმაროთ: დავით-მა, ავთანდილ-მა, გურამ-მა, აბესალომ-მა...

უკანასკნელ ხანებში სასაუბრო ენაში გავრცელდა ბოლოთანხმოდანი ადამიანის საკუთარ სახელთა წოდებითის ფორმები, რომლებიც სახელობითის ნიშნითაა გაფორმებული: ნოდარი, გურამი, თენგიზი, ეთერი... რაც არასწორია და უკუსაგდები. ასევე არასწორია სიის ამოკითხვისას გვარების სახელობითის ფორმით ხმარება: გურამიშვილი, გამოდი დაფასთან! ასათიანი, მოდი ჩემთან!... უნდა ვთქვათ და ვწეროთ წოდებითის ნიშნით: გურამიშვილო, გამოდი დაფასთან! ასათიანო, მოდი ჩემთან და მისთ.

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში მონახეთ არასწორი ფორმები და გაასწორეთ.

1. ბოლო დროს გურამა თავი მიანება წიგნის კითხვას.
2. აბესალომა ამხანაგი ინახულა.
3. ქურთა მოძრაობამ თურქეთის მთავრობა აღაშფოთა.
4. ბიძაჩემი ქუთაის გაემგზავრა.
5. საბრალლო ქალი ასეთი სიზმარის გამო ღამით ღამძას ველარ აქრობდა.
6. აზის ბევრ ქვეყანაში ქოლყრა მძვინვარებს.
7. მგზავრი წყალის ჩხრიალს ყურს გულმოდგინედ აპყრობდა.
8. გიორგი აღაზანის ნაპირს აუყვა.
9. გახარებულ ვახტანგის მოწაფეები გარს ეხვეოდნენ.
10. ამ ბოლო დროს ხიდუები აშენდა.
11. ელენე მთელი კვირეებს ელოდებოდა ქმარის დაბრუნებას.

სავარჯიშო 2. გადაიწერეთ მაგალითები, წერტილების ნაცვლად ჩასვით სათანადო ბრუნვის ნიშანი.

1. გენად...ძალიან უყვარს ხატვა.
2. ოთარ...წიგნი იყიდა.
3. ეთერ...ნოდარ...საჩუქარი გაუგზავნა.
4. ნუგზარ...ოცი წელი შეუსრულდა.
5. ევგენ...ახალი კოსტიუმი შეიძინა.
6. ივლით...ძალიან უხდება ახალი კაბა.
7. დღეს უშანგ...წერიტი დავალება არ შეუსრულებია.
8. გორკ...პირველი მოთხრობა თბილისში დაბეჭდა.
9. აღათ...კარგი ხმა ჰქონია.
10. ქიშვარდ...მეგობარს წერილი მისწერა.
11. უშანგ... რუსული მწერლობა იზიდავდა.

სავარჯიშო 3. გაასწორეთ შეცდომები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

1. კუკურმა და აღათიმ ამხანაგი ინახულეს.
2. პროკოფს თავდავიწყებით უყვარდა ნინელი.
3. ნოდარიმ არდადეგები ბაკურიანში გაატარა.
4. მერაბიმ მასწავლებელს ყვაილები მიართვა.
5. ინოკენტმა და ეთერმა გაკვეთილები ერთად მოამზადეს.
6. ლავროსმა და ვახტანგიმ მოხუც მეზობელს შეშა დაუპეს.
7. კუკურის და გურამის გადაწყვეტილი აქვთ, ერთად იმოგზაურონ.
8. ნინელმა ქიშვარდს ჭადრაკში მოუგო.
9. უშანგი, გარეთ გამოდი, გავისვირნოთ. მაჩაბელი, მიდი, გაუსწარ!
10. ქუჯის მრისხანება გადაედო მალხაზის.
11. ნოდარიმ არ დააყოვნა, მაშინვე მოარბენინა წყაროს წყალი.
12. ლავრენტიმ საქართველო ააოხრა.
13. ქიშვარდმა ნუგზარის

წერილი მისწერა. 14. გენადს დავალების შესრულება დაავიწყდა. 15. გვადიმ ევგრაფს საყვედური უთხრა.

6. გვარებს შორის მხ. რიცხვში ფუძეკვეცადია მხოლოდ ე-ზე დაბოლოებული ქართული გვარები, უცხო წარმოშობისა კი-უკვეცელია. ფუძეუკვეცელია ა, ვა, შა, ია-ზე დაბოლოებული გვარებიც: ხაჯიბა, მირცხულავა, ქიქავა, თოფური, გოთუა და მისთ. -ებთან მრავლობითში კი ყველა ფუძეკვეცადია. მაგალითები:

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	
სახ.	მიქელაძე	მიქელაძე-ები	მიქელაძე-ნი
მოთხ.	მიქელაძე-მ	მიქელაძე-ებ-მა	მიქელაძე-თ-ა
მიც.	მიქელაძე-ს	მიქელაძე-ებს-ს	მიქელაძე-თ-ა
ნათ.	მიქელაძ-ის	მიქელაძე-ების	მიქელაძე-თ-ა
მოქ.	მიქელაძ-ით	მიქელაძე-ებით	მიქელაძე-თ-ა
ვით.	მიქელაძე-დ	მიქელაძე-ებ-ად	მიქელაძე-თ-ა
წოდ.	მიქელაძე-ვ	მიქელაძე-ებ-ო	მიქელაძე-ნ-ო

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	
სახ.	მენაბდე	მენაბდე-ები	მენაბდე-ნი
მოთხ.	მენაბდე-მ	მენაბდე-ებ-მა	მენაბდე-თ-ა
მიც.	მენაბდე-ს	მენაბდე-ებს-ს	მენაბდე-თ-ა
ნათ.	მენაბდ-ის	მენაბდე-ების	მენაბდე-თ-ა
მოქ.	მენაბდ-ით	მენაბდე-ებით	მენაბდე-თ-ა
ვით.	მენაბდე-დ	მენაბდე-ებ-ად	მენაბდე-თ-ა
წოდ.	მენაბდე-ვ	მენაბდე-ებ-ო	მენაბდე-ნ-ო

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	
სახ.	ბროსე	ბროსე-ები	ბროსე-ნი
მოთხ.	ბროსე-მ	ბროსე-ებ-მა	ბროსე-თ-ა
მიც.	ბროსე-ს	ბროსე-ებს-ს	ბროსე-თ-ა
ნათ.	ბროსე-ს(ი)	ბროსე-ების	ბროსე-თ-ა
მოქ.	ბროსე-თ(ი)	ბროსე-ებით	ბროსე-თ-ა
ვით.	ბროსე-დ	ბროსე-ებ-ად	ბროსე-თ-ა
წოდ.	ბროსე	ბროსე-ებ-ო	ბროსე-ნ-ო

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	
სახ.	გალოგრე	გალოგრე-ები	გალოგრე-ნი
მოთხ.	გალოგრე-მ	გალოგრე-ებ-მა	გალოგრე-თ-ა

მიც.	გალოგრე-ს	გალოგრე-ებს-ს	გალოგრე-თ-ა
ნათ.	გალოგრე-ს(ი)	გალოგრე-ებს-ის	გალოგრე-თ-ა
მოქ.	გალოგრე-თ(ი)	გალოგრე-ებს-ით	გალოგრე-თ-ა
ვით.	გალოგრე-დ	გალოგრე-ებს-ად	გალოგრე-თ-ა
წოდ.	გალოგრე	გალოგრე-ებ-ო	გალოგრე-ნ-ო

მხ. რიცხვი

სახ.	ქიქავა	გულუა	ფიფია
მოთხ.	ქიქავა-მ	გულუა-მ	ფიფია-მ
მიც.	ქიქავა-ს	გულუა-ს	ფიფია-ს
ნათ.	ქიქავა-ს(ი)	გულუა-ს(ი)	ფიფია-ს(ი)
მოქ.	ქიქავა-თ(ი)	გულუა-თ(ი)	ფიფია-თ(ი)
ვით.	ქიქავა-დ	გულუა-დ	ფიფია-დ
წოდ.	ქიქავა	გულუა	ფიფია

ებ-იანი მრ.

სახ.	ქიქავე-ები	გულუ-ები	ფიფი-ები
მოთხ.	ქიქავე-ებ-მა	გულუ-ებ-მა	ფიფი-ებ-მა
მიც.	ქიქავე-ებს-ს	გულუ-ებს-ს	ფიფი-ებს-ს
ნათ.	ქიქავე-ებს-ის	გულუ-ებს-ის	ფიფი-ებს-ის
მოქ.	ქიქავე-ებს-ით	გულუ-ებს-ით	ფიფი-ებს-ით
ვით.	ქიქავე-ებს-ად	გულუ-ებს-ად	ფიფი-ებს-ად
წოდ.	ქიქავე-ებ-ო	გულუ-ებ-ო	ფიფი-ებ-ო

ნარ-თანინი მრავლობითი

სახ.	ქიქავა-ნი	გულუა-ნი	ფიფია-ნი
მოთხ.	ქიქავა-თ-ა	გულუა-თ-ა	ფიფია-თ-ა
მიც.	ქიქავა-თ-ა	გულუა-თ-ა	ფიფია-თ-ა
ნათ.	ქიქავა-თ-ა	გულუა-თ-ა	ფიფია-თ-ა
მოქ.	ქიქავა-თ-ა	გულუა-თ-ა	ფიფია-თ-ა
ვით.	ქიქავა-თ-ა	გულუა-თ-ა	ფიფია-თ-ა
წოდ.	ქიქავა-ნ-ო	გულუა-ნ-ო	ფიფია-ნ-ო

ო. ადამიანის საკუთარი სახელები არც კუმშვას განიცდიან და არც კვეცას, არ ეწარმოებათ რიცხვი, წოდებითში ფუძის სახით არიან წარმოდგენილი, მაგ.: ეთერ, რომან, ნუგზარ, ვახტანგ, ნოდარ, შოთა, ელენე, აკაკი, დათო, დუტუ და სხვ.

3. ადამიანის სახელისა და გვარის ერთად ბრუნებისას ყურადღება ექცევა პოზიციას-სახელი უსწრებს გვარს თუ, პირიქით-გვარი სახელს. თუ სახელი უსწრებს გვარს, მაშინ ბრუნვის ნიშნებს დაირთავს გვარი, სახელი კი-არა, ხოლო შებრუნებული წყობისას, როცა ჯერ გვარია წარმოდგენილი და შემდეგ სახელი, მაშინ ხმოვანფუძიანი გვარი ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს, იბრუნვის ოდენ სახელი, თანხმოვანფუძიანი გვარის შემთხვევაში კი-იბრუნება ორივე, მაგ.:

სახ.	დავით გამრეკელ-ი	გამრეკელ-ი	დავით
მოთხ.	დავით გამრეკელ-მა	გამრეკელ-მა	დავით-მა
მიც.	დავით გამრეკელ-ს	გამრეკელ	დავით-ს
ნათ.	დავით გამრეკელ-ის	გამრეკელ-ი	დავით-ის
მოქ.	დავით გამრეკელ-ით	გამრეკელ-ი	დავით-ით
ვით.	დავით გამრეკელ-ად	გამრეკელ	დავით-ად
წოდ.	დავით გამრეკელ-ო	გამრეკელ-ო	დავით

სახ.	ჭავჭავაძე ილია	მინდელ-ი	შოთა
მოთხ.	ჭავჭავაძე ილია-მ	მინდელ-მა	შოთა-მ
მიც.	ჭავჭავაძე ილია-ს	მინდელ	შოთა-ს
ნათ.	ჭავჭავაძე ილია-ს(ი)	მინდელ-ი	შოთა-ს(ი)
მოქ.	ჭავჭავაძე ილია-თ(ი)	მინდელ-ი	შოთა-თ(ი)
ვით.	ჭავჭავაძე ილია-ად	მინდელ	შოთა-დ
წოდ.	ჭავჭავაძე ილია	მინდელ-ო	შოთა

როგორც ვხედავთ, თუ სახელი უსწრებს გვარს, იგი ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს, იბრუნვის მხოლოდ გვარი, მაგრამ თანხმოვანფუძიანი გვარი თუ წინ უსწრებს სახელს, მაშინ ორივე იბრუნება, ოდონდ მიცემითსა და ვითარებითში გვარი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ნათესაობითსა და მოქმედებითში კი ბრუნვის ნიშნების თანხმოვნითი ელემენტები (ს,თ) აქვს ჩამოშორებული, სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში კი გვარი სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს.

სიების შედგენისას, ჩვეულებრივ, ჯერ გვარი იწერება და შემდეგ-სახელი. თუ სახელი თანხმოვანფუძიანია, ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი და არა სახელობითი ბრუნვის ნიშნით, მაგ.: აბულაძე დავით, მესხიძე გურამ, ნა-

კაშიძე ეთერ, წულუკიძე ანზორ და მისთ. არასწორია: აბუ-
ლაძე დავითი, მესხიძე გურამი, ნაკაშიძე ეთერი, წულუკიძე
ანზორი და სხვ.

§2. თავისებურად ბრუნებადი სახელები

თავისებურებას იჩენს ზოგიერთი სახელი. თანხმოვან-
ფუძიანთაგან თავისებურად იბრუნებიან: ამბავი, ხუცესი და
ღმერთი, ხმოვანფუძიანთაგან კი—დრო, ღვინო და ხბო.

ღმერთ-ის>ღმრთ-ის>ღმთ-ის>ღვთ-ის; ღმერთ-ით>ღმრთ-
ით>ღმთ-ით>ღვთ-ით; ღმერთ-ად>ღმრთ-ად>ღმთ-ად>ღვთ-ად.

		მხ.რ.	
სახ.	ამბავ-ი	ხუცეს-ი	ღმერთ-ი
მოთხ.	ამბავ-მა	ხუცეს-მა	ღმერთ-მა
მიც.	ამბავ-ს	ხუცეს-ს	ღმერთ-ს
ნათ.	ამბ-ის	ხუც-ის	ღვთ-ის
მოქ.	ამბ-ით	ხუც-ით	ღვთ-ით
ვით.	ამბ-ად	ხუც-ად	ღვთ-ად
წოდ.	ამბავ-ო	ხუცეს-ო	ღმერთ-ო

		მრ.რ.	
სახ.	ამბ-ებ-ი	ხუცეს-ებ-ი	ღმერთ-ებ-ი
მოთხ.	ამბ-ებ-მა	ხუცეს-ებ-მა	ღმერთ-ებ-მა
მიც.	ამბ-ებ-ს	ხუცეს-ებ-ს	ღმერთ-ებ-ს
ნათ.	ამბ-ებ-ის	ხუცეს-ებ-ის	ღმერთ-ებ-ის
მოქ.	ამბ-ებ-ით	ხუცეს-ებ-ით	ღმერთ-ებ-ით
ვით.	ამბ-ებ-ად	ხუცეს-ებ-ად	ღმერთ-ებ-ად
წოდ.	ამბ-ებ-ო	ხუცეს-ებ-ო	ღმერთ-ებ-ო

შეენიშნავთ: ხუცესების... პარალელურად იხმარება: ხუცეებ-
ი, ხუცეებ-მა, ხუც-ებ-ს, ხუც-ებ-ის, ხუც-ებ-ით, ხუც-ებ-ად, ხუც-
ებ-ო

როგორც ვხედავთ, ფუძეში ცვლილება ხდება მხ. რიცხვის
სამ ბრუნვაში-ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებით-
ში. ებ-იან მრავლობითში ფუძე შეკუმშული აქვს ყველა

ბრუნვაში ორ ფუძეს-ამბავი და ხუცესი. ხოლო ღმერთ-ი სრულადაა წარმოდგენილი. ნარ-თან-იან მრავლობითში კი ამბავ-ი და ღმერთ-ი სრული ფუძით იხმარება, ხუცესი კი-შეკვეცილი: ღმერთ-ნი, ხუც-ნი, ამბავ-ნი, ღმერთ-თ-ა, ხუც-თ-ა, ამბავ-თ-ა...

რაც შეეხება ხმოვანფუძიან სახელებს-დრო, ღვინო და ხბო,-სამივე თავისებურად იბრუნება. ყველანი ო-ზეა და-ბოლოებული და, ამდენად, უკვეციელი უნდა იყოს. უკვეციელ სახელებს კი ნათესაობითსა და მოქმედებითში ნიშნები გამარტივებული აქვთ და ოდენ თანხმონითს ელემენტს წარმოგვიდგენენ, მაგ.: ოქრო-ს(ი), ოქრო-თ(ი), მაგრამ დრო-ში ბრუნვის ნიშნების ხმოვანითი ელემენტები შენარჩუნებულია: დრო-ის, დრო-ით. რაც შეეხება ღვინო-ს, მას ბოლო ხმოვანი ეკვეცება ნათესაობითსა და მოქმედებითში და გვაქვს: ღვინ-ის, ღვინ-ით ფორმები. -ებ'იან მრავლობითში კი, განსხვავებით კვეცადი სახელებისაგან, უკვეციელია, არ იკვეცს ბოლო ო-ს და გვაქვს: ღვინო-ებ-ი.

მაშასადამე, ღვინო თავისებურებას ამჟღავნებს მხოლოდ ბით რიცხვში.

§3. ემფატიკური ხმოვანი ახალ ქართულში

ახალ სალიტერატურო ქართულში სახელებს და ზოგ ფორმაუცვლელ სიტყვას გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება დაერთოს ემფატიკური ა, რომელსაც მავრცობსაც უწოდებენ. ემფატიკური ა-ს ხმარების ორი შემთხვევა შეინიშნება: პირველი, როცა ეს -ა აუცილებელია და მეორე, როდესაც მისი ხმარება ასეთი აუცილებლობით არ არის გამოწვეული, მაგრამ მას სტილისტიკური ფუნქცია აქვს დაკისრებული. პირველი დავას არ იწვევს, მეორე რიგის შემთხვევები კი განსაზღვრულია და გარკვეულ კონტექსტში მისი გამოყენება კანონზომიერია.

ახალ სალიტერატურო ქართულში მავრცობი ა არსებითად სტილიტიკური დანიშნულებისაა და სხვადასხვა მწერალი მას სხვადასხვაგვარად იყენებს. მაგრამ, ჩვეულებრივ,

ნორმად არის მიჩნეული მისი ხმარების შემდეგი შემთხვევები:
ა. სახელის მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმებთან ჩამოთვლილი სიტყვების შემაერთებელი და, თუ კავშირების წინ, მაგ., „ხმელი წიფელი ფიქრობდა თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე“...

ბ. ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელთან, როცა ის მოსდევს საზღვრულს, ე. ი. როცა შებრუნებული, პოსტპოზიციური რიგია წარმოდგენილი, მაგ.: „შენ მასწავლე ძალა სიყვარულისა“; „მას ხელში ეჭირა გასადები სახლისა“...

გ. თუ მავრცობი ა ერთვის შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს, რომელსაც ახლავს მეშველი ზმნის „არის“ შეკვეცილი ფორმა: „ მარანი სახლსაა მიშენებული“; „ეს სახლი დავითისაა“ და მისთ.

დ. -თვის, -გან, -კენ თანდებულიან სახელებთან სტილისტური ფუნქციით, მაგ. დედისათვის (შეიძლება მის გარეშეც-დედისთვის), სოფლისაკენ (სოფლისკენ), ხისაგან (ხისგან)...

§4. მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

მსაზღვრელად ქართულში გამოიყენება ყოველგვარი სახელი: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი და სახელზმნა. მსაზღვრელი აღნიშნავს საგნის ნიშან-თვისებას, რაოდენობას, კუთვნილებას, მასალას და სხვა. მაგალითად: წითელი დროშა, მწვანე ველი, ფართო ეზო, მეზობლის ბავშვი, ოქროს ბეჭედი და სხვ.

მსაზღვრელი შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანი ან ხმოვანფუძიანი. იგი უსწრებს ან მოსდევს საზღვრულს. როცა მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს, გვაქვს პრეპოზიციური, ანუ პირდაპირი წყობა: თეთრი სახლი, ბეჯითი ბიჭი, სუფთა ოთახი, კოხტა ქალი, ფართო მინდორი, მოკლე კაბა, მწარე პილპილი და ა. შ. როცა მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს,

წყობა ინვერსიულია, ანუ პოსტპოზიციური: ბავშვი კეთილი, მინდორი მწვანე, შაქარი ტკბილი, ენა გრძელი და ა.შ.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვისა და რიცხვის წარმოებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია მართლწერის შემდეგი საკითხები:

ა. თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი საზღვრულს ნათესაობითსა და მოქმედებითში ასე უთანხმდება: მაღალი სახლის, მაღალი სახლით (და არა: მაღალ სახლის, მაღალ სახლით), ხოლო მიცემითსა და ვითარებითში კი ფუძის სახით არის წარმოდგენილი: მაღალ სახლს, მაღალ სახლად.

ბ. თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელით გადმოცემული პროფესიისა თუ რაიმე სახელწოდების აღმნიშვნელი მსაზღვრელი ფუძის სახით ეთანხმება საკუთარი სახელით გადმოცემულ საზღვრულს მიცემითში, მოქმედებითსა და ვითარებითში:

მიც. პროფესორ თავაძეს გაზეთ „ეპოქას“

ნათ. პროფესორ თავაძის გაზეთ „ეპოქის“

მოქ. პროფესორ თავაძით გაზეთ „ეპოქით“

ვით. პროფესორ თავაძედ გაზეთ „ეპოქად“

გ. თუ მსაზღვრელი ბოლოხმოვანიანია და უსწრებს საზღვრულს, ე. ი. წყობა პრეპოზიციურია, იგი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვასა და რიცხვში (იგულისხმება –ებ-იანი მრავლობითი):

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

სახ. მწვანე ფართო ველ-ი

მწვანე ფართო ველ-ები

მოთხ. მწვანე ფართო ველ-მა

მწვანე ფართო ველ-ებ-მა

მიც. მწვანე ფართო ველ-ს

მწვანე ფართო ველ-ებ-ს

ნათ. მწვანე ფართო ველ-ის

მწვანე ფართო ველ-ებ-ის

მოქ. მწვანე ფართო ველ-ით

მწვანე ფართო ველ-ებ-ით

ვით. მწვანე ფართო ველ-ად

მწვანე ფართო ველ-ებ-ად

წოდ. მწვანე ფართო ველ-ო

მწვანე ფართო ველ-ებ-ო

დ. პრეპოზიციური წყობის შემთხვევაში, რაც ახალი სალიტერატურო ქართულისათვის არის დამახასიათებელი, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ძირითად სახეობად მიჩნეულია შემდეგი:

	მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი	
სახ.	დიდ-ი	სახლ-ი	დიდ-ი	სახლ-ებ-ი
მოთხ.	დიდ-მა	სახლ-მა	დიდ-მა	სახლ-ებ-მა
მიც.	დიდ	სახლ-ს	დიდ	სახლ-ებ-ს
ნათ.	დიდ-ი	სახლ-ის	დიდ-ი	სახლ-ებ-ის
მოქ.	დიდ-ი	სახლ-ით	დიდ-ი	სახლ-ებ-ით
ვით.	დიდ	სახლ-ად	დიდ	სახლ-ებ-ად
წოდ.	დიდ-ო	სახლ-ო	დიდ-ო	სახლ-ებ-ო

ძირითადი სახეობის გვერდით დასაშვებად მიჩნეულია მიცემითსა და ნათესაობითში სრული შეთანხმება (შრომით-ს წარმატება-ს, დიდ-ის საქმ-ის), მოქმედებითში ნათესაობითი ბრუნვის (დიდ-ის ღმერთ-ით), ხოლო ვითარებითში-მიცემითის ფორმით (დიდ-ს საქმე-დ) განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია საჭირო, როცა მსაზღვრელად წარმოდგენილი სახელი მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმებიდანაა ნაწარმოები, როგორიცაა მაგ.: შემოქმედებით-ი, შრომ-ით-ი, გულ-ად-ი, გულ-ით-ად-ი... წინადადებაში: „გამგეობამ შრომითს წარმატებას მიაღწია“, „ეს ფაქტი სავსებით კანონზომიერი მოვლენაა მწერლის შემოქმედებითს საქმიანობაში“...

ე. პოსტპოზიციური წყობის შემთხვევაში როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი, ყველა ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს:

სახ.	სახლ-ი	დიდ-ი	ქალი	გამრჯე
მოთხ.	სახლ-მა	დიდ-მა	ქალ-მა	გამრჯე-მ
მიც.	სახლ-ს	დიდ-ს	ქალ-ს	გამრჯე-ს
ნათ.	სახლ-ის	დიდ-ის	ქალ-ის	გამრჯე-ის
მოქ.	სახლ-ით	დიდ-ით	ქალ-ით	გამრჯე-ით
ვით.	სახლ-ად	დიდ-ად	ქალ-ად	გამრჯე-დ
წოდ.	სახლ-ო	დიდ-ო	ქალ-ო	გამრჯე-ე

გამონაკლისია პროფესიის ან თანამდებობის გამომხატველი სახელები, -წოდებითში ზოგჯერ მსაზღვრელს შეიძლება დაერთოს ბრუნვის ნიშანი

სახ.	მეფე	თამარ-ი
მოთხ.	მეფე	თამარ-მა
მიც.	მეფე	თამარ-ს
ნათ.	მეფე	თამარ-ის

მოქ.	მეფე თამარ-ით
ვით.	მეფე თამარ-ად
წოდ.	მეფეო თამარ (?)

ვ. თუ მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელი არის გამოყენებული, ერთადერთ ფორმად მიცემითის სახეობა არის მიჩნეული თვით მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებში: ჩემ-ს ამხანაგ-ს, შენ-ს ამხანაგ-ს, ჩვენ-ს ამხანაგ-ს, თქვენ-ს ამხანაგ-ს, მათ-ს ამხანაგ-ს, ჩემ-ს ამხანაგ-ად, შენ-ს ამხანაგ-ად, ჩვენ-ს ამხანაგ-ად, თქვენ-ს ამხანაგ-ად, მათ-ს ამხანაგ-ად.

ზ. გათიშულ მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნები ყოველთვის სრულად უნდა დაერთოს, მაგ.: „ჭრელს ჩავიცომდი კაბასა“, „მწვანეს ეწვდება ფოთოლსა ხარი ირემი რქიანი“...

თ. ნათესაობით ბრუნვაში მდგომი მსაზღვრელი (ამხანაგის წიგნი, მზის სხივი...) ახალ სალიტერატურო ქართულში არსებითად პრეპოზიციულია (მსაზღვრელი-საზღვრული), იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს პოსტპოზიციურადაც, ამ შემთხვევაში ერთადერთი ლიტერატურული ნორმაა მართულ-შეთანხმებული სახეობა:

სახ.	წერილ-ი ძმის-ა
მოთხ.	წერილ-მა ძმის-ა-მ
მიც.	წერილ-ს ძმის-ა-ს
ნათ.	- - - - -
მოქ.	- - - - -
ვით.	წერილ-ად ძმის-ა
წოდ.	წერილ-ო ძმის-ა(ვ)/ო

როგორც ვხედავთ, მსაზღვრელი (ძმისა) წარმოდგენილია ემფატიკური ათი. თანამედროვე ქართულში გენეტიურ (ნათესაობითში მდგარ) მსაზღვრელს პოსტპოზიციურ წყობაში არ მოეპოვება ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმები. იმ შემთხვევაში, თუ მართული მსაზღვრელი წარმოდგენილია საზღვრულის გარეშე (ე. ი. როცა ჩავარდნილია საზღვრული, მაგრამ იგულისხმება), აუცილებელია შეთანხმება, მაგ.: დედის მაგივრებას მაშიდა უწევდა, მამისას კი- ბიძია; იგი თავს თელიდა არა სოფლის მაცხოვრებლად, არამედ ქალაქისად.

ი. დავას არ იწვევს მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობაში ებ-იანი მრავლობითის ფორმები. საცილობელი ფორ-

მები მოსალოდნელია ნარ-თან'იანი მრავლობითის გამოყენებისას:

I. პირდაპირი წყობის შემთხვევაში (მსაზღვრელი-საზღვრული) — ნ და —თ(ა) სუფიქსიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს მსაზღვრელი რიცხვში არ ეთანხმება. სახელობითსა და წოდებითში მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს, დანარჩენ ბრუნვებში კი ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი:

სახ.	მაღალ-ი	მთა-ნ-ი
მოთხ.	მაღალ	მთა-თ(ა)
მიც.	”	”
ნათ.	”	”
წოდ.	მაღალ-ო	მთა-ნ-ო

მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები არა გვაქვს.

ასეთივე მდგომარეობაა იმ შემთხვევაშიც, როცა მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელებია გამოყენებული, ოღონდ აქ მიცემითში დასაშვებადაა მიჩნეული ს'ანიანი ფორმა:

სახ.	ჩვენ-ი	მოძმე-ნ-ი
მოთხ.	ჩვენ	მოძმე-თ
მიც.	ჩვენ	მოძმე-თ ჩვენ-ს მოძმე-თ
წოდ.	ჩვენო	მოძმენ-ო

როგორც ვხედავთ, შეთანხმება არა გვაქვს რიცხვში.

II. შებრუნებული წყობის დროს (საზღვრული-მსაზღვრელი) რიცხვში შეთანხმება გვაქვს. ეს წესი ვრცელდება მაშინაც, როცა მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელებია გამოყენებული:

სახ.	მთა-ნ-ი	მაღალ-ნ-ი	მოძმე-ნ-ი	ჩვენ-ნ-ი
მოთხ.	მთა-თ-ა	მაღალ-თ-ა	მოძმე-თ-ა	ჩვენ-თ-ა
მიც.	მთა-თ-ა	მაღალ-თ-ა	მოძმე-თ-ა	ჩვენ-თ-
ნათ.	მთა-თ-ა	მაღალ-თ-ა	მოძმე-თ-ა	ჩვენ-თ-ა
წოდ.	მთან-ო	მაღალ-ნ-ო	მოძმენ-ო	ჩვენ-ნ-ო

სახელობითსა და წოდებითში პარალელური, შეუთანხმებელი ფორმებიც შეიძლება: მთა-ნ-ი მაღალ-ი, მთა-ნ-ო მაღალ-ო.

III. ნათესაობით ბრუნვაში დასმული და ნანათესაობითარი მსაზღვრელი საზღვრულს რიცხვში არ ეთანხმება:

სახ.	მთის ყვავილ-ნი	ყვავილ-ნი მთისა
მოთხ.	მთის ყვავილ-თ-ა	ყვავილ-თ-ა მთისა
მიც.	მთის ყვავილ-თ-ა	ყვავილ-თ-ა მთისა
ნათ.	მთის ყვავილ-თ-ა	ყვავილ-თ-ა მთისა
წოდ.	მთის ყვავილ-ნ-ო	ყვავილ-ნ-ო მთისა

გარდა ნათესაობითისა, ეს ფორმები უმთავრესად პოეზიის ენაში გამოიყენება.

სავარჯიშო 1. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში გარკვევით მსაზღვრელ-საზღვრულის მართებული და უმართებულო ფორმები:

1. სამოთხის ფერი დაიდევს არე-მარეთა ტყიანთა (ვაჟა); 2. მცილდება კეკლუცთ თვალთ ხედვა (ვაჟა); 3. დაღალულნი მეურმეები დაეყარნენ და ძილს მიეცნენ (ილია); 4. ...ლექსში სჩქევს მარად მშვენებით სიცოცხლის ძალთა ტკბილი ჟღერანი (გ. ლეონ.); 5. შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა (ილია); 6. ნუ დამიტროს სატრფომ გულისამ (ნ.ბარათ.); 7. დიდის ღმერთის საკურთხეველის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში (ილია); 8. დედანაჟემი გასრიადდა და ერთ წამს დამეკარგა თვალთაგან (ვაჟა); 9. მე ხშირსა და დაბერებულს არჯაკელის გროვაში ჩავიმაღლე (ვაჟა); 10. ერთ თმაწვეერ-გათეთრებულს კაცს...ხელში ანთებული სანთელი ეჭირა (თ.რაზიკ.).

§5. რიცხვითი სახელის მართლწერის საკითხები

რიცხვითი სახელი სამგვარია: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი. ფუძის შედგენილობის მიხედვით კი იგი შეიძლება იყოს მარტივი და რთული, მაგ.: მარტივია: რვა, ცხრა, ათი, ასი, მილიონი, მილიარდი და ა. შ. რთულია: თერთმეტი, ოცდაერთი, ასცხრა, ათასერთი, შეიდასცხრა და სხვ.

ა. როცა სახელს დაერთვიან, რაოდენობითი რიცხვითი სახელები მსაზღვრელის როლში გვევლინებიან და ძირითადად

ისე იბრუნებიან, როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი სახელები, ოღონდ არ მოეპოვებათ წოდებითი ბრუნვა:

მხ. რიცხვი

სახ.	ხუთ-ი ვაჟ-ი	ცხრა	შვილ-ი
მოთხ.	ხუთ-მა ვაჟ-მა	ცხრა	შვილ-მა
მიც.	ხუთ ვაჟ-ს	ცხრა	შვილ-ს
ნათ.	ხუთ-ი ვაჟ-ის	ცხრა	შვილ-ის
მოქ.	ხუთ-ი ვაჟ-ით	ცხრა	შვილ-ის
ვით.	ხუთ ვაჟ-ად	ცხრა	შვილ-ად
წოდ.	(ხუთ-ო ვაჟ-ო)	(ცხრა	შვილ-ო)

რთული შედგენილობის რიცხვითი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა შეწყობილი მაშინაც, როცა საზღვრულად არის რიცხვითი სახელი ათასი:

სახ.	ხუთას-ი	ათას-ი	ორას	ოცდახუთი	ათას-ი
მოთხ.	ხუთას-ი	ათას-მა	ორას	ოცდახუთი	ათას-მა
მიც.	ხუთას-ი	ათას-ს	ორას	ოცდახუთი	ათას-ს
ნათ.	ხუთას-ი	ათას-ის	ორას	ოცდახუთი	ათას-ის
მოქ.	ხუთას-ი	ათას-ით	ორას	ოცდახუთი	ათას-ით
ვით.	ხუთას-ი	ათას-ად	ორას	ოცდახუთი	ათას-ად

საერთოდ რთული რიცხვითი სახელები „ათას“ ფუძეს სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობიან, მილიონს, მილიარდს და უფრო დიდი ოდენობის გამომხატველ რიცხვით სახელებს კი ისე, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი. შდრ. ორ-ი ათას-მა კაც-მა და ორ-მა მილიონ-მა კაც-მა, ორ-ი ათას კაც-ს და ორ მილიონ კაც-ს...

სახ.	ათი ათას-ი	კაც-ი	ათ-ი მილიონ-ი	კაც-ი
მოთხ.	ათი ათას-მა	კაც-მა	ათ-მა მილიონ-მა	კაც-მა
მიც.	ათი ათას	კაც-ს	ათ მილიონ	კაც-ს
ნათ.	ათი ათას-ი	კაც-ის	ათი მილიონ-ი	კაც-ის
მოქ.	ათი ათას-ი	კაც-ით	ათი მილიონ-ი	კაც-ით
ვით.	ათი ათას	კაც-ად	ათ მილიონ	კაც-ად

როგორც ვხედავთ, განსხვავება დიდია. ათას'თან მიმართებით (როცა ათასი საზღვრულის როლშია) რომელი რიცხვითი სახელიც არ უნდა ავიღოთ, მისი ფუძე სახელ უბითის ფორმით შეეწყობა საზღვრულს, სხვა შემთხვევაში კი რიცხვითი სახელი ისე იბრუნება, როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი სახელი საზღვრულთან.

იმ შემთხვევაში, როცა რთული რიცხვითი სახელი სამი და მეტი მარტივი ფუძისაგან შედგება, ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხოლოდ უკანასკნელი:

სახ.	ორი მილიონ შვიდასი ათას სამას-ი
მოთხ.	ორი მილიონ შვიდასი ათას სამას-მა
მიც.	ორი მილიონ შვიდასი ათას სამას-ს
ნათ.	ორი მილიონ შვიდასი ათას სამას-ის
მოქ.	ორი მილიონ შვიდასი ათას სამას-ით
ვით.	ორი მილიონ შვიდასი ათას სამას-ად

რთული რიცხვითი სახელები, გარდა და კავშირით შეერთებულისა, დაიწერება ცალ-ცალკე, მაგ.: ათას ხუთას თხუთმეტი, ორი მილიონ შვიდას თერამეტი... მაგრამ ორმოცდაერთი, სამოცდათხუთმეტი, ოთხმოცდაერთი, ოთხმოცდათერთმეტი და მისთ. ასევე, ცალ-ცალკე იწერება: ას ერთი, ას შვიდი, ას ოცი, ას ორმოცდაათი, სამას ორმოცი, ათას შვიდას ოთხი, ოცი ათას შვიდასი, ოცი ათას ხუთას ორმოცი...

ბ. რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძეებისაგან მე-ე პრეფიქს-სუფიქსის დართვით: მე-ხუთ-ე, მე-ათ-ე, მე-ცამეთ-ე, მე-ოთხმოც-ე, მე-ას-ე, მე-ათას-ე და სხვ. ერთ ფუძისაგან მე-ერთ-ე იწარმოება მხოლოდ რთულ რიცხვით სახელებში (ას-მე-ერთ-ე), ცალკე აღებული კი ჩვეულებრივ პირველი იხმარება.

რიგობითი რიცხვითი სახელები ჩაიწერება ე. წ. არაბული და რომაული ნიშნებითაც. რომაულით ჩაწერილი რიგობითი რიცხვითი სახელები არავითარ აფიქსს არ საჭიროებენ, ისინი ქართულში რიგობითის მნიშვნელობით იხმარება, მაგ.: I-პირველი, V-მეხუთე, X-მეათე, L -ორმოცდამეათე, C-მეასე, D-მეხუთასე, M-მეათასე.

არაბული ციფრებით რიგობითი რიცხვითი სახელების გადმოსაცემად უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

I. ყველა მარტივი ფუძის რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან (ორიდან ოცის ჩათვლით, ყველა ოცეული-ოცი, ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, ასი, ასეული, ათასი, მილიონი, მილიარდი...) რიგობითის წარმოებისას იწერება მხოლოდ პრეფიქსი მე-: მე-2, მე-12, მე-20, მე-100, მე-1000, მე-1000000...

II. და'თი შეერთებული რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან ნაწარმოები რიგობითის ფუძეების არაბული ციფრებით

ჩაწერისას იწერება მხოლოდ მე-ე აფიქსისეული ე: 21-ე, 42-ე, 123-ე, 1234-ე, 123456-ე (და არა: მე-21-ე, მე-42-ე, მე-123-ე...) და ა. შ. სიტყვიერად უნდა გამოვთქვათ ასე: მეოცე, მეასე, მეათასე, ოცდამეერთე, ასმეერთე და ა. შ.

III. რიგობითი რიცხვითი სახელების ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან იწარმოება წილობითი რიცხვითი სახელები: მე-სამე-დ-ი, მეათე-დ-ი, მეასე-დ-ი, მეათასე-დ-ი... ოცდამეხუთე-დ-ი, ორმოცდამეათე-დ-ი, მეათე-დ-ი და სხვ. და არა: მეოცდამეხუთე, მეორმოცდამეათე...

-რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები ერთ სიტყვად იწერება.

-რიგობითი რიცხვითი სახელი პირველი არაბული ციფრით ასე იწერება-1-ლი.

-ფორმათაგან მეორეული და მეორადი ლიტერატურულ ნორმად მიჩნეულია მეორეული (ისევე როგორც მესამეული, მეოთხეული...).

-პარალელურ ფორმათაგან, მაგ. მესამოცე წლები და სამოციანი წლები ორივე მიჩნეულია ნორმად.

-რაოდენობით რიცხვით სახელებთან სხვა სახელი მხოლოდობითში უნდა ვიხმაროთ: ასი კაცი, ათი დღე...და არა: ასი კაცები, ათი დღეები...

-ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელები იწერება დეფისით: ორ-ორი, ათ-ათი, ას-ასი...დეფისით იწერება ასევე ისეთი რიცხვითი სახელები, რომელთა მეორე ნაწილი არის ნახევარი: ორ-ნახევარი, ხუთ-ნახევარი, შვიდ ნახევარი...

სავარჯიშო. ქვემოთ წარმოდგენილ რიცხვით სახელთაგან გაარკვიეთ მართებული და უმართებულო ფორმები.

1. მუშა ფუტკრების რიცხვი უწევს თხუთმეტ ათასიდგან ოცდახუთ ათასამდე(ი. გოგებ).
2. თუ ოცდაპირველ დღეს მივალთ საბუდართან, ვნახავთ...(ი. გოგებ).
3. სწორედ მეოცდამეერთე თვის მეხუთე სტრიქონზედ შევდექით (ილია).
4. წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში მოიშალა „ნამესტნიკობა“(დ. კლდ).
5. ხუთიათას ოთხასერთი წელი გავიდა მას შემდეგ.
6. სამი ძაღლები დაესია და კინაღამ შეჭამეს.
7. მესამედი გადამუშავების შემდეგ ღებულობენ სუფთა წვენს.
8. ეს ამბავი მოხდა I-ლი საუკუნის 30-იან წლებებში.
9. 1-ლი

აღმოჩენა ამ წარწერისა ბეთლემის ტაძარში მოხდა. 10. მე-
XIX საუკუნის გამოჩენილ მწერალთა შორის ყველაზე პოპუ-
ლარობით სარგებლობს ილია ჭავჭავაძე. 11. მეოცდამეტე
საუკუნეში საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იქნება.

წნ. ნაცვალსახელებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

ნაცვალსახელი არსებითის, ზედსართავისა და რიცხვითი
სახელების ნაცვლად იხმარება გარკვეულ შემთხვევაში. მათი
მომეტებულად გამოყენება, ან სრულიად უგულვებელყოფა
სტილისტიკურად გაუმართლებელია.

ნაცვალსახელთა შინაარსობრივი ჯგუფებია:

პირისა: მე, შენ, ის, იგი, ჩვენ, თქვენ, ისინი, იგინი, თავი.
ამ უკანასკნელს უკუქცევითი ნაცვალსახელიც შეიძლება ვუ-
წოდოთ: თავი შეირცხვინა, თავი მოიკლა...

ჩვენებითი: ეს, ეგ, ის, იგი, ასეთი, ისეთი, ამნაირი, იმნა-
ირი, მაგნაირი, ამდენი, იმდენი, მაგდენი, ამისთანა, იმისთანა,
მაგისთანა.

კითხვითი: ვინ? რა? რომელი? რანაირი? როგორი? რა
რიგი? სადაური? როდინდელი? რა და რა? მერამდენე? მერამ-
დენედი?

კუთვნილებითი: ჩემი, შენი, მისი, თავისი, ჩვენი, თქვენი,
მათი, იმათი, მაგათი.

კითხვით-კუთვნილებითი: ვისი? რისი? რისა?

განსაზღვრებითი: თვით, თვითონ, თავად, ყოველი, ყველა,
ყველაფერი, თვითუფლითითოეული...

ურთიერთობითი: ერთმანეთი, ურთიერთი, ერთურთი, ერ-
თიმეორე.

განუსაზღვრელობითი: ვინმე, რამე, რომელიმე, ვიღაცა,
რაღაცა, რომელიღაცა. ზოგჯერ განუსაზღვრელობითი ნაც-
ვალსახელის მნიშვნელობით იხმარება ერთი და კაცი

მიმართებით: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რარიგიც, სადაურიც, როდინდელიც, მერამდენეც, მერამდენედიც.

უარყოფითი: არავინ, ვერავინ, ხურავინ||ნურვინ, აღარავინ, ველარავინ, არარა, ვერარა, აღარა, არაფერი, ვერაფერი, ველარაფერი, ნულარაფერი, არავითარი, ვერავითარი.

ნაცვალსახელებთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს მართლწერის შემდეგი წესები:

ა. თუ ნაცვალსახელი ცვლის რიცხვით სახელს და მსაზღვრელის მნიშვნელობით იხმარება, მასთან შეწყობილი საზღვრული მხოლოდობით რიცხვში უნდა იყოს: ამდენი ბავშვი, იმდენი წიგნი...

ყველა, ყოველი, თვითეული (თითოეული), ზოგი (ზოგიერთი), რომელიმე, რამდენიმე...ნაცვალსახელები საზღვრულს მხოლოდობით რიცხვში შეიწყობს: თვითეული მოქალაქე, ყველა ბავშვი, ყოველი მოსწავლე, ზოგი მოხელე, რომელიმე სტუდენტი, რამდენიმე მეზობელი...

ბ. თუ პირის ნაცვალსახელს თანდებული ერთვის, ნათესაობით ბრუნვაში ღ არ უნდა: ჩემ მიერ, შენ მიერ... ჩემგან, შენგან, ჩემკენ, შენკენ და ა. შ.

გ. ერთი და იგივე ნავალსახელის საზღვრულის გარეშე ბრუნებისას ორივე ნაწილი დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: სახ. ერთ-ი და იგივე, მოთხ. ერთ-მა და იმავე-მ, მიც. ერთ-სა და იმავე-ს, ნათ. ერთ-ის(ა) და იმავეს(თვის), მოქ. ერთ-ის(ა) და იმავე-თ(ი), ვით. ერთსა და იმავე-დ.

მაგრამ თუ ამ ნაცვალსახელს საზღვრულთან ერთად ვაბრუნებთ, მაშინ II ნაწილი (იგივე-იმავე) ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს:

სახ.	ერთ-ი	და	იგივე	ამბავ-ი
მოთხ.	ერთ-მა	და	იმავე	ამბავ-მა
მიც.	ერთ-ს(ა)	და	იმავე	ამბავ-ს
ნათ.	ერთ(ის)ა	და	იმავე	ამბ-ის
მოქ.	ერთ(ით)ა	და	იმავე	ამბ-ით
ვით.	ერთ	და	იმავე	ამბ-ად

განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ვითარებით ბრუნვაში. ერთ შემთხვევაში „ერთი“ ნათესაობითის

ფორმით შეეწყობა ვითარებითს (ერთ-ის(ა) და იმავე ამბად), მეორეში კი ფუძის (ერთ) სახით.

დ. სალიტერატურო ქართულის ნორმათა მიხედვით მიუღებელია ისეთი ფორმები, როცა კუთვნილებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით არის ნახმარი I და II პირის ნაცვალსახელი, მაგ.: „ამით დამთავრდა მე და მისი საუბარი“, უნდა ვიხმაროთ ასე: „ამით დამთავრდა ჩემი და მისი საუბარი“ (აკაკი). ასევე: „მე და აბდუშაჰილის მეტმა არავინ იცოდა“ (აკაკი), უნდა იყოს: „ჩემ და აბდუშაჰილის მეტმა არავინ იცოდა“.

ე. ზოგ კილოში პირის ნაცვალსახელი იგინი ფუქედ არის აღებული და ხელმეორედ ნაბრუნები: იგინ-მა, იგინ-ს..., რაც არასწორია, უნდა ვიხმაროთ ასე: სახ. ისინი, მოთხ. იმათ, მიც. იმათ..., იგინმა მითხრეს” კი არა, — „იმათ მითხრეს“, „იგინს გადასცეს“ კი არა, — „იმათ გადასცეს“ და მისთ.

ვ. შეცდომაა სახელობითში ეგ ნაცვალსახელის მაგი ან მაი ფორმების ხმარება. უნდა ვიხმაროთ ასე: „ეგ კაცი“, „ეგ საქმე“ და არა- „მაგი კაცი“, „მაგი საქმე“, ან „მაი კაცი“, „მაი საქმე“... ასევე, შეცდომაა III პირის ის, იგი ნაცვალსახელების მრ. რიცხვის მოთხ. ბრუნვის ფორმების (იმათ, მათ) ნაცვლად კუთვნილებითი ნაცვალსახელების მოთხ. ბრუნვის ფორმების გამოყენება: მათმა (ამათმა, მაგათმა, იმათმა) თქვეს, ააშენეს და სხვ. ამ ზმნებთან პირის ნაცვალსახელი-მათ, იმათ უნდა იყოს წარმოდგენილი, სახ. ისინი, იგინი, მოთხ. იმათ, მათ ფორმით, და არა- იმათმა და მათმა. მაგრამ, თუ ეს ნაცვალსახელები კუთვნილებას გამოხატავენ, ე. ი. მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, მაშინ მათმა, იმათმა უნდა ვიხმაროთ, მაგ.: „მათმა(იმათმა, ამათმა) მეზობლებმა გააკეთეს...“

ზ. კუთვნილებითი ნაცვალსახელები (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი), რომ არ აირიოს პირისაში, საჭიროა მიცემითში მათი სრული შეთანხმება არსებითთან: ჩემ-ს მეგობარ-ს, შენ-ს მეგობარ-ს, ჩვენ-ს მეგობარ-ს, თქვენ-ს მეგობარ-ს და მისთ. შეცდომაა: ჩემ მეგობარ-ს, შენ მეგობარ-ს...

თ. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ვილაც(ა), რა-ლაც(ა), მრავლობითში უნდა ვიხმაროთ შეკვეცილი ფორმით: ვილაც-ებ-ი და რაღაც-ებ-ი და არა ვილაცა-ებ-ი და რაღაცა-ებ-ი-ვილაცეები, რაღაცა-ებ-ი-რაღაცეები.

ი. კუთვნილებითი ნაცვალსახელების (თავისი, მისი) ხმარებისას ზოგჯერ ადგილი აქვს უზუსტობას: თუ საგანი, რომლის შესახებაც ლაპარაკია, ეკუთვნის მოქმედ პირს, მაშინ მსაზღვრელად უნდა გამოვიყენოთ „თავისი“, მაგ.: „ვანო კარგად ასრულებს თავის სამუშაოს“. ხოლო თუ საგანი, რომლის შესახებაც ვამბობთ რამეს, არ ეკუთვნის მოქმედ პირს, მაშინ უნდა ვიხმაროთ „მისი“: „სასამართლოზე გიორგიმ მისი საქმე გაარჩია“, იგულისხმება სხვისი საქმე, პეტრეს, პავლეს...

კ. ჩვენებითი ნაცვალსახელები ეს, ეგ, ის, იგი ზოგჯერ თანხმონებით ელემენტების გარეშე გამოიყენება, მაგ.: „დამისხი, დამალევინე, ე დვინო ოხერ ტიალი...“ (ვაჟა). შალიტიერატურო ქართულისათვის მიუღებელია ასეთი ფორმები. იგი ცოცხალი მეტყველების კუთვნილებაა.

ლ. მე, შენ, ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელები არ იბრუნებიან, ხოლო ვინ ორი ფორმითაა წარმოდგენილი:

სახ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ	ვი-ნ	არავი-ნ	ვერავი-ნ
მოთხ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ	ვი-ნ	არავი-ნ	ვერავი-ნ
მიც.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ	ვი-ს	არავი-ს	ვერავი-ს
ნათ.	ჩემ...	შენ...	ჩვენ...	თქვენ...	ვი-ს	არავი-ს	ვერავი-ს
მოქ.	--	--	--	--	--	--	--
ვით.	--	--	--	--	--	--	--
წოდ.	--	შენიშენ	--	თქვენითქვე	--	--	--

ვი-ნ და მისგან ნაწარმოებ არავინ, ვერავინ-ში ნ-ს მიიჩნევენ მოთხრობითი ბრუნვის უძველეს ნიშნად. მოთხრობითის ანალოგიით იგი სახელობითშიც გადასულა.

მ. ნაცვალსახელების გამოყენებასთან არის დაკავშირებული აგრეთვე სტილისტიკის საკითხები. ნაცვალსახელი მოხერხებულად უნდა შეეუნაცვლოთ სხვა სახელებს, მათი არც მომეტებულად გამოყენება და არც გამოუყენებლობა არ ვარგა. საჭიროა ზომიერების დაცვა. მაგალითად: „აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წელს. აკაკიმ ბავშვობა გლეხის ბიჭებთან გაატარა. აკაკი პატარაობიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა პოეზიისადმი. აკაკიმ ბევრი პოემა, ლექსი და მოთხრობა დაგვიტოვა. აკაკის საქართველოს ბუღბუღს ეძახდნენ. აკაკი ახალგაზრდობის საყვარელი პოეტი...“ როგორც ვხედავთ, ამ პატარა მონაკვეთში სრულიად უგულვებელყოფი-

ლია ნაცვალსახელი, ამიტომ ტექსტი სტილურად გაუმართავია. მაგრამ ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ნაცვალსახელთა არც მოჭარბებული ხმარებაა გამართლებული. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია აზრის გაბუნდოვანება. მაგ.: „აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წელს. მან ბავშვობა გლეხის ბიჭებთან გაატარა. იგი პატარაობიდანვე ამჟღავნებდა პოეტურ ნიჭს. მან ბევრი პოემა, ლექსი და მოთხრობა დაგვიტოვა. მას საქართველოს ბულბულს ეძახდნენ. იგი ახალგაზრდობის საყვარელი პოეტია“. ფრაზა გაიმართება თუ ნაცვალსახელებს ზომიერად გამოვიყენებთ, მაგ.: „აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წელს. მან ბავშვობა გლეხის ბიჭებთან გაატარა. იგი პატარაობიდანვე პოეტურ ნიჭს ამჟღავნებდა. აკაკიმ ბევრი პოემა ლექსი და მოთხრობა დაგვიტოვა. მას საქართველოს ბულბულს ეძახდნენ.“

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ მაგალითები და წერტილების მაგივრად ჩასვით ნაცვალსახელი სათანადო ფორმით.

1. სიგელებთან ერთად ... საჩუქრებიც მიიღეს. 2. ზურაბ ქართველადე განთქმული იყო კახეთში ... სიმდიდრით და პურადობით”(ი. გოგებ.). 3. იმ დროებში ივანე ... ნაშოვარს ყველაფერს არყის სმაში ღუპავდა(გ. გაწ.). 4. „არ მინდა, ჩემო ბიძია, არც ... ფული და არც ... კაცობა”(გ. გაწ.). 5. ზურაბ ქართველადე ... ამალით იძულებული შეიქმნა უკანვე დაბრუნებულიყო (ი. გოგებ.). 6. ზოგიერთს დღეს დავალება...კარგად შეუსრულებია. 7. ყოველი მათგანი ... ხსენებაზე წითლდებოდა.

სავარჯიშო 2. გადაიწერეთ მაგალითები და გაარკვიეთ ნაცვალსახელთა მართებული და უმართებულო ფორმები.

1. მათმა დიდი შრომა გასწიეს მიზნის მისაღწევად. 2. იმათმა განუზომელი სიხარული მოჰგვარეს უცხოელ მაყურებელს. 3. მამაჩემმა ორასი თუმანი ჩემ ქმარს მისცა. 4. ეს რეები მესმის. 5. გუშინ შენთან ვინები იყვნენ? 6. გუშინ გიორგისთან ვიდაცაები იყვნენ 7. შენს მაგიერ ვერაფერს ვიტყვი. 8. ამით მთავრდება მე და შენი მეგობრობა. 9. ეს ამბავი ერთი და იგივე კაცმა გვითხრა. 10. მათმა თავდაუზოგავმა შრომამ შედეგი გამოიღო.

სავარჯიშო 3. ქვემოთ წარმოდგენილ წინადადებებში გაარკვიეთ ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმა.

1. მას შემდეგ, რაც შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება(ილია).

2. მეამის გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა (ა. წერ.). 3. დაო, მაგრამ დაზე უტკბესო, შემატყობინე, როგორ გადარჩი და ან აქ ვინ მოგიყვანა? (ა. წერ.). 4. ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ? (ილია).

5. მე უფროსი ვარ და თქვენთვის სირცხვილია, მე გამაგზავნოთ(ვაჟა). 6. ჩვენ გადავწყვიტეთ, ბაღლებმა, ახლოს მივსულიყავით (ვაჟა). 7. აი, ამ სახელში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840-ში (აკაკი). 8. როგორ, თქვენც გაქვთ რამე საჩივარი მეფესთან?(ვაჟა). 9. მათმა კარგად იცოდნენ, ვინ იღბა მათს ზურგს უკან.

§ 7. რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები

სახელის ფუძე შეიძლება იყოს მარტივი, ნაწარმოები და რთული. მარტივი ფუძე არ იშლება. ნაწარმოები, წარმოქმნილი, ფუძე შედგება მარტივი ფუძისა და მნიშვნელობის მცველი აფიქსებისაგან (მგლ-ურ-ი, მგლ-იან-ი, სა-მგლ-ე...), ხოლო რთული ფუძე კი შედგება ერთზე მეტი მარტივი, ან მარტივი და ნაწარმოები ფუძისაგან, მაგ. გულქვა, გულკეთილი, მადლიან-ბარაქიანი.

მნიშვნელობის თვალსაზრისით რთული ფუძე შეიძლება იყოს ერთმნიშვნელობიანი და ორ და მეტმნიშვნელობიანი; ერთი ცნების გამომხატველი კომპოზიტებია: ქალიშვილი, მამაკაცი, გულგატეხილი, გუთნისდუდა, ჯარისკაცი, ხიდისთავი, ხუროთმოძღვარი, თავმჯდომარე და სხვა. ასეთ სიტყვებში სიტყვის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელ ფუძეთა ჯამს, ამიტომაც ისინი არ შეიძლება იყოს და კავშირით შეერთებული. ხოლო ორ და მეტ ცნებიან კომპოზიტებში სიტყვის მნიშვნელობა უდრის შემადგენელ ფუძეთა ჯამს, მაგ.: და-ძმა,

დედ-მამა, ცოლ-ქმარი, რძალ-დედამთილი, მთა-ბარი, ქართლ-კახეთი და სხვ. ასევეა სამ და მეტყნებიანი კომპოზიციებიც: ქართულ-ბერძნულ-ლათინური ლექსიკონი...

ქართულში რთული ფუძის მიღების ძირითადი საშუალებაა: ა. ფუძის გაორკეცება და ბ. ორი ან მეტი ფუძის შეერთება.

ა. ფუძის გაორკეცვით მიღებული კომპოზიციებია: თავ-თავი, წამ-წამი, დაფ-დაფი, წკაფ-წკაფი, კის-კისი, კაშ-კაში, კაჭ-კაჭი, ბაჯ-ბაჯი, ძაგ-ძაგი, ნარ-ნარი, რაკ-რაკი, ციმ-ციმი, ჩიფ-ჩიფი, ჭიკ-ჭიკი, ჩუხ-ჩუხი, ხარ-ხარი და სხვ.

ზოგჯერ გაორკეცვისას ფუძეში ხდება ცვლილება: იცვლება ფუძისეული ხმოვანი ან თანხმოვანი, ხდება დისიმილაცია, ჩაემატება თანხმოვანი რომელიმე ფუძეში და ა. შ. მაგ.: ბაქი-ბუქი, ბრახა-ბრუხი, ლაწა-ლუწი, სხაპა-სხუპი, დაგა-ღუგი, კანტი-კუნტი, ჩამი-ჩუმი, ხათქა-ხუთქი, აბდა-უბდა, ბიჭ-ბუჭი, ბინდ-ბუნდი, რიჟ-რაჟი...ქოხ-მახი, გიჟ-მაჟი, კუჭ-მაჭი, არე-მარე, ახლო-მახლო, ავან-ჩავანი და სხვ.

ფუძის გაორკეცვისას შეერთება შეიძლება მოხდეს და კავშირით: პირ-და-პირ, თან-და-თან, ხელ-და-ხელ, დრო-და-დრო, ფეხ-და-ფეხ, წინ-და-წინ, ცხენ-და-ცხენ და სხვ. ასეთ ფუძეებს ზმნიზედური მნიშვნელობა აქვთ.

ბ. ენაში ასევე დასტურდება:

I. სინონიმური მნიშვნელობის ფუძეთა შეერთება: ტოლ-სწორი, ძალ-ღონე, ველ-მინდორი, სვე-ბედი, ბედ-იღბალი, ღარიბ-ღატაკი, შიშველ-ტიტველი, გზა-კვალი, კვლევა-ძიება...

II. ანტონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვათა შეერთება: მიწა-წყალი, დღე-ღამე, მთა-ბარი, მტერ-მოყვარე, უფროს-უმცროსი, კითხვა-პასუხი, დედალ-მამალი, ქალ-ვაჟი, ტყვე-ველი და სხვ.

III. სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიციები: ოქრო-ვერცხლი, გულ-მკერდი, და-ძმა, ცოლ-ქმარი, რძალ-მული, დედ-მამა, სიძე-სიმამრი, ქმარ-შვილი, წვერ-ულვაში, თვალ-წარბი, ხელ-ფეხი, გულ-ღვიძლი, ქვრივ-ობოლი, პურ-ღვინო, წერა-კითხვა, ქამარ-ხანჯალი, ფარ-ხმალი, ქართლ-კახეთი, სამცხე-საათაბაგო, რაჭა-ლენჩუმი, ტაო-კლარჯეთი და სხვ.

IV. საპირისპირო მნიშვნელობის საწარმოებელი ზმნისწინების დართვით მიღებული კომპოზიტები: მისვლა-მოსვლა, მიწერ-მოწერა, მიღებ-მოღება, შეხლა-შემოხლა, გამვლელ-გამომვლელი, ამვლელ-ჩამვლელი და სხვ.

V. სხვადასხვა ფუძეთა შეერთებით მიღებული ერთცნებიანი კომპოზიტები: კუდამოძებული, თავქუდმოგლეჯილი, თერგდალეული, თავდადებული, გონებაბახვილი, გულამოსკენილი, გულამომჯდარი, ქორბუდა, ტანმალაღი, ყურმოჭრილი, გულჩვილი, სულგრძელი, ქინძისთავი, სამფეხა, ხუროთმოძღვარი და სხვა.

კომპოზიტების წერისას უნდა გავითვალისწინოთ მართლწერის შემდეგი წესები:

1. ყველა ერთცნებიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად, ერთ სიტყვად: დედინაცვალი, მამულიშვილი, თავგადასავალი, ავადმყოფი, ძმადნაფიცი, თავმდაბალი, ქალბატონი, გლეხკაცი, კაციჭამია, ნაფსადგური, ზედამხედველი, შინაყმა და ა. შ.

2. ერთად იწერება აგრეთვე ისეთი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ცალკე აღებულ ნაწილებს მნიშვნელობა არა აქვს, მაგ.: ბაჯბაჯი, ბუტბუტი, კაშკაში, კაჭკაჭი, ლაქლაქი, ლულული, ნარნარი, რაკრაკი, რახრახი, ჩაქჩაქი, ჩიფჩიფი, ციმციმი, ხარხარი...

ერთად უნდა ვწეროთ ასევე ა). ისეთი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტებიც, რომელთა ფუძეში ხდება ბგერათცვლილება: ბალახბულახი, ბრახაბრუხი, ლაწალუწი, დაგადუგი, კანტიკუნტი, აბდაუბდა...ბიტბუტი, რიჟრაჟი, ქოხმახი, კუჭმაჭი, ახლომახლო... ბ). ერთად იწერება —ა სუფიქსდართული კომპოზიტები: კაშკაშა, ბაჯბაჯა, ნარნარა, ლაქლაქა, კაჭკაჭა... გ. ერთად იწერება და კავშირით შეერთებული კომპოზიტებიც: სხვადასხვა, პირდაპირ, ფეხდაფეხ, წინდაწინ, კარდაკარ და სხვ. ერთად იწერება და'თი შეერთებული რიცხვითი სახელები: ოცდაერთი, ოცდარვა, ორმოცდაერთი...

3. დეფისით უნდა დაიწეროს ორ ან მეტცნებიანი კომპოზიტები: და-ძმა, დედ-ძამა, ქართლ-კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, მამა-შვილი, ქალ-ვაჟი, დედა-შვილი, ცოლ-შვილი, ტაო-კლარჯეთი და ა. შ.

დეფისითვე იწერება ყველა სინონიმური და ანტონიმური მნიშვნელობის რთული სიტყვა: ტოლ-ამხანაგი, ქალ-ვაჟი, უფროს-უმცროსი, მტერ-მოყვარე, მიწერ-მოწერა და მისთ. დეფისით იწერება ისეთი კომპოზიციებიც, რომელთა შემადგენელი ნაწილები მნიშვნელობით ერთმანეთთან ახლოს დგას: ფარ-ხმალი, დედა-შვილი, რძალ-მული, თვალ-წარბი, მშვილდ-ისარი...დეფისით უნდა ვწეროთ რიცხვითი და ზედსართავი სახელებით ფუძეგაორკეცებული კომპოზიციებიც: ერთ-ერთი, ორ-ორი, სამ-სამი, ოც-ოცი...ცხელ-ცხელი, ცივ-ცივი, პატარ-პატარა...დეფისით უნდა ვწეროთ სახელის ფუძის გაორკეცებით მიღებული ზმნიზედური მნიშვნელობის კომპოზიციები: ქუჩა-ქუჩა, გზა-გზა, ტყე-ტყე, უბან-უბან, ნაპირ-ნაპირ და სხვ.

შენიშვნა: თუ ორ და მეტცნებიან კომპოზიციას მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები დაერთო, იგი უდეფისოდ იწერება, მაგ.: დედა-შვილი, მაგრამ დედაშვილური, დედაშვილობა; სახლ-კარი, მაგრამ უსახლკარო; ცოლ-შვილი, მაგრამ უცოლ-შვილო და მისთ. ეს იმით აიხსნება, რომ ამ შემთხვევაში მრავალცნებიანი კომპოზიტი ერთცნებიანად იქცევა. შდრ. დედა-შვილი (=დედა და შვილი) და დედაშვილური (ეთქვათ სიყვარული).

სავარჯიშო 1. ქვემოთ წარმოდგენილ კომპოზიციებში გაარკვიეთ რომელია სწორად დაწერილი და რომელი-არა.

1. საგუბრიდან საკვირველი ხმები ისმოდა: ჩუხჩუხი, ჩქერა, შრიალხრიალი, დევთა ბუებუყი (ვ. ბარ.);
2. წუხელ სათივეზე შუადამისას გამომეღვიძა და ქვევიდან სლაპასლუპი და ხრამახრუმი შემომესმა(ი. გოგებ.);
3. არწივმა უყვლა და თავ-გზა-აბნეული წეროები წინ გაირეკა (თ. რაზ.);
4. გრძელწვერა მღვდელ-მთავარმა ხელში აიყვანა მტირალი (ლ. გოთ.);
5. დედალ-მამალი როჭოებიც საშინელი კრიახით გადმოფრინდნენ (ლ. გოთ.);
6. მაშ, ბევრიბევრი ხუთი წლისა ყოფილა ეს ვეშაპისოდენა ხარი (ლ. გოთ.);
7. დანამდვილებით არვინ იცოდა, ვინ იყო და რამდენი დაჭრილდახოცილი (მ. ჯავახ.);
8. კამეჩებმა ნაპირის ბექობს წყალყვად ამოუარეს (ლ. გოთ.);
9. მაშინ წერაკითხვა არც ერთმა არ იცოდა (შ.დად.);
10. ტოლამხანაგების შეძახილმა ფრთები შეასხა ზაზას (ლ. გოთ.);
11. დირექტორი მამაშვილს გულ-თბილად გადაეხვია (დ.

კლდ.). 12. კუზიანი უგზოუკვლოდ დაეხეტება (გ. ტაბ.). 13. ჩვენ სხვილფეხი რად გვინდა, წვრილ-ფეხობაც გვეყოფა (თ. რაზიკ.).

საეარჯიშო 2. სწორად დაწერეთ ქვემოთ ჩამოთვლილი კომპოზიციები:

მეტიწმეტი, რქაბუდიანი, გულხარბი, თავდაყირა, გულმოწყალე, გულღვიძლი, გულმშვიდი, ოთხფეხა, შავტარა, ხელმარდი, ხელმოკლე, გულდათუთქული, ენამწარე, ტუცკობილი, პირისახე, პირმცინარე, კაციჭამია, კუდა-გრძელი, პირშავი, ხარირემი, ბერიკაცი, ბერმუხა, ლუკმაპური, პურღვინო, წიგნსაცავი, სახნისსაკვეთი, ოქროვერცხლი, ბარსაკვეთი.

საეარჯიშო 3. გაარკვეეთ სად არის საჭირო რეფიზი:

ძმა-ბიჭი, მზეთ-უნახავი, კავთის-ხევი, ხელ-სახოცი, წყალქვეშა, თავ-დასხმა, თავ-ლაფ-დასხმული, ერთად-ერთი, ერთ-ერთი, ზედ-ნაშენი, ძალ-ღონე, მიკითხვა-მოკითხვა, დიდ-დიდი, თეთრ-თეთრი, ზნე-ჩვეულება, ბატონ-პატრონი, ღოცვა-კურთხევა, ბალ-ბოსტანი, საცოლ-შვილო, მსხვილ-ფეხა, წვრილ-შვილი, მითქმა-მოთქმა, წვერ-კორესპონდენტი, სახლ-მუზეუმი, ტელეფონ-ავტომატი, ცხვირ-პირი, მხარ-ბეჭი, ჩოხა-ახალუხი, ქალ-ვაჟიანი, დედა-შვილობა, აე-კარგი, ჯგუფ-ჯგუფად, დაჭრილ-დახოცილი, ტყე-ველი, აღმართ-აღმართ, ალაგ-ალაგ, ჩუხ-ჩუხი, კის-კისი, კამ-კამი...

§8. შემოკლებული სახელები

ახალ სალიტერატურო ქართულში საკმაოდ დამკვიდრდა შემოკლებული სახელები, რომელთაც ახალი ტიპის კომპოზიციებს, სხვაგვარად აბრევიატურას უწოდებენ. მისი წარმოქმნა ენაში ძირითადად ეკონომიის პრინციპის საფუძველზე ხდება.

შემოკლებულ სახელთა დაჯგუფება შეიძლება ორგვარად: ა. სახელები, რომლებიც საკუთრივ ქართული ენის თარგზუ

არის შედგენილი, და ბ. ისეთები, რომლებიც ნაწარმოებია სხვა, უცხო ენის საფუძველზე.

წარმოების მიხედვით შემოკლება ნაირგვარია. სულ ათი სახეობა შეიძლება გამოიყოს:

1. კომპოზიტი მიღებულია შემადგენელ სიტყვათა დასაწყისი მარცვლების მიხედვით: პროფკომი (პროფესიული კომიტეტი), ფინგანი (ფინანსური განყოფილება), საბლიტგამი (საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა) და მისთ.

2. პირველი სიტყვის დასაწყის მარცვალთა და მომდევნო სიტყვის შეერთებით: სახბანკი (სახელმწიფო ბანკი), პარტბიურო (პარტიული ბიურო), სახვაჭრობა (სახელმწიფო ვაჭრობა), პროფკავშირი (პროფესიული კავშირი), მონკავშირი (მონადირეთა კავშირი), პედინსტიტუტი (პედაგოგიური ინსტიტუტი), საქწიგნი (საქართველოს წიგნი)...

3. შეერთებულია დასაწყისი სიტყვის ფუძე და მომდევნო სიტყვათა თავკიდური ბგერები: ენგურჰესი (ენგურის ჰიდროელექტრო სადგური), ხრამჰესი (ხრამის ჰიდრო ელექტრო სადგური)...

4. მიღებულია დასაწყისი სიტყვის პირველი მარცვლისა და მომდევნოთა თავკიდური ბგერების შეერთებით: საქსსრ (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა), აბჰესი (აბაშის ჰიდრო ელექტრო სადგური)...

5. ყველა სიტყვა ფუძის სახითაა შეერთებული: სოფლსაბჭო, ხილბოსტანი, პურკომბინატი...

6. პირველი სიტყვის ფუძეა წარმოდგენილი, მომდევნოს კი დასაწყისი მარცვალი: ქალაქმშენი, ქალაქკომი, ადგილკომი...

7. წარმოდგენილია შემადგენელ სიტყვათა თავკიდური ბგერები: ცაკი (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი), აწჰესი (აჭარისწყლის ჰიდრო ელექტრო სადგური), აშშ (ამერიკის შეერთებული შტატები)...

8. შემოკლებულია კომპოზიტში შემავალი ყველა სიტყვა: რაიკომი (რაიონული კომიტეტი), აღმასკომი (აღმასრულებელი კომიტეტი), უნივერზალი (უნივერსალური მაღაზია) და სხვ.

9. ორი კომპოზიტი (ცეკა, ტეკა) მიღებულია შემადგენელ სიტყვათა თავკიდური მარცვლების შეერთებით;

10. გვაქვს შემოკლების ისეთი სახე, რომელშიც შემადგენელ სიტყვათაგან ყველა არ არის წარმოდგენილი, მხოლოდ

ყველაზე მნიშვნელოვანი წევრებია შემოკლებული: რაიჯანგა-
ნი-რაიონული ჯანმრთელობის განყოფილება...

შემოკლებულ სიტყვათა უმეტესობის ჩაწერისას არაა
საჭირო შემოკლების ნიშნად წერტილის დასმა, თუ მხედ-
ველობაში არ მივიღებთ რამდენიმეს: ე.წ. ე.ი. ა.წ. ა.შ. უპყ.

სავარჯიშო: გაშალეთ და ისე წარმოდგინეთ შემოკლე-
ბული სიტყვები:

ლიტსექცია, პელსაბჭო, ფინაგენტი, ზაქესი, პარტრაიკომი,
აღმასკომი, სახელგამი, საქჩაი, ტექმომზადება, ფინგანი,
პროფკომი, ცეკაეშირი, გვირაბშენი, აღმასკომი, რსფსრ, კომ-
კაეშირი.

§9. ზმნასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

ზმნა, ქართული მეტყველების ქვაკუთხედი, წინადადების
აგების უმთავრესი ელემენტია. იგი გამოხატავს მოქმედებას
ან მდგომარეობას, დაესმის კითხვები: რას შვრება? რას
იზამს? რა ქნა? რა უქნია? და სხვ. მაგალითად: წერს, ხა-
ტავს, ჭრის, მოკლავს, ითამაშებს, გააგდო, დაყარა, მოუგია,
დაურტყამს...

ქართული ზმნა მრავალპირიანია. მასში წარმოდგენილ პი-
რებს შორის მოქმედს სუბიექტურს უწოდებენ, სამოქმედოს
კი-ობიექტურს. ზმნის ერთ ფორმაში შეიძლება წარმოდგენი-
ლი იყოს ერთი, ორი, ან სამი პირი. ერთპირიან ზმნაში ოდენ
სუბიექტური პირია წარმოდგენილი, ორპირიანში-ერთი სუ-
ბიექტური და ერთიც ობიექტური, სამპირიანში-ერთი სუბიექტ-
ტური და ორი ობიექტური. ობიექტური პირი ორგვარია: პირ-
დაპირი და ირიბი. ეს პირები ზმნაში სათანადო ნიშნებით გა-
მოიხატება. ისინი შეიძლება წარმოდგენილი იყოს I, II ან III
პირში.

თუ ზმნა პირველ პირშია და იგი ვ'ინით არის წარმოდ-
გენილი, მაშინ სუბიექტურ წყობასთან გვაქვს საქმე, ხოლო

თუ პირველი პირი შანით არის წარმოდგენილი, მაშინ წყობა ობიექტურია. პირთა რომელიობას ვარკვევთ შესაბამისი პირის ნაცვალსახელების შეწყობით, კერძოდ, I პირს შეესაბამება ნაცვალსახელები მხ. რიცხვში მე, მრავლობითში ჩვენ, II პირს შესაბამისად-შენ და თქვენ, III-კი ის, იგი, ისინი, ივინი, მათ. მაგალითად: მე ვ-გალობ, ჩვენ ვ-გალობ-თ, შენ გალობ, თქვენ გალობ-თ, ის გალობ-ს, ისინი გალობ-ენ...

I სუბიექტური პირის ნიშანი მხ. რიცხვში არის პრეფიქსი ვ-, მრავლობითში მას ემატება სუფიქსი -თ, მაგ.: ვ-ცხოვრობ მე, ვ-ცხოვრობ-თ ჩვენ.

I სუბიექტური პირის ნიშანი ვ იხმარება როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების წინ. იგი იწერება ვ'ინით დაწყებულ ფუძეებთანაც, გარდა ვალ ფუძისა. მაგ: ვ-ვარჯიშობ მე; ვ-ვარცხნი მე მას; ვ-ვარდები მე; ვ-ვექილობ მე მას; ვ-ვითარდები მე...შდრ. მო-ვალ, წა-ვალ, გადა-ვალ, წამო-ვალ...

სუბიექტის I პირის ნიშანი არ ისმის ო და უ ბაგისმიერი ხმოვნების წინ, მისი ხმარება კი აუცილებელია: ვ-ოცნებობ, ვ-უყვარვარ და სხვ.

თანამედროვე ქართულში II სუბიექტური პირის ნიშნები ხ-, ჰ-, ს- არ იწერება, გარდა ხ-არ და ხ-ვალ ზმნებისა (მე ვარ, შენ ხარ... მე მი-ვალ, შენ მი-ხ-ვალ), მრავლობითში კი ემატება სუფიქსი თ: თქვენ ხ-არ-თ, თქვენ წერ-თ...

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ჰ- და ს- პრეფიქსები ზმნებში აღნიშნავდნენ II სუბიექტურ და III ირიბ ობიექტურ პირს, მაგრამ მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელი ბგერით იწყებოდა ზმნის ფუძე, კერძოდ: ბ, გ, დ, ვ, ზ, ლ, კ, მ, ნ, პ, ჟ, რ, ს, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ხ თანხმოვნების წინ იხმარება ჰ- პრეფიქსი, ხოლო დ, თ, ტ, ჯ, ჩ, ჭ, ძ, ც თანხმოვნების წინ კი-ს თავსართი. ხმოვნის წინ კი აღნიშნული პრეფიქსები საერთოდ იკარგებოდა.

საშუალო ქართულში ჰ- და ს- პრეფიქსების ხმარების წესი იშლება და იგი არავითარ კანონს აღარ ემორჩილება. ჰ და ს პრეფიქსების ხმარების მოწესრიგება ვერ მოხერხდა ახალ სალიტერატურო ქართულშიც, ვიდრე სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენმა კომისიამ საბოლოოდ არ გადაწყვიტა ეს საკითხი. დადგინდა, რომ არ იქნეს ხმარებული ჰ და ს

პრეფიქსები II სუბუექტური პირის აღსანიშნავად, დარჩეს ეს პრეფიქსები მხოლოდ III ობიექტური პირის გამოსახატავად.

გამომდინარე ზემოთქმულიდან გვექნება: ა. ორპირიანი გარდამავალი ზმნები პრეფიქსის გარეშე: ბარავ, ბარავდი, ბარავდე, დაბარე, დაბარავდი, დაბარე, დაბარო (და არა: ჰ-ბარავ, ჰ-ბარავდი, ჰ-ბარავდე)... კლავ, კლავდი, კლავდე, მოკლავ, მოკლავდე, მოკალი, მოკლა...ტეხ, ტეხდი, ტეხდე, გატეხდი, გატეხდე, გატეხე, გატეხო და მისთ. (და არა: ჰ-კლავ, ჰ-კლავდი, ს-ტეხ, ს-ტეხდი...).

ბ. ირიბობიექტიან ზმნებში III პირის ირიბი ობიექტის აღსანიშნავად ჰ პრეფიქსი დაიწერება მხოლოდ ისეთ ზმნებში, რომელთა ფუძე იწყება ბ, ფ, პ, გ, ქ, კ, ყ თანხმოვნებით: და-ჰ-ფარფატებ-ს ის მას; და-ჰ-ფარფატებდ-ა ის მას; გა-ჰ-პირები-ა ის მას; გა-ჰ-პირებოდ-ა ის მას; გა-ჰ-პირებოდე-ს ის მას; ჰ-გავს ის მას; ჰ-გავდ-ა ის მას; ჰ-გავდე-ს ის მას...ა-ჰ-კიდებ-ს ის მას, მას; ა-ჰ-კიდ-ა მან მას ის; ა-ჰ-კიდო-ს მან მას ის; ა-ჰ-ყვებ-ა ის მას; ა-ჰ-ყვ-ა ის მას; ა-ჰ-ყოლი-ა ის მას.

ს- პრეფიქსი ირიბობიექტიან ზმნებში იხმარება იმ შემთხვევაში, თუ ზმნის ფუძე იწყება ბ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ, დ, თ, ტ თანხმოვნებით:

	ს ირ/ობ		ს ირ/ობ
და-ს-დევე-ს	ის მას	მო-ს-თხოვე-ა	მან მას ის
და-ს-დევენები-ა	ის მას	მო-ს თხოვო-ს	მან მას ის
მი-ს-დი-ა	მან მას	ს-თხოვე-ს	ის მას მას
გა-ს-ცვეთი-ა	ის მას	გა-ს-წითლებოდე-ს	ის მას
გა-ს-ცვეთოდ-ა	ის მას	შე-ს-ჯავრები-ა	ის მას
გა-ს-ცვეთოდე-ს	ის მას	შე-ს-ჯავრებოდე-ს	ის მას
შე-ს-ჩივი-ს	ის მას	შე-ს-ჯავრებოდ-ა	ის მას
შე-ს-ჩივლ-ა	მან მას	გა-ს-წითლები-ა	ის მას
შე-ს-ჩივლო-ს	მან მას	გა-ს წითლებოდ-ა	ის მას

პირდაპირი და ირიბი ობიექტის გასარჩევად მიემართავთ ასეთ ხერხს: ზმნის ფორმის პირველი სერიიდან მეორეში გადაყვანისას თუ ობიექტმა ბრუნვა არ იცვალა, საქმე ირიბ

ობიექტთან გვაქვს, ხოლო თუ იცვალა—პირდაპირთან (ხშირად სუბიექტს აღნიშნავენ ლათინური S ასოთი, ობიექტს კი O-თი). მაგ.:

ს ი/ო
I სერია: რას შერება? კერავს ის მას

ს ი/ო
II სერია: რა ქნა? შეეკრა მან ის
ობიექტმა ბრუნვა იცვალა, მაშასადამე, იგი პირდაპირია.
ახლა ასეთ ზმნას დავაკვირდეთ:

ს ი/ო
I სერია: რას შერება? სჯობს ის მას
ს ი/ო

II სერია: რა ქნა? აჯობა მან მას
ობიექტმა ბრუნვა არ იცვალა, ე. ი. იგი ირიბია
პირდაპირი ობიექტი I სერიის ყველა მწკრივში და ორივე
რიცხვში მიცემით ბრუნვაში დგას, ხოლო II და III სერიაში
კი-სახელობითში.

ირიბი ობიექტი ყველა სერიაში მიცემით ბრუნვაში დგას.

ცოცხალ მეტყველებაში ნაცვლად —ნენ სუფიქსისა ზოგჯერ ენ'ს ხმარობენ, რაც არასწორია. უნდა წარმოვთქვათ და ვწეროთ: უწყვეტელსა და I კავშირებითში: აკეთებდ-ნენ, კერავდ-ნენ, კლავდ-ნენ... შავდებოდ-ნენ, სახლდებოდ-ნენ, ფითრდებოდ-ნენ... დ'ზე დაბოლოებულ ფორმებთან: მოდიოდ-ნენ... ნენ მოუდით ასევე ვნებითებსა და დ'ზე დაბოლოებულ ფორმებს წყვეტილში: გაშავდ-ნენ, დასახლდ-ნენ, გაფითრდ-ნენ... მოვიდ-ნენ. —ნენ სუფიქსი მოუდით ორპირიან გარდაუვალ ზმნებს II თურმეობითსა და III კავშირებითში: შეჰკითხებოდ-ნენ, გაზრდოდ-ნენ, გაქცეოდ-ნენ... ეს წესი ვრცელდება ერთ და ორპირიან დინამიკურ(თბება'ს ტიპის) ზმნებზე ზემოთ დასახელებულ მწკრივებში: თბებოდ-ნენ, შრებოდ-ნენ, დნებოდ-ნენ, სწყურებოდ-ნენ, რჩებოდ-ნენ, ხმებოდ-ნენ... გათბ-ნენ, გაშრ-ნენ, გასწყურ-ნენ, დარჩ-ნენ, გახმ-ნენ... გასწყურმოდ-ნენ, გაზრდოდ-ნენ, გაფრთხილებოდ-ნენ და ა. შ.

ერთპირიანი ზმნების III პირის მხოლოდობით რიცხვში უმართებულთა ჰ- და ს- პრეფიქსების ხმარება, მაგ.: ს-ჩან-ს, შე-ს-დგ-ა, ს-დგა-ს, ს-ჭკნებ-ა და სხვ. უნდა ვიხმაროთ: ჩან-ს, შე-ს-დგ-ა, ს-დგა-ს, ს-ჭკნებ-ა და ა. შ.

შენიშვნა: თანამედროვე ქართულში რამდენიმე ზმნაში პრეფიქსი ს- ზემოდასახელებული წესის მიხედვით არ უნდა იხმარებოდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ზმნებში აღნიშნული პრეფიქსი უნდა დარჩეს, რამდენადაც ს- აქ ფუძესაა შეზრდილი, ეს ზმნებია:

გასტანს, გასტანდა, გასტანდეს, გასტანა, გასტანოს
გასწევს, გასწევდა, გასწევდეს, გასწია, გასწიოს
ასწევს, ასწევდა, ასწევდეს, ასწია, ასწიოს
გამოსცემს, გამოსცემდა, გამოცემდეს, გამოსცა, გამოსცეს
გასცემს, გასცემდა, გასცემდეს, გასცა, გასცეს (დაწერი-
ლებით იხ. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები,
პირველი კრებული, თბ., 1970; 1986).

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით გაარკვიეთ, რომელია სწორი და რომელი არასწორი ფორმა (სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვის თვალსაზრისით):

1. თუთაშიამ პასუხი არ გასცა (ჭ. ამირ.); 2. ცას პირი ჩა-
მოტიროდა (რ. ჭეიშ.); 3. მოწკორული თვალებით მიჩერებოდა
ექიმს (იქვე); 4. კარის სახელურს მოკიდა ხელი (იქვე); 5. ის
ღალატით მოჰკლეს (რ. ჯაფ.); 6. როდესაც ჰქრება ერის ენა,
ერი აღარ არსებობს (ი. გოგებ.); 7. მერცხალი ცველქად
დაჰფრინავს (ვაჟა); 8. ღაცაბიძე ჰგმინავს, მეშთა ჯერ კიდევ
ჰკივის (მ. ჯავახ.); დედაბოძე ჭრაქი ძლივს ჰბუტავდა (მ.
ჯაფ.); 10. მიჰქროდა არაბია...მის გვერდით მიჰქროდნენ აღ-
ვების, ჭადრების თალხი სიღუეტები (კ. გამსახ.); 11. მაგდანამ
არსენას გაულიმა და მოკლედ ჰკითხა...(მ. ჯავახ.); 12. ჯამებს
ასწევენ ღვინიას ძმებიც (გ. ლეონ.); 13. ახლა კი ქუდი
მოჰხადეს (მ. ჯავახ.); 14. ოღონდ ხალხს სურდეს: როგორც
ტყვიაში, უნდა ვარდებშიც მოჰკედეს მგოსანი (ი. აბაშ.); 15.
ჰლხინობენ კიდევ, კიდევ ჰხარობენ, ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ
და ჰმოქმედობენ (ილია).

სავარჯიშო 2. დასახელებულ ზმნათაგან გაარკვიეთ, რომელი ფორმაა მართებული და რომელი უმართებული:

ჰგრეხს, ხატავს, სვამს, ქსოვს, ჰკრეფს, ფლეთს, ხერეტს,
ჰბარავს, ჰზრდის, სჯის, ვარცხნის, ღრღნის, ჰბარავს, ტყხს,
სწერს, სწირავს, სრესს, ჰმდავს...

მოკალ, დაღუწე, დამალე, დახვრიტე, მოსპე, დაჰფარე, მოქსოვე, მოხარშე, დახუჭე, ჩაყლაპე, დაკეცი, შეღებე, დაცულე, მოწამლე, აწონე...მოპგერის, მოპკრუჭს, შეპმატებს, მოღრღნის, მოხერხავს, პხლენს, მოპხსნის, პკითხავს...

შეესტიდებივარ, შეესჯაერებივარ, ვსწვევივარ, მიეფერებივარ, შეესღავეებივარ...დასტკობია, გაპხმობია, გასჯღობია, გასთობია, გასტკობია, გასცვეთია, გასძერობია, დამხობია, გასცველობია, დასტკობია...

მოპგერის, მოპგლეჯს, შეპკრის, მოპკვეთს, პკადრებს, მოპპარავს, მოპფხანს, მოპპანს, მოსწმენდს, შესთავაზებს, ჩასტკრის, ჩასძახებს, მისცემს, მოსტკებს...

§10. ზმნისწინის ხმარებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

ცნობილია, რომ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში გეჰონდა შემდეგი ზმნისწინები: აღ, გან, გარდა, შთა, წარ, წიად, უკუ, მი, მო, აღმო, გამო, გარდამო, შთამო, წარმო, წიადმო, უკუმო.

ახალ სალიტერატურო ქართულში ზმნისწინთა ერთი ნაწილი ფონეტიკურად შეიცვალა, ზოგიერთი კი საერთოდ გაიდა ხმარებიდან და დღეისათვის გვაქვს: ა, გა, გადა, ჩა, წა, შე, მი, მო, ამო, გამო, გადმო, ჩამო, წამო, შემო. თუმცა გარკვეულ ფუძეებთან, როგორც ზმნებში, ისე ნაზმნარ სახელებში ზმნისწინები ძველი სახით შემოგვრჩა, მაგ.: აღზრდა, აღმაფრენა, აღმოცენება...განდიდება, განკარგულება, განმსგავსება, განცხადება...გარდატეხა, გარდამავლობა, გარდაქმნა...შთაბეჭდილება, შთაგონება, შთამომავლობა...წარმოდგენა, წარსული, წარმატება, წარმომავლობა...

თანამედროვე ქართულში გვაქვს შემთხვევები, როცა ძველი და ახალი სახეობა პრევერებისა პარალელურად იხმარება: გან-ასახიერებს და გა-ასახიერებს, გან-აცალკეებს და გა-აცალკეებს, გან-აცხადებს და გა-აცხადებს, გან-აერცობს და გა-აერცობს, აღ-აგზნებს და ა-აგზნებს, აღ-იმადლებს და ა-იმადლებს და მისთ.

მეორე მხრივ, გვაქვს ზმნის ფორმები, რომლებთანაც ზმნისწინი მხოლოდ ძველი ფორმით იხმარება, მაგ.: გან-ჭერეტს, გან-საზღვრავს, გან-იხილავს, აღ-ძრავს, წარმო-ადგენს, წარმო-თქვამს, გან-კურნავს, გან-აგრძობს, გან-აგებს, გარდა-ქმნის, შთა-ბერა და სხვ.

მესამე მხრივ, ზმნისწინთა ძველი და ახალი ფორმები მნიშვნელობის სადიფერენციაციოდ არის გამოყენებული, მაგ.: გან-ადიდებს (სახელს მოახეჭინებს) და გა-ადიდებს (სიმს-ხოში მოამატებს), გან-აახლებს (მუშაობას) და გა-ახლებს (ახალს გახდის), აღ-ზრდი ბავშვს, აზრდილა ხე და მისთ.

ზმნისწინთა ძველი სახე ახალ ქართულში უფრო შემონა-ხულა მიმღეობებსა და საწყისებში. აქ ახალი ფორმები მას მეტოქეობას ვერ უწევს, მაგ.: გან-დევილი, გან-დევნილი, გან-კურნება, აღ-დგენა, აღ-დგენილი, აღ-ფრთოვანება, შთა-გონე-ბა, შთა-ბეჭდილება, წარ-მოშობა და ა. შ.

ზოგიერთ ფუძეს ისე შეერწყა ზმნისწინი, რომ მისი გა-მოყოფა ჭირს, ზოგში კი პირის ნიშნის გადანაცვლება გამო-იწვია, მაგ.: ვა-ნ-თავისუფლებ, ა-ნ-თავისუფლებ, ა-ნ-თავისუფ-ლებ... მოყვანილი ფორმები არასწორია და, გამომდინარე აქედან, მიუღებელი სალიტერატურო ქართულისათვის.

ახალი სალიტერატურო ქართულის ნორმათა მიხედვით სწორ ფორმებად მიჩნეულია: ვათავისუფლებ, ათავისუფლებ, ათავისუფლებს, ვათავისუფლებდი, ათავისუფლებდი, ათავი-სუფლებდა... გავათავისუფლებ | განვათავისუფლებ, გაათავი-სუფლებ | განათავისუ-ფლებ... მოყვანილ ფორმათაგან უფრო მისაღები პირველია.

მიმღეობის ფორმები:

გა-სათავისუფლებელი | გან-სათავისუფლებელი, გა-მათა-ვისუფლებელი | გან-მათავისუფლ-ებელი.

საწყისის ფორმები:

გათავისუფლება | გან-თავისუფლება.

უმართებულო ფორმებია: ვანთავისუფლებ, გავანთავისუფ-ლებ, გამინთავისუფლებია, ვინთავისუფლებ და სხვა. უმართე-ბულოა ასევე სახელზმნები: გასანთავისუფლებელი, გამანთა-ვისუფლებელი, სადაც ნ ზედმეტია.

ორ ზმნაში, რომლებსაც აღ ზმნისწინი ერთვის, დ თანხ-მოვანი შეერწყა ფუძეს და ახალ სალიტერატურო ქართულში

გვაქვს: ვალიარებ (შდრ. აღვიარებ), ავალორძინე (შდრ. აღვორძინე)... ამის კვალობაზე შემუშავდა ვნებითისა და მიმღეობის ფორმები: ღორძინდება, ღორძინდებოდა, ღორძინდებოდეს... აღორძინებელი, ამაღორძინებელი... სხვა შემთხვევაში ამათ საპირისპიროდ ახალი სალიტერატურო ქართული-სათვის მართებული ფორმებია: ასხვავებს, ასახიერებს, ახორციელებს, აზოგადებს, არისხებს, აცალკევებს, აცხადებს, ამარტივებს, ამტკიცებს, კურნავს, ადგენს, აშფოთებს| ალაშფოთებს, ზრდის, ძრავს, ნიშნავს| აღნიშნავს და მისთ.

არასწორია: ანსხვავებს, ანცვიფრებს, ანსახიერებს, ანხორციელებს, ანზოგადებს, ანრისხებს, ანცალკევებს, ანცხადებს, ანმარტივებს, არდგენს, ღზრდის, ღძრავს, ღნიშნავს...

ზმნისწინის ხმარებასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს შემდეგი:

I. სალიტერატურო ქართულისათვის მიუღებელია ზმნისწინის ხმოვნის შეცვლა: წვილო (<წაილო), ეიტანა (<აიტანა), დუუკარგა, დოუკარგა (<დაუკარგა), შეეზარა (<შეეზარა)...

II. თუ ზმნის ფუძე ა'თი იწყება, ა'ზე დაბოლოებული ზმნისწინის დართვისას თავს მოიყრის ორი ა, მაგ.: ა-აშენა, ა-ამაღლა, ა-ამოძრავა, ა-აღწია, ა-ატანინა, ა-აცურა, ა-ასრულა, ა-ამოძრავა... გა-ატანა, გა-აკეთა, გა-ამზადა, გა-ასვენა, გა-აცურა... გადა-აგდო, გადა-აკეთა, გადა-ამზადა, გადა-აცურა, გადა-ასვენა, გადა-აბა... და-აგდო, და-აბა, და-ასრულა, და-აშენა, და-ატანინა... ჩა-აცვა, ჩა-აღწია, ჩა-ამტვრია, ჩა-ასვენა, ჩა-აწვინა, ჩა-აფარა, ჩა-აბულბულა... წა-აქცია, წა-ავლო, წა-ათრია, წა-აფრინდა, წა-აძრო, წა-აგლიჯა, წა-აძრო...

III. თუ ზმნა ნაწარმოებია ა'თი დაწყებული სახელის ფუძისაგან, ა-ზე დაწყებული ზმნისწინის დართვისას სამი ა მოიყრის თავს, მაგ.: ახალი-ა-ახლებს, მაგრამ გა-ა-ახლებს; ადვილი-ა-ადვილებს, მაგრამ გა-ა-ადვილებს...

IV. თუ ზმნის ფუძე ე'თი იწყება და მას ე'ზე დაბოლოებული ზმნისწინი დაერთვის, ზმნაში ორი ე მოიყრის თავს: ე-ზრდება-შე-ეზრდება, ემზადება-შე-ემზადება, ეშლება-შე-ეშლება...

V. თუ ზმნის ფუძე ი'თი იწყება მი ზმნისწინის დართვისას ორი ი მოიყრის თავს: იღებს-მი-იღებს, იკლებს-მი-იკლებს, იტანს-მი-იტანს, ირბენს-მი-ირბენს...

VI. სიტყვის სტრიქონიდან სტრიქოზე გადატანისას ზმნის-
წინის გათიშვა არ შეიძლება, არ შეიძლება ასევე ზმნისწინ-
თან დარჩეს პირის ნიშანი, ან ფუძისეული თანხმოვანი, მაგ.:
უმართებულოა: გა-და-ყრი-და, შეს-რულ-და, დამ-ხატა, გა-ნა-
ხორ-ცი-ელა და მისთ. უნდა იყოს: გადა-ყრი-და, შე-სრულ-და,
და-მხა-ტა...

სავარჯიშო 1. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში გაარ-
კვიეთ მართებული და უმართებულო ფორმები.

1. მოახსენა, რას მიბრძანებ! აღვიარებ სიმართლესო (აკა-
კი); 2. გადაწყვიტა-ყოველივე ელიარებინა (ე. ნინ.); 3. პროფე-
სორი კულეშოვი ანსხვავებს ორ ძირითად ტიპს; 4. დროგა-
მოშვებით ორიოდე ტყვეს ყიდულობდნენ და ანთავისუფ-
ლებდნენ (მ. ჯავახ.); 5. ეს კი უნდა აღვიაროთ (ილია); 6. ის
დიდი ოსტატობით ანვითარებს სიუჟეტს (გ. ქიქ.); 7. საშინაო
და საგარეო ვითარება...უნდა ვაღიაროთ (ილია); -დვეილუჰე,
წმინდად დვეილუჰე! -იძახოდა პლატონი (დ. კლდ.); 8. სხვის
შესახედავად წეიყვანა, ბატონო...(დ. კლდ.); 9. პლატონი
მარჯვე კაცია...იმას არაფერი გოუჭირდება! (დ. კლდ.); 10. ასი
მანეთისთვის შვილს კაცი რავა დოუკარგავს ბედს?! (დ.
კლდ.).

სავარჯიშო 2. წარმოდგენილ მაგალითებში გაარკვიეთ
სწორი და არასწორი ფორმები:

1. აღვიარებ, აღვაორძინებ, გაასხვავებს, გააზოგადებს, გა-
აცალკევებს, განაცხადებს, გააერცობს, ააგზნებს, აღმართავს,
განკურნავს, წარმოშობს, განჭვრეტს, განადიდებს, შთააგო-
ნებს, განგმირავს, ანცალკევებს, ღნუსხავს, ანვითარებს, განა-
ვითაროს, გაახორციელოს, გავინთავისუფლე, ვანთავისუფ-
ლებ, ვარდგენ, წამერდგინა, წარვადგინე, აღიარება, აღნუ-
სხვა, განდგომილი, წარმოდგენილი, განგრძობა, განთავისუფ-
ლება, გაცხადება, გასხვისება, განმეორება...

§11. -ავ სუფიქსიანი ზმნების მართლწერა

ზმნათა დიდ ჯგუფს აწმყოში აწარმოებს -ავ სუფიქსი (თემის ნიშანი), ესენია: ბაძ-ავ-ს, ბარ-ავ-ს, ბერ-ავ-ს, ბერტყ-ავ-ს, დაგ-ავ-ს, დაღ-ავ-ს, ზიდ-ავ-ს, ზოგ-ავ-ს, თელ-ავ-ს, თრგუნ-ავ-ს, თხზ-ავ-ს, კერ-ავ-ს, კლ-ავ-ს, კრძალ-ავ-ს, კუმშ-ავ-ს, ლანძღ-ავ-ს, ლოც-ავ-ს, მალ-ავ-ს, მარხ-ავ-ს, ნაბ-ავ-ს, პარ-ავ-ს, პარს-ავ-ს, რისხ-ავ-ს, რწყ-ავ-ს...

ზოგიერთ უსუფიქსო ფორმას -ავ სუფიქსის დართვის შემდეგ გაუნდა პარალელური ფორმები: კვეთს|კვეთ-ავ-ს, კვეცს|კვეც-ავ-ს, რეკს|რეკ-ავ-ს, რეცხს|რეცხ-ავ-ს, ქექს|ქექ-ავ-ს, ჩეხს|ჩეხ-ავ-ს, ჭედს|ჭედ-ავ-ს, ხეთქს|ხეთქ-ავ-ს, ხეხს|ხეხ-ავ-ს, იხვეჭს|იხვეჭ-ავ-ს... ფუძედრეკადებში: გრეხს|გრიხ-ავ-ს, გლეჯს|გლიჯ-ავ-ს, კენეტს|კენიტ-ავ-ს, კრეჭს|კრიჭ-ავ-ს, წმენდს|წმინდ-ავ-ს, ცვეთს|ცვეთ-ავ-ს|ცივით-ავ-ს...

პარალელურ ფორმათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ფუძედრეკად ზმნებში მისაღებია უსუფიქსო ფორმები: ბზეკს, გლეჯს, ხგრეტს, ზელს, ზნექს, კბენს, კენეტს, კრეფს, კრეჭს, ფლეთს...

არ არის მისაღები -ავ სუფიქსის ხმარება არაფუძედრეკად ზმნებში და ერთადერთ სწორ ფორმად მიჩნეულია უსუფიქსო ზმნები: კვეთს, კვეცს, ტეხს, ჩეხს, ჭექს, ხეთქს, იხვეჭს, ჩეხს, იღვღს, ყეფს, წერს, ხვეწს... სალიტერატურო ქართულის ნორმად იქნა მიღებული პარალელურ ფორმათაგან -ავ სუფიქსიანი შემდეგი ზმნები: გარეკავს, ბერტყავს, რეკავს, თიბავს, კენკავს, კეტავს, კეცავს, ლესავს, ლეწავს, პენტავს, ჟეჟავს, რეცხავს, ფეთქავს, ქექავს, წალეკავს, წეწავს, ჭედავს, ხეხავს, ხოცავს, კეებავს, წვეთავს...

ზოგჯერ -ავ სუფიქსის ნაცვლად ხმარობენ -ამ'ს, რაც არასწორია, მაგ.: კლ-ამ-ს, ხატ-ამ-ს, კერ-ამ-ს, ღებ-ამ-ს და მისთ. ან პირიქით: -ამ სუფიქსის ნაცვლად კი შეიძლება გამოყენებული იყოს -ავ, მაგ.: სვ-ამ-ს > სვ-ავ-ს... ნთქ-ავ-ს (შდრ. ნთქ-ამ-ს) ზმნისაგან მიღებულ ფორმებში აწმყოს ფუძის საწარმოებლად: ნთქ-ავ-ს (ჩაუნთქავს, ჩანთქავს, შთანთქავს, შთაუნთქავს), მაგრამ -ამ რჩება სახელზმნებში: ჩანთქმა, ჩანთქმული, ჩამთქმელი და მისთ. შესაბამისად ახალ სალიტერატურო ქართულში დამკვიდრდა შემდეგი მასდარები:

ბერტყვა, გარეკვა, თიბვა, კენკვა, კებვა, კეცვა, ლესვა, ლეწვა, პენტვა, შაშვა, რეცხვა, ფეთქვა, ხეხვა ხოცვა, კეება, წვეთა, კვეთა, კვეცა, ტეხა, ჩეხა, ჭექა, ხეთქა, ხევეჭა, ჩენა, გაღელა, ყეფა, წერა, ხეწა...

სავარჯიშო. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში გაარკვიეთ მართებული და უმართებულო ფორმები:

1. მისი სახე თითქოს სადღაც უკიდვგანო სივრცეში არის ჩანთქმული. 2. დედამიწას გულის სიღრმეში ჩაუნთქამს წყაროს წყალი. 3. ყოველი კაცი თავის ბედს თვითონვე ჭედავს. 4. გჭედავ და გჭედავ, ხანჯალო...5. შეუპოვრად გლიჯავს ქარი მცენარეთ. 6. გულში რაღაც მწარედ მჩხვლიტავს. 7. გიორგი გაკვირვებით მხრებს იჩეჩავს. 8. ვანო თოფის წმინდვას განაგრძობს. 9. დიასახლისი ხეხავს და წმენდავს ყველაფერს. 10. ყურში ყურებს ცქვეტს და ყეფას იწყებს. 11. ბებია მატყლს პენტავს. 12. მაკრინე ცომს ზილავს. 13. ვანომ ხორცის ჩეხვა დაიწყო. 14. ძვლების ტეხვამ დიტო შეაწუხა. 15. ნატო დღე-ღამეში ოცდაათიოდე გვერდს ბეჭდავს. 16. თაგვა ჩხრეკა, ჩხრეკა და კატა გამოჩხრიკაო.

§12. სუფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა მართლწერის საკითხები დრო-კილოთა მეორე ჯგუფში

ახალ სალიტერატურო ქართულში ი- და ე- პრეფიქსებით ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნები დრო-კილოთა II ჯგუფში (წყვეტილის მწკრივში) III პირის მრ. რიცხვში სუბიექტის ნიშნად -ნენ დაბოლოებას მიიღებენ. მაგ.: ნამყო ძირითადი (წყვეტილი): იწიანი ვნებითი (რა ქნეს?): ისინი და-ი-მალ-ნენ, გა-ი-ზარდ-ნენ, ა-ი-ნთ-ნენ, და-ი-ღუპ-ნენ, და-ი-ტვირთ-ნენ, და-ი-შალ-ნენ, და-ი-ხოც-ნენ და სხვ.

ეწიანი ვნებითი: ისინი ჩა-ე-წერ-ნენ, და-ე-მალ-ნენ, გა-ე-ზარდ-ნენ, და-ე-ხოც-ნენ, შე-ე-კვრ-ნენ, შე-ე-გებ-ნენ, და-ე-

ლოდ-ნენ, და-ე-მსგავს-ნენ, და-ე-ც-ნენ, წა-ე-კიდ-ნენ, შე-ე-ჩვი-
ნენ და სხვ.

უმართებულოა: გაიზარდ-ენ, აინთ-ენ, დაიღვარ-ენ, და-
ლუკ-ენ, შეეკებ-ენ, დაემსგავს-ენ, დაეშალ-ენ, შეეკერ-ენ, შეე-
კებ-ენ, დაცე-ენ და სხვ.

წარმოვადგინოთ II სერიის მწკრივთა პარადიგმები.

იწიანი ვნებითი:

წყვეტილი

მხ. რ.	მრ. რ.
მე და-ე-ი-მალ-ე	ჩვენ და-ე-ი-მალ-ე-თ
შენ და-ი-მალ-ე	თქვენ და-ი-მალ-ე-თ
ის და-ი-მალ-ა	ისინი და-ი-მალ-ნენ

ეწიანი ვნებითი:

მე მას და-ე-ე-მალ-ე	ჩვენ მას და-ე-ე-მალ-ე-თ
შენ მას და-ე-მალ-ე	თქვენ მას და-ე-მალ-ე-თ
ის მას და-ე-მალ-ა	ისინი მას და-ე-მალ-ნენ

II კავშირებითი

მხ. რ.	მრ. რ.
მე და-ე-ი-მალ-ო	ჩვენ და-ე-ი-მალ-ო-თ
შენ და-ი-მალ-ო	თქვენ და-ი-მალ-ო-თ
ის და-ი-მალ-ო-ს	ისინი და-ი-მალ-ო-ნ
ეწიანი ვნებითი:	
მე მას და-ე-ე-მალ-ო	ჩვენ მას და-ე-ე-მალ-ო-თ
შენ მას და-ე-მალ-ო	თქვენ მას და-ე-მალ-ო-თ
ის მას და-ე-მალ-ო-ს	ისინი მას და-ე-მალ-ო-ნ

ასევე -ნენ დაბოლოებას იღებს ყველა ზმნა უწყვეტელსა და პირველ კავშირებითში და ხოლმეობითსა და მყ. ავში-
რებითში, მაგ.: აკეთებდ-ნენ, გააკეთებდ-ნენ, ხატავდ-ნენ, და-
ხატავდ-ნენ, ტიროდ-ნენ, ემალებოდ-ნენ, დაემალებოდ-ნენ და
სხვ.

არასწორია: აკეთებდ-ენ, გააკეთებდ-ენ, ხატავდ-ენ, დახა-
ტავდ-ენ, იმალებოდ-ენ...

§13. ვნებითი გვარის ზმნები III სერიაში

ვნებითი გვარის ერთპირიანი და ორპირიანი ზმნები სხვადასხვაგვარად აწარმოებენ III სერიის მწკრივებს. ერთპირიანები დაირთავენ მეშველ ზმნებს: I თურმეობითში – ვარ, მეორეში – ვიყავ, III კავშირებითში კი ვიყო. ამათგან სუბიექტის ნიშანი ორმაგად წარმოდგენილია მხოლოდ I თურმეობითის I პირში, II თურმეობითსა და III კავშირებითში კი პირის ნიშანი წარმოდგენილია მხოლოდ სახელზმნაში:

ერთპირიანი ზმნა:

I. თურმეობითი	II თურმეობითი მხ. რიცხვი	III კავშირებითი
გაგზრდილ-ვარ მე გაზრდილ-ხარ შენ გაზრდილ-ა ის	გაგზრდილ-იყავ მე გაზრდილ-იყავ შენ გაზრდილ-იყო ის მრ. რიცხვი	გაგზრდილ-იყო მე გაზრდილ-იყო შენ გაზრდილ-იყოს ის
გაგზრდილ-ვარ-თ ჩვენ გაზრდილ-ხართ თქვენ გაზრდილ-ან ისინი ორპირიანი ზმნა	გაგზრდილ-იყავით ჩვენ გაზრდილ-იყავით თქვენ გაზრდილ-იყვნენ ისინი	გაგზრდილ-იყოთ ჩვენ გაზრდილ-იყოთ თქვენ გაზრდილ-იყვნენ ისინი
I თურმეობითი	II თურმეობითი მხ. რიცხვი	II კავშირებითი
გაგზრდი-ვარ მე მას გაზრდი-ხარ შენ მას გაზრდი-ა ის მას	გაგზრდ-ოდ-ი მე მას გაზრდ-ოდ-ი შენ მას გაზრდ-ოდ-ა ის მას მრ. რიცხვი	გაგზრდ-ოდ-ე მე მას გაზრდ-ოდ-ე შენ მას გაზრდ-ოდ-ა ის მას
I თურმეობითი	II თურმეობითი	
გაგზრდი-ვართ ჩვენ მას გაზრდი-ხართ თქვენ მას გაზრდი-ან ისინი მას	გაგზრდ-ოდ-ით ჩვენ მას გაზრდ-ოდ-ით თქვენ მას გაზრდ-ოდ-ნენ ისინი მას	
	III კავშირებითი	
	გაგზრდ-ოდ-ეთ ჩვენ მას გაზრდ-ოდ-ეთ თქვენ მას გაზრდ-ოდ-ნენ ისინი მას	

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, ერთპირიანი ვნებითი გვარის ფორმები III სერიაში მეშველ ზმნებს ყველა მწკრივში, ხოლო ორპირიანები მხოლოდ I თურმეო-

ბითში დაირთავენ, დანარჩენი მწკრივები (II თურმეობითი, III კავშირებითი) კი -ოდ-ი და -ოდ-ე სავრცობებს დაირთავენ.

სამწერლობო ენასა და დიალექტებში ზემოაღნიშნული ვნებითი გვარის -ოდ-ი და -ოდ-ე სუფიქსიანი ფორმების ნაცვლად ზოგჯერ გვხვდება ასეთი ფორმები: შეეკითხებ-იყავ (მე მას) და შეეკითხებ-იყო (მე მას), გავსჩენ-იყავ და გავსჩენ-იყო და მისთ.

ამ ფორმებს შორის -ოდ'ით წარმოება უფრო კანონიერი და გაბატონებულია თანამედროვე ქართულში. ისტორიული ტრადიციაც მას უჭერს მხარს და უნდა ვიხმაროთ -ოდ სავრცობიანი ფორმები: შეეკითხებ-ოდ-ი, შეეკითხებ-ოდ-ე (მე მას), დავსდგომ-ოდ-ი, დავსდგომ-ოდ-ე (მე მას), გავსჩენ-ოდ-ი, გავსჩენ-ოდ-ე (მე მას) და მისთ.

§14. მართლწერის საკითხები სხვა თემის ნიშანთა ხმარებასთან დაკავშირებით

ზოგიერთი გარდამავალი ზმნის აწმყოს ფუძეს აწარმოებს -ამ სუფიქსი. ახალ სალიტერატურო ქართულში I თურმეობითიც ინარჩუნებს ამ სუფიქსს და იხმარება: დაუდგ-ამ-ს, გაუბ-ამ-ს, შეუსე-ამ-ს, წარმოუთქვ-ამ-ს, ჩაუცვ-ამ-ს, აღუქვ-ამ-ს და სხვ. შეცდომაა: უთქმია, ჩაუცმია, დაუდგმია, დაუბმია, შეუსმია და მისთ.

-ებ სუფიქსიანი ზმნებს კი დრო-კილოთა მესამე სერიის ფორმები ორგვარად აქვთ ნაწარმოები. ზოგიერთი მათგანი II თურმეობითსა და III კავშირებითში აწმყოს ფუძეს (-ებ თემისნიშნიანს) იყენებს (ვლებულობთ ე. წ. -ინ'იან ფორმებს), ზოგი კი- არა. გვაქვს პარალელური ფორმები:

აწმყო	II თურმეობითი
ბრძაბ-ებ-ს	ებრძან-ა ებრძან-ებ-ინ-ა
აგდ-ებ-ს	გაეგდ-ო გა-ე-გდ-ებ-ინ-ა
ჰკიდ-ებ-ს	მო-ე-კიდ-ა მო-ე-კიდ-ებ-ინ-ა
ანთ-ებ-ს	და-ე-ნთ-ო და-ე-ნთ-ებ-ინ-ა

სტაც-ებ-ს მო-ე-ტაც-ა || მო-ე-ტაც-ებ-ინ-ა
 აქეზ-ებ-ს წა-ე-ქეზ-ა || წა-ე-ქეზ-ებ-ინ-ა
 ბად-ებ-ს და-ე-ბად-ა || და-ე-ბად-ებ-ინ-ა

III კაშირებითი

ებრძან-ო-ს || ებრძან-ებ-ინ-ო-ს
 გა-ე-გდ-ო-ს || გა-ე-გდ-ებ-ინ-ო-ს
 მო-ე-კიდ-ო-ს || მო-ე-კიდ-ებ-ინ-ო-ს
 და-ე-ნთ-ო-ს || და-ე-ნთ-ებ-ინ-ო-ს
 მო-ე-ტაც-ო-ს || მო-ე-ტაც-ებ-ინ-ო-ს
 წა-ე-ქეზ-ო-ს || წა-ე-ქეზ-ებ-ინ-ო-ს
 და-ე-ბად-ო-ს || და-ე-ბად-ებ-ინ-ო-ს

პარალელურ ფორმათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ინ'იანი ფორმებია მიჩნეული ნორმად. უარყოფილია: ებრძანა, გაეგდო, ებრძანოს, გაეგდოს...და მისთ. ფორმები.

გარდამავალ ზმნათა წარმოებისას I და II თურმეობითში ზოგჯერ თავს იჩენს პარალელური ფორმები: გაუტეხია || გაუტეხნია, დაუგლეჯია || დაუგლეჯნია, გაუყიდია || გაუყიდნია, გაუკენეტია || გაუკენეტნია, გაუცვეთია || გაუცვეთნია, გაეტეხა || გაეტეხნა, დაეგლიჯა || დაეგლიჯნა... რომელთაგან სწორია პირველი რიგის ფორმები.

III სერიის ფორმებში ნ'ს ჩართვა გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ: ა. ზმნას აწმყოში თემის საწარმოებელი სუფიქსი არა აქვს: ტეხს (აწმყო)-გაუტეხია || გაუტეხნია (I თურმეობითი); ამავე რიგისაა ფუძედრეკადი ზმნები: კენეტს-გაუკენეტია || გაუკენეტნია, გაეკენიტნა; ფლეთს-დაუფლეთია || დაუფლეთნია, დაეფლითნა; ცვეთს-გაუცვეთია || გაუცვეთნია, გაეცვეთნა...

ბ. როცა -აე'იან ზმნებს III სერიაში ჩამოშორებული აქვთ აღნიშნული სუფიქსი:

ლეწ-ავ-ს-გაულეწია || გაულეწნია, გაელეწნა
 თეს-ავ-ს-დაუთესია || დაუთესნია, დაეთესნა
 -ნ ასევე დაერთვის:

გ. -ემ სუფიქსიან ზმნის ფორმებს, თუ იგი ფუძესაა შესორცეხული: სც-ემ-ს-უც-ემ-ნია, ეც-ემ-ნა.

დ. -ებ სუფიქსიანებს, თუ ეს სუფიქსი ჩამოსცილდა:

იტაც-ებ-ს-მოუტაც-ებ-ი-ა, მაგრამ მოუტაც-ნ-ი-ა, მოეტაც-ნ-ა
ივიწყ-ებ-ს-დაუვიწყ-ებ-ი-ა, მაგრამ დაევიწყ-ნ-ა
ბად-ებ-ს-დაუბად-ებ-ი-ა, მაგრამ დაუბად-ნ-ი-ა, დაებად-ნ-ა.
თუმცა ეს წესი ყოველთვის არ მოქმედებს: აქ-ებ-ს-უქი-ექო;
ანთ-ებ-ს-აუნთი-ა-ენთო; სცხ-ებ-ს-წაუცხი-ა-წაეცხო...

ე. ზოგიერთ -ი სუფიქსიან ზმნებს II თურმეობითში:

თვლის-დაუთვლია-დაეთვალა|დაეთვალ-ნ-ა

ღერის-დაუღერია-დაეღვარა|დაეღვარ-ნ-ა

შლის-წაუშლია-წაეშალა|წაეშალ-ნ-ა, მაგრამ: ცრის-გაუც-
რია-გაეცრა. I თურმეობითში -ნ შეიძლება გაჩნდეს ყიდის
ზმნაში: ყიდის-გაუყიდია|გაუყიდ-ნ-ი-ა.

I თურმეობითში -ნ დარჩება მხოლოდ იმ ზმნებში, რო-
მელთაც, ა. ფუძეში ნ მოეპოვებათ: მიუძღვნია, დაულოცნია,
გაუხსნია, გაურყვნია, გაუსკვნია, დაუკორტნია... და ბ. იმ
ზმნებში, რომელთაც აწმყოში ნ აქვთ: უძღვნის, უხსნის, რყე-
ნის, უსკვნის, უტკეპნის, უვარცხნის და მისთ.

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ მაგალითები და გაასწორეთ
უმართებულო ფორმები.

1. საწყალმა ზალიკომ პატარა ხბო ორ მანეთად მიყიდა
მედუქნეს (თ. რაზიკ.); 2. ბატებმა შვება მოფინეს მთელს არე-
მარეს (ნ. ლომ.); 3. დამახინჯებულს გერიტის სხეულს სოსომ
ფეხი წამოკრა და ხელში აიღო (შ. არაგვ.); 4. გლეხკაცობა
კალიასავით მოფენოდა ჭაღებს (აკაკი); შენ გავს იგი, შეხედე
მის თვალებს, თხელ ტუჩებს (ნ. ლომ.); 6. თურმე ჩვენ დაგ-
ვიანებია იმ დამეს; 7. ვიფიქრე, ნეტავი მეც ეკლესიის ეზოში
დამარხა მეთქი; 8. ნინო აუცილებლად გამოცემს თავის ლექ-
სებს; 9. დათემა წინა ფეხები მადლა ასწია; 10. ვაჟკაცდებო-
დით თანდათან დღეობით კი არა, საათობით; 11. სხვებთან
ერთად მეც ვაჭრობ; 12. მამაჩემი ხშირად იტყოდა ხოლმე:
ჩემი დაუფიქრებლობით კინაღამ ცოდვაში ჩავარდითო (აკაკი).

სავარჯიშო 2. გადაიწერეთ მაგალითები, ზმნებს
მიუწერეთ სათანადო დაბოლოება და გაასწორეთ შეცდომები.

1. ისინი ფრთხილად მიიწვედ...წინ; 2. ჯარისკაცები ლა-
ზარეთში დაბინავდ...3. ღვინით შეზარხოშებულნი აღტაცებით
მიეგებ... მეფე-დედოფალს; 4. ნუ იჩქარით, მე თვით გა-

გინთავისუფლებ (6. ლომ.); 5. დროგამოშვებით ტყვეებს ყიდულობდ... და ანთავისუფლებდ...(მ. ჯავახ.); 6. შუადღე გადავიდა, ელიზბარს ჯერ თვალი არ მოუხუჭ... (ვაჟა); 7. მომცინარი რომ უნახ... უთქვ... ბავშვი ისე იცინის, რომ სწორედ სულელი გამოვაო (აკაკი); 8. ბატონს გაკვირვებია და ცივად უპასუხ... რას დამგვანებიახარ, რანაირად ჩაგიცვ... (აკაკი); 9 ჩემს დღეში ღვინო არ მის... (ვაჟა); 10. ვეღარ მიუხსნარ, ეჭვი აუღიათ ჭირისუფლებს და ტყეში გაუხიზნ... (აკაკი); 11. ებრძან... დღესვე მნახოსო; 12. იმდენი უცემ... რომ მთელ კვირას იწვა...

§15. თხოულობს, ფიცულობს და მისთანა ზმნების მართლწერის საკითხები

იგებს, ითხოვს, იკლებს, იმატებს და მისთ. ზმნების გვერდით ახალ ქართულში აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში (უწყვეტელსა და I კავშირებითში) გებულობს, თხოულობს, კლებულობს, მატულობს და მისთ. პარაფლური ფორმებიც იხმარება. ასეთი ზმნები (გებულობს, თხოულობს, კლებულობს...) ორგანული წარმოების ზმნათა პარაფლურად უფრო ინტენსიურად XIX-XX საუკუნეების მწერალთა ენაში გვხვდება, რაც ასპექტის წარმოების ახალ წესზე გადასვლასთან არის დაკავშირებული.

დიალექტებში ასეთი ფორმებიც გვხვდება: სროულობს (სროლილობს), ქადულობს, კვეხულობს, ნდომილობს, მატულობს, კეთულობს, ნებულობს, ქებულობს, წყენულობს, წყინულობს და მისთ., რაც მიუღებელია სალიტერატურო ენისათვის.

სავარჯიშო. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში გაარკვიეთ მართებული და უმართებულო ფორმები:

1. თითქმის ყოველდღე ვტყობილობთ შეზარავ ამბებს (გ. ასათ); 2. გემოთი ჩვენ ვიტყობთ სიტკბოს...(ი. გოგება.); 3. დღემდე სად იყავით, რომ დღეს ჭირისუფლობას ჩემულობთ? (აკა-

კი); 4. სახარებაზე კოფიცულობდა, რომ ამ საიდუმლოებას სა-
მარეში ჩაიტანდა (მ. ჯავახ); 5. ქართველები წამებასა და
სიკვდილს რჩეულობდნენ, ვიდრე მაცხოვრის ღალატს (ი. ო-
გებ.); 6. კახარმებში არეულობაა... გზმობილობენ, მობრძანდი-
თო (დ. კლდ.); 7. რად პნებულობ აგრე ცხარედ ლაპარაკსო
(ილია); 8. ჯერ დედა ქებულობს თავს (ილია); 9. უინს
გამწარებული კვაჭიკო ვერიკოზე ყრილობდა (მ. ჯავახ); 10.
ქალაი თავს იკლავს, არ ნდომულობს მაგის ძმას (ა. ყაზბ.)...

§16. კომპოზიციებისაგან (რთული სახელებისაგან) ნაწარმოები და რთული ზმნების მართლწერა

ქართულში ნასახელარ ზმნათა ერთი ჯგუფი სახელის
ფუძეზე — ობ თემის ნიშნის დართვით იწარმოება, მაგ.: ავად-
მყოფი-ავადმყოფ-ობ-ს, ხელმძღვანელი-ხელმძღვანელ-ობ-ს, აფ-
კაცი-აფკაც-ობ-ს, ბერიკაცი-ბერიკაც-ობ-ს, გულდიდი-გულდიდ-
ობ-ს, გულზვიადი-გულზვიად-ობ-ს, გულჩვილი-გულჩვილ-ობ-
ს...

ასეთ ზმნებში დაზუსტებას მოითხოვს ზმნის პირის ნიშ-
ნის ადგილის საკითხი. III სუბიექტური პირის ნიშანი ზმნას
ყოველთვის ბოლოში მოუდის და აქ, ბუნებრივია, გასარკვე-
ვიც არაფერია. II სუბიექტურ პირსაც თანამედროვე სალიტერ-
ატურო ქართულში ნიშანი არა აქვს (არ იწერება). საქმე
ეხება I სუბიექტური პირის ნიშანს, რომელიც შეიძლება
სხვადასხვა ადგილას იყოს წარმოდგენილი: ზმნის თავში, ან
რთული სიტყვის შემადგენელ ნაწილებს შორის, ე. ი. შეიძ-
ლება გექონდეს ვ-ხელმძღვანელობ ან ხელ-ვმძღვანელობ, ვ-
გულდიდობ და გულ-ვდიდობ და მისთ. ამ საცილობელ
ფორმათაგან სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით მარ-
თებულია პირველი, ე. ი. როცა I სუბიექტური პირის ნიშანი
ზმნის თავშია წარმოდგენილი: ვ-ხელმძღვანელობ, ვ-წინასწარ
მეტყველებ და მისთ.

რთული ზმნების გამოყენების არე ძველ ქართულში უფრო
ვართო იყო. გვხვდებოდა ასეთი ფორმები: ძალ-უმს, ხელ-

ეწიფების, აღთქმა-ყო, ბრძოლა-ყო, დევნა-ყო, ზრახვა-ყო, სრულ-ყო, უვარ-ყო, დაღად-ყო, ცხად-ყო, შეურაცხ-ყო, წაყლობა-ყო, ხელ-ყო, ამბორს-ყო, პატივ-ყო|| პატივი-სცა, ნათელ-სცა, თავყანი-სცა, ნუგეშინი-სცა, ნათელ-იღო, ყურად-იღო, თავს-იდვა, ჯუარს-აცუა, თანა-ედვა, წინა-დაცვითა და სხვ.

რთულ ზმნებში ფორმაცვალებას ზმნური ნაწილი განიცდის. რთული სახელებისაგან ნაწარმოები ზმნებისაგან განსხვავებით, რთულ ზმნებს სამივე სერიის ფორმები მოეპოვება. აღსანიშნავია, რომ I სერიაში მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები ეწარმოებათ, მყოფადი ისტორიულად არ განვიტარებიათ.

I სუბიექტურ პირში ყველა რთულ ზმნას სუბიექტის ნიშანი წარმოდგენილი ექნება შეამადგენელი ნაწილების საზღვარზე: შეურაცხ-ფ-ყოფ, ცხად-ფ-ყოფ, სრულ-ფ-ყოფ, იავარ-ფ-ყოფ, თანა-ფ-უგრძნობ, უკუ-ფ-აგდებ და სხვ.

შეცდომაა, როცა ასეთ ზმნებთან I პირში ორმაგადაა სუბიექტის პირველი პირის ნიშანი წარმოდგენილი: ვ-სრულ-ფ-ყოფ, შე-ფ-ურაცხ-ფ-ყოფ, ვ-ნათელ-ფ-ყოფ, ვ-ხელ-ფ-ყოფ და სხვ. ასევე შეცდომაა პირის ნიშნის ზმნის ფუძის დასაწყისში გადმოწევა: ვ-სრულყოფ, ვ-ხელყოფ, ვ-ნათელყოფ, ვ-უთა-ნაგრძნობ და სხვ.

ამრიგად, რთული სახელისაგან ნაწარმოები და ძველი ქართულიდან მომდინარე რთული ზმნების გამიჯვნა აუცილებელია. კომპოზიტებისაგან ნაწარმოები ზმნები ჩვეულებრივი ნასახელარი ზმნებია, რომლებშიც სახელის ფუძე (ოღონდ ეს ფუძე რთულია) და ზმნის ფუძის მაწარმოებელი აფიქსი გამოიყოფა: ავადმყოფ-ობ-ს, ავსულ-ობ-ს...რთულ ზმნებში კი გამოიყოფა სახელის ფუძე და ზმნა: სრულ-ყოფს, უჩინარ-ყოფს, უგულვებელ-ყოფს, ცხად-ყოფს და სხვ. რთული სახელებისაგან -ობ-(ებ) სუფიქსებით ნაწარმოებ ზმნებს I სუბიექტური პირის ნიშანი მოუღის თავში, ხოლო რთულ ზმნებს კი შეამადგენელი ნაწილების შიგნით.

სავარჯიშო. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში გამოარკვიეთ რთული ზმნების მართებული და არამართებული ფორმები:

1. ჩვენ ხშირად ავადვმყოფობთ; 2. შეილებით ვცოცხლობ და მათით ვსულდგმულობთ; 3. რაზე ვმავდღეობ მე ოხერი? (რ. ინან.); 4. ბავშვობაში ვწინასწარვმეტყველებდით ხოლმე; 5. აღარ ძალმიძს უკუვაგდო ცდუნება ესე (ა. კაღ.); 6. მიწდა კომიკური სიტუაციის გახსენებით შევეურაცხეყო (ს. კლღ.); 7. რისი იმედი უნდა ჰქონოდა ამ კაცს, რომ მე ვუთანაგრძნობ? (ო. იოს.); 8. ახალგაზრდებს ხშირად თანავუგრძნობ გრძნობათა გამომჟღავნებისას; 9. ასაფეთქებელი ხელსაწყო სწრაფად გავაუვნებელეყავით; 10. ნუ შევეურაცხეყოფთ მის მგრძნობიარე სულს; 11. ჩვენ სამუშაოთი ვერ ვუზრუნვეყოფთ ახალგაზრდებს.

§17. კონტაქტის (კაუზატივის) ფორმათა მართლწერის საკითხები

თანამედროვე ქართულში ზმნის შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად გამოიყენება -ინ და -ევ-ინ სუფიქსები, რომელთაგან -ინ დაერთვის -ებ, -ობ, -ოფ, -ემ სუფიქსიან და ერთთემიან (აგრეთვე ფუძედრეკად) ზმნებს. -ინ სუფიქსს იყენებენ ასევე ის -ავ და -ი თემისნიშნიანი ზმნები, რომელთაც ფუძეში ხმოვანი აქვთ, მაგ.:

აშენ-ებ-ს-აშენ-ებ-ინ-ებ-ს	ბარ-ავ-ს-აბარ-ე-ინ-ებ-ს
ათბ-ობ-ს-ათბ-ობ-ინ-ებ-ს	ულეტ-ს-აულეტ-ინ-ებ-ს
ყოფ-ს-აყოფ-ინ-ებ-ს	აკეთ-ებ-ს-აკეთ-ებ-ინ-ებ-ს
გაც-ემ-ს-გააც-ემ-ინ-ებ-ს	ქარგ-ავ-ს-აქარგ-ე-ინ-ებ-ს
ტეხს-ატეხ-ინ-ებ-ს	ღებ-ავ-ს-აღებ-ე-ინ-ებ-ს
დასძლ-ევ-ს-დააძლ-ევ-ინ-ებ-ს	კარგ-ავ-ს-აკარგ-ე-ინ-ებ-ს
დარეკს-აგრეკ-ინ-ებ-ს	ფარ-ავ-ს-აფარ-ე-ინ-ებ-ს
ხატ-ავ-ს-ახატ-ე-ინ-ებ-ს	ხარჯ-ავ-ს-ახარჯ-ე-ინ-ებ-ს
გზავნის-ავ-ზავნ-ინ-ებ-ს	უსმენს-ასმენ-ინ-ებ-ს...

-ევ-ინ სუფიქსით იწარმოება შუალობითი კონტაქტის ფორმები ყველა -ამ თემისნიშნიანი ზმნისა, ასევე -ავ და -ი სუფიქსიანთაგან ისეთები, რომელთაც აწმყოს ფუძეში (ან საერთოდ) არა აქვთ ხმოვანი:

რწყ-ავ-ს-არწყ-ევ-ინ-ებ-ს	დაგ-ამ-ს-ადგმ-ევ-ინ-ებ-ს
წყ-ავ-ს-აწყ-ევ-ინ-ებ-ს	აბ-ამ-ს-აბმ-ევ-ინ-ებ-ს
ხნ-ავ-ს-ახნ-ევ-ინ-ებ-ს	სვ-ამ-ს-ასმ-ევ-ინ-ებ-ს
ზრდის-აზრდ-ევ-ინ-ებ-ს	თხრის-ათხრ-ევ-ინ-ებ-ს...

მაგრამ ზეპირმეტყველებაში და მისი გავლენით სალიტერატურო ქართულშიც ხშირად შუალობითკონტაქტიანი ნარმოკვეცილი ფორმები გვხვდება, რაც, სალიტერატურო ნორმათა თვალსაზრისით, დაუშვებელია, მაგ.: აშენებ-ი-ებ-ს, ათობობ-ი-ებ-ს, აყოფ-ი-ებ-ს, ახნ-ევ-ი-ებ-ს, აზრდ-ევ-ი-ებ-ს და მისთ.

შენიშვნა 1. -ინ სუფიქსი იწვევს -ავ თემის ნიშნის კუმშვას (ხატ-ავ-ახატ-ვ-ინ-ებ), მაგრამ ზოგჯერ იკარგება ვ თანხმოვანიც. სალიტერატურო ნორმის დარღვევად არის მიჩნეული ვ'დაკარგული ფორმებიც: დაახატ-ინ-ა, შვაკერ-ინ-ა, დააბარ-ინ-ა...უნდა ვიხმაროთ: დაახატ-ვ-ინ-ა, შვაკერ-ვ-ინ-ა, დააბარ-ვ-ინ-ა...

ამ წესს უნდა დაემორჩილოს ყველა ფორმა -ავ (აგრეთვე -ევ) სუფიქსიანი ზმნებისა, რომელთაც ისტორიულად არ ჰქონდათ ეს სუფიქსები, მაგრამ შემდეგ გაუჩნდათ, ასეთებია: ბერტყ-ავ-ს, რეკ-ავ-ს, კენკ-ავ-ს, კეტი-ავ-ს, კეც-ავ-ს, ლეს-ავ-ს, პენტ-ავ-ს, რეცხ-ავ-ს, ქექ-ავ-ს, წეწ-ავ-ს, ხოც-ავ-ს, ხეხ-ავ-ს და სხვ. ამ ზმნების (ასევე მასდარების) კაუზატივიანი ფორმებში უნდა შენარჩუნდეს სუფიქსისეული -ვ:

აბერტყ-ვ-ინ-ებ-ს, არეკ-ვ-ინ-ებ-ს, აკენკ-ვ-ინ-ებ-ს, აკეტი-ვ-ინ-ებ-ს, აკეც-ვ-ინ-ებ-ს, ალეს-ვ-ინ-ებ-ს, აპენტ-ვ-ინ-ებ-ს, არეცხ-ვ-ინ-ებ-ს...მასდარები: ბერტყ-ვ-ინ-ებ-ა, პენტ-ვ-ინ-ებ-ა, რეკ-ვ-ინ-ებ-ა...

-ავ თემისნიშნიან ზმნათა ზოგიერთ ფუძეში ვ გადმოისმის სიტყვის დასაწყისისკენ და გვაქვს:

გესლ-ავ-ს-აგეს-ვ-ლ-ინ-ებ-ს-დააგეს-ვ-ლ-ინ-ა

კაკლ-ავ-ს-აკაკლ-ვ-ინ-ებ-ს-ჩამოაკაკლ-ვ-ლ-ინ-ა

არეკლ-ავ-ს-არეკ-ვ-ლ-ინ-ებ-ს-არეკ-ვ-ლ-ინ-ა...

აღნიშნული ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმადაა მიჩნეული.

შენიშვნა 2. -ი თემისნიშნიანი ზმნისაგან (ყიდ-ი-ს) მოსალოდნელი იყო ა-ყიდ-ინ-ებ-ს შუალობითი კონტაქტის ფორმა, მაგრამ სალიტერატურო ნორმად მიჩნეულია აყიდ-ვ-ინ-ებ-ს,

რასაც მხარს უჭერს მასდარის ფორმა(კ-ყიდვა (ძველად იყო სყიდა).

ვალკე განხილვის საგანია ისეთი შემთხვევები, როცა კა-უზატივის პარალელური ფორმებია წარმოდგენილი, ასე მაგალითად: ასუნთქებს და ასუნთქენებს, აყვინთებს და აყვინთვინებს, აკითხებს და აკითხვინებს...რომელთაგან ვინიანი ფორმაა მინეული სალიტერატურო ნორმად, პირველი-კი კუ-ზატივის ფორმას საერთოდ არ წარმოადგენს აკითხვებს ის მას წიგნს; ხოლო აკითხვინებს კი გულისხმობს შეუალობით ფორმას)...

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში გაარკვიეთ კონტაქტის უმართებულო ფორმები და გაასწორეთ:

1. ჩემი სახელი ლოცვით მოვასხენებო შენისთანა კაი კაცსა? (ილია); 2. სახლის წინ ამომყოფია თავი(აკაკი); 3. მამაშენმა კი ბევრჯერ აკნეტია თითი ქვეყნის მტერსა (აკაკი); 4. ჩვენი ესიკაის ბიჭს ვაკითხვიე ამბავი (ე. ნინ); 5. შემთხვევამ შემომადგმევია ფეხი თქვენს ოჯახში (დ. კლდ); 6. ორ საათში იმდენი თევზი დააჭერია, რამდენიც მათ თვეობით არ დაუჭერიათ (ტ. ტაბ); 7. ის ახალთახალი უღელი რამ გაგატეხია? (ო. იოს.); 8. დავით დადიანმა უმეთაურა და თბილისში გადააწერია და ათარგმნია პლუტარქეს „ცხოვრების აღწერანი“ (ს. ჭილ.); 9. მწვადს შეგაწვევიებ ჩუმიად გზაში (რ. ჭეიშ); 10. ჯერ სახარჯოს მოვატანიებდი და შემდეგ მათრახით ზურგს აეუღლიავებდი (ს. შანშ).

სავარჯიშო 2. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში გაარკვიეთ მართებული და უმართებულო ფორმები:

1. შემოვიხმე შინ და გადავაკეტინე კარები (აკაკი); 2. გავაპენტინებ ამ უცხოელს (ვაჟა); 3. აი, რამდენი დამახოცია (ს. მგალ.); ახალგაზრდა ბიჭები უყურებდნენ და, ვის შეაკერიო, აინტერესებდათ (რ. ჭეიშ); 5. ცხვირით მიწა გაახაზია (რ. ჭეიშ); 6. ამბობდნენ...სოლომონ მეორემ მოაწამლიაო (რ. ჭეიშ); 7. ხან ვის აბერტყინებდა, ხან ვის (რ. ინან.); 8. ბოლოს ჯადოსნური რამ სითხე შეკაზმეს, მამასახლისებს დაურიგეს, ლეშები დააწამლინეს (კ. გამს.)...

სავარჯიშო 3. გადაიწერეთ მაგალითები და წერტილების ნაცვლად ჩასვით შესაბამისი აფიქსები და გარკვეით რა დანიშნულებას ასრულებენ ისინი:

1. ... ვიწრო ხეობაში მოასწრეს თათრის ჯარს, შეიმწვდო-
ეს, იარაღი დააყრ...ეს (აკაკი); 2. მთავრები ერისთავს
აზრდ...ებენ თავის შვილებს (აკაკი); 3. პირველმა თავის
ოთახში აატან...ა გიორგი და თავის ლოგინზე დააწვენ...ა
(ილია); 4. საბედოს კაბა უკვე გადაებრუნებ...ა, პირუკულმა
ეცვა (ლ. გოთ); 5. დიდრონი თავთავები ღეროებს ვერ დაე-
მავრებ...თ (ნ. ლომ); 6. ფარეშებმა ხელი დააბან...ეს (აკაკი).

§18. ზმნიზედათა მართლწერის საკითხები

ზმნიზედა დაერთვის ზმნას (ან ნაზმნარ სახელს) და გვიჩვენებს მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს და ა.შ.

თუ ზმნიზედა ნაწარმოებია მოქმედებითი ბრუნვის ფორმი-საგან, მის ბოლოს იწერება თ: აქეთ, იქით, ზევით, ქვევით, ზემოთ, ქვემოთ, შიგნით, გარეთ, წინათ, დღისით, ღამით, დი-ლით, გვერდით, გაღმით, გამოღმით, უკეთ, უნებლიეთ, დრო-გამოშვებით... ამათ რიგში დგას ალბათ სიტყვაც, რომელიც წარმოშობით აღმოსავლურია.

უმართებულოა: აქედ, ზემოდ, ქვემოდ და მისთ.

თუ ზმნიზედა ნაწარმოებია ვითარებითი ბრუნვის ფორმის "გაქვევებით", ბოლოს იწერება დ: უცბად, კარგად, ცუდად, მარდად, პირველად, გაისად, აზიზად, ამაოდ, უსათუოდ, უთუ-ოდ, სათითაოდ, ხელმეორედ, მთლად, ძველად, ერთბაშად, წყნარად, მწარედ, ფართოდ, ვიწროდ, ყრუდ, ცერად, ნაკლე-ბად, ყოვლად, მშვენიერად, ღამაზად, სასახელოდ და მისთ.

შეცდომაა: უცბათ, კარგათ, ცუდათ, მარდათ, პირველათ, გაისათ, აზიზათ, ამათ...

შერწყმული (კომპოზიტური) ზმნიზედები იწერება ერთად (უდფუისოდ): ცალმხრივ, ყოველმხრივ, ყოველნაირად, მეტის-მეტად, დიდხანს, ერთხმად, ათასფრად, ამრიგად, ერთბაშად, ერთსულოვნად, დროგამოშვებით და მისთ.

დღეისით იწერება ფუძის გაორკეცებით მიღებული ასეთი ზმნიზედები: ნელ-ნელა, ჩქარ-ჩქარა, ნება-ნება, ქუნა-ქუნა, ტყე-ტყე, ხეე-ხეე, უკან-უკან, ნატყერ-ნატყერ, ნაკუწ-ნაკუწ, სოფელ-სოფელ...

ქვემოთ მოყვანილ პარალელურ ფორმათაგან პირველი სალიტერატურო ნორმაა, მეორე კი - დიალექტური: აგრემც|ასემც, ამაღამ|ამელამ, არასგზით|არაგზით, არასდროს|არადროს, არსაიდან|არსიდან, აქა-იქი|აქ-იქ, აქედან|აქიდან, აქეთ|აქით, აქეთობას|აქითობას, აღარასოდეს|აღარაოდეს, ახლავე|ახლავე, ახლანდელი|ახლანდელი, იქიდან|იქედან, იქით|იქით, სადამდე|სადამდინ, სადაც|საცა, სადღაც|სადღაც, საიდან|საიდან, საიდან|სიდან, სიდგან, საიდან|საიდგან, საიდან-ნაც|საიდგანაც, საიდანმე|საიდგანმე, სანამ|მინამ, სანამდე|მინამდე, ხანდახან|ხანდისხან.

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ მაგალითები და დააბოლოვეთ ზმნიზედები:

1. მიდამოს ალბა... ესმის ჩენი წუხილი; 2. არს...დან ხმა, არს...თ ძახილი, მშობელი შობილს არას მეტყოდა; 3. უცბა... მოიღრუბლა; 4. სწორე... გითხრათ, მეც გოცელები დავრჩი; 5. სრულია... მოულოდნელა... გამოჩნდა დიასახლისი; 6. ალბა... გულში ჩაწვდა დედის ძახილი; 7. ქვემო... შავი ღოდები მოჩანდა; 8. უქმა... ყოფნას ვერ უძლებდა; 9. გაისა... კარგი მოსავალი გვექნება; 10. მან ცერა... გახედა გიორგის და მოულოდნელა... ესროლა.

სავარჯიშო 2. გადაიწერეთ მაგალითები, გაასწორეთ ზმნიზედები:

1. მე იქით წამსვლელი არა ვარ ჩემი ნებითა (ვაჟა); 2. მინდა ამელამ წისქვილის სათავე გაეხსნა (ნ. ლორთ.); 3. ძირს ჩავიდეთ და იქედან უფრო დავინახავთ (აკაკი); 4. ეხლა სიტყვა თქვენზეა, ძმებო! 5. სოფლის განზრახვა არაგზით მას არ ჩაუგდოს ყურადა (ვაჟა); 6. მაგრამ არსიდან არ გიპასუხებს უბედურება (გ. ტაბ.); 7. აქითობას თან წამოიღე; 8. რავარც მოვიდა, მაშინვე მოიკითხა; 9. საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს...

§19. თანდებულთა და თანდებულისან სახელთა მართლწერის საკითხები

თანამედროვე ქართულში თანდებული დაერთვის სახელობით, მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებს. გვაქვს როგორც სახელთან შერწყმული, ისე ცალკე მდგომი თანდებულები. ბრუნვების მიხედვით თანდებულები ასე განაწილდება:

- სახელობითი – ვით;
- მიცემითი – ვით, -თან, -ზე, -ში;
- ნათესაობითი – თვის, -გან, -კენ;
- მოქმედებითი – ურთ, -გან;
- ვითარებითი – მდე, -მდის;

ქვემოთ განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც საცილობელ ფორმებს გვიჩვენებს. ზე (ზედა, ზედ) თანდებული დაერთვის მიცემით ბრუნვას. იგი სახელთან შერწყმულად არის წარმოდგენილი; შერწყმისას მიც. ბრუნვის ნიშანი დაკარგულია. მიცემითის –ს დაცულია მხოლოდ III პირის ნაცვალსახელთან: მა-ს-ზე, თუმცა ჩვენებით ნაცვალსახელებზე დართვისას აქაც იკარგება: ამა-ზე, იმა-ზე, მაგა-ზე...

ამჟამად სალიტერატურო ქართულში გაბატონებულია –ზე, მაგრამ ზოგჯერ იხმარება ზედა, ლხედ ძველი ფორმები. სახელდობრ: -ზედ იხმარება სიტყვაზე –ვე ნაწილაკის დართვისას: თავზედ-ვე, თქვენ-ზედ-ვე, მთა-ზედ-ვე... ზედა იხმარება –ც(ა) ნაწილაკის დართვისას: თავზედაც, მთაზედაც, თქვენზედაც, ჩემზედაც... (“იქნებ... გულზედაც მიმიკრას” – ილია).

ახალ სალიტერატურო ქართულში ზედა ჩვეულებრივია პოეზიის ენაში:

“ამაოდ სიტყვებს ჰხარჯავდა
ძმობა-ერთობის ჰანგ ზედა, –
ბოლო ეღება კოდალას,
ჩამოკიდებულს ხავსზედა” (ვაჟა).

–ში თანდებულიც მიცემით ბრუნვას დაერთვის. ძველ ქართულში იგი შინა ან შიგა ფორმით ცალკე სიტყვას წარმოადგენდა, ახალ ქართულში კი ფონეტიკური ცვლილებით –ში მივიღეთ, ეს უკანასკნელი კი შეერწყა სახელის ფუძეს. მისი

დართვის შემდეგ დაიკარგა მიცემითის ნიშანი, შენარჩუნებულია იგი ოდენ III პირის ნაცვალსახელთან-მა-ს-ში (შდრ. მა-ში, იმაში). ც(ა) ნაწილაკის დართვის შემდეგად -ში შეიძლება შეგვხვდეს შია'ს სახითაც. ბოლოკიდური ა წარმოშობით სავრცობი ჩანს: „ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე“ (ილია); „კარში გამოვიდოდი კი არა, ოთახშიაც ვერ ვჩერდებოდი“ (აკაკი). შდრ. გულშიც, ოთახშიც.

სახელზე თანდებულის დართვისას ზოგჯერ თავს იყრის ორი ერთნაირი ხმოვანი: ა. სიტყვაში ორი ზ მოიყრის თავს ზ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეზე -ზე თანდებულის დართვისას: ასპარეზი-ასპარეზ-ზე, ვაზი-ვაზ-ზე, კოვზი-კოვზ-ზე, ხაზი-ხაზ-ზე, თევზი-თევზ-ზე...

ბ. შ-ზე დაბოლოებულ ფუძეებზე -ში თანდებულის დართვისას ორი შ მოიყრის თავს: ბალიში-ბალიშ-ში, დგუში-დგუშ-ში, თეფში-თეფშ-ში, კომში-კომშ-ში და მისთ.

გ. თ-ზე დაბოლოებულ ფუძეებზე -თან თანდებულის დართვისას ორი თ მოიყრის თავს: კალათი-კალათ-თან, ბარათი-ბარათ-თან, იმერეთი-იმერეთ-თან, კახეთი-კახეთ-თან...

როცა ერთგვარ წვერთა ჩამოთვლაა და ისინი შეერთებულია და ან თუ კავშირებით, ამ კავშირების წინ მდგომი სიტყვა უთანდებულოდ იხმარება, მაგ.: უცხოელები იყვნენ გორში, თელავში, ბათუმსა და ქუთაისში; ხმელი წიფელი ფიქრობს თავისთავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე...

დანიშნულების გამომხატველი თვის თანდებულიანი სიტყვები ზოგჯერ გამოიყენება ჟურნალის, გაზეთის, ცალკეული შრომის სახელწოდებათა აღსანიშნავად, მაგ.: „კომუნისტური აღზრდისათვის“, „სოციალისტური მეცხოველეობისათვის“ და სხვ. წერისას ასეთ სახელწოდებებს ხშირად უმართებულოდ იყენებენ, მაგ.: „გიორგიმ წერილი გაგზავნა ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვისაში“ დასაბეჭდად“; „გაზეთ „სოციალისტური მეცხოველეობისათვის“ შეკითხვა გაგზავნეს“ და სხვ.

ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელად უნდა გამოვიყენოთ ჟურნალის, გაზეთის, ნაშრომის სახელწოდებების თანდებულისანი ფორმები, მაგ.: „გიორგიმ წერილი გაგზავნა ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციაში“; გაზეთში

„სოციალისტური მეცხოველეობისათვის” დაიბეჭდა გიორგის წერილი...”

ასევეა: -ზე, -ში, -თან თანდებულებიან საკუთარ სახელებთან ყველა ბრუნვაში შეიძლება ჩაესვათ და გამოვიყენოთ ნაწარმოების (თუ გაზეთის, ჟურნალის) სახელწოდებები: „ილია ჭავჭავაძემ მოთხრობაში „სარჩობელაზედ” გადმოგვცა...” „ს. ჩიქოვანის პოემაში „სიმღერა დავით გურამიშვილზე” გააშუქებულია...” „ნ. ბარათაშვილის ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ” დახატულია”...

მდგომარეობა არ იცვლება, როცა სათაურად მთელი წინადადებაა: „ფრიდონ ხალვაშის რომანში” შეიძლება თუ არა მუსულმანი იყოს ქართველი” დახატულია ახმედ მელაშვილის ცხოვრების სურათები”...

მიცემითის -თან თანდებული მომდინარეობს ძველი ქართულის ცალკე მდგომი თანა თანდებულისაგან. თანის დართვისას თანხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითის ნიშანი -ს დაკარგულია, ხმოვანფუძიანებთან კი-შემონახულია: სახლ-თან, ბაღ-თან...მთას-თან, მამას-თან...ც(ა) და -ვე ნაწილაკების დართვისას ძველი თანა'ც იხმარება: ამხანაგ-თანაც, დედას-თანაც, ამას-თანავე და მისთ.

-თვის თანდებული დაერთვის ნათესაობითის როგორც გაუერცობელ, ისე გაერცობილ (ემფატიკურხმოვნთან) ფორმას: ამხანაგის-თვის ან ამხანაგისა-თვის. ასევეა -კენ და -გან თანდებულების დართვის შემთხვევაშიც: ამხანაგისკენ ან ამხანაგისა-კენ, ამხანაგის-გან ან ამხანაგისა-გან...პარალელურ ფორმათაგან ორივე მიჩნეულია სალიტერატურო ნორმად.

-გან თანდებული დაერთვის მოქმედებით ბრუნვასაც, მაგრამ აქ იგი ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის (სახლით-გან>სახლიდ-გან>სახლი-დან... ხდება ჯერ ასიმილაცია, შემდეგ კი ბგერის დაკარგვა) და ვლებულობთ -იდან|-დან ფორმებს, რომელნიც შემდეგნაირად განაწილდებიან: თანხმოვანფუძიანებთან -იდან, ხმოვანფუძიან უკვეცელებთან -დან. ნათესაობითის -გან თანდებულებიანი და მოქმედებითის -იდან|-დან თანდებულებიანი ფორმების ხმარებისას უნდა გვახსოვდეს რომ: კითხვაზე ვისგან? ან რისგან? მიუგებს -გან თანდებულებიანი ნათესაობითი, ხოლო კითხვაზე საიდან?-იდან|-დან-იანი მოქმედებითი: ბარათი ვისგან მიიღე? დედისგან; კოვზს

რისგან ამზადებენ? ხისგან; ჭია საიდან ამოქურა? ხიდან, ღრუდან...

-მდექ-მდის თანდებული ახალ სალიტერატურო ქართულში ვითარებით ბრუნვას ერთვის. მათ სინონიმური მნიშვნელობა აქვთ (მდრ.სოფლამდე|სოფლამდის). ეს თანდებულებიც კარგავენ ვითარებითი ბრუნვისნიშნისეულ თანხმოვანს (მდრ. სოფლამდე>სოფლამდე|სოფლამდის).

ახალ სალიტერატურო ქართულში -იდან|-დან'ის ნაცვლად არ უნდა ვიხმართ იდამ|დამ, რომელიც დადასტურებულია XVIII-XIX საუკუნეების სალიტერატურო ენაში. -იდან|-დან და -იდამ|-დამ სხვადასხვა წარმომავლობას ამჟღავნებენ.

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში მონახეთ და გაასწორეთ არასწორი თანდებულიანი ფორმები.

1. ტყვიამ აქამდისინ ვერ მიპოვა(ილია); 2. აქამდინ მე სულელი კიდევ რაღაცას ველოდი (ილია); 3. ძმაო ნიკო, სხვადასხვა შემთხვევის გამო ხუთშაბათამდი ვერ მოვდივარ (აკაკი); 4. გიორგი ცოცხალ-მკედარი ნახეს დედამიწაზედ პირქვე დამხობილი (ილია); 5. ნასწავლი კაცი არის, ტანზედ ფრაკი აცვია (აკაკი); 6. ცხვრიდგან რაისთვი მოსულხარ? (ა. ყაზბ.); 7. გუგედრები, გზიდამ ჩამომეცალე! (ილია); 8. მთიდამ მამლის ყივილამდის ვერ ჩამოხვალ (ა. ყაზბ.); 9. თქვენი ლაპარაკიდამა სცანს, ის დათვი ყველგან უნდა იყოს (ვაჟა).

სავარჯიშო 2. მოყვანილ მაგალითებში უმართებულო ფორმები შეცვალეთ მართებულით და აღნიშნეთ, რომელი ბრუნვის ფორმას დაერთვის -გან თანდებული.

1. გულდამწვარი ვარ ზოგიერთებიდან (ე. ნინოშვი.); 2. მაგას მამულის გამყოფელიდან უნდა თავი დეიფაროს (დ. კლდ.); 3. სინათლე შემოდოდა ფანჯრებისაგან (ე. ნინოშვი.); 4. ყმობიდან გაგათავისუფლებ (ლ. არდაზ.); 5. ძმობიდან გამოგზავნილი ამანათი მივიღე; 6. დედის გულიდან წყენა ჯერ კიდევ არ ამოსულიყო; 7. ამ ქვეყნიდამ გამოგზავნილმა კაცმა საღამოს ძლივს მოაღწია მეფის სასახლესში; 8. ხის ფულუროსაგან ბაჭიამ ამოყო თავი; 9. გიამ ზღვისაგან წყალი ამოიღო; 10. მესამე დღეზე ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა.

§20. ცალკე მდგომ თანდებულებთან და ზმნიზედებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

ახალ სალიტერატურო ქართულში სახელის ბრუნვის ფორმასთან შერწყმული თანდებულების გარდა მოიპოვება ცალკე მდგომი თანდებულები და აგრეთვე ადგილისა და დროის გამომხატველი ზმნიზედები, რომლებიც იმ სახელისაგან, რომელსაც დაერთვიან, მოითხოვენ გარკვეული ბრუნვის ფორმას (მიცემითსა და ნათესაობითს), შედეგად ენაში ჩნდება პარალელური ფორმები, ზოგჯერ უმართებულოც.

ცალკე მდგომი თანდებულები და ზმნიზედებია: მიერ, მიმართ, გამო, გარდა, მაგიერ, ნაცვლად, შესახებ, მიხედვით, შუა, შორის, გარეშე, წინააღმდეგ... ქვეშ, ქვევით, ქვემოთ, ზევით, ზემოთ, წინ, წინათ, წინაშე, უკან, შემდეგ, მერმე, მერე, გაღმა, გამოღმა, გადაღმა, გარეთ, გარეშე, გარშემო, ირგვლივ, ახლოს, შორს, შორიახლოს, მახლობლად, გვერდით, პირდაპირ, გასწვრივ, ბოლოს, მხრივ||მხრით, მარცხნივ, მარჯვნივ, აქეთ, იქეთ, მსგავსად, მოშორებით, ირგვლივ, პირას, პირზე, განაპირას, უმაღლ, ძირს და მისთ.

დასახელებული თანდებულები და ზმნიზედები თუ ორივე ბრუნვის ფორმას (მიცემითსა და ნათესაობითს) ერთვიან, უპირატესობა ნათესაობითს უნდა მიეცეს, მიცემითი ოდენ გაქვეავებულ გამოთქმებში უნდა დარჩეს, მაგ.: ამხანაგის გარდა და გარდა ამხანაგისა, ამის გარდა და გარდა ამისა... გარდა ამისა ნათესაობითთან უნდა დარჩეს (მიცემითთან კი მხოლოდ გაქვეავებულ გამოთქმებში უნდა გამოვიყენოთ) ისეთი სიტყვები, რომელთაც ზმნიზედური მნიშვნელობა აქვთ: „მისი მშვენიერი „სულო ბოროტო“ სხვა არა არის რა, გარდა ყოველი იმ ადამიანის ჩივილისა, რომელსაც მოხვედრია „ხელი მსახვრალი“ (ილია); „ეს ბავშვური სცენები სუყველას მოეწონა, გარდა მოურავისა“ (აკაკი)... უკუსაგდებია მიცემითის ფორმასთან წარმოდგენილი ფორმები: „არაყს გარდა ქორწილში პურიც კი იყო საჭირო“ (ვაჟა)...

გარდა თანდებული I და II პირის ნაცვალსახელებთან პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს: ჩემ გარდა||ჩემს გარდა,

ჩვენ გარდაჩვენს გარდა, შენ გარდაშენს გარდა, თქვენ გარდათქვენს გარდა.

იქეთ, აქეთ და მისთანა ზმნიზელები უნდა დარჩეს ნათესაობითთან: სოფლის იქით, დღეის იქით, ამ დღის აქეთ, მთის იქიდან და სხვ. მიცემითში კი გაქვევებულ ფორმებთან დარჩება: ცხრა მთას იქით, ამას იქით, მას აქეთ, ცხრა ზღვას იქით და მისთ.

I და II პირის ნაცვალსახელებთან კი დარჩება მიცემითის ს'ანიანი გაქვევებული ფორმები: ჩემს იქით, შენს იქით, ჩვენს იქით, თქვენს იქით, ჩემს აქეთ, შენს აქეთ, ჩვენს აქეთ...

უკან ნათესაობითთან უნდა იხმარებოდეს (გარდა ამ შემთხვევებისა: მას უკან, პატარა ხანს უკან, ზურგს უკან, პირს უკან, რომლებიც მიცემითთან არის წარმოდგენილი), მაგ.: თამარი ხალხის უკან იდგა (ვაჟა); სახლის უკან კალო-საბქელია (ილია)...

შორის და შუა მხოლოდ მიცემითთან უნდა იხმარებოდეს: შეიქმნა დიდი თქმულობა მეფესა, ვაზირსა და რუქას შორის (საბა); თვალსა და ხელს შუა გავეპარე (აკაკი)... უმართებულთა ნათესაობითთან მათი ხმარება: რა ვიცოდი, რომ ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიღება (ილია)...

I და II პირის ნაცვალსახელებთან უპირატესობა უსანო ფორმებს ეძლევა: ჩვენ შორის რაღაცას ვხედავთ (ი. გოგებ.); ჩვენ შუა ხიდია ჩატეხილი (ილია)...

შემდეგშემდგომ უნდა იხმარებოდეს მიცემითთან და ნათესაობითთან: მაგ.: ჭიდაობის შემდეგ აბღუშაძილი თავის ქერქში ვეღარ იყო (აკაკი); წერილის წაკითხვის შემდგომ სულ ერთსა და იმავეს ფიქრობდა დავითი (ლ. ქიან.)... მას შემდეგ სხვა კერპი ვეღარა ვნახე (ჭ. ლომთ.); ჩემს შემდეგ--ცოცხალი ვეღარ გამობრუნდება (შ. არაგვ.)...

ქვეშ, გამო, წინაშე, წინ, მიერ, მერმე, მაგიერ (მაგიერად) გაღმა, გაღმოდმა, გადაღმა, გაღმოდმა-იხმარება ნათესაობითთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, სადაც მყარი გამოთქმები გვაქვს, როგორიცაა: ცხრა მთას გადაღმა, ზღვას გაღმა, წყალს გაღმა, წყალს გაღმოდმა.

წინათ ნათესაობითთან დარჩება, მიცემითთან კი მხოლოდ გამოთქმაში „ამას წინათ“ (წინეთ დიალექტურია).

ასევე ნათესაობითთან უნდა იხმარებოდეს: ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ, ახლო, ახლოს, შორიახლო ფორმები, მათვე დაუკავშირდება ნათესაობით ბრუნვაში: მახლობლად, მსგავსად, მოშორებით, ირგვლივ, გასწვრივ, პირას, პირდაპირ, წინააღმდეგ, უმაღლ, ბოლოს, ძირს, შესახებ, გარეთ, გარშემო, ნაცვლად, გვერდით და სხვ. I და II პირის ნაკვალსახელებთან კი ს'ანმოკვეცილ ფორმებთან იქნება წარმოდგენილი: ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ (ჩემ მიერ, შენ გარდა, ჩვენ უკან, თქვენ შემდეგ, შენ მაგიერ, ჩემ მერე, ჩემ ზევით...).

მართებულაია, როცა ყველა ზემოდასახელებული თანდებული თუ ზმნისართი მოსდევდეს სახელს (სახელი + თანდებული ან ზმნისართი), გამონაკლისია გარდა, რომლის პრეპოზიციაც დასაშვებია: ამის გარდა||გარდა ამისა.

სახელის მიცემით ბრუნვას შეერთებული ს'ანმოკვეცილი ფორმები მიჩნეულია კომპოზიტად და ერთ სიტყვად იწერება: ლოდებშუა, ჭერქვეშ, ფეხქვეშ, თვალწინ, ცხვირწინ, წყალგაღმა და მისთ.

სავარჯიშო. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში მონახეთ ცალკე მდგომი თანდებულები და ზმნისართები და გაარკვიეთ მართებული და უმართებულო ფორმები.

1. ჩემ გარდა ნიკო და ტატოც იყვნენ იმ საღამოზე;
2. შენს გარდა მე ცხო არვინ მინდა (ა. ყაზბ.);
3. ჩვენ კერძს გარდა მოსაკითხიც მოგვდიოდა (აკაკი);
4. ამ დღის შემდეგ ნატო ცხრა მთას იქით გადაიკარგა;
5. მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება (ილია);
6. შენს იქით კაცსა ვერ ვპოვებ (ვაჟა);
7. ჯაგს უკან თოფიანი კაცია მიმალული (ვაჟა);
8. პატარა ხანს უკან ზვრინვა ამოუშვა (ილია);
9. პატარა ხანს უკან გზაც გამოჩნდა;
10. დიდი ზღვაა ბატონის და კაკოს შორის მაგგვარ საქმეებში (ილია);
11. ჩვენ შორის ბრწყინავს შენი სახელი (ალ. აბაშ.);
12. მათ შუა ჩადგა ნიავი (გ. ლეონ.);
13. ჩვენს შუა დიდი ღრუა (შ. არაგვ.);
14. წუთს შემდეგ--გულში იკრავდა (ა. ყაზბ.);
15. ახლა კი თავს იტეხენ სიკვდილის შემდეგ? (აკაკი);
16. გულით მინდა, იმ ლოდს ქვეშ შევცურდებ (ვაჟა);
17. ჩემი და ტალავერ ქვეშ იდგა (აკაკი)...

§ 21. ნაწილაკი და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

სადავო საკითხები წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ნაწილაკები ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებს დაერთვის. ნაწილაკდართული სახელების სამი სახეობა გვხვდება თანამედროვე ქართულში: შეუხორცებელი (ძველი), შეხორცებული (ახალი) და ნარევი.

შეუხორცებელში სახელი და ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ფორმას: სახელის ფუძე+ბრუნვის ნიშანი+ნაწილაკი. ახალ ქართულში იგი იშვიათად იხმარება, ვერ აწარმოებს ყველა ბრუნვას.

შეხორცებულში კი ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგაა (ნაწილაკი ბრუნვის ფორმასაა შეხორცებული და სახელი ნაწილაკთან ერთად იბრუნვის როგორც ხმოვანფუძიანი სახელი). გვაქვს: სახელის ფუძე+ნაწილაკი+ბრუნვის ნიშანი. შეხორცებული სახეობა არაა დეფექტური და აწარმოებს ყველა ბრუნვას.

ნარევი სახეობა მიღებულია შეუხორცებელი სახეობის ხელახალი გაფორმებით, ე. ი. ბრუნვის ნიშანი დაერთვის სახელს ნაწილაკის წინაც და შემდეგაც: სახელის ფუძე+ბრუნვის ნიშანი+ნაწილაკი+ბრუნვის ნიშანი. იგი უფრო დეფექტურია, ვიდრე ძველი სახეობა.

სალიტერატურო ქართულში ძირითად ფორმად მიღებულია შეხორცებული სახეობა, როგორც წარმოების მიხედვით სწორი, სრული, გავრცელებული და გაბატონებული, ამასთან ენის განვითარების ტენდენციის გამოხატველი.

შეხორცებული სახეობა დასაშვებადაა მიჩნეული, რამდენადაც იგი სწორია წარმოების მხრივ, გვხვდება XIX საუკუნის სალიტერატურო ქართულში და იხმარება დღესაც, მაგ.: მიცემითი: ვის-მე, რას-მე; ნათესაობითი (თანდებულიანი): ვისთვის-მე, რისთვის-მე, ვის-გან-მე, რის-გან-მე; მოქმედებითი: რითმე; ვითარებითი: რად-მე.

ნარევი სახეობა უარსაყოფია, როგორც წარმოების მიხედვით არსწორი:

		მს. რიცხვი			
	ქველი	ახალი	ნარევი	ქველი	ახალი
სახ.	იგო-ვე	იგო-ვე	-----	ვინ-მე	ვინ-მე
მოთხ.	(ი)მან-ვე	-----	იმავე-მ	-----	ვინ-მე-მ
მიც.	(ი)მას-ვე	იგო-ვე-ს	იმავე-ს	ვის-მე	ვინ-მე-ს
ნათ.	(ი)მის-ვე	იგო-ვე-ს	იმავე-ს	ვის(თვის)-მე	ვინ-მე-ს
მოქ.	(ი)მით-ვე	იგო-ვე-თი	იმავე-თი	-----	ვინ-მე-თი
ვით.	(ი)მად-ვე	იგო-ვე-დ	იმავე-დ	-----	ვინ-მე-დ

	ქველი	ახალი	ნარევი
სახ.	ორი-ვე	ორი-ვე	ორი-ვე
მოთხ.	ორ-მა-ვე	ორი-ვე-მ	ორ-მა-ვე-მ
მიც.	ორ-სა-ვე	ორი-ვე-ს	ორ-სა-ვე-ს
ნათ.	ორი-სა-ვე	ორი-ვე-ს(ი)	ორ-ისა-ვე-სი
მოქ.	ორ-ით-ვე	ორი-ვე-თ(ი)	ორი-ვე-თი
ვით.	ორ-ად-ვე	ორი-ვე-დ	ორი-ვე-დ

		მრ. რიცხვი	
	ქველი, ახალი	ნარევი	
სახ.	ორ-ნ-ი-ვე	ორ-თა-ვე	
მოთხ.	ორ-თა-ვე	ორ-თა-ვე-მ	
მიც.	” ”	ორ-თა-ვე-ს	
ნათ.	” ”	ორ-თა-ვე-ს	
მოქ.	-----	-----	
ვით.	-----	-----	

	ქველი	ახალი	
სახ.	რა-მე(რა-ი-მე)	რა-მე	რა-ი-მე
მოთხ.	-----	რა-მე-მ	რა-ი-მე-მ
მიც.	რა-ს-მე	რა-მე-ს	რა-ი-მე-ს
ნათ.	რ-ის(თვის)-მე	რა-მე-ს რამ-ის	რა-ი-მე-ს
მოქ.	რ-ით-მე	რა-მე-თ(ი) რამ-ით	რა-ი-მე-თი
ვით.	რა-დ-მე	რა-მე-დ	რა-ი-მე-დ

ნარევი	
სახ.	-----
მოთხ.	-----
მიც.	რა-ს-მე-ს

ნათ. -----
 მოქ. -----
 ვით. -----

-ლა ნაწილაკიანი ფორმაც თავისებურებას ნაცვალსახე-
 ლებთან გვაძლევს. აქაც თავს იჩენს შესორცვებული და შეუ-
 სორცვებელი ბრუნვის სახეობა:

	ძველი	ახალი	ძველი	ახალი
სახ.	ვი(ნ)-ლა	ვი-ლა	რა-ლა	რა-ლა
მოთხ.	-----	ვი-ლა-მ	რა-მ-ლა	რა-ლა-მ
მიც.	ვი-ს-ლა	ვი-ლა-ს	რა-ს-ლა	რა-ლა-ს
ნათ.	ვი-ს(თვის)-ლა	ვი-ლა-ს(ი)	რ-ის-ლა	რა-ლა-ს
მოქ.	-----	ვი-ლა-თი	რ-ით-ლა	რა-ლა-თი
ვით.	-----	ვი-ლა-დ	რა-დ-ლა	რა-ლა-დ

ასევეა ც(ა) ნაწილაკის შემთხვევაშიც:

	ძველი		ახალი	
სახ.	ვი-ლა-ცა	რა-ლა-ცა	ვი-ლა-ცა	რა-ლა-ცა
მოთხ.	-----	-----	ვი-ლა-ცა-მ	რა-ლა-ცა-მ
მიც.	ვი-ს-ლა-ც	რა-ს-ლა-ც	ვი-ლა-ცა-ს	რა-ლა-ცა-ს
ნათ.	ვი-ს(თვის)-ლა	რი-ს(თვის)-ლა	ვი-ლა-ცა-ს[ვი-ლა-ც-ის	რა-ლა-ცა-ს
მოქ.	-----	რ-ით-ლა-ც	ვი-ლა-ცა-თი[ვი-ლა-ც-ით	რა-ლა-ცა-თი
ნათ.	-----	რ-ად-ლა-ც	ვი-ლა-ცა-დ	რა-ლა-ცა-დ

აქაც ნათესაობითსა და მოქმედებითში პარალელური შეკ-
 ვეცილი ფორმები შეიძლება შეგვხვდეს: ნათ. რაღაც-ის, მოქ.
 რაღაც-ით.

შენიშვნა: შეიძლება აგრეთვე ნაწილაკები შექცეულად
 დაერთოს ნაცვალსახელებს, მაგ.: ვინ-ცა-ლა, ან რა-ცა-ლა,
 რომელიც შუა ხმოვნის ამოღებით გვაძლევს ვინცლა და რაც-
 ლა ფორმებს, მაგრამ ესენი სალიტერატურო ქართულში არ
 იხმარება. ღ-ს დაყრუების შედეგად დასავლურ დიალექტთა
 ერთ ნაწილში ზემოხსენებული ფორმები გვაძლევს „ვინცხა“-
 სა და „რაცხა“-ს.

აქვე შევეხოთ ნაწილაკთა მართლწერის ზოგიერთ სა-
 კითხს. აღვნიშნავთ, რომ ქართულში შეიძლება გამოიყოს ნა-
 წილაკთა შემდეგი ჯგუფები:

1. სიტყვა-სიტყვითი: მეთქი, თქო (თქვა), ო.

2. კითხვითი: ა, მე, თუ, ნუთუ, განა, ხომ.
3. განუსაზღვრელიბითი: მე, და, ღაცა
4. მიგებითი: ჰო, კი, დიახ|დიალ.
5. გაძლიერებითი: ც(ა), კი, კიდევც, უკვე, მაინც, აბა, ბარე|ბარემ, დაე|დე, ვინძლო, მოდი.
6. გამორჩევითი: და, მხოლოდ, მარტო.
7. ნება-სურვილისა: ნეტავი, ნეტა, ნეტამც.
8. შესაძლებლობა-ვარაუდისა: იქნებ, იქნება, ეგებ, შეიძლება.
9. განცვიფრების: რა, არ, აკი.
10. მიახლოებითი: კინაღამ, ლამის, თითქმის, ოდე.
11. მრავალგზისობითი: ხოლმე, ყე, კე.
12. უნახაობის: თურმე, თურე, თუ (ხევესურულსა და მოხეურში), მეგემ (აჭარულში)...
13. მსგავსების: თითქოს, ვითომ.
14. უკუთქმითი: არ, არა, ვერ, ნუ...
15. შედარება-მსგავსების: თითქოს, ვითომ...
16. ჩვენებითი: ა, აი, ჰა, აჰა.

როგორც ვხედავთ, ა'თი არის გამოხატული ჩვენებითი და კითხვითი ნაწილაკები. შესაძლებელია ისინი სხვადასხვა წარმოშობისანი იყვნენ და მათი მსგავსება ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია. ახალ ქართულში მათ შორის ფუნქციური სხვაობა მხოლოდ კონტექსტით შეიძლება დადგინდეს. მაგ.: დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან ა იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის? (ილია). ა აქ ჩვენებითი ფუნქციითაა ნახმარი. ხოლო ასეთ წინადადებაში: „ა? არ მესმის კარგად, ჩემო დავით, უკაცრავად, გაიმეორე“ (ლ. ქიან.) ა კითხვითობის გამოხატველია. ჩანს აცა'საგან. ახალ ქართულში ეს უკანასკნელიც იხმარება.

სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკები-მეთქი და თქო დეფისით გამოიყოფა იმ სიტყვისაგან, რომელსაც დაერთვის. -მეთქი (<მე ვთქვი) აღნიშნავს მოუბარი პირის ნათქვამის ან განაზრახის გამეორებას: „ეგ არ იქნება-მეთქი“ (ილია). -თქო (თქვა) აღნიშნავს პირველი პირის ნათქვამს, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს: „დარეჯანმა ბარათი მისცა გოგოს ამ სიტყვების ზედ დატანებით: როგორც გითხარი, ისე მოიქეცი-თქო“ (ილია).

სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკია აგრეთვე —ო, რომელიც III პირის ნათქვამს გადმოსცემს. იგი, ჩვეულებრივ, გამოიყენება ანდაზებში, რადგანაც მთქმელად მესამე პირი იგულისხმება: „დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შესჭამსო“. ო ჩვეულებრივ სიტყვასთან ერთად იწერება.

უნდა პირდაპირი გაგებით ზმნაა, მაგრამ ის შეიძლება მოგვევლინოს ნაწილაკადაც: „ბავშვი სოფელში უნდა წასულიყო“. ასევე თუ და კი კავშირებია, მაგრამ გარკვეულ კონტექსტში მათ ნაწილაკის ფუნქცია შეიძლება ჰქონდეთ: წაგიდა თუ? ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კაკო (ილია)..

სავარჯიშო 1. ამოიწერეთ ნაწილაკები და დაალაგეთ ჯგუფების მიხედვით:

1. ეგ რაები ჩაგიდენია, ჰა? (ილია). 2. ახ, ერთი ის საკრავი ნეტავი ჩემი იყოს-მეთქი,-ვიფიქრე (თ. რაზიკ.); 3. აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიანო (ანდ.). 4. თითქოს ზღვა გადმოვარდნილა თავის ნაპირებიდანაო, ისე მოჩანდა არწივის ლაშქარი (ვაჟა). 5. გათავდა ომი...კიდევ დაღამდა (აკაკი). 6. დაე, რისხვით ცამ იჭექოს... (ირ. ვედ). 7. მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი... (ხალხ.). 8. ეგებ გულს ჟანგი მოაშორო კარგი ამბითა (ილია). 9. თურმე წყალი არ დაჰკლეზბია! (ვაჟა). 10. დავით, აკი მზეთუნახავიანო? (ილია). 11. შიშით კინაღამ გული გაუსკდა (აკაკი). 12. მე იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბურა (ილია). 13. აბა, წყაროვ, მარდო წყაროვ, თამაშობით მომდინარო, კორდი, ველი და ნახნავი ვინძლო კარგად გაახარო (ი. გოგებ.).

სავარჯიშო 2. ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ამოიწერეთ ნაწილაკიანი სიტყვები:

1. გიორგის ხუთიოდე ცხვარი ჰყავდა. 2. მთელი დღის მანძილზე ერთი კაციც არ გამოჩენილა. 3. ამ საქმეში მევე ვაგებ პასუხს. 4. მხოლოდ შენ რატომღა ჩამორჩი? ვილა გიშველის! 5. რაღა მაინცდამაინც შენ დაგავალეს? 6. იგივე რაოდენობის მინერალური სასუქი ჩაუყარეს. 7. ორივე ბიჭი შინ მიიწვიეს. 8. ვინმეს დაავალოს და ისე გააკეთებინოს. 9. იმავე კაცმა გამოიყვანა გამოქვაბულიდან.

§22. კავშირებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

ფუნქციის მიხედვით კავშირებს ორ ჯგუფად ყოფენ: მართებულ და მაქვემდებარებელ კავშირებად.

მაერთებელი კავშირები აერთებენ ორ სიტყვას, ან ორ წინადადებას, რომლებიც ერთმანეთის მიმართ თანასწორნი არიან. ისინი გამოიყენებიან შერწყმულსა და რთულ თანწყობილ წინადადებებში: „ცა მოიწმინდა და მზის შუქმა იქაურობა გაანათა“ (აღ. ყაზბ.).

მაერთებელი კავშირები თავის მხრივ იყოფა ქვეჯგუფებად:

მაჯგუფებელი: და, თუ;

მაპირისპირებელი: მაგრამ, ხოლო, კი, თორემ, არამედ, კი არა-არამედ, არა მარტო-არამედ, ოღონდ, თუმცა;

მაცალკეებელი: ან, ან-ან, ან-არადა, ხან, ხან-ხან კი, ხან-ხანაც, გინდ-გინდ, გინდ-გინდაც, თუნდ-თუნდაც;

მაიგივებელი: ანუ, ესე იგი.

მაქვემდებარებელი კავშირები დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებენ (ეკალში ვარდი შევნიშნე, ობლად რომ ამოსულიყო (აკაკი).

მაქვემდებარებელი კავშირები აღნიშნავენ:

ა. დროს-რა, რაკი, თუ არა, როს, ოდეს, ვიდრე, რომ, სანამ, სანამდე, სანამდის, სანამ-მანამ.

ბ. მიზეზს-რადგანაც, იმიტომ რომ, იმის გამო, რომ, ვინაიდან, რაკი.

გ. მიზანს-რათა, რომ, იმისათვის რომ.

დ. პირობას-თუ, თუკი, რომ, უკეთუ.

ე. დათმობას-თუმცა, თუმცადა, გინდ, თუნდ (გინდაც, თუნდაც), მიუხედავად იმისა, რომ.

მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზულები: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც, რანაირიც...სადაც, საიდანაც, საითკენაც, როგორც, რამდენადაც, რამდენჯერაც...ისინი ჩვეულებრივ განსხვავდებიან ჩვეულებრივი კავშირებისაგან, ასრულებენ წინადადების წევრის

როლს ქვეწყობილ წინადადებაში, ე. ი. მათ ორი ფუნქცია აქვთ დაკისრებული, ერთდროულად არიან კავშირიცა და წინადადების წვერიც. მაგ.: „სადაც შენი დაიკვეხნო, იქ ჩემიცა თქვიო“. აქ სადაც მიმართებითი ნაცვალსახელი ასრულებს ადგილის გარემოებისა და მაქვემდებარებელი კავშირის როლს.

ძველ ქართულში რომ კავშირის ფუნქციით იხმარებოდა რომელ, რამეთუ, ვითარმედ, რაი||რა კავშირები. თანამედროვე ქართულში რადგან მიზეზის კავშირის ფუნქციით ზოგჯერ იხმარება რამეთუ, მაგრამ ყოველთვის არ იყენებენ მას წესისამებრ. ზოგჯერ გაგებულა იგი მიზნის ან სხვა მნიშვნელობის კავშირად, რაც არასწორია. მაგ. რომ ავიღოთ ასეთი წინადადება: „რა გაიგეს საქმე, მონინდომეს მათაც შეველა“ (შ. მღვიმ.) და მასში რა კავშირი შევცვალოთ რამეთუ კავშირით, წინადადება არამართებული გახდება: რამეთუ გაიგეს გვრიტის საქმე, მონინდომეს მათაც შეველა...

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კავშირი მაერთებელ კავშირადაც გამოიყენება და მაქვემდებარებლადაც, ასეთებია მაგ.: თუ, არამედ, ოღონდ, თუმცა...მაგ. მზე თუ ჩრდილი, ნათელი თუ ბნელი, ტკივილი თუ წამება, ერთმანეთში გაება...აქ თუ მაჯგუფებელი კავშირია. ასეთ წინადადებაში კი: „ყველამ კარგად იცოდა, თუ რატომ ტუქსავდა დედა შვილს“ იგი მაქვემდებარებელი კავშირია.

არამედ მაპირისპიებელი კავშირია ასეთ წინადადებაში: „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ ფორმით, არამედ შინაგანი ღირებულებით არის ეკვდავი პოემა“. მაგრამ ასეთ წინადადებაში “მის ნათქვამს გაგებით კი არ შეხვდნენ, არამედ წინააღმდეგობაც კი გაუწიეს“ იგი მაქვემდებარებელი კავშირია...

“ან მიღებულია ანუ-სგან, რომელიც წინათ მაცალკეებელი კავშირის ფუნქციას ასრულებდა. ამჟამად ან მაცალკეებელი კავშირია, ანუ- მაიგივებელი” (ლ. კვაჭაძე). ახალ ქართულში (სასაუბრო მეტყველებაში) შეიძლება შევხვდეთ ანუ-ს უმართებულო ხმარების შემთხვევებსაც. რომ ავიღოთ წინადადება: —“ან რუსეთს რაღად მიდიოდი, ან ფულს რად ხარჯავდი?” (აღლ. ყაზბ) ან მაცალკეებელი კავშირია, ხოლო ასეთ წინადადებაში კი- ლუკა რაზიკაშვილი, ანუ ვაჟა ფშა-

ველა, ქართველი ხალხის საყვარელი მწერალია.—ანუ— მაიგი-
ვებელი კავშირია. მაგრამ ახლა თუ ავიღებთ წინადადებ-
ას—მტკვარი, ან საქართველოს უდიდესი მდინარე, თბილისს
შუაზე მყოფს—“ან” არასწორადაა გამოყენებული, ახალ ქარ-
თულში მაიგივებელის ფუნქციით უნდა ვიხმაროთ “ანუ” და
არა “ან”. წინადადებაში “ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა
მე სამარი” (ვეფხისტყაოსანი) — ანუ მაცალკეებლის ფუნქცი-
ით იხმარება, რაც ძველ ქართული სალიტერატურო ენისათ-
ვის ნორმაა.

ზოგჯერ ზედმეტად არის გამოყენებული კავშირები;
“ხვალ პირველი მაისია და მე ამდღამ არ მეძინება” (ჭ. ლომ);
ნაია ხურჯინში ხომ არ ჩაიხედავდა, ხოლო თიკანი კი გვა-
დის ფარულ მიზანს ახლა ვერ გასცემდა (ლ. ქიანი). ამ წინა-
დადებაში ზედმეტია ხაზგასმული კავშირები.

როცა მთავარი წინადადების შემასმენელს ახლავს ხომ ან
არა, ვერ ნაწილაკები, უმჯობესია რომ კავშირის გამოტოვება,
მაგ: “ხომ გაიგონე, (რომ) მცურავებმა ვერ შებედეს შეცურ-
ვამ” (აკაკი): “ არ გითხარი, (რომ) ნუ წახვალ—მეთქი! (აკაკი).

თუ კავშირის ხმარება არაა საჭირო, როცა დამოკიდებუ-
ლი წინადადება შეიცავს კითხვით სიტყვას: „მეფემ აღარ
იცოდა, როგორი მადლი გადაეხადა წერეთლისათვის და
დიდებალი ყმა და მამული უბოძა ზემო ქართლში” (აკაკი).

ზოგჯერ კი რომ და თუ კავშირები ერთდროულად არის
წარმოდგენილი, რაც მიუღებელია: დღესაც შეურყეველი იქნე-
ბოდა მათი სამეფო, თუ რომ ღმერთი...ეცნოთ ძე ღვთისად
(აკაკი)...აქ თუ ზედმეტია.

ხშირად რომელიც წვერ-კავშირი უშუალოდ ასახსნელ
სიტყვასთან არაა წარმოდგენილი და იქმნება სტილისტური
უზუსტობა, მაგ.: მეომრები ფხიზლად დგანან სამშობლოს სა-
დარაჯოზე, რომელიც ესოდენ ძვირფასია ყოველი მათგანი-
სათვის”(გამოდის, რომ აქ „ესოდენ ძვირფასია” არა „სამშობ-
ლო”, არამედ „სადარაჯო”). ზოგჯერ უზუსტობის ასაცილებ-
ლად საჭიროა მისამართი სიტყვის გამეორება: „მეომრები
ფხიზლად დგანან სამშობლოს სადარაჯოზე, სამშობლოსი,
რომელიც ესოდენ ძვირფასია ყოველი მათგანისათვის”. სხვა
შემთხვევაში კი, სადაც შესაძლებელია, წვერ-კავშირი უშუა-
ლოდ უნდა დაუკავშირდეს ასახსნელ სიტყვას, მაგ.: „ღუარ-

საბი შეხვედა პატარძალს, რომელმაც, ჩვეულებისამებრ, თავი იქით მიიბრუნა”(ილია).

არცთუ იშვიათია ვინც, რაც, რომელიც მაქვემდებარებელი კავშირების არასწორად გამოყენება, მაგ.: „რომელსაც არასოდეს შიში არ უგვრძენია, ის სხვას ვერც შეაშინებს;” „რომელსაც ჩვენი განშორება ემძიმება, ის ადრე დაბრუნდება;” „ისევ იმ სკამზე დაჯდა, სადაც ამ დილით ისხდნენ”(ს.ჭილა); „სწორედ ის მოხდა, რომლისაც ეშინოდა;” „მშვიდობით დამთავრდა ის, რომელიც შეიძლებოდა ჩხუბში გადასულიყო;” დიასახლისი შეუდგა ჭურჭლის რეცხვას, რომელიც დიდხანს გაგრძელდა” და სხვ. დასახელებული წინადადებები ასე უნდა გასწორდეს: „ვისაც არასდროს შიში არ უგვრძენია, ის სხვას ვერც შეაშინებს;” „ვისაც ჩვენი განშორება ემძიმება, ის ადრე დაბრუნდება;” „ისევ იმ სკამზე დაჯდა, რომელზედაც ამ დილით ისხდნენ;” „სწორედ ის მოხდა, რისიც ეშინოდა;” „მშვიდობით დამთავრდა ის, რაც შეიძლებოდა ჩხუბში გადასულიყო;” „დიასახლისი შეუდგა ჭურჭლის რეცხვას, რაც დიდხანს გაგრძელდა.”

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ზოგჯერ როდესაც (როცა) საკავშირებელ სიტყვას ცვლის რომ კავშირი, რაც რამდენადმე გაუმართავი წინადადებების შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგ.: „მელანომ რომ უდროო დროს მოსული უცხო თათარი დაინახა, შიშის ქარმა აიტაცა”(აკაკი). სჯობს ასე: „როცა მელანომ უდროო დროს მოსული უცხო თათარი დაინახა, შიშის ქარმა აიტაცა”.

უმეტესად, როცა მთავარს უსწრებს დამოკიდებული წინადადება (და ეს წინადადება დროის გარემოებითია) გვაქვს ნორმიდან გადახრა, მაგ.: „ქალმა დაინახა თუ არა უცხო კაცი მოსული, ცახცახით კედელს მიეკრა”(აღ. ყაზბ.); „დათვი გამოვიდა თუ არა, შესდგა და ბლუილით დაღუნა თავი”(აღ. ყაზბ.).

წინადადებები შესწორდება ასე: დაინახა თუ არა უცხო კაცი მოსული, ქალი ცახცახით კედელს მიეკრა; გამოვიდა თუ არა, დათვი შედგა და ბლუილით დაღუნა თავი.

საგარჯიშო. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში სწორად გამოიყენეთ კავშირები და გამართეთ წინადადებები:

1. ხელმწიფეს რომ ჰყავდა დაბარებული, ის კაცი მოვიდა. 2. მცხეთაში მას ხედება თავისი მტერი კუჭატნელი და მისი ამხანაგი გამზათი, სადაც არსენას კლავენ. 3. რომელმაც ხმა ამოიღო, მოკლეს. 4. რომელსაც ეჩქარება, წინ გამოვიდეს. 5. რომელიც მოგეწონოს, წაიღე. 6. მომეცით ცნობა, როგორც ვცხოვრობ ქალაქში. 7. გამათავისუფლეს, როგორც რომ მეორე ჯგუფის ინვალიდი. 8. აღ. ყაზბეგის მოთხრობა არის „ხევისბერი გოჩა“, სადაც ასახულია მოხვევების ცხოვრება. 9. მათ ეტყობოდათ ის, რომ სამტროდ არ მიდიოდნენ. 10. მწერალმა ამ რომანში აღწერა გლეხთა მოძრაობა არსენას მეთაურობით, რომელიც მიმართული იყო ბატონყმობის წინააღმდეგ...

§23. შორისდებულებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

შორისდებული ადამიანის გრძნობებსა და ნება-სურვილს გამოხატავს. იგი შეიძლება გადმოიცეს ერთი ბგერით, ბგერათა ჯგუფით ან სიტყვით. შორისდებულის მნიშვნელობის გადმოსაცემად უდიდესი როლი ენიჭება ტონს, ინტონაციას. ერთი და იმავე შორისდებულთ სხვადასხვა ინტონაციის შემთხვევაში შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა გრძნობა: სიხარული, ნატვრა, მწუხარება, გაკვირვება, დანანება და სხვ... მაგ. ოჰ გამოხატავს:

ნატვრას: ოჰ, რა ტკბილად გძინავს, ნეტავი შენ! (ვაჟა);

წყენას: ოჰ, მეწყინა, ძალიან მეწყინა ეს! (ჭ. ლომთ);

მოწონებას: ოჰ, რა მშვენიერი კაცია (ე. გაბ.);

გაკვირვებას: ოჰ, ოჰ, ოჰ, რა კაცი ყოფილა! (გ. წერ.)...

ასევე, სხვადასხვა შორისდებულთ ხშირად ერთი და იმავე გრძობის გამოსახატავად გამოიყენება, მაგ.:

ვაშა, მამულიშვილო, ვაშა, აი, ქართველიც ამას ჰქვია! (კ. ლორს.);

ვაი, რა ღამაზი იყო იმ მშვენიერ დილას ის მშვენიერი ქალი! (ილია);

ახ, ქართული სიმღერა, რა დამატკობელია! (ღ. არდ.);
ოხ, ღმერთო, რა მშვენიერებაა!-შესძახა გიგომ ალტაცებით
(ნ. ლომ.);

ჰეი, შენი ღმერთის ჭირიმე, შენი! (ნ. ლომ.)...

შორისდებული წინადადების სხვა წევრებისაგან სასვენო
ნიშნებით გამოიყოფა. თუ ძლიერი გრძნობაა გამოხატული,
მაშინ ძახილის ნიშანი იწერება, სხვა შემთხვევაში კი- მძიმე.
შორისდებული უმთავრესად წინადადების თავშია, იშვიათად
წინადადებაში ან მის ბოლოში. თუ შორისდებული წინადადებ-
ის თავშია, მის შემდეგ იწერება სათანადო ნიშანი; თუ წინა-
დადებაშია, ორივე მხრიდან სასვენო ნიშნებით გამოიყოფა;
თუ ბოლოშია, მის წინ მძიმე იწერება, მაგ.:

ბარაქალა, რომ არც თავი შეირცხვინე და არც ჩვენ, ჰყვი-
როდნენ ფრინველნი (ვაჟა);

კარგი, სუსუ, ბეჩაეო (თ.რაზ.);

დაგასწარი თუ არა?! ჰი! (ილია)...

შორისდებულს აკუთვნებენ ასევე იმ ხმაბაძვით ბგერათ-
კომპლექსებსაც, რომლებიც ცხოველების თუ ფრინველების
მოსახმობად, შესაძახებლად ან გასაწყრომად გამოიყენება,
მაგ.:

ჯი, ჯი, ჯი-ქათმების მოსახმობად;

აჩუ, აჩუ!-ცხენის შესაძახებლად;

ქუცი, ქუცი-ძაღლის მოსახმობად;

აქშა, აქშა!- ფრინველთა დასაფრთხობად;

ცის! ცის!- კატის გასაწყრომად...

ამავე რიგში დგას ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმე-
ლებისა თუ წყლის ბინადართა მიერ გამოცემული ბგერათ-
კომპლექსები, ასევე ფიზიკურ სხეულთა შეჯახებით გამო-
ცემული ბგერები, როგორიცაა: მუუ, მუუ, მუუ... ჰამ, ჰამ, ჰამ...
სსს,სსს... შრრ, შრრ...კა, კა, კა...და სხვ.

საეარჯიშო 1. გადაიწერეთ მაგალითები, დაუსვით შესაბა-
მისი სასვენო ნიშნები:

1. ჰა არ შედრკე, გასწი წინ! (ვაჟა); 2. ჰო გეთაყვა ჰო შე-
ნი გოშია ვარ მაშ რა ვარ?! -ო ეგ დიდი საქმეა (ილია); 3.
შენ ეი მყვირალავ! (ვაჟა); 4. არიქა ჩქარა ბიჭებო, ცხენები
(თ. რაზ.); 5. ააჰ ნეტავ იმ დღეს! (მ. ჯავახ.); 6. ჰაუ რა კარგი

დღე არის ჰაუ რამდენი ქალია! (ი. გრიშ.); 7 იფ იფ დამიხედეთ, მთის მებატონის შვილს! (ა. ყაზბ.); 8. ფუი დალახერა ღმერთმა! (ილია); 9. ჰაუ ჰაუ ქორო ნუ ფრენ (ხალხ.); 10. ჰაი შე ბრიყვო გჯერა რასაც ეგენი ამბობენ? (ვაჟა)...

სავარჯიშო 2. შორისდებულებთან დასვით სასვენი ნიშნები, აღნიშნეთ, რა მნიშვნელობით იხმარებიან ისინი:

I. დასკვნა, უარყოფა, აკრძალვა, ჩვენება:

1. აბა მაგისტანა მისანია წიგნი (ილია); 2. ნწუ ამჰა შხამი როდი აქ (აკაკი); 3. აპაპაპა ზარმაცის გამოქომაგებას არ ვიკისრებ (ო. გაჩეჩ.); 4. აბაბა არ მოიყვანო! (გ. ერისთ.); 5. აბა აბა რა კაი ბიჭი იყო (ნ. ლორთ.); 6. მამაშენი მწყალობელი იყო ჩემი, ჭირიმე! შენგან კიდევ მეტს მოველი აბააა შეელაქუცა გვადი (ლ. ქიან.); 7. აე მაცი უჩვენა ყველამ (ა. ფურც.); 8. აპათ წაიდეთ (ვაჟა)...

II. მწუხარება, ტკივილი, დარდი, ჩივილი.

1. ავაი შესძახა მოხუცმა...(კ. ლორთ.); 2. ააავ დადადაი რაი შეუძლიან ხალხს...(ა. ყაზბ.); 3. აოი გაისმა მთელ ხალხში (ვ. ბარნ.); 4. აფუმე ფეხი წამიცდა (ვ. ბარნ.); 5. ახ მწარედ ამოიკვნესა ნატომ (შ. არაგ.); 6. ააჰ რა ტყე გაფუჭდა რა ტყე დაიღუპა! აფსუს (ვაჟა); 7. აპაპაი რა უქნია იმ ურჯულოს! (ლ. ქიან.); 8. და და დაი მარტოკამ რაი უნდა ვქნა ამდენ რუსებში? (ალ. ყაზბ.); 9. ვაგლახ ვაგლახ ბუერი რამ დაგიკარგეს ჩემო მაიკო (კ. გამს); 10. ვაჰ ჩემი ბრალი რა მეშველება მე საწყაღსა?! 11. უუუი ვკვდები, ვკვდები... (გ. ერისთ.); 12. ერიპა დავბერდი (ბ. ბარნ)...

III. მოწოდება, ბრძანება, წაქეზება, გამხნელება:

1. აბა ჰე ხელი დაგვაბანინეთო, ბრძანეს ბატონებმა (აკაკი); 2. აბა ჰა დაუარე ბიჭო (ს. მგაღ.); 3. აბა და ჰა მარჯვედ იყავი (ვაჟა); 4. ბრავო ბრავო ჰყვიროდა მისი სიმარდით ალტაცებული ხალხი (დ. კლდ.); 5. ე ბიჭო ერთი სარმა (კ. ლორთ.); 6. ეი ყაზახებო მათრახები მაგას (ა. ყაზ.); 7. ე მაგრე ბიჭებო (ჭ. ლომთ.)...

IV. გავირეგება, გაწყრომა, დაცივნა, სინანული, ნიშნის მოგება:

1. აიბე მაგისტანა სკოლაც არი განა (ს. მგაღ.); 2. ბეჩა რაი მოგივიდა (ა. ყაზბ.); 3. ბიჭოს ეს რა ჰქონია (ლ. ქიან.); 4. ეპე ემანდ რო წამოუწეჭი ხელი არ ახლო თორემ... (გ. ერისთ.); 5. ეე პრუწ შენს კაცობას (გ. წერ.); 6. ეე პუ შენს საქმეს (აკაკი); 7. ეეკ წაგიხდა (აკაკი); 8. ვაჰაჰი დავიგვიანეთ (ლ. ქიან.); 9. ოჰ რა დრო დავკარგე (გ. წერ.); 10. ჰეჰ რა გაეწყობა (ლ. ქიან.); 11. აჰა ნიშნის მოგებით გააბეს მცველებმა (ლ. ქიან.); 12. იი გასკდი გულზე (ნ. ლორთ.); 13. აა გაწითლდი განა (ჭ. ლომთ.); 14. ოლოლო ვერ მოგართევს (ს. მგაღ.)...

V. ნატვრა, აღტაცება, მოწონება, სიამოვნება, შექება:

1. ეჰ ნეტავი დედაჩემის საფლავზე მიმიყვანა (ჭ. ლომთ.); 2. იშ ნეტა როდის დაირეკება წმინდა გიორგის ზარი (ე. გაბ.); 3. ოო ნეტავი მეც იქ ვყოფილიყავი (შ. დად.); 4. ოი შენი გამჩენის ჭირიმე (ჭ. ლომთ.); 5. ოი ერთი მაგისი შეიღი გამიგორა კალთაში (ილია); 6. ოჰ ოჰ რა ბედნიერი ვარ რა კმაყოფილი (ე. გაბ.); 7. გაუმარჯოს გაუმარჯოს ურა ყოჩად კოდალა (ვაჟა); 8. ვიშ ვიშ რა მშვენიერია მორთულ პატარძალსა ჰგავს (ე. გაბ.); 9. ვიჰ ვიჰ ვიჰ საუცხოვო ლობიო არის (აკაკი); ივ ივ ივ საუცხოო ნიშანია სიხარულით შეპყვირა ლიფსიმემ (ლ. არდ.); 11. იფ რა აგრილდა (გ. წერ.); 12. იფ რა ლამაზი სახელი გრქმევია ბიჭიკო (კ. გამს.); ბარაქალა ამხ. ძოსიმე ყოჩად მე და ჩემმა ღმერთმა (ლ. ქიან.)...

§1. ზმნა-შემასმენელთან წინადადების სხვა
წევრების ურთიერთობა და მასთან
დაკავშირებული მართლწერის საკითხები

წინადადების მთავარი წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე და პირშიმართი დამატებები (პირდაპირი და ირიბი). ყველა ესენი წინადადებაში შემასმენელთანაა სიტაქსურ კავშირში. შემასმენელსვე უკავშირდება სხვა წევრებიც, კერძოდ: უბრალო დამატება და გარემოებანი.

წინადადების მათორგანიზებული წევრი ქართულში შემასმენელია. ამიტომ წინადადების აგებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასთან დაკავშირებული წევრების სწორად ხმარებას. ამ მხრივ უპირველესად აღსანიშნავია ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა. თუ გაეთვალისწინებთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს ვითარება შემდეგია:

I. ა. მხოლოდობით დასმულ ქვემდებარესთან შემასმენელიც მხოლოდობითში დგას: მკერდში გული აღარ მეტეოდა (ილია); გაწითლდა მყინვარწვერის თავი (ა. ყაზბ.); მეთევზე ისევ გატაცებით მღეროდა (ვ. ბარნ.)...

ბ. შემასმენელი მხოლოდობითშია მაშინაც, როცა ქვემდებარედ კრებითი ან ერთზე მეტი საგნის გამომხატველი სახელია წარმოდგენილი: ქალაქის მოედანზე უამრავი ხალხი ირეოდა (ა. გაწერ.); იმერეთის დიდკაცობა დიდი პატივისცემით და ძღვნით დაუხვდა დიდებულ სტუმარს (აკაკი); დიდი ხალხი მიჰყვებოდა მიცვალებულს (ჭ. ლომთ.); შორიახლოს გიორგი კუჭატნელის რაზმი მორბის (მ. ჯავახ.); მეორე დღისთვის დარს ელოდა ხალხი (თ. რაზ.); მის გულიანად ნათქვამ ამბავს ყველა ყურს უგდებდა (აკაკი); მთის კალთებს შვენივ ცხვარ-ძროხა (ვაჟა); ცხვარი მთის კალთებზე შეფენილიყო (თ. რაზ.)...

უმართებულოა კრებითის ან ერთზე მეტი საგნის შინაარსის გამომხატველ ქვემდებარესთან ზმნა-შემასმენლის მრავლობით რიცხვში დასმა, მაგ.: ამ ლაპარაკში ჩამოერივნენ

გუგუას ნათესაობა (ა. ყაზბ.); ყველა გაცემით უყურებდნენ ერთმანეთს (აკაკი); ნიგუზის ქვეშ ორივემ გაიხადეს ჩოხები (დ. კლდ.)...

როცა ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს ისეთი სახელი, რომელიც ერთზე მეტის მნიშვნელობას გადმოგვცემს, ქვემდებარეც და შემასმენელიც მხოლოდით რიცხვში უნდა იდგეს: ცოტა მოშორებით რამდენიმე ახალგაზრდა იჯდა (ვ. ბარნ.); რამდენიმე მთიული გაიქცა... (ა. ყაზბ.); გორიდან ბევრი სტუმარი მოვიდა (ვ. ბარნ.); ერთს ბაღში ბევრი ხეხილი იდგა (ი. გოგებ.)...

უმართებულთა, როცა ამგვარ ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობითში დგას: მეორე ოთახიდან გამოცვივდნენ სამი დამალული ბიჭი (ილია)...ან როცა მრავლობითშია ქვემდებარეც: ყველა ფრინველები

გზას უთმობენ (ვაჟა)...ასეთ შემთხვევაში, როგორც აღნიშნავენ, შემასმენელი აზრობრივად უთანხმდება ქვემდებარეს, რაც სალიტერატურო ქართულის ნორმების მიხედვით მიუღებელია.

II. სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულში ხდება -ებ, -ნ და -თ(ა) სუფიქსებით. მათი სინტაქსური ძალა განსხვავებულია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში.

ქვემდებარის შემასმენელთან რიცხვში შეთანხმების საკითხი განვიხილოთ ცალ-ცალკე.

ა. შემასმენელი -ებ'იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან.

-ებ'იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარეს, რომელიც ადამიანის ან სხვა სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელით (ცხოველების, ფრინველების, თევზების, მწერების, ქვეწარმავლების...) არის გადმოცემული, შემასმენელი, ჩვეულებრივ, მრავლობითში შეეწყობა, მაგ.: მეგობრები გამოემშვიდობნენ ისევ ერთმანეთს (ბ. ჩხ.); წეროები და სხვა ფრინველებიც წასვლის დროს ერთად შეიკრიბებიან ხოლმე (ი. გოგებ.); აქ ჯგუფად ისხდნენ ბუხები (ილია); მაისში მერცხლები ბუდის გაკეთებას ბეჯითად შეუდგნენ (ი. გოგებ.)...

ებ'იან მრავლობითში დასმულ უსულო საგნის გამომხატველი სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან შემასმენლის

შეთანხმების მტკიცე წესი არ არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როცა ასეთი ქვემდებარე აქტიურ მოქმედებას ასრულებს ან განპიროვნებულია და სულიერის მოქმედება მიეწერება, მაშინ ქვემდებარესა და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმება გვაქვს: ხეები დგანან და ელიან, ყვავილები თვალებს ნაბავენ, ღრუბლები მიცურავენ; მთებმა დახუჭეს თვალები (ვაჟა); ხეები განაგრძობდნენ თათბირს (ვაჟა); ციდან ღრუბლები ქურდებივით მიიპარებოდნენ (თ რაზიკ)...

ბ. ახალ ქართულში ნარ-თან'იან მრავლობითში დასმული ქვემდებარე თითქმის ყოველთვის ითანხმებს შემასმენელს რიცხვში. არა აქვს მნიშვნელობა ქვემდებარე სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელითაა გადმოცემული თუ უსულო: მარტო ერთნი სირინოზნი იმ აკვანს გარს ეხვევიან, მარტო იგინი გრძნეულნი დასტრფიან და დამღერიან (ილია); შეჯიბრების მონაწილენი თანდათან ეშხში შედიოდნენ (გ. შატბ.); ქართლ-კახეთის მეფენიც ჩაერივნენ ბრძოლაში (ნ. ლომ.); ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან (გრ. ორბ.); ყვავილთ სული განაბეს (ვაჟა); მისნი კლდენი...ამწვანდნენ (ვაჟა) და სხვ.

ასეთ შემთხვევაში ქვემდებარის განსაზღვრებაც ხშირად იმავე მრავლობითით არის გაფორმებული: შორნი მნათობნი მოკამკამენი იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ (ილია); დაღამდა, წვრილნი ვარსკვლავნი, აყვავდნენ, დასხდნენ (ვაჟა); უსურსათოდ დარჩენილნი სპანი მეფისანი ვერ გააწვედნენ გაზაფხულამდის (კ. გამს.); შეძრწუნებულნი ფხოველნი...შესცქეროდნენ...ძელიცხოველს (კ. გამს.); ქორ-შევარდენნი, მადლის მთისანი, სოფელს მთებიდამ თვალს ადევნებდნენ (ვაჟა)...

ზოგჯერ მრავლობითში დგას შემასმენელი მაშინაც, როცა ნარ'იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის გამომხატველი სახელი: როშკით მოიდენ ხევსურნი, სუმელჯაურნი ცხრანია (ვაჟა); გუშინ შვიდნი გურჯანელნი სანადიროდ წასულიყვენენ (ხალხ.); დარაჯად ადგან (უნდა ადგანან-ავტ.) შვიდნი ხევსურნი (ვაჟა); დაეკარგეთ ტურფა ზაფხული მწვანითა, ფრინველნი ათასნაირნი, ტკბილად მსტვინავი ღამითა (ვაჟა)...

იშვიათად ნარ'იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარეს-
თან შემასმენელი დგას მხოლოდით რიცხვში და არ ეთანხ-
მება ქვემდებარეს, მაგ.: ძუძუს აწოვებს ალაზანს გაღმა-გა-
მოღმა მწვერვალნი (ს. შან.); ვაჟკაცი იმედიანნი ჩვენს
ბატონს ებედებისა (ვაჟა)...

გ. ებ'იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შედგე-
ნილი შემასმენლის რიცხვში შეწყობასთან დაკავშირებით
აღსანიშნავია ოთხი შემთხვევა:

1. შედგენილი შემასმენლის ორივე ნაწილი მხოლოდითშია
და ქვემდებარე კი ებ'იან მრავლობითში: ტალავერში მადლა
ყურძნის მტვენები იყო ჩამოკიდებული (აკაკი); იქვე, ხევის
პირად, ჟოლოს ფესვები იყო ამოსული (ვაჟა)...

2. მეშველი ზმნა მრავლობითშია, სახელადი ნაწილი-
მხოლოდითში (ქვემდებარე ებ'იან მრავლობითშია): ბავშვები
სკოლაში იყვნენ წასული; მეზობლები იძულებული გამხდა-
რან ჩახულიყვნენ...

3. მეშველი ზმნაც მრავლობითშია და სახელადი ნაწი-
ლიც: ეს ლიფსიტები პატარა ორაგულები გახდნენ; ყმაწვი-
ლები განუყრელი მეგობრები იყვნენ...

4. სახელადი ნაწილი მრავლობითშია, მეშველი ზმნა-მხო-
ლოდითში: მისი ცრემლები სიხარულის ცრემლები იყო
(ევდ.)...

დ. ნარ'იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შედ-
გენილი შემასმენლის შეწყობის ორი ძირითადი შემთხვევა
არსებობს:

1. შედგენილი შემასმენლის ორივე ნაწილი (სახელადი ნა-
წილი+მეშველი ზმნა) მრავლობითში დგას: ისინი ჩვენი მე-
გობრები არიან (ი. გოგებ.); ყველანი ღამაზები იყვნენ (ვაჟა)...

2. მეშველი ზმნა მრავლობითშია, სახელადი ნაწილი კი
მხოლოდითში: ისინი დაბინავებული იქნებიან (ვაჟა); ყველანი
სოფელში იყვნენ წასული...

შენიშვნა: აქვს და ჰყავს ზმნებთან სახელად ნაწილად,
როგორც წესი, მიმღეობის ფორმებია გამოყენებული. აღნიშ-
ნულ ზმნებთან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შე-
მასმენლის ორივე ნაწილი მხოლოდითშია წარმოდგენილი:
ზოგ ძაღლს ყურები აცქვეტილი აქვს (ი. გოგებ.); კატას თვა-
ლები დახუჭული ჰქონდა (ი. გოგებ.)...

ე. I და II პირის ნაცვალსახელებით გადმოცემული ქვემდებარე, როგორც ცნობილია, უბრუნველია. თუ ქვემდებარედ ნაგულისხმევი ნაცვალსახელები (ან მათი შემცველი სიტყვები) მხოლოდობითში დგანან (მე, შენ) მათთან შეწყობილი შემასმენელიც მხოლოდობითში იქნება: მე ჩემს ლექსს წავიკითხავ, შენ შენი ლექსი წაიკითხე (ი.ე.დ.)... ხოლო, როცა I და II პირის ნაცვალსახელებით გამოხატული ქვემდებარე (ან მათთან გათანაბრებული სახელი) მრავლობითშია წარმოდგენილი, მასთან შეწყობილი შემასმენელიც მრავლობითში დაისმის: ძროხას ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა, გავიზიარეთ ყველამა საქმე და რიგ-რიგითა ყველა ძმურადა, ვყარაულობდით ძროხასა ღამე (ილია). თქვენ იმას კარგად არ იცნობთ (ილია).

შენიშვნა: ჩვენ და თქვენ ნაცვალსახელებთან (ან მათ შემცველ სიტყვებთან) შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი ყოველთვის მრავლობითში დგას. ასეთ შემთხვევაში მრავლობითშია სახელადი ნაწილიც: ჩვენ თქვენი სტუმრები ვართ (ა.ყაზბ); ყველანი სიკვდილის შვილები ვართ (ა.ყაზბ)... მაგრამ თუ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მიმღობით არის გადმოცემული, მაშინ შემასმენელი შეიძლება იყოს მხოლოდობითში, მაგ: ჩვენ ზაფხულში სოფლად ვიყავით წასული: თქვენ პატიოსანი დარბაისელი ხალხი სტუმრად ხართ მიწვეული...

თუმცა უფრო ბუნებრივია შეთანხმება: ისინი ამ ბედნიერებას მოკლებულნი არიან; ყველანი თეატრში იყვნენ წასულნი.

გ. ობიექტურ პირთან შემასმენელი ყოველთვის შეთანხმებულია რიცხვში:

მხატვან ისინი მე; გვხატავენ ისინი ჩვენ;

მ-ხატავს ის მე, გვ-ხატავს ის ჩვენ;

II ობიექტურ პირს ზმნა-შემასმენელი ეთანხმება რიცხვში, თუ ქვემდებარე მხოლოდობით რიცხვშია: გხატავს ის შენ; გხატავთ ის თქვენ...

მაგრამ როცა შემასმენელი ქვემდებარესთან არის მრ. რიცხვში შეთანხმებული, პირდაპირი დამატების მრავლობითობა ზმნის ფორმაში არ აღინიშნება:

გხატავთ ის შენ; გხატავთ ის თქვენ;

გხატავენ ისინი შენ; გხატავენ ისინი თქვენ...

III პირის პირდაპირ დამატებას ნიშანი არა აქვს არც მხოლოდობითში და არც მრავლობითში, ამის გამო არც გარჩევა არსებობს ფორმებისა ობიექტის რიცხვის მიხედვით.

III პირის ირიბი დამატება, როგორც ცნობილია, ყოველთვის მიცემითშია. იგი გარდაუვალ ზმნას სამივე სერიის ფორმებთან ახლავს, გარდამავალს კი— I და II სერიის ფორმებთან. შეთანხმება არ გვაქვს გარდამავალ ზმნაში, გარდაუვალთან კი ხან გვაქვს და ხან არა. თუ შემასმენელი ქვემდებარესთან არის შეთანხმებული, მაშინ ირიბი დამატება არ ეთანხმება რიცხვში, მაგ: დედას სტუმარი შეხვდა;

დედებს სტუმარი შეხვდათ, მაგრამ: დედებს სტუმრები შეხვდნენ.

მაგრამ ამ ტიპის წინადადებებში— “ამ ორომტრიალში ბავშვები დიდებს არ გახსენებიათ:” “კაცებს ხმლები ერტყათ წელზე” და მისთ.— გვაქვს შეთანხმება.

სავარჯიშო I: გადაიწერეთ მაგალითები. დააბოლოოვეთ შემასმენლები, გაარკვიეთ ქვემდებარე-შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმების საკითხი.

1. მინდორში კარვები იდგ... 2. შვილები დიდხანს ელოდ... დედის დაბრუნებას 3. ხევში ხშუოდ... მდინარეები 4. ყველანი მოემზად... 5. გადიოდ... კვირები და თვეები. 6. ხუთივენი გზატკეცილს გაუყვ... 7. ზოგიერთები ჩაის მიირთმევდ... 8. ქარისაგან ბუნქები ინძრეოდ... 9. ყვაილებმა დუდუნი დაიწყ... 10. მეზობლები შეიყარ... 11. ხეები იდგნ... და ელოდ... 12. ახალი ქალაქები შენდ...

სავარჯიშო 2. გადაიწერეთ მაგალითები და გაარკვიეთ, მართებულია, თუ უმართებულო ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმება. შეცდომები გაასწორეთ.

1. მდუმარედ იდგა თეთრი კოშკები 2. ფანჯრის მინებზე დაცურავდა წვიმის წვეთები 3. ბორბლები ტალახში ღრმად იფლობა. 4. ფოთლები სევდიანად შრიალებდა 5. იატაკიდან ამოვარდნილ ფიცრებს უსიამოვნოდ დაედო ხახა 6. ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ 7. თეთრად გადაიპეტნენ ტყემლები 8. თეთრი ნისლით შეიმოსნენ მთები 9. შავი ღრუბლები ნელა

მიცურავდნენ. 10. მთებმა ორბის ფრთები მოისხეს. ფრთოს-
ნებმა საშინელი წრიპინი მორთო. 12. ცას შავი ღრუბლები
გადაეკრა.

სავარჯიშო 3. გადაიწერეთ მაგალითები და გამოარკვიეთ,
არის თუ არა სწორად წარმოდგენილი შემასმენლის შე-
თანხმება ქვემდებარესა და დამატებასთან.

1. მედიის დანახვაზე ხოხბებს თავზარი დაეცათ (ვაჟა);
2. ფრინველთ სანატრელი დრო დაუდგათ (ვაჟა); 3. სახლები
სათამაშო ქოხებს ჰგვანან (მ. ჯავახ); 4. მასპინძლები... შე-
უძღვნენ სტუმრებს კარიბჭეში (ლ. გოთ); 5. მარტის ცივი
ქარი ძვლებში გვატანდა შილიფად ჩაცმულ ბიჭებს
(კ.ლორთ); 6. თავიანთ მეგობრებს ბავშვები ბარათებს უგ-
ზავნიდნენ; 7. ხალხის რიგებს თანდათან ემატებოდა; 8. ეზო-
მიდამო ბარიკადებს ჰგვანდა; 9. ბავშვები მეზობლებს გაჰყ-
ვნენ; 10. ისინი შეუპოვრად ეკვეთნენ ერთმანეთს; 11. მეგობ-
რები ხელსახოცებს მიქნევდნენ და გაბადრული სახეებით
მესალმებოდნენ; 12. ქისტებმა ვერ გაუძლეს ხევსურთა შეტე-
ვას; 13. დედები აქებენ თავიანთ შვილებს.

ზ. ზმნა-შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებული
წვერი არის უბრალო დამატებაც. როცა წინადადებაში მიცე-
მით ბრუნვაში მდგომი რამდენიმე უბრალო დამატებაა, რომ-
ლებიც და ან თუ მაჯგუფებელი კავშირებით არის შეერ-
თებული, კავშირების წინ მდგომი დამატება უთანდებულოა
და გავრცობილი ფორმით იხმარება, მაგ.: „რომ ერისა
მოწმედ ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში; ხმელი წიფელი ფიქ-
რობდა თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე...
თან თანდებულის შემთხვევაში კი თანდებული შენარჩუ-
ნებულია ამ კავშირების წინაც: შვილებთან და შვილიშვი-
ლებთან ერთად წავიდა...“

ხოლო, თუ ნათესაობითში დასმული რამდენიმე ერთგვარი
უბრალო დამატება თანდებულიანია, მაშინ და კავშირის წინ
მდგომი დამატება უნდა ვიხმაროთ უთანდებულოდ და გავრ-
ცობილი ფორმით: ეს თქვენი მეზობლისა და ახლობლები-
სათვის მიმინდვია.

ქ. წ. ქვემდებარისებრი, პირდაპირისებრი და ირიბისებრი უბრალო დამატებანი ძირითადად — გან, —თვის და მიერ თანდებულებს ირთავენ. მათი საჭიროება ამა თუ იმ კონტექსტში სტილისტიკური აუცილებლობით არის გამოწვეული. მაგ.: „მეგობრის მიერ დახატული სურათი მოიწონეს,“ თუ „მეგობრისაგან დახატული სურათი მოიწონეს“ (შდრ. ყინვისაგან მცენარეს ფესვები გაუხმა, თუ ყინვის გამო მცენარეს ფესვები გაუხმა). ველა ეს ფორმა სალიტერატურო ნორმის თვალსაზრისით მისაღებია, მაგრამ სტილისტიკურად უფრო მართებულია: მეგობრის მიერ დახატული...ყინვის გამო...გაუხმა...

ამ ბოლო დროს ნათესაობითის „შესახებ“ და „თაობაზე“ თანდებულების ნაცვლად ენაში დამკვიდრდა ქართულისათვის სრულიად არაბუნებრივი სიტყვა „დაკავშირებით“, რაც ამძიმებს და უცხო იერს ანიჭებს ბუნებრივ ქართულ „დარბაისლურ მეტყველებას“, მაგ.: „ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში აზრი გამოთქვეს“...ნაცვლად ამისა „ამ საკითხის თაობაზე“ ან „საკითხის შესახებ“... „ელექტროენერჯის მოხმარებასთან დაკავშირებით გაიმართა კამათი“, ნაცვლად ამისა „ელექტროენერჯის მოხმარების შესახებ(თაობაზე)“...

ასევე თანაობის უბრალო დამატება შეიძლება იყოს: უთანდებულო, —ურთ თანდებულიანი და —იან სუფიქსიანი. აქაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წინადადების სტრუქტურასა და შინაარსს, მაგ.: „ტურისტები ცოლ-შვილით ჩამოვიდნენ“ თუ „ტურისტები ცოლ-შვილითურთ ჩამოვიდნენ“, ან კიდევ „ტურისტები ცოლ-შვილიანად ჩამოვიდნენ“.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში თანაობის დამატება ყოველთვის —ურთ თანდებულთა გამოიხატებოდა. ახალ ქართულში თანაობა უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვის ფორმით იშვიათად გვხვდება. დღეს იგი მეტადრე —თან სუფიქსიანი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმით, ან თანდებულიანი მიცემითით (რომელსაც ერთვის სიტყვა „ერთად“) (ტურისტები ცოლ-შვილთან ერთად ჩამოვიდნენ, ან ცოლშვილიანად ჩამოვიდნენ) გადმოიცემა.

უბრალო დამატებად არის მიჩნეული ისეთი შემთხვევები, როცა ზმნის პირიან ფორმასთან უთანდებულო მოქმედებითის ფორმით ამავე ზმნის საწყისია წარმოდგენილი, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში პარონომაზიის სახელით არის ცნობი-

ლი, მაგ: სმით ვერ სმენ; ჭამით ვერ ჭამენ; წასვლით წავალთ, შენი ჭირიმე; გადახდით კი გადაგიხდი, თუ როგორმე ფული ვიშოვე...

თუმცა ზოგჯერ შეიძლება მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი იყოს არა ამავე ზმნის საწყისი, არამედ მისი სინონიმი, მაგ: სიკვდილით აღესრულა, აღმოცენებით ამოვიდა და მისთ.

ასეთი ფორმები ცოცხალი მეტყველების ფაქტს წარმოადგენს როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულისათვის.

სავაჯიშო 1. გადაიწერეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები და გაარკვიეთ მართებული და უმართებულო ფორმები.

1. ყვაილები სიცოცხლეზე და სიღამაზე ფიქრობდნენ.
2. დაგუბებული ჰაერისაგან და სიმყრალისაგან ვარდოს გული შეუწუხდა.
3. სიცილ-ხარხარში, უზრუნველ-უშრომლობაში და სიზარმაცეში განვლო მთელი სიცოცხლე მახარამ.
4. მგლები ისევ თათბირობდნენ თარეშის, თავდასხმის და ერთობლივი ლაშქრობის თაობაზე.
5. გიორგი შეილების, ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად წასვლაზე ფიქრობდა.
6. ქართველთა ლაშქარი უამრავი ტყვიით და ალაფით დატვირთული ბრუნდებოდა.
7. გიგა ფანქრითა, ფუნჯით და საღებავებით დატვირთული წავიდა.
8. ნინოს ფრინველად, ფრთოსან ანგელოზად და ზეციურ არსებად წარმოედგინა თავი.
9. აგერ ესტატეც გამოჩნდა თავის ჯალაბიანად და სტუმრებიანად.

თ. ზმნა-შემასმენელთან და ნაზმნარ სახელებთან არის დაკავშირებული გარემოებებიც (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნისა), რომლებიც გვიჩვენებენ მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზსა თუ მიზანს.

გარემოება გადმოიცემა ზმნიზედითა და ბრუნებადი სიტყვებით (სახელებით ან სახელზმნით). გარემოების გადმოცემაში სიტყვა უფორმოა, ან ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. ბრუნებადი სიტყვა შეიძლება იდგეს მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითრებითში როგორც თანდებულთ, ისე უთანდებულთ.

მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილი ადგილის გარემოება შეიძლება იყოს როგორც უთანდებულო, ისე თანდებულიანი,

მაგ.: მეორე დილით თბილისს წავედი, ან მეორე დილით თბილისში წავედი. ამათგან ახალ ქართულში უფრო ბუნებრივია თანდებუდიანი ფორმა (თბილისში წავედი).

ვითარებითის თანდებუდიანი ფორმებიც ადგილისა და დროის გარემოებას გადმოგვცემენ: ქალაქამდე (ქალაქამდის), გათენებამდე (გათენებამდის), მაგრამ დიალექტებში, ზოგჯერ სამწერლობო ენაშიც, სხვადასხვა ფორმებს იყენებენ, მაგ.: ქალაქამდინ, გათენებამდინ, გათენებამდენ და მისთ. რაც არასწორია.

დროის გარემოების გადმოსაცემად ახალ ქართულში ზოგჯერ სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: ორი წელიწადი ვიყავი მასთან; მთელი დამე ველად დავდიოდი; მთელი თვე გასტანა ბრძოლამ... შდრ. ორ წელიწადს ვიყავი მასთან; მთელ დამეს ველად დავდიოდი; მთელ თვეს გასტანა ბრძოლამ... უპირატესობა მიცემითში დასმულ ფორმას უნდა მიეცეს.

ვითარების გარემოების გადმოსაცემად ზოგჯერ ფუძეგაორკეცებული სახელიც გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში ის დეფისით იწერება: კედლებს ბუჩქ-ბუჩქად ხავსი გადაკვრია (ე. გაბ.); ფრინველები წასვლის წინ მოგროვებას გუნდ-გუნდად იწყებენ (ი. გოგებ.); ქალები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ხილის საკრეფად (ა. ყაზ.)... ეს იმ შემთხვევაში, როცა ცალკე აღებულ ფუძეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა უბრალო გაორკეცებასთან გვაქვს საქმე და ცალკე დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს გაორკეცებული ფუძის ნაწილს, მაშინ ერთად იწერება, მაგ.: გოგონები კისკისით შერბოდნენ დარბაზში; ისინი ხარხართ გამოდიოდნენ და მისთ.

ხშირად ერთმანეთში ირევა მიზეზისა და მიზნის გარემოების გადმომცემი ენობრივი საშუალებები, მაგ.: დედაბერი შიშისგან უკან გადავარდა (ი. ევდ.). აქ კითხვა რისგან? არ გამოდგება, უნდა დაეუსვათ- რის გამო? ასევეა თვის თანდებუდიანი ფორმა: მთიული მთლად გაფითრდა ამგვარი დამცირებისათვის (ა. ყაზ.). აქ დაისმის კითხვა რატომ? რა მიზეზით? რის გამო?

არასწორად უსვამენ კითხვას ასევე მიზნის გარემოების გამომხატველ სიტყვებსაც, მაგ.: გიგო ტყეში იყო წასული

ხის მოსაჭრელად. აქ უნდა დაფუსვათ კითხვა რისთვის? ზოგჯერ მის ნაცვლად ხმარობენ კითხვას რატომ? რაც არასწორია.

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები და გაასწორეთ, ახსენით რა არის შეცდომის მიზეზი.

1. გიორგი მთელი წელი სოფელში დარჩა. 2. მეურნეები ბაღებისაკენ და ბოსტნებისაკენ გაეშურნენ. 3. სახლის სახურავებისაგან წვიმის წვეთები ჩამოდიოდა. 4. ელენემ შეიღებიდან გამოგზავნილი ამანათი მიიღო. 5. ხიდან ფუტკრის საბუდარი გააკეთეს. 6. ეს მზავი ყველა სოფელში და დედაქალაქშიც გავრცელდა. 7. სახურავებზე, ხეებზე და სკამებზე, ყველგან, ისხდნენ. ტევა არ იყო. 8. მეგობრებ-მეზობლებ თუ ნათესავებთან ერთად სისტემატურად ერთსა და იმავე თემაზე საუბრობდა. 9. ისინი ნაბიჯნაბიჯ წინ მიიწევენენ...

§2. განსაზღვრებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

განსაზღვრება ახლავს არსებითი სახელით (ან მასთან გათანაბრებული სიტყვით) გადმოცემულ წევრს და ახასიათებს მას რაიმე ნიშნის, თვისების, რაოდენობის თუ სხვათა მიხედვით.

ა. საზღვრულთან სინტაქსური კავშირის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს რიცხვითი სახელით გადმოცემული მსაზღვრელი, მხედველობაშია გაურკვეველი (განუსაზღვრელი?) რიცხვითი სახელებით გადმოცემული განსაზღვრება, როგორიცაა: აუარებელი, მრავალი, აურაცხელი, ბევრი, დიდძალი, უამრავი, უანგარიშო, უზომო, უთვალავი, ურიცხვი, ცოტა, ბლომად, ზღვა, მიღეთი, ქვეყანა და სხვ. ამავე რიგში დგანან განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: ყველა, ყოველი, სხვადასხვა, ცალკეული; ზოგი, ზოგიერთი, რამდენიმე; ჩვენებითი—ამდენი, მაგდენი, იმდენი; კითხვითი—რამდენი; რაოდენობითი რიცხვითი სახელით ნაწარმოები სახელები: ათეული,

ასეული, ათასეული, არაერთი, თითო-ოროლა და აგრეთვე რთულფუძიანი ზედსართავები: მრავალასეული, მრავალათეული, მრავალათასიანი, მრავალმილიონიანი და ა.შ. დასახელებულ სახელთაგან ზოგიერთი რთულ ფუძეს ქმნის ნაირი¹სა და გვარ²ის შეერთების საფუძველზე და ვლელულობთ: ამდენნაირი, იმდენნაირი, ბევრნაირი, მრავალნაირი, რამდენიმენაირი, სხვადასხვანაირი, ბევრგვარი, იმდენგვარი, მრავალგვარი, ნაირგვარი...

ამავე რიგში დგანან რიგი³თა და წყება⁴თი განსაზღვრული სახელები (რიგი ადამიანებისა, ერთი წყება მანქანები) და — ობით სუფიქსით ნაწარმოები ზმნიხედური წარმოშობის ზედსართავი სახელები: ათობით, ასობით, ათეულობით, ასეულობით, მილიარდობით...

ამგვარი სახელებით გადმოცემული განსაზღვრება წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს კონტაქტურადაც და დისტანციურადაც. მათს უმრავლესობაში მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი პირდაპირია (პრეპოზიციული).

რადგანაც ზემოაღნიშნული განსაზღვრებები ერთზე მეტს გამოხატავს, მასთან შეწყობილი საზღვრული წევრი, წესის მიხედვით, მხოლოდობით უნდა იყოს წარმოდგენილი. მათი უმრავლესობა ძველი, საშუალი და ახალი ქართულის მონაცემების მიხედვით მხოლოდობითის ფორმითაა გადმოცემული, თუმცა საპირისპირო ფორმებსაც აქვს ადგილი (საზღვრული მრავლობითშია წარმოდგენილი). სალიტერატურო ნორმად საზღვრული წევრის მხოლოდობითია მიჩნეული; მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აბსტრაქტული, კრებითი და ნივთიერებათა სახელები, რომელთაც მრავლობითი რიცხვი, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, არ ეწარმოებათ, განუსაზღვრელი რაოდენობის გამომხატველი განსაზღვრების გვერდით ახალ ქართულშიც ყოველთვის მხოლოდობითში დაგანან, მაგალითად: კმარა ამდენი ცრემლის ღვრა (ვაჟა), მას ათასგვარ სიკეთეს სთავაზობენ (მ. ჯავახ.), ექიმები კანქვეშ უშვებენ ათასგვარ მწარე სითხეს (რ.ინან) და მისთ.

ახალ ქართულში განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელ განსაზღვრებათაგან რიგი და წყება არსებითებით გამოხატულ მსაზღვრელებს სასაზღვრი წევრი სამგვარად უკავშირდება

I. სასაზღვრი წვერი ნათესაობით ბრუნვაშია და მრავლობითშია წარმოდგენილი: ბოლოში ეს ორი წყება ხეებისა შერგვალებით ერთდებოდა (ნ.ლორთ) რიგი მკვლევრებისა აღნიშნავენ...არსებობს რიგი პრობლემებისა, რომლებიც უნდა გადაწყდეს...

II. სასაზღვრი წვერი მხოლოდობითშია და დგას სახელობით ბრუნვაში: მის განკარგულებაში არსებული რიგი მასალა გამოუყენებელი დარჩა...რიგი აგრონომი და მეტყვევებლებას ეუფლება...მთელი რიგი რომანი და მოთხრობა ვერც კი მოვიხსენიეთ (მაცნე)...

III. საზღვრული მრავლობითშია და დგას სხვადასხვა ბრუნვის ფორმაში: რიგმა საბჭოთა მეურნეობებმა გაანადღეს გეგმა-ვალდებულებანი; აჯანყებულებმა მთელი რიგი ქაღალტები აიღეს (სსრკ ისტორია); მსახიობი...მთელ რიგ სცენებს ატარებს შესანიშნავად...(კომუნისტი) სოვედარს ერთი წყება სახლები სულ მაღაზიებად და ქარვასლებად ჰქონდა ჩაწკაპული (გ. წერ.); ლაპარაკი გამოიწვია ამათმა დამუქრებამ ერთი წყება გლეხების წინააღმდეგ (დ. კლდ.)...

ასეთ განსაზღვრებებთან საზღვრული წვერის მრავლობითში ჩასმას იწვევს მისი შინაარსობრივი გააზრება და ქართულში მრავლობითი რიცხვის ფორმასთან შეთანხმების ტენდენციით არის ნაკარნახევი. რიგი და წყება სიტყვებით შედგენილი შესიტყვებები ქართულისათვის კალკებად ითვლება.

ყველა ზემოთ დასახელებულ განუსაზღვრელი რაოდენობის გამომხატველ განსაზღვრებასთან საზღვრული წვერი მხოლოდობითში უნდა იდგეს. ესაა ლიტერატურული ნორმა.

სავარჯიშო. ქვემოთ წარმოდგენილ წინადადებებში გარკვევით მართებული და უმართებულო ფორმები.

1. კორდზე ხარობენ სხვადასხვა ხეხილი (ლ. არდაზ.); 2. თითო-ოროლა მაგალითი საადგილმამულო ბანკისა ცხადად გემიტკიცებენ (ილია); 3. რამდენიმე „ბუნტმა კაცმა“ სახლი ამიკლეს (ა. ყაზბ.); 4. უამრავი შეთქმული...კვერთხებს სტუდავდენ (მ. ჯავახ.); 5. მრავალი ბუზი გაცოცხლებულა და გაუმართავთ ნაზამთრი ფრთები (თ. რაზ.); 6. ცას მოუსხამს იმდენი მარწყვი (რ. გვეტ.); 7. ბლომად სტუმრები ჰყავდა (ვა-

ქა); 8. გარიბალდს წინ ჰყავს სულ დარჩეული მხედარი და აუარებელი თოფ-ზარბაზანი (გ. წერ.); 9. ათასი ხიფათი თან სდევს მაგ გართობას (ვ. ბარნ.); 10. ასეული თვალი ამაყად ასვეტილ მისგითს მიებჯინა (მ. ჯავახ.); 11. ათასეული წლები გასულან, როგორც თვალის დაფახულება ერთი (კ. გამს.); 12. ათასნაირი ხმები დადის (აკაკი); 13. მაგიდაზე ეწყო მრავალი ნივთები (ლ. არდ.); 14. მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან (გ. ტაბ.); 15. ყოველი...კაცი მიდიოდა მუხასთან და მიჰქონდა სახვადასხვა შესაწირავები (გ. წერ.).

ბ. ბოლოხმოენიანი სახელით გამოხატული განსაზღვრება, რომელიც საზღვრულის წინ დგას, თანამედროვე ქართულში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს, ყველა ბრუნვაში იგი ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ბოლოთანხმოენიანი სახელით გადმოცემული განსაზღვრება კი (როცა იგი საზღვრული წვერის წინ დგას), როგორც ცნობილია, ბრუნვის ნიშნებს დაირთავს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, მიცემითსა და ვითარებითში—ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ნათესაობითსა და მოქმედებითში კი— მხოლოდ ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანია წარმოდგენილი

(განსაზღვრების შესახებ იხილეთ თავი III, §4).

სავარჯიშო. გადაიწერეთ წინადადებები და გაარკვიეთ, რომელი წესის მიხედვით არის შეწყობილი განსაზღვრება სასაზღვრ წვერთან და არის თუ არა სწორი.

1. თოვს და ქარბუქი ტრიალებს ურჩი (მ. ლებ.); 2. მთელი დამე ოდის ჭრიალებდა კარი (მ. ლებ.); 3. ქუჩაში სამი საუბრობს ბიჭი (მ. მაჭ.); 4. დიდი ოჯახი მამლისა გაატიალეს ქორებმა (ვაჟა); 5. შედრკა, აკოცა ყვავილებს გაშლილს (ლ. ასათ.); 6. იას უთხარით ტურფასა, მოვა და შეგჭამს ჭიარ (ვაჟა); 7. ხმალო, გამიჭერ ფხიანო (ვაჟა); 8. მათს დედაშვილობას ბევრი შეჰნატროდა (ილია); 9. გოგო უმზერს წყალს ანკარას (ს. შანშ.); 10. დილას ვახარებ გალობით ტკბილით (ილია); 11. იმავე დღეს, შეილო, დედილამ, ჭრელს ჩავეცომდი კაბასა (ვაჟა)...

გ. ცნობილია, რომ თუ სასაზღვრი წვერი ებ'იან მრავლობითშია, განსაზღვრება მხოლობითში დგას. სხვა ვითარება

გვაქვს ნარ-თან'იან მრავლობითში. აქ განსაზღვრებაც დაირთავს ხოლმე რიცხვის ნიშანს: მოსწავლეთა სასახლე, შორნი მნათობნი მოკამკამენი... ისმის კითხვა: როგორია ვითარება, როცა ერთ სასაზღვრ წევრთან ორი ან მეტი განსაზღვრება არის წარმოდგენილი?

თანამედროვე ქართულის მონაცემთა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ მაგალითების ურავლესობაში გენეტიურ (ნათესაობითში მდგომ) განსაზღვრებასთან სასაზღვრი წევრი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგალითები: თბილისში მოეწყო ლადო გუდიაშვილის, კობა გურულის, ნათელა იანქოშვილის და სხვათა პერსონალური გამოფენები; სამარხში იპოვეს ხნიერი მამაკაცისა და ჭაბუკი მემორის ფიტულები; აბუსერიძისა და დადიანის ძველი ტრადიციების ოჯახები აღარ არსებობენ; სახლის მეორე სართულზე მოეწყო ქალთა და მამაკაცთა სალონები და მისთ.

რამდენადმე განსხვავებული ვითარება გვაქვს მაშინ, როცა ერთ საზღვრულ წევრთან რამდენიმე (ორი ან მეტი) ატრიბუტულმსაზღვრელიანი შესიტყვება გვაქვს. ასეთ შემთხვევაში, როცა ორ კონკრეტულ ნიშანზეა ლაპარაკი, საზღვრული წევრი შეიძლება მხოლოდობით იყოს წარმოდგენილი: დიდი სერი სოფელს ყოფდა ორად: ქვემო და ზემო უბნად (ი. გოგები); ცისფერი და მოლისფერი სასახლე ერთმანეთს ემიჯნებოდა ბაღით; სომხური და ქართული თვატრი ხალხით იყო სავსე; ასე უხალისოდ გავიდა პირველი და მეორე წელი ელენესათვის და მისთ.

როცა ატრიბუტულ და მართულ განსაზღვრებას ახლავს რაოდენობითი რიცხვითი ან განუსაზღვრელი ნაცვალსახელი, სასაზღვრი წევრი ყოველთვის მხოლოდობითია წარმოდგენილი: აქ მუშაობს სამი საგნობრივი და ხუთი თვითმოქმედი წრე. ეს ამბავი გამოაქვეყნა ზოგიერთმა ქართულმა და საკავშირო გაზეთმა; საქართველოში გამოიცემა რამდენიმე ფერადი და სურათებიანი გაზეთი.

მხოლოდობითია საზღვრული წევრი მაშინაც, როცა მას არ ეწარბეება მრავლობითი რიცხვი: მის ძარღვებში ჩქეფდა ინდიელის, ესპანელისა და ზანგის სისხლი; მათ აჩვენეს თვატრალური და მუსიკალური ხელოვნება; წარმატებით გამოვიდ-

ნენ ჩვენი სპორტსმენები საშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონაში...

საზღვრული წვერი მხოლოდობითში დგას, როცა ხან-ხან და არც-არც კავშირ-ნაწილაკები ახლავს განსაზღვრებას, მაგ.: ჯარისკაცებივით დამწკრივდებოდნენ ხან ერთ, ხან ორ რიგად (ი. გოგებ.); ხვარამზე ყოველ კვირაში დადიოდა ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე მკითხავთან (ე. ნინოშ.); მას არც ძველი და არც ახალი ბინა არ მოეწონა; მას ძალზე აწყობს როგორც ძველი, ისე ახალი მეგობარი...

როცა საზღვრულად ენაა, რომელსაც ახლავს რამდენიმე მსაზღვრელი, მაშინ იგი მრავლობითშია: მოხსენებები გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე; გერმანული, ესპანური და იტალიური ენების მცოდნეები ცოტა გვყავს...

საზღვრული წვერი მრავლობითშია წარმოდგენილი, როცა ა. წინადადებაში ერთდროულადაა წარმოდგენილი ატრიბუტული და გენეტიური მსაზღვრელები: წყნარი და ინდოეთის ოკეანეები; დრამატული, სიმღერისა და ცეკვის წრეები... ბ. შესიტყვებაში ატრიბუტულ განსაზღვრებად გვაქვს რიგობითი რიცხვითი სახელები: პირველი და მეორე შესახვევები; მეხუთე და მეთექვსმეტე სკოლები...

გ. ატრიბუტულ განსაზღვრებად გვაქვს გეომეტრიული ცნებების გამოხატველი სიტყვები: **A** და **B** წერტილები; **ABC** და **KFD** სამკუთხედები და სხვ.

სავარჯიშო. ქვემოთ მოყვანილი წინადადებები გადაიწერეთ და გაასწორეთ უმართებულო ფორმები.

1. მთავარია, ახალგაზრდამ კარგად იცოდეს მშობლიური და ინგლისური ენა;
2. დიდსა თუ მცირე ერს თავისი ინდივიდუალური ნიშნები ახასიათებს;
3. ეს იმისი მაჩვენებელია, რომ ფიჭვი უძლებს მაღალ და დაბალ ტემპერატურებს;
4. შევაერთოთ **A** და **B** წერტილი სწორი ხაზებით;
5. გადაკვეთის წერტილები აღვნიშნოთ 1 და 2 ციფრით;
6. აეროდრომი მორთული იყო ქართული, რუსული და ინგლისური ტრანსპარანტი;
7. ქუჩის პირველი და მესამე შესახვევი განათებული იყო;
8. დაძაბული ბრძოლა გაიმართა II და III ადგილისათვის;
9. აქ მუშაობს თვითმოქმედი და მათემატიკის წრე;
10. დადგა ეგვიპტის, მესოპოტამიის და საბერძნეთის კულტურე-

ბის აყვავების ხანა; 11. ქართულ და რუსულ ლიტერატურებს შეემატა აზიის ლიტერატურაც; 12. უცხოელი ღრმად ჩასწვდა ქართული და სპარსული ენის ბუნებას...

დ. ქართულში გვაქვს ისეთი განსაზღვრებებიც, რომლებიც კომპოზიციით (რთული ფუძით) არის გადმოცემული. სეთი კომპოზიციის პირველი ნაწილი შეიძლება იყოს ზედსართავის, მიმღეობის, არსებითი ან რიცხვითი სახელის ფუძე, რომელსაც დაერთვის -იან, -ოვან, -ოსან, -ა და მისთანა სუფიქსები და რისამე კუთვნილებას გამოხატავენ, ასეთებია, მაგალითად: მაღალწიწვებიანი, მოხატულგულისპირიანი, შავთვალისანი, ორადგილიანი, შრომისუნარიანი, ვერცხლისმედლოსანი, ცისფერთვალეა და მრავალი სხვა.

ეს ე.წ. „კუთვნილებითი კომპოზიციები“ შეიძლება ხუთ ჯგუფად დაიყოს:

I. ზედსართავი+არსებითი+სიტყვასაწარმოებელი სუფიქსი (-იან, -ოვან, -ოსან, -ა, -ელ...);

II. რიცხვითი სახელი+არსებითი სახელი+ სუფიქსი (რვა-წახნაგისანი...);

III. მიმღეობა+არსებითი სახელი+სუფიქსი (მგრელპირიანი...);

IV. არსებითი სახელი+ნამყო დროის მიმღეობა(ზურგჩანთამოკიდებული...);

V. არსებითი სახელი (ნათესაობით ბრუნვაში)+არსებითი სახელი+სუფიქსი (ნაბდისქუდიანი ...).

ხშირად ასეთ კომპოზიციებს -ზე და -ში თანდებულები დაერთვის. ასეთ შემთხვევაში ისინი ორ-ორ სიტყვად უნდა დაიწეროს, მაგ.: ხანჯალზე ხელდადებული, ჯიბეებში ხელბეჩაწყობილი, ბალიშში თავჩარგული, მხარზე ცულგადებული...

ჩვეულებრივია აგრეთვე -ის-ეულ სუფიქსებით წარმოქმნილი განსაზღვრებებიც: მამაპაპისეული, მარბლისეული, უორდროპისეული, ანანიაშვილისეული...

ზოგჯერ გრძელი სიტყვის თავიდან აცილების მიზნით დეფისის ხმარება სავალდებულოდ არ მიაჩნიათ და (ვალკე წერენ სიტყვებს: ერთ და ორსართულიანი, ფოტო და კინომოყვარულთა კლუბი, ღიმილ და სითბოჩამდგარი...ხშირად კი ამასაც (ვალკე ყოფენ და გვაქვს: თვალე და გონება დაბინ-

დული, რადიო და ელექტრო სისტემა და მისთ. ასეთი კომპოზიციების პირველი ნაწილი დეფისით გამოიყოფა, ხოლო და კავშირი ცალკე დაიწერება, დანარჩენი-ბოლო ნაწილი კი ერთად დაიწერება: ერთ- და ორსართულიანი, ფოტო- და კინომოყვარულთა, სინანულ- და ნაღველშეპარული...

დეფისი იწერება აგრეთვე კუთვნილებითი კომპოზიციის პირველ ნაწილში მაშინაც, როცა იგი იწყება რიცხვითი სახელით (ციფრით არის გამოხატული): 800-ადგილიანი, 35-ბინიანი, 100-პროცენტიანი, 30-გრაფუსიანი... ასევე: გან-თან-დებულნიანი, შე-ზმნისწინიანი და მისთ.

დანარჩენი „კუთვნილებითი კომპოზიციით“ გამოხატული განსაზღვრების ტიპები იწერება ერთად, რამდენი ფუძისგანაც უნდა შედგებოდეს იგი: სკოლადამთავრებული, საშუალოსკოლადამთავრებული, სამოცდაათათასადგილიანი, დალიანდაგებულქურთუკიანი, კუსძვლისჩაჩროიანი, ოქტომბრისრევოლუციისორდენოსანი, ლენინისორდენოსანი, პირველთან-რიგოსანი, დენიკინისდროინდელი და სხვა. მაგრამ ასეთ კომპოზიციით ცალკეული კომპონენტის მნიშვნელობის სადიფერენციაციოდ დასაშვებია ასეთი განსაზღვრებებიც: საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებული და მისთ.

სავარჯიშო. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში გაარკვიეთ, სწორად არის თუ არა დაწერილი „კუთვნილებითი კომპოზიციით“ გამოხატული განსაზღვრებები.

1. ევროსინე პირზეთავსაფარჩამოფარებული მატარებელს ანიშნებს გზის აკარგიანობას (დ. კლდ.);
2. ეს ვინ მოგიყვანია...მუხლებშიდაგამოღეულები (ვ. ჩხიკვა);
3. მკერდზე ბავშვმისუტეებული ქალები კოშკებიდან ცვიოდნენ (რ. ინანი);
4. ჯოხზე გამხმარხელებჩაწყობილი ბებერი როსტომა ზის (რ. ინანი);
5. ხუთი ჯიბეშიხელებჩაწყობილი მამაკაცი იდგა (რ. მიშე);
6. გამოცხადდა პირზეოფლგადამინარე მომღერალი (რ. მიშე);
7. ყელკისერმოშიშვლებული ქალები მარაობს პირზე იფარებდნენ (ო. ჭილ.);
8. სწრაფად შეივსო ერთ და ორ ადგილიანი ნომრები;
9. დაიწყეს კინო და რადიო დანადგარების დამონტაჟება.
10. მომრაველდა სახელ და სახე-შეცვლილი ქუჩები.
11. ტუჩებზეღიმილშერჩენილი ქალი გაო-

ცვლით მიაშტერდა გვერდით მდგომ მამაკაცს; 12. იდლია-
შიჩანთაამოჩრილი ბიჭი ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა სკოლი-
საკენ.

§3. სხვადასხვა ტიპის წინადადებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

თანამედროვე ქართულ ენაში ხშირად გვხვდება უზუსტო-
ბანი წინადადებათა აგების მხრივ. როგორც ცნობილია, ზმნა
ქართული წინადადების აგების მთავარი კომპონენტია. ჩვეუ-
ლებრივ აზრის დამთავრებულობა, წინადადების სისრულე,
ზმნაზეა დამოკიდებული, თუმცა ამ ბოლო ხანს გახშირდა
უშემასმენლო წინადადებათა ხმარება. ასეთი კონსტრუქცია
უფრო მეტად გავრცელებულია სათაურების, ღოზუნგების,
სახვადასხვა სავაჭრო ობიექტების გასაფორმებლად. მაგ.: ყვე-
ლა გამყიდველი-საზოგადოებრივი წუნმდებელი! ვაჭრობა-სა-
ნიმუშო! მომსახურება-ჩინებული!...

უშემასმენლო სათაურების მიზანი გასაგებია—წინადადება
გახადოს უფრო ეკონომიური და ლაკონიური, მაგრამ იკარ-
გება ქართული წინადადების ბუნებრიობა. ზემოაღნიშნული
სახელდებითი წინადადებები ასე უნდა დაიწეროს: „ყველა
გამყიდველი იქცეს საზოგადოებრივ წუნმდებლად!“ ან „ყვე-
ლა გამყიდველი გახდეს საზოგადოებრივი წუნმდებელი,“
„დავენერგოთ სანიმუშო ვაჭრობა, ჩინებული მომსახურება,“
„შემოქმედებით ძიებას მიეცეს ახალი გაქანება...“ თუმცა სათა-
ურებში და ღოზუნგებში კიდევ დასაშვებია უშემასმენლო
ანუ სახელდებითი წინადადებები, მაგრამ ამ ბოლო დროს
გავრცელდა ე. წ. აღწერითი კონსტრუქციები, სადაც ზმნას
ცვლის სახელზმნა, მარტივ შემასმენელს-შედგენილი, მოქმე-
დებითი გვარის ფორმას-ენებითი, რაც „როგორც გრამატი-
კული ისე სტილისტიკური თვალსაზრისით მიუღებელია“ (ვ.
თოფურია). მაგალითად: „იმავე კლასში იქნა ჩაწერილი მოს-
წავლეების მიერ ის, თუ რას აკეთებდნენ ისინი გაკვეთილზე,
რომელსაც ისინი დიდ პატივს არ სცემდნენ“ (ე. „სკოლა და

(ცხოვრება)". უნდა იყოს: იმავე კლასის მოსწავლეებმა ჩაწერეს, თუ რას აკეთებდნენ ისინი იმ მასწავლებლის გაკვეთილზე, რომელსაც პატივს არ სცემდნენ."

ზოგჯერ ისე გაუმართავია წინადადება, რომ შინაარსი გაუგებარი ხდება, მაგ.: „პირუტყვის სადგომებში ხანძრების უმეტესობა მომხდარია პირუტყვის უხეში საკვების ნარჩენების სადგომებთან ახლოს განადგურების მიზნით დანთებული ღია ცეცხლის უმეტესად მიტოვებით“ („გამარჯვების გზა“). ეს წინადადება შეიძლება გაიმართოს ასე: „პირუტყვის სადგომებში ხანძარი უმეტესად გამოწვეულია იმით, რომ უმეტესად ტოვებენ უხეში საკვების ნარჩენების გასანადგურებლად სადგომის ახლოს დანთებულ ღია ცეცხლს.“

ეხვედებით ასეთ წინადადებებსაც: „ეს ზიანი გამოიხატება სუსტი მეტოქის რქების დამტვრევაში, მუცლის ან სხეულის რომელიმე ნაწილის გაგლეჯაში“ („საქართველოს ბუნება“)

უნდა იყოს: „ზიანი გამოიხატება იმაში, რომ სუსტ მეტოქეს უმტვრევენ რქებს, უგლეჯენ მუცლის ან სხეულის რომელიმე ნაწილს.“

უხეშ დარღვევას აქვს ადგილი აგრეთვე წინადადების აგებისას. ცნობილია, რომ ერთგვაროვანი წევრები შინაარსის მხრივ ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს, უნდა მიემართებოდეს ერთსა და იმავე წევრს და ერთი ნიშნის მიხედვით ახასიათებდეს საგანსა თუ მოვლენას. ეს კრიტერიუმი ირღვევა მაშინ, როცა ერთგვაროვან წევრებად მიჩნეულია სხვადასხვა ჯგუფის არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები და ა.შ. მაგალითად: „ესენი არიან ფაბრიკა-ქარხნების, შახტების... გმირები და მშრომელები;“ „როცა... ო. მამრიკაშვილის გამოსვლას ეუსმენდით, ვრწმუნდებოდით მისი მუშური სინდისის სიწმინდე-პირდაპირობასა და ნაკლოვანებისადმი შეურიგებლობაში“... (გაზ. კომუნისტი)...

I წინადადებაში გმირი თავისთავად შეიცავს მშრომელი ადამიანის თვისებებს და ამდენად, ეს დაჯგუფება არაა სწორი. II წინადადებაში გამოდის, რომ სინდისი არის შეურიგებელი ნაკლოვანებისადმი, არც სინდისის პირდაპირობაა სწორი. წინადადება შეიძლება შესწორდეს ასე: „როცა ო. მამრიკაშვილის გამოსვლას ეუსმენდით, ვრწმუნდებოდით მის

პირდაპირობასა და ნაკლოვანებისადმი შეურიგებლობაში, მისი მუშური სინდისის სიწმინდეში.”

ასევე, მიუღებელია ასეთი წინადადებები: „ამ ბოლო წლებში ფართოდ განვითარდა ტურიზმი და ექსკურსიები (ტურიზმის განვითარება შეიძლება, მაგრამ ექსკურსიებზე შეიძლება ვთქვათ მომრავლდა, გახშირდა...), „თითქმის ყველა ლოზუნგი და სახვითი ხელოვნების ნამუშევრები, დერეფნები თუ კლას-კაბინეტები მოსწავლეების მიერაა შესრულებული (“განათლება”). შეუძლებელია დერეფნებისა და კლას-კაბინეტების შესრულება, ლოზუნგისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშებისა—კი (ქსკს, წიგნი III).

არასწორადაა მისათითებელი სიტყვა წინადადებაში: „უნდა იგრძნობოდეს მისწრაფება იმისკენ, რომ ახალგაზრდებს მხარს უჭერენ“ („სახ. განათლება“). უნდა იყოს: „უნდა იგრძნობოდეს მისწრაფება იქეთკენ, რომ ახალგაზრდებს მხარს უჭერენ.“

ზედმეტადაა ნახმარი ნაცვაღსახელი (მას): „ის, ვინც დაბეჯითებით ეუფლება პოლიტიკური ცოდნის საფუძვლებს, მას გამოუმუშავდა საუკეთესო თვისებები“ („საქ. აგიტატორი).

ზედმეტია კი კავშირი წინადადებაში, როცა დაპირისპირება არ ჩანს: „სქესობრივი აღზრდა კი ბავშვის დაბადებიდანვე იწყება, მაგრამ ასაკის მიხედვით იგი განსხვავებულ ამოცანებს გულისხმობს“ (გაზ. „სოფლის ცხოვრება“).

არასწორად არის აგებული „როგორც“ კავშირიანი რთული წინადადება: „პოზიციები დათმეს ისეთმა ძლიერმა ქვეყნებმა თავისუფალ ჭიდაობაში, როგორც ირანის, თურქეთისა და აშშ გუნდები არიან“ (გაზ. „თბილისი“). უნდა იყოს ასე: „თავისუფალ ჭიდაობაში პოზიციები დათმეს ისეთმა ძლიერმა ქვეყნებმა, როგორც არიან ირანი, თურქეთი და აშშ.“

როგორც კავშირიანი დანართი უშუალოდ არ მოსდევს ასახსნელ სიტყვას: „ლ. ქიაჩელმა ძალიან კარგად იცოდა, როგორც სისხლსავსე ტიპებისა და სახეების მძერწავმა...“ უნდა იყოს: „ლ. ქიაჩელმა, როგორც სისხლსავსე ტიპებისა და სახეების მძერწავმა, ძალიან კარგად იცოდა...“

არ არის სწორად აგებული ეს წინადადებაც: „საუბრები საინტერესო განსაკუთრებით გახადა იმან, რომ უხვი მოსაგლის მოყვანის თავიანთ გამოცდილებაზე ილაპარაკეს“ („საქ.

აგიტატორი“). იგი შესწორდება ამგვარად: „საზბრები საინტერესო განსაკუთრებით იმან გახადა, რომ ილაპარაკეს უხვი მოსავლის მოყვანის თავიანთ გამოცდილებაზე.“

ცნობილია, რომ რთულ წინადადებაში ზოგჯერ საზიარო წვერია წარმოდგენილი. ამ შემთხვევაშიც ხშირად არასწორად არის აგებული წინადადება, მაგ.: „როდესაც ბიჭმა ამხანაგი დაინახა, გაიქცა.“ სტილისტიკურად ჯობს საზიარო ქვემდებარე მთავარში წარმოვიდგინოთ: „როდესაც ამხანაგი დაინახა, ბიჭი გაიქცა.“

ზოგჯერ რთულ წინადადებაში ერთდროულად ორი მაპირისპირებელი კავშირი-ხოლო და კი არის გამოყენებული, რაც უმართებულოა, — ან ერთი უნდა დავტოვოთ, ან-მეორე: „ნია ხურჯინში ხომ არ ჩაიხედავდა, ხოლო თიკანი კი გვადის ფარულ მიზანს ახლა ვერ გასცემდა“ (ლ. ქიჩა).

ზოგჯერ ერთ წინადადებაში რამდენჯერმე მეორდება რომ კავშირი, რაც ნორმის დარღვევაა. ასეთი შემთხვევები უმთავრესად მაშინ არის მოსალოდნელი, როცა რთულ კონსტრუქციაში რამდენიმე დამოკიდებული წინადადებაა, მაგ.: „იგი ხედავდა, რომ ბერძნული სარწმუნოება ჩინებული საშუალება იყო იმისათვის, რომ მთავრის ძალაუფლება განმტკიცებულიყო.“ შესიტყვება გასწორდება, თუ ერთ-ერთ წინადადებას მარტივად გადავაქცევთ: „იგი ხედავდა, რომ ბერძნული სარწმუნოება ჩინებული საშუალება იყო მთავრის სარწმუნოების განსამტკიცებლად.“

აზრს აბუნდოვანებს აგრეთვე საკავშირებელი სიტყვების უადგილოდ ან ზედმეტად გამოყენება, მაგ.: „ხელმწიფეს რომ ჰყავდა დაბარებული, ის კაცი მოვიდა“. უმჯობესია წინადადება გაემართოთ ასე: „ის კაცი მოვიდა, რომელიც ხელმწიფეს ჰყავდა დაბარებული.“

სავარჯიშო 1. დასახელებულ მაგალითებში ჩასვით საჭირო კავშირები და გამართეთ წინადადებები.

1. „გამზრდელი“ არის აკაკი წერეთლის პოემა, სადაც აღწერილია აღზრდისა და მემკვიდრეობის საკითხები. 2. რომანის მთავარი გმირია გოჩა, რომელიც სამართლიანი და ხალხის მოყვარულია. 3. ლევანის მეგობარი ბექანა ბევრს მუშაობდა იმიტომ, რომ მისი მეგობრისათვის შრომა შეემსუბუ-

ქებინა. 4. ქალმა დაინახა თუ არა უცხო კაცი მოსული, ცახ-ცახით კედელს მიეკრა. 5. როდესაც გლახამ გული დაიმშვიდა და თავი შეიმაგრა, ისევ წყნარად გააგრძელა საუბარი. 6. ამ ნაწარმოებში ასახულია, რომ იბრძოდა სხვადასხვა ეროვნების ხალხი, რომელიც გამოწვეული იყო სოციალური უსამართლობით. 7. მცხეთაში მას ხვდება თავისი მტერი კუჭატნელი და მისი ამხანაგი გამზათი, სადაც არსენას კლავენ.

სავარჯიშო 2. გადაიწერეთ მაგალითები და გამართეთ წინადადებები.

1. მიღებულ იქნა წინადადება მომხდარიყო მუშათა და ჯარისკაცთა გაერთიანება. 2. 5 რაიონის 25 მუშაკმა ერთმანეთს გაუზიარა თავიანთი მუშაობის დადებითი გამოცდილება. 3. მან გულისტკივილით აღნიშნა დასაბუჭდად მიღებული ახალგაზრდის ნაწარმოების გამოცემის გაჭიანურება. 4. არ შეიძლება ექსპრესიულობით აღბეჭდილი ანა კალანდაძის ლექსის „ბეთანიის გზაზე“ს დაეწყება. 5. დაშნაშავეებს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური ადგილობრივ სატირულიუმორისტულ გაზეთში გამოქვეყნებით. 6. შინაარსიანმა ლექციებმა დიდი კმაყოფილება და შთაბეჭდილება დატოვა მოსწავლეებში. 7. მან საკმაო ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა. 8. ბრიგადის წევრებმა გულმოდგინედ იმუშავეს ვაზის მწვანე ოპერაციების და შაბიამნის ხსნარის ჩატარებაში. 9. ცეკვაში არის ჩაქსოვილი მშრომელი ხალხის ბრწყინვალე საგანძური და სიყვარული. 10. დაიწერა შრომის თემაზე და ყრილობისადმი მიძღვნილი მაღალმხატვრული ნაწარმოებები. 11. მუშაობა გაშალა მესამე შემკერავმა საამქრომ, სადაც ეს საქმიანობა წინათ კარგად არ გამოიყურებოდა (მაგალითები ამოწერილია წიგნიდან: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი III, 1980).

§4. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

ისეთ ნათქვამს, რომელიც სხვას ეკუთვნის და ავტორს ჩართული აქვს თავის ნათქვამსა თუ ნაწერში, სხვათა სიტყვა, ანუ სხვათა ნათქვამი ჰქვია.

სხვათა სიტყვა ორი სახისაა: პირდაპირი და ირიბი.

პირდაპირია, როცა ვისიმე ნათქვამი თუ ნააზრევი მოლაპარაკისა თუ დამწერის მიერ სიტყვა-სიტყვით, უცვლელადაა განმეორებული, მაგ.: შოთამ თქვა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.“ ზოგჯერ პირდაპირ ნათქვამს ახლავს მოუბრის შენიშვნა, თუ ვის ეკუთვნის აზრი და რაზეა იგი ნათქვამი. ასეთ სიტყვებს ავტორისეული სიტყვა, ავტორის რემარკა ეწოდება.

ირიბია ნათქვამი, როცა ვისიმე აზრი მთქმელის მიერ გადმოცემულია თავისივე სიტყვებით. ზემოთყოფანილი პირდაპირი ნათქვამი ირიბად ასე გადმოიცემა: შოთამ თქვა, რომ ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელიაო.

მაშასადამე, ირიბი ნათქვამი პირდაპირი ნათქვამის გადაკეთებით მიიღება. პირდაპირ ნათქვამთან შედარებით ირიბი ნათქვამი მშრალია და ნაკლებმეოციურიც. ადვილი შესაძლებელია პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაკეთება და პირიქით. ჩვეულებრივ, პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაკეთებისას ვღებულობთ რთულ ქვეწყობილ წინადადებას. მაგ.: დავით გურამიშვილმა თქვა: „ჭკუა უხმარ არს ბრყვთათვის“, ირიბად ასე გადაკეთდება: „დავით გურამიშვილმა თქვა, რომ ჭკუა უხმარი არის ბრყვთათვისო“.

პირდაპირი ნათქვამი ძირითადად გამოყენებულია დიალოგებში, სადაც ზოგჯერ არ არის სავალდებულო ავტორის სიტყვები; დიალოგში გამოყენებული ავტორის თითოეული სიტყვა უნდა გამოიყოს ტირეთი, მაგ., დიალოგი ავტორის სიტყვების გარეშე:

-რა ამბავია?

-რალაც ჩხუბი მოსვლიათ.

-ვის და ვის?

-გიორგისა და მეჯინიბეს.

უმრავლეს შემთხვევაში კი ავტორის სიტყვებიც არის წარმოდგენილი, რომელიც სათანადო სასვენი ნიშნებით გამოიყოფა პირდაპირი ნათქვამისაგან:

-დარეჯან, არ გეუწრება, დედაკაცო? ამაღამ რა უნდა ვჭამოთ?

-რატომ რა უნდა ვჭამოთ, გენაცვალოს დარეჯანი! ღეთის წყალობა ბევრი გვაქვს.-ანუგეშა დარეჯანმა.

როგორც ვხდავთ, თითოეული პირის ნათქვამი აბზაცით იწყება და მის წინ დაისმის ტირე, ხოლო წინადადების ბოლოს კი ის სასვენი ნიშანი, რასაც წინადადება მოითხოვს. ავტორის სიტყვებიც, თუ ის წინადადებაშია მოქცეული, გამოიყოფა პირდაპირი ნათქვამისაგან მძიმით და ტირეებით, მაგალითად:

-შარშან,-დაიწყო სალომემ,-მშვენიერი მოსავალი იყო (აქ პირდაპირი ნათქვამი გაწყვეტილია და აზრი არაა დასრულებული, ამიტომ მის შემდეგ და ავტორის სიტყვების შემდეგ დაისმის მძიმე და ტირე).

თუ პირდაპირი ნათქვამი დამთავრებულ აზრს გამოხატავს (ე. ი. წერტილის ადგილას წყდება), შემდეგ კი გრძელდება ავტორის სიტყვა, მის წინ დაისმის წერტილი და ტირე, მაგ.:

-ხვალ კარგი დარი იქნება.-თქვა ვანომ.

თუ ავტორის სიტყვები პირდაპირ ნათქვამს მოსდევს და წყვეტს მას, თუ ის გამოხატავს კითხვის, ძახილის ან კითხვა-ძახილის შინაარსს, მის წინ კითხვის, ძახილის ან კითხვა-ძახილის ნიშნები დაისმის, შემდეგ კი-ტირე:

-ნეტავ რას აპირებენ?-გავიფიქრე.

-ახია იმაზე!-თქვა მართამი...

-თქვენ ფრანგულად ლაპარაკობთ?!-გაშტერებით წამოიძახა მან.

ჩვეულებრივი თხრობის დროს, როცა პირდაპირი ნათქვამი (სხვათა სიტყვა) მოსდევს ავტორისეულ სიტყვას, ავტორის სიტყვების წინ ორწერტილი დაისმის, სხვათა სიტყვა კი ბრჭყალებში ჩაისმის: იღია წერდა: „ნატვრა შეჰხარის სხვის ღირსებას, შური კი ებრძვის”.

როცა ავტორისეული სიტყვა მოქცეულია პირდაპირ ნათქვამში, მაშინ პირდაპირი ნათქვამი ბრჭყალებში ჩაისმის, ავ-

ტორისეული ნათქვამი კი ორივე მხრიდან მძიმითა და ტირუთი გამოიყოფა, მაგალითად:

„გუშინ, —თქვა ჩამოსულმა ამხანაგმა,—ჩვენთან საშინელი დარი იყო.“

თუ ავტორის სიტყვები პირდაპირ ნათქვამს კვეთს ისეთ ადგილას, სადაც საჭიროა წერტილი, მაშინ ავტორისეული ნათქვამის წინ დაისმის მძიმე და ტირე, ხოლო ავტორის სიტყვის შემდეგ-წერტილი და ტირე:

„როცა სისხლი დულს, ენა ფიცით არ იღლება,—ამბობს შექსპირი.—შენ ნუ მიიჩნევ ცეცხლად იმ ალსა, რაიც ანათებს, მაგრამ არ ათბობს.“

თუ ავტორისეული სიტყვა მიგვიითთებს, რომ სხვათა სიტყვა გრძელდება, მაშინ ავტორის სიტყვის წინ დაისმის ის ნიშანი, რაც საჭიროა, ავტორის სიტყვის შემდეგ კი-ორწერტილი და ტირე: „სულთა მხუთავი აღარ მაცლის, —მიუბრუნდა ბლადოჩინს გლახა: —მაღირსეთ ზიარება!“

პირდაპირ ნათქვამთან ხშირად იხმარება ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ სხვისი ან თავისივე წინანდელი ნათქვამის განმეორებას, ესენია -მეთქი, -თქო და -ო.

-ო შესამე პირის ნათქვამს დაერთვის და შერწყმულია მასთან, მას სხვათა სიტყვის ნაწილაკს უწოდებენ. მაგ.: ზაფხული მაძღარიო, —უთქვამს ქართველს (თ. რაზ.); დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო (ანდაზა).

სხვათა სიტყვის ო ხშირად გვხვდება აგრეთვე თითქოს\თითქო სიტყვასთან: ცა ისე მოიწმინდა, თითქო ცოცხით დაუგვიათო (თ. რაზ.); განიერი მხარბუჭი ისე მოემარჯვა, თითქოს საშიში მტრის დასახვედრად მომზადებულაო (ლ. ქიან.)....

-მეთქი აღნიშნავს I პირის ნათქვამის (ან ნაფიქრალის) გამეორებას: რამდენჯერმე გითხარი, ჩემი სახელით გადაეცი და გააკეთე-მეთქი (მ. ჯავახ.)....

-თქო (თქვა) ნაწილაკი იხმარება ისეთ შემთხვევაში, როცა I პირის ნათქვამი მეორე პირმა შესამეს უნდა გადასცეს: ქაჯან, გაიქე, დედაშენს უთხარი: ერთი პური გვასესხე-თქო! ...

-მეთქი'ს მაგივრად ზოგიერთ კილოში —თქო(თქვა) იხმარება, რაც არამართებულია, მაგ.: მოვახსენე, რომ ამ სოფლიდან ვარ-თქვა და ამა და ამ კაცის შეილი-თქვა (დ. კლდ.);

დავირდი, რომ მსაჯულს მე თვითონ მოველაპარაკები-თქო (აკაკი)...

სავარჯიშო 1. გამოარკვიეთ და შეასწორეთ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში სწორადაა თუ არა ნახმარი სხვათა სიტყვის ნაწილაკები.

1. მეგონა, ის ბრწყინვალე ადამიანები ჩემს ბედს შენატრიან-თქო. 2. ახ, ერთი ის საკრავი ნეტავი ჩემი იყოს-თქო,-ვიფიქრე. 3. მოახსენა: ამ წუთში გეახლებიო. 4. ბიჭებში ხმა გააგდეთ, ტყუილიაო, ურჩია ღუარსაბმა. 5. მეც მინდოდა და ღმერთს ვევედრებოდი: ღმერთო, სტუმრებს ნუ გამომიღე-მეთქი. 6. ბოლო ის იქნება-ერთ-ერთმა უნდა ვთქვათ: ეს ჩემი ბრალია-თქვა. 7. დედაჩემს უთხარი: ხვალ აუცილებლად ჩამოვა-მეთქი. 8. უთხარი, შენთვის გულმკედარი დეიდა გეაღერსება-თქო. 9. ისეთი ხალისით გავიწიე იმისკენ, თითქო ჩემი თეკო უნდა ვნახო-მეთქი. 10. აკი გითხარი, ვერ მიმიხვდი და ამიტომ დამცინი-თქვა. 11. მეგობრის საქმეზე წავიდა-მეთქი,-ვიცრუე. 12. რა საქმეზე ხართ მოსული-თქვა,-მკვახედ ვკითხე. 13. ხომ ვთქვი, სასახლის გვერდით ხევი იყო-თქო და უნდა ვნახო-მეთქი.

სავარჯიშო 2. ქვემოთ მოყვანილი ეპიზოდები წარმოადგინეთ დიალოგის ფორმით და დაუსვით სათანადო სასვენი ნიშნები.

1. მართლაც რა ტურფა სანახავი იქნებოდა ამბობდა ვანო აღტაცებით მენახა ჩემი თვალთ ბულბულის იუბილე (ვაჟა);

2. ელგუჯავ ბოლოს დაიწყო დაღალული კაცის ხმით ავადმყოფმა დღეის იქით შენა ხარ სისხლი ჩემი სისხლისა და ხორცი ჩემი ხორცისა...შენ ძმაზე რაღად დამწერე ჯვარი თუკი შენ გიყვარდი გააწყვეტინა აღელვებით ნუნუმ ეგეც ჩემი სიყვარულით მოგივიდა?!

3. მაგისტვის გიახელი უთხრა გულამომჯდარმა დედაკაცმა და მერე ხმაწყვეტით ზედ დაატანა ერთი საქმე კიდევ მაქვს თქვენთანა (ილია);

4. ბიჭებო დაუძახა თავის ძმებს მამაჩემმა ცულები აიღეთ ხელში და ჩქარა გავიქცეთ (ნ. ლორთ.);

5. ერთი მითხარი თუ ღმერთი გწამს ვუთხარი მოხევეს როცა მე დამეწია აი სტეფანწმინდის პირდაპირ რა მონასტერია? (ილია).

§5. სასვენ ნიშნების ხმარებასთან დაკავშირებული ძირითადი წესები

I. წერტილი-დაისმის თხრობითი წინადადებების ბოლოს. თხრობითი წინადადება აგებულიების მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი, შერწყმული და რთული, მაგ.:

დადგა გაზაფხული. მცენარეებმა გამოცოცხლება დაიწყეს. ჰაერში სითბო დატრიალდა. თავი ამოყვეს მინდვრის ყვავილებმა. ფრინველებმა ჭიკჭიკი დაიწყეს.

ამ ნაწყვეტში ხუთი მარტივი წინადადებაა. ისინი ერთმანეთისაგან წერტილებით გამოიყოფა.

შერწყმული წინადადებები:

მინდორი და ველი ყვავის. იქ ყვავილები გაშლილა, ჩემს საზრდოდ, საწუწნელადო. დიდი და პატარა გარეთ გამოსულიყო. ყველგან ვარ ნამყოფი-ქართლში, კახეთში, იმერეთში.

რთული წინადადებები:

მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჭინჭველაც ჩემი მტერია.

მზე ჩავიდა, მაგრამ მაინც ცხელოდა. იღვუა ბინდი ღამისა, ცაზე ვარსკვლავნი ქრებიან. ეს რომ გაიგონა, ნუცა ძალიან შეწუხდა.

წერტილი დაისმის აგრეთვე ისეთი ბრძანებითი წინადადების ბოლოს, რომელიც გულისხმობს თხრობითისებრ მშვიდ წარმოთქმას, მაგ.:

შენ აქ მოიცადე და მეც მალე მოვალ. ახლა დაწყნარდი და მერე ერთხელ კიდევ მოვიფიქროთ.

შენიშვნა: წერტილი დაისმის სიტყვის შემოკლებისასაც (ე. წ.; ა. შ.; ე.ი.), მაგრამ ამ შემთხვევაში იგი არ ითვლება სასვენ ნიშნად.

II. კითხვითი ნიშანი-დაისმის კითხვითი შინაარსის წინადადების ბოლოს, ხოლო თუ წინადადება რთულია, კითხვითი

შეიძლება იყოს მასში შემავალი ყველა წინადადება, ან რომელიმე მათგანი, მაგ.:

არის სადმე ისეთი ფრინველი, რომ არ ჰსმენოდეს ბულ-ბულის გალობა და არ დამტკობარიყოს მისი ტკბილხმოვანებით? (ვაჟა). აქ მთლიან წინადადებას დაესმის კითხვის ნიშანი.

გასწიეს ამ საცოდავებმა ოსმალეთისაკენ, მაგრამ ბევრმა ჩააღწია დანიშნულ ადგილს?(ა. ყაზ.). —აქ კითხვა დაესმის წინადადების მეორე ნაწილს.

თუ დამოკიდებული წინადადება კითხვით სიტყვას შეიცავს, მაგრამ მთავარი არაა კითხვითი შინაარსის, არ დაისმის კითხვითი ნიშანი, მაგ.: ირმამ ვერ გაარკვია, თუ რომელი მხრიდან მოდიოდა ხმა (რ. გვეტ.).

იშეიათია, კითხვითი წინადადება იყოს დამოკიდებული, მთავარი კი—ბრძანებითი ან თხრობითი. მაგალითები:

მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა, რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება? (ნ. ბარათ.); ერთხელ მაინც მკითხე: „ეგრე რადა ხარ?“ (გრ. ორბ.).

III. ძახილის ნიშანი—იხმარება სხვადასხვა წინადადებასთან, კერძოდ, ისეთებთან, რომლებიც ძლიერ ემოციას გამოხატავენ:

1. ბრძანებითი წინადადების ბოლოს (მაგრამ არა ყოველთვის): გაჩუმდი! გაჩუმდი! ხმა ჩაიწყვიტე! (აკაკი).

2. ცალკე მდგომი (ან წინადადებისაგან გამოყოფილი) მიმართვის ბოლოს: ლუარსაბ!—დაუძახა ძმას დავეთმა (ილია); შვილო გაბრიელ! ნუ მიწყენ (ილია).

3. ისეთი ძახილის წინადადების ბოლოს, რომელიც ძლიერ ემოციას ან გაკვირვებას გამოხატავს, მაგ.: თურმე წყალი არ დაკლებია! (ვაჟა); —ვიშ, რა დილაა, რა დილა! (კ. ლორთ)...

4. ძლიერი ინტონაციით წარმოთქმული შორისდებულის ბოლოს: ვა! მე რადა ჩავეცვა? (ილია); სუთ!—დაიძახა რამდენიმე ბიჭმა ერთად (თ. რაზიკ.).

შენიშვნა: კითხვა-ძახილის წინადადების ბოლოს ორი ნიშანი დაისმის—კითხვისა და ძახილისა: დათვმა როგორ უნდა დამბუკვოს?! (ვაჟა); სად გაგონილა, სად თქმულა?! (ვაჟა)...ასეთ წინადადებაში გამოხატულია კითხვა და გაკვირვების ინტონაცია.

IV. მრავალწერტილი—დაისმის სათქმელის შეწყვეტისას, დაუმთავრებელი წინადადების ბოლოს, როცა ხდება აზრის ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოთქმა. ეს ჩვეულებრივ მაშინ ხდება, როცა მძიმე, სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება მთქმელი, ან როცა მოზღვავებულ გრძნობას გამოხატავს ადამიანი. იგი აღინიშნება სამი წერტილით: მართალსა ბრძანებ, მაგრამ...- მაგრამ რა? —მაგრამ ისა, შენი ჭირიმე, რომ... მესმის რისი თქმაც გინდა (ილია)...

მრავალწერტილი დაისმის კითხვისა და ძახილის ნიშნებთან ერთადაც:

-კიდევ!... კიდევ მეძახის!...დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!...მოვდივარ, მოვდივარ!...(ილია).

მრავალწერტილი გამოიყენება ენაბრვეილობის, ბორძიკის აღსანიშნავადაც:

ს...სსაკვირველია! ს...საოცარია! არაფერი არ მ...მესმის (მ. ჯავახ.).

მრავალწერტილი დაისმის სიტყვების გამოტოვებისას: ხომ გაგიგონიათ, „ვინ მოყვარესა არ ეძებს...“?! —გამოტოვებულია „იგი თავისა მტერია“.

V. მძიმე, როგორც სასვენი ნიშანი, მრავალ შემთხვევაში იხმარება, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია ორგარია: ა. იგი აცალკევებს წინადადებაში ერთგვარ წევრებს, როცა ისინი და და თუ კავშირებით არ არიან შეერთებული: ქუჩები, ბაღები და ჭაღები მოყვითალო ფოთლით არის დაფენილი (მ. ჯავახ.).

მძიმე დაისმის აგრეთვე რთული წინადადების ნაწილებს შორის, რომლებიც და'თი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული: უცებ თოფი გავარდა, ქედანმა ხმა გაკმინდა, ჯერ ფხით ჩამოეკიდა ტოტზე, მერე ძირს ჩამოვარდა...(ვაჟა); სტუდენტი რაღაცას დაბეჯითებით ამტკიცებდა, ქალი კი გაწიწმატებული ცხარობდა (ნ. ნაკ)...

მძიმე დაისმის ასევე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემადგენელ წინადადებათა საზღვარზე: მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა (ილია)...

მძიმე იხმარება განკერძოებულსიტყვიან წინადადებაში, გამოყოფს და მიჯნავს წინადადების სხვა ნაწილებისაგან განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს (განკერძოებულ

განსაზღვრებას, გარემოებას, ჩართულს): ერთხელ ლომს, ნადირთ მეფესა, ხარი მოეკლა ირემი(ვაჟა); იას, ბნელს ხევში მოსულსა, მოვა და შესჭამს ჭიკო (ვაჟა)...საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია (აკაკი); აქ მენდე, ლაბაჟ, ჩემი უღელი შენს უღელზედა უფროა ძნელი (ილია)...

VI. წერტილ-მძიმე-ყოველთვის ერთნაირ პირობებში იხმარება: ერთგვარი წვერებისა თუ ერთგვარი წინადადებების გამმიჯნავია. მას საშუალი ადგილი უჭირავს წერტილსა და მძიმეს შორის:

ა. იგი დაისმის მაშინ, როცა წინადადებები რამდენადმე დამოუკიდებელნი არიან, ან ისეთ შემთხვევაში, როცა წინადადებები მეტად გავრცობილია, მაგრამ მათში ერთსა და იმავე მოვლენაზეა საუბარი და ეს მოვლენები ერთმანეთთან შინაარსობრივად არიან დაკავშირებული: ბინდი შეთხელდა; ცამ ფერი შეიცვალა; ბაღში ჩიტებმა ჟივილ-ხივილი ატეხეს...(მ. ჯაფახ.); მზე დასავლეთისკენ გადაიწურა; საღამო ახლოვდებოდა; მონადირენი შინ წასასვლელად გაემზადნენ; ქალები ურემში ჩალაგდნენ; ვაჟები ცხენებზე ამხედრდნენ (ვაჟა).

ბ. წერტილ-მძიმე გამოიყენება ერთგვარი წინადადებებისა და ერთგვარი წვერების გასაყოფად, უფრო მაშინ, როცა ეს წინადადებები ერთ მოვლენას ახასიათებს: დაავიწყდა, თუ რამდენჯერ დაუჭამა (ჩხიკემა) შაშვს ბუდეში გამოსაჩეკად გამზადებული კვერცხები; რამდენჯერ სრულიად ღლაპი, დაუბუმბლავი ბარტყები გადაუსანსლა; რამდენჯერ აატირა ცხარე ცრემლით...(ვაჟა)...

VII. ორწერტილი-იხმარება შერწყმულსა და რთულ წინადადებებში.

შერწყმულ წინადადებაში იგი დაისმის ერთგვარი წვერების წინ, როცა განმაზოგადებელი სიტყვა წინაა წარმოდგენილი: ყველაფერი მდუმარებს: ხე, ქვა, ტყე, მთა, მინდორი (ვაჟა). ზოგჯერ წინადადებაში განმაზოგადებელი სიტყვა არაა წარმოდგენილი, ასეთ შემთხვევაში ჩამოთვლილი სიტყვების წინ იწერება ორწერტილი, მაგ.: თან მოტანილი მქონდა: ერთი ცყვიის მამალი, თუნუქის საყვირი და რეზინის ბურთი (ვაჟა)...

როულ წინადადებაში ორწერტილი იხმარება იმ შემთხვევაში, როცა უკავშიროდ შეერთებული როული ქვეწყობილი წინადადების მეორე ნაწილი გვიხვენებს პირველის მიზეზს, მიზანს ან შედეგს, ან გაშლილად წარმოგვიდგენს პირველი წინადადების ან მისი რომელიმე წევრის მნიშვნელობას: ზამთრობით ვერხვს აბეზარი მთის ქარიშხალი მოსვენებას არ აძლევდა: ახეთქებდა აქეთ-იქით; ბუნება შეიცვალა: მოუსვენარი გახდა, მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარეები, ბალახმა იწყო ამოსვლა...

ორწერტილი იხმარება აგრეთვე ავტორის სიტყვების შემდეგ, თუ მას მოსდევს პირდაპირი ნათქვამი, მაგ.: რუსთაველს უთქვამს: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების...“

ორწერტილი დაისმის ისეთი სიტყვების შემდეგაც, რომლებიც მიუთითებს ერთგვარ წვერთა ჩამოთვლაზე: მაგალითად, სახელდობრ, როგორიცაა და მისთ.: მტაცებელი ფრინველები, როგორიცაა: სვავი, ძერა, ალალი... გაუმძღარნი არიან...

VIII. ტირე. მრავალფეროვანია ტირეს ხმარების არე. ზოგჯერ იგი იქ დაისმის, სადაც ორწერტილი, მძიმე და ფრჩხილები იხმარება, გამოიყენება წყვილდაც-გამოსაყოფი ენობრივი ელემენტების წინ და შემდეგ და ცალკეც. ტირე დაისმის:

ა. წინადადების რომელიმე წევრის გამოტოვებისას, მაგ.:

სიკვდილსა გლოვა უხდება, მკედარ ძმას- ტირილი დისაო (ვაჟა); სიტყვა თესლია, საქმე-ნაყოფი (აკაკი)...

ბ. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წვერთა შემდეგ, როცა განმზოგადებელი სიტყვა მომდევნოა: იხვსა, ბატსა და ქათამსა-ყველას გაგჰკარი კბილია.

გ. ეს(ვგ) ნაცვალსახელის წინ, რომელიც მოსდევს და ცვლის ქვემდებარეს ან დამატებას: ხელოვნება-ეს ოქროა, მიწის გულში დამარხული (გ. ტაბ.)... ამ ნაცვალსახელების წინ აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოსდევენ და ცვლიან მთელ წინადადებას, ან მის რომელიმე წევრს: მე მიყვილია და გათენდება თუ არა,-გ ღმერთმა იცის.

დ. დანართთან ამხსნელ-დასაზუსტებელი სიტყვების გამო-საყოფად. თუ დანართი წინადადების შიგნითაა, მაშინ ის შე-

იძლება ორივე მხრიდან ტირეთი გამოიყოს: ბრწყინავს ბადი-ვარდის ბადი (გ. ლეონ.); მტკვარი,—საქართველოს უდიდესი მდინარე —თბილისს შუაზე ყოფს...

ე. ტირე შეიძლება დაისვას აგრეთვე რამდენიმე მომდევნო განკერძოებული განსაზღვრების წინ: ძაღლებმა ისევ გააბეს ყმული-ხანგრძლივი და შესაზარი (ასეთ განსაზღვრებათა წინ ზოგჯერ ორწერტილიც დაისმის: თითქოს მარმარილოს-გან აქვს გამოკვეთილი სახე: მშვიდი, უძრავი).

ვ. უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის, თუ პირველი ნაწილი მეორის მიმართ პირობითი ან დროის გარემოებითა: მომცემ ჯაგარს-დავგრეხ ბაწარს (შ. მღვ.); წყალში ჩავაგდე- წყლად გადაიქცა, ცეცხლში ჩავაგდე-ხმლად გადაიქცა (გამოცანა-მარილი).

ზ. ტირე ზოგჯერ ჩართული წინადადების გამოსაყოფად იხმარება: იმ წუთებში ბეჟიას-ასე ეძახდნენ მწყემსს-ფრინველად გადაქცევა უნდოდა (ა. ყაზ.).

თ. ტირე დაისმის აგრეთვე რამდენიმე ერთგვარი ადგილისა თუ დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადებისა და მთავრის გამოსაყოფად: სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი არწივნი ვერ შეხებიან...სად მეუფება ტეკა-ქუხილს-საყინულს და ქართა მხოლოდ შთენია,—...გამოუქცაბავთ იქ მონასტერი...(ილია).

ი. ტირე იხმარება დიალოგებში ყოველი ნათქვამის წინ და გამოიყოფა პერსონაჟისა და ავტორის სიტყვები:

-გამარჯობა, გიორგი!

-გაგიმარჯოს, არსენ!

-გეძებდი და კიდევ შეგხვდი...(მ. ჯაფახ.).

კ. დეფისი დაისმის სიტყვებსა და ციფრებს შორის, რომლებიც აღნიშნავენ მიახლოებით რაოდენობას: ჭალის ბოლოს, ასე ოთხი-ხუთი (4-5)ვერსის მანძილზე, მოჩანდა პატარა სოფელი (ვაჟა)...

IX. ფრჩხილები—ერთ ნიშნად ითვლება. იგი გამოიყენება რამდენიმე შემთხვევაში:

ა. სიტყვასთან თუ სიტყვათა შეკავშირებასთან, როცა იგი წინ გამოთქმული სიტყვების ახსნა-განმარტებას იძლევა: სირა (ჩიბუხის ტარი) დააქუცმაცეს და აქეთ-იქით გადაყარეს (ვაჟა).

ბ. ჩართულის შემცველ წინადადებაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ვრცელია და მოუბარი გზადაგზა რისამე ახსნა-განმარტებას, ან შენიშვნას იძლევა წინა ნათქვამთან მიმართებაში: -ძლივს არ გავისტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ღუარსაბს), ძლივს! (ილია); საყვარელო დედავ და მამავ! პირველად მრავალ მოკითხვას მოგახსენებთ (დასაწყისი სახლის პატრონმა უკარნახა) და გთხოვ... (ვაჟა).

გ. ზოგჯერ ფრჩხილებში ჩაისმის წინადადების ნაწილი, მასთან გრამატიკულად დაკავშირებული სიტყვა თუ შესიტყვევა, მაგ.: თვითონ ალექსანდრემ უნდა მოსპოს, თორემ რუსის მომხრე თავადაზნაურები პირს შეჰკრავენ, ქვეყანას გაჰყიდიან (როგორც მრავალჯერ გაუყიდიათ) (მ. ჯავახ.); ერთხელ ერთ ყვავსა შავ-ჭრელსა, ავსა (რომელიც არის წიწილის მტერი), სადღაც ეშოვნა ყველის ნაჭერი (აკაკი)...

X. ბრჭყალები. 1. ბრჭყალებში ჩაისმის უცვლელად, სიტყვა-სიტყვით მოყვანილი სხვათა ნათქვამი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ის, რაც ბრჭყალებშია ჩასმული, ავტორს კი არ ეკუთვნის, არამედ სხვას. ზოგჯერ ავტორი სიტყვიერადაც მიუთითებს, თუ ვის ეკუთვნის ბრჭყალებში ჩასმული ნათქვამი. მაგ.: შოთა რუსთაველს ეკუთვნის საკაცობრიო მნიშვნელობის აფორიზმი: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

2. ბრჭყალებში ჩაისმის ავტორისავე წინანდელი ნათქვამი, როცა სიტყვა-სიტყვით, შეუცვლელად არის გამეორებული: ...მივუბრუნდი და დიდის ბოდიშით მოვახსენე: „მშვენიერი, საუცხოო ლექსებია, მაგრამ ის შეჩვენებული ცენზურა არ გაუშვებს-მეთქი!“ (აკაკი).

3. ბრჭყალებში ჩაისმის აგრეთვე ირონიულად, ჩვეულებრივისაგან განსხვავებული მნიშვნელობით ნახმარი ნათქვამი; ასევე წიგნის, ნაწარმოების, ჟურნალ-გაზეთების და სხვათა სახელწოდებანი, მაგ.: „ თვით მამამ ასწავლა „სამამაცონი ზენი“ (ვაჟა); „ლიმონათი“ პირველად ლიმნის წვნით შეზავებულ შუშხუნა სასმელს აღნიშნავდა...

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ მაგალითები და დასვით სასვენი ნიშნები.

1. მათ დანახვაზე მოცეკვავენი უფრო გახალისდნენ გახურდა ტაში ოფლში გაწუწულმა მეარდნემ განსაკუთრებული სიმარჯვით დაუკრა არღანი 2. ლევანი ცხენზე შეჯდა და იმ სოფელში წავიდა სადაც ტარიელი და ბეჟანი ეგულებოდა 3. ზაალმა რკინით შეჭედილი მუხის კარი დაკეტა გასაღები ჯიბეში ჩაიდო ღვთისავარს ჭაღარა უღვაში აუგრიხა გამოისტუმრა და ისევ აივანზე ჩამოჯდა 4. ბებერი კალმახი უზარმაზარ ლოდს დაეჯახა მერმე უკან გამობრუნდა ბალახებში გაიხლართა გაინაბა და აფრთხილდა 5. სტუდენტი რაღაცას დაბეჯითებით ამტკიცებდა ქალი კი არ ეთანხმებოდა ცხარობდა 6. ჯერ მზე არ იყო ამოსული როდესაც ბარამიანთ სახლს ცხენოსნები მიუახლოვდნენ 7. მგზავრებს ნელ-ნელა მიჰყავდათ ცხენები რომ ადრე არ მისულიყვნენ და სხვა სტუმრებისათვის არ მიესწროთ. 8. ახლო მეზობლები ვისაც ხმა გაეგონა შემოცვივდნენ სახლში 9. ცხენების ჭიხვინი ქვემეხთა გრუხუნი ტყვიამფრქვევების კაკანი ერთმანეთში ირეოდა 10. ზაზა ხან სიაუშს ეხვეოდა ხან დედ-მამას ხანაც მეზობლებს

სავარჯიშო 2. გადაიწერეთ მაგალითები და დასვით სასვენი ნიშნები.

1. თუ ღმერთი გწამს წაიკითხე მეც გავიგონო ვუთხარი მე ხვეწნითა (ილია); 2. დახურეთ მაღაზიები ძირს მოღალატეები ერთობას გაუმარჯოს (ლ. ქიაჩ.); 3. გივარგი ხედავ მამაჩემს (შ. არაგვ.); 4. დამხვედი მშვიდობით როგორ არიან თქვენები დედა სად არის (შ. არაგვ.); 5. ხელი არ ახლოთ-მეთქი მაგ გოგოსა (ბ.ჩხ.); 6. ახლა ხომ კარგად ხარ რუსუდან (ლ. მრელ.); 7. გახსოვს ალგეთზე წერილი რომ დამაწერინე (მ. ჯავახ.); 8. განა მაგისტონა მშვენიერები უპატრონოდ ანდა დაიარებოდეთ (ვაჟა); 9. ჯერ ეს მითხარი ამ პაპანაქებაში მოზვერს ბოსელში რათა ხუთავ (რ. გვეტ.); 10. რამდენი კაცია თქვენს რაზმში (ს. ჭილ.); 11. დახეთ ამ გაღაზას ჭიანჭველას ფეხს არ ადგამსო და თურმე ქურდობა დაუწყია (ა. გაწ.); 12. სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს მერტყას მე ჩემი ხრმალია (შ. რუსთ.); 13. აირია ყველაფერი ხმა საყვირისა ძაღლის წკაე-წკაევი საქონლის ზმუილი; 14. ირგვლივ ყველაფერი სუფთად იყო ლოგინი სუფრა ავეჯი...15. სურათზე გამოსახული იყვნენ

ყველანი ცოლ ქმარი გიორგი მარგო და ვახტანგი 16. გაუვალ დაბურულ ტყეში მრავალგვარი ნადირი ცხოვრობს სახელდობრ ჯიხვი ირემი შეელი თხა ვეფხვი დათვი ფოცხვერი მაჩვი და სხვ. 17. ყველა დიდი თუ პატარა ყმაწვილი და მოხუცი მუშაობდა შეუსვენებლად; 18. კიდევ...კიდევ მეძახის დღევანდელ დღეს დაიბადა დღევანდელ დღეს მოვდივარ მოვდივარ (ილია); 19. ამ ამბავმა თავზარი დაგვცა და ვიფიქრეთ რომ გადავრჩით...20. ჩემი ბაღლები შალვა და ნენე წინ მომეგებნენ (ვაჟა); 21. არწივი კვერნა და ათასი სხვა ყველა ჩვენა გემტრობს (თ. რაზ.); მაგიდაზე თაროებზე სკამებზე ყველგან წიგნები ეყარა (დ. შენგ.); 22. სახლში შემოვიდა ჩვენი ძველი ნაცნობი გლახა ბაქრაძე (აკაკი); 23. ძაღლებმა ისევ ყმული გააბეს ხანგრძლივი და შესაზარი; 24. ეზოს ბოლოში უზარმაზარი ჭანდრის ქვეშ სამპირა სუფრა იშლება ფიცრებსა და მაგიდებზე რუსული წესით (მ. ჯავახ.); 25. ირ. ევდოშვილი ლექსში მეგობრებს ხალხს მოუწოდებს; 26. კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი ასე იწყება ილია ჭავჭავაძის ერთი მოთხრობა.

ნაწილი II

თავი V. პრაქტიკული სტილისტიკის საკითხები

§1. სტილისტიკის საგანი. ობიექტური (ნეიტრალური) და სუბიექტური (ინდივიდუალური) სტილი. სტილისტიკური მინიმუმი და მაქსიმუმი

სტილისტიკა, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა XIX საუკუნის II ნახევარში. იგი შეისწავლის „ენის ლექსიკური მარაგიდან და გრამატიკული წყობიდან ამა თუ იმ საჭიროებისათვის შესაფერისი მასალის შერჩევის საშუალებებსა და გამოყენების ხერხებს“ (ა. შანიძე), „ენობრივ საშუალებათა მიმართებას გადმოსაცემ შინაარსთან“ (არნ. ჩიქობავა). სტილისტიკა განიხილავს, თუ რამდენად შეესაბამება სათქმელი თქმულს, რამდენად მართებული და ბუნებრივია გარკვეული შინაარსის გადმოსაცემად შერჩეული სიტყვები, როგორია ენობრივ საშუალებათა მიმართება გამოსახატავი ობიექტისადმი და ა. შ. მაშასადამე, მეცნიერების დარგს, რომელიც შეისწავლის ენის გამომსახველობით საშუალებებს და არკვევს მათ მიმართებას გამოსახატავ შინაარსთან სტილისტიკა ეწოდება.

ერთი და იმავე შინაარსის გადმოცემა შეიძლება სასაუბრო ენის მეტყველების ფორმებითაც და მხატვრული ენობრივი საშუალებებითაც (პოეტური მეტყველებით). გადმოცემის ორივე ფორმისათვის სავალდებულოა სტილისტიკური მინიმუმის დაცვა, რომლის მოთხოვნებია: აზრის გადმოცემის სიწორე, სიზუსტე და სიცხადე, რაც არსებითად ნეიტრალური ენობრივი საშუალებებით (ზოგადენობრივი ფორმებით) გამოიხატება. ამ შემთხვევაში მთქმელი შეზღუდულია საყოველთაოდ მიღებული ენობრივი ნორმებით, სალიტერატურო ნორმებით. თუმცა მას ინდივიდუალური თავისებურება მაინც ახასიათებს. პოეტური მეტყველებისას კი მოუბარი უფრო თავისუფალია, აქ სიტყვათა შერჩევის ამოუწურავი შესაძლებლო-

ბები არსებობს, თითოეული ფაქტისა თუ მოვლენის აღქმა შესაძლებელია ინდივიდუალურად, პოეტურად გააზრებული წარმოსახვით...პოეტური მეტყველების დროს სინამდვილის დასახასიათებლად მოუბარი ლოგიკურად კი არ გადმოგეცემს შინაარსს, არამედ ამჟღავნებს თავის ინდივიდუალურ დამოკიდებულებას დასახასიათებელი მოვლენისადმი, მასში აქსოვს პირად გრძნობებსა და განცდებს. მაგალითისათვის ავიღოთ გაზაფხულის სურათი. სასაუბრო მეტყველების სტილით იგი შეიძლება დაახლოებით ასე დახასიათდეს: გაზაფხული წელიწადის ერთ-ერთი საუკეთესო დროა. გაზაფხულზე იღვიძებს ბუნება. მცენარეები მწვანით იმოსებიან, ფრინველები იწყებენ გალობას, დედამიწა თბება...თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებიან მერცხლები...

იმავე მოვლენის პოეტური გააზრების დროს კი შეიძლება სურათი ასე გადმოიცეს: „გაზაფხულდა. ბურქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია“. ან კიდევ, ილია ჭავჭავაძემ ასე აღიქვა გაზაფხულის დადგომა: „ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალიც ჭყივის, \ ბაღში ვაზი ობოლი, \ მეტის ღხენითა ტირის. \ აყვავებულია მთები, \ აყვავებულია მდელი, \ მამულსა საყვარელსა შენ როსდა აყვავდები?“...

პოეტური მეტყველების ძირითადი ფუნქცია არის მხატვრული (ესთეტიკური) ზემოქმედების მოხდენა მკითხველსა თუ მსმენელზე. ენის ექსპრესიული (მხატვრულ-გამოსახველობითი) საშუალებებით, გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვებითა და გამოთქმებით (ტროპის სახეებით: შედარება, ეპითეტი, ჰიპერბოლა, ლიტოტესი, სხვადასხვა სახის სიმბოლოები და სხვ).

აი, როგორ ხატავენ გათენების, მზის ამოსვლისა და დაღამების სურათებს ქართული სიტყვის ოსტატები:

„მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკასსა,
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანნი, მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,
სხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ-გვირგვინით
შემკულნი...“

(გრიგოლ ორბელიანი)

„ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჰლება,
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შევენება,
აენთნენ ცისკრის აღებრივ, შორს გაბნეული ღრუბელნი,
ცა შევნიერობს, ნათლება, მასა შევენატრით მხილველნი“.
(გრიგოლ ორბელიანი)

„აღმობრწყინდა მზე დიდებულადა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი...“
(ილია ჭავჭავაძე)

„დაღამდა, წვრილნი ვარსკვლავნი
აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა;
მთვარე კი ჯერ არსადა ჩანს,
არ დაგვენათვის თავზედა...“
(ვაჟა ფშაველა)

„თენდება, მთის წვერ დაწითდენ,
ნისლნი აგროვდენ მთებზედა.
დგება, იღვიძებს სოფელი,
მგზავრი მიდ-მოდის გზაზედა...“
(ვაჟა ფშაველა)

აქვე ერთი ნიმუში პროზიდანაც მოვიტანოთ:
„მზემ წვერი ამოჰყო და...ფოთლები მოჰფინა ოქროსფრად.
აქამდისინ გაჩუმებული ბუნება თითქოს ღიმილით მიეგება
მოღიმარს მნათობს...თვით უძრავნი ყვავილნიც კი თითქოს
შეიძრნენ, გადაიშალნენ, იცვალეს ფერი და ღამის ნამით
გაღორძინებულნი, სწრაფად გაცხოვდნენ, რათა უმანკო
სურნელით ნაზად და კეკლუცად მზისკენ მიექციათ
თავიანთი ნაზი სახე“.

(ალექსანდრე ყაზბეგი)

მაწასადამე, ერთი და იმავე მოვლენის აღსანიშნავად ენას
მრავალნაირი საშუალება მოეპოვება. მათი ერთობლიობა
(ლექსიკური, გრამატიკული, ფრაზეოლოგიური...) გამოხატვის

სხვადასხვა მოდელს, სხვათაგან განსხვავებულ სისტემას ქმნის. ეს სისტემა (გამოხატვის ფორმების სიმწობრე) შეიძლება იყოს საყოველთაოდ აღიარებული და ყველასათვის გასაგებ ფორმებს დაფუძნებული და ისეთიც, რომელშიც მოუბარი თავისუფალია და სიტყვათა და გამოთქმათა შერჩევა-დალაგების თავისებურ მოდელს ქმნის. პირველი ობიექტური, ნეიტრალური სტილის სახეს წარმოადგენს, რომლის მთავარი მოთხოვნაა—გადმოსაცემი შინაარსის სისწორე, სიზუსტე და სიცხადე. სტილის ამ სახეში დაცულია აზრის სიტყვიერ ფორმაში გადმოცემის მოთხოვნათა მინიმუმი. ინდივიდუალური, სუბიექტური სტილის შემთხვევაში კი ობიექტური სინამდვილისადმი მოუბრის ინდივიდუალური დამოკიდებულება აისახება სიტყვიერ ფორმაში, აქ მთქმელი თავისუფალია, აქვს ამოუწურავი შესაძლებლობა სიტყვათა და გამოთქმათა შერჩევა-შეხამებისა, ენობრივ ფორმათა ინდივიდუალურად გამოყენებისა და ექსპრესიული (გამომხატველობითი) ზემოქმედების მაქსიმუმის მიღებისა. ობიექტური სტილი შესაძლებელია სტილისტიკური მინიმუმის ფარგლებს არ გასცდეს, სუბიექტური კი—შეიძლება შორს წავიდეს და ამოუწურავი შესაძლებლობანი გვაჩვენოს. ამიტომაც არათუ ორი მწერლის სტილი არ შეიძლება ერთნაირი იყოს, არამედ ორი მათემატიკოსის „ენაც“ კი განსხვავებულია ხოლმე. ყოველდღიურ მეტყველებაში ცალკეულ პირთა სტილი ისე განირჩევა ერთმანეთისგან, როგორც სიარული, ხმის ტემპრი, ნაწერის ხელი...(არნ. ჩიქობავა).

სუბიექტურ სტილს ადამიანი ისევე ძნელად გამოიცვლის, როგორც აზროვნების ტიპს. საზოგადოდ კი, მეტყველების კულტურა სუსტია იქ, სადაც აზროვნება მოიკოჭლებს.

იდეალური სტილი გულისხმობს საუკეთესო შეფარდებას სათქმელსა და თქმულს შორის, რაც მეცნიერული ნაშრომის ენაში მეტყველების კლასიკურ სიმარტივესა და აზრის სიცხადეს ნიშნავს, მხატვრული ნაწარმოების ენაში კი—ექსპრესიული მაქსიმუმის მიღებას. ინდივიდუალური სტილი ყალიბდება იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებს ინდივიდი ენაში არსებულ ლექსიკურ მარაგს და გრამატიკულ საშუალებებს. მაგრამ სათქმელის გადმოსაცემად შერჩეული სიტყვები საერთო-სახალხო ენის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს. პი-

როვნებას არ შეუძლია შეცვალოს რომელიმე სიტყვა სხვა სიტყვით და შექმნას „საკუთარი ენა“, რაც გაუგებარი იქნება ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხისათვის. სხვა მდგომარეობაა სტილური ნიშნების თვალსაზრისით ენაში არსებული მასალის გამოყენებისას. მაგ.: ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბის ეზოს დასახასიათებლად ასეთი შედარება გამოიყენა: „ეზო ისეთი უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნისის გული“. აქ შედარება კი არ ითვლება მწერლის ენის ინდივიდუალურ თავისებურებად, არამედ-შედარებისათვის შერჩეული ენობრივი ინვენტარი.

ზოგჯერ გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით, გამოთქმაში ნახმარი სიტყვები მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთს არ შეეფერება, მაგ.: „გამგეობამ განახორციელა მთელი რიგი ნაბიჯები.“ „ნაბიჯების განხორციელება“ წარმოუდგენელია, არ შეიძლება. უნდა ყოფილიყო „ნაბიჯები გადადგა.“

ან კიდევ: გამოთქმა „პეტრემ პავლეს შეურაცხყოფა გაუკეთა“-სტილისტიკური თვალსაზრისით გაუმართავია, თუმცა გრამატიკულად ყველაფერი რიგზეა.

§2. სალიტერატურო ენისა და სტილისტური ნორმები

ენობრივი საშუალებები ზუსტად უნდა ასახავდეს გადმოსაცემ შინაარსს, რომ ენობრივი ფაქტი თანამოსაუბრისათვის გახდეს გასაგები. ამ მოთხოვნათა დაცვა სტილისტური მიზნების ფარგლებს არ სცილდება. მეტყველებაში ამ ნორმების დაცვა შესაძლებელია ზოგადსალიტერატურო ნორმათა სტანდარტულობის გამოც. ასეთი სტილი ობიექტური სტილია და გარკვეულად უახლოვდება სალიტერატურო ენის ნორმებს. მიუხედავად ამისა არ შეიძლება ობიექტური სტილისა და სალიტერატურო ენის ნორმების გაიგივება. ობიექტური სტილი მაინც გულისხმობს ენის ლექსიკური და გრამატიკული მარაგიდან გადმოსაცემი შინაარსის შესაფერისი მასალის შერჩევასა და გამოყენებას. სალიტერატურო ენის ნორმები კი

საუკუნეთა მანძილზე ყალიბდება საერთო სახალხო ენის მონაცემების სათანადო გადამუშავებით. როდესაც ირღვევა სალიტერატურო ენის ნორმა (მაშასადამე, ნორმატიული ლექსიკურ-გრამატიკული კანონები), ადგილი აქვს ენობრივი (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ორთოგრაფიული) ხასიათის შეცდომებს. მაგრამ სალიტერატურო ნორმის ყოველგვარი დარღვევა არ ნიშნავს ენობრივი ნორმის დარღვევას. ზოგჯერ ადგილი აქვს სალიტერატურო ენის ნორმათაგან გადახვევებს. ეს დარღვევები გაპირობებულია სტილისტიკური ამოცანით, ე. ი. სალიტერატურო ენის ნორმიდან გადახვევა ერთგვარი სტილური ხერხია. სტილისტიკური შეცდომების დანახვა ადვილი არაა, ზოგჯერ იგი ერევათ სინტაქსურ შეცდომებში. როგორც ვიცით, სინტაქსი სწავლობს წინადადებაში სიტყვათა ურთიერთმიმართების წესებს, სტილისტიკის საგანი კი-სიტყვათა ურთიერთობაა მნიშვნელობის თვალსაზრისით. შესიტყვება შეიძლება სწორი იყოს სინტაქსურად, მაგრამ სტილისტიკურად უმართებულო და პირიქით. მაგ.: „თორნიკე სასოებით ეკვება მტერს.“ წინადადება სინტაქსურად გამართულია, სტილისტიკურად კი-მიუღებელი. აქ სიტყვა „სასოებით“ არ ეგუება გადმოსაცემ შინაარსს. ანდა: „კრიტიკოსი მწერლის შემოქმედების განხილვის საქმეს შეუდგა“. აქ „საქმე“ ზედმეტია, უმჯობესია „განხილვას შეუდგა“.

ენას სხვადასხვა მხარე აქვს. სტილი ენის ერთ-ერთი მხარეა. სტილური ნიშნები ყოველ ენობრივ ფაქტში არ მოიპოვება. ენობრივ საშუალებათა სტილისტიკური დატვირთვა შესაძლებელი ხდება ენაში ჩამოყალიბებული ორთოეპიური, გრამატიკული და ლექსიკური ნორმების წყალობით. ენაში შემუშავებულ ნორმებს სტილისტიკური დატვირთვა აქვს მათი მოხმარების დროს.

სტილისტიკური ნორმების დაუფლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენის შინაგანი ბუნების ათვისებას, რაც უმთავრესად მიიღწევა მხატვრული ლიტერატურის ინტენსიური კითხვით, ასევე ლიტერატურულ ენას დაუფლებულ ადამიანთა ჯგუფთან ხანგრძლივი ურთიერთობით... სტილისტიკური გემოვნების ჩამოყალიბება გულისხმობს ენის ემოციურ, ესთეტიკურ შეგრძნებას. ენობრივი ფაქტი ემოციურ შინაარსს

ხშირად ინტონაციითაც იძენს. ასეთ შემთხვევაში ბევრჯერ თვით სიტყვებს იმდენი მნიშვნელობა არა აქვთ, რამდენიც ტონს, რითაც ისინი წარმოითქმებიან. თვით ყველაზე სასიამოვნო სიტყვებიც კი შეურაცხყოფად აღიქმება, როცა ისინი არაპირდაპირი მნიშვნელობით, დამამცირებელი ინტონაციით არის წარმოთქმული და, პირიქით. ამიტომაც, რომ ბავშვებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ლაპარაკობენ, მშვენივრად ესმით მოფერება ან გაჯაერება...

უნდა აღინიშნოს, რომ სტილისტიკა, თანამედროვე გაგებით, შეისწავლის ენის არა მხოლოდ ექსპრესიულ მხარეს, არამედ ენის ყოველგვარ საშუალებას მნიშვნელობის თვალსაზრისით, როგორც ემოციურს, ისე არაემოციურს.

სტილისტური ხასიათის შეცდომების გამომწვევი მიზეზები შეიძლება ძირითადად ასე ჩამოყალიბდეს:

1. გადმოსაცემი შინაარსის სუსტი ცოდნა;
2. ლექსიკური მარაგის სიღარიბე;
3. გრამატიკული კანონების არასაფუძვლიანი ცოდნა;
4. აზროვნების დაბალი დონე.

სავარჯიშო 1. შეცვალეთ არაზუსტი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები, გამართეთ სტილი.

1. პოეტი უმღერის სიყვარულის მოტივს. 2. ლუარსაბი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ბატონყმობის. 3. გიორგი სააკაძე განიცდის ხასიათის სიმტკიცეს. 4. პოეტი ეროვნულ საკითხს ატარებს „თორნიკე ერისთავში“. 5. ელენემ წრფელი ცოდნა გამოიჩინა. 6. მებაღე მის ბაღს ბარავს. 7. ქართველის დედა მტკიცე ნებისყოფის ქალი და დედაკაცი იყო. 8. პეტრე ჩქარი და სწრაფი ნაბიჯით გაემართა გიოსაკენ. 9. დარისპანს მისი ქალიშვილი იმიტომ დაჰყავდა სოფელ-სოფელ, რომ სახიძოს შეჰყროდა.

სავარჯიშო 2. გაასწორეთ შეცდომით გამოყენებული ზმნის ფორმები. ამოიღეთ ზედმეტი სიტყვები.

1. ვზივარ მთის ძირას და ვიფიქრე, მალე გამოჩნდება ნადირი 2. ვიყავი ყანაში და მოვცეულავ ბალახს. 3. გაიღვიძებს დავითი და გზას გაუდგა. 4. სადილობის დრომ მოატანა, მალე წავალ. 5. გლეხს უნდა, რომ კარგი მოსავალი უნდა

მოვიდეს. 6. შენობის ირგვლივ გარშემოვლებული ღობე იყო. 7. უცბად სწრაფად მოიღრუბლა. 8. მშვენიერი, ტურფა, ლამაზი დღე დაუდგათ. 9. ამგვარად და ამრიგად, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. 10. როგორც მოგეხსენებათ, ტარიელი, ცხადია, მკლავის ძაღლას ეყრდნობოდა. 11. წამოხტა კაკო ლომივით ზეზე...

§3. ფუნქციური სტილისტიკა. ფუნქციური სტილის სახეები

აზრის გადმოცემის სხვადასხვა სახე და გადმოსაცემი შინაარსიდან გამომდინარე სახვადასხვა ენობრივი სტილი არსებობს. მაგ.: მეცნიერული ნაშრომი და ლიტერატურული ნაწარმოები შეიძლება ერთსა და იმავე თემას ეხებოდეს, მაგრამ განსხვავებული იყოს გადმოცემის ფორმა, სტილი. მაგალითად, სამეცნიერო ნაშრომისათვის ნიშანდობლივია მტკიცებულება, კონკრეტული საბუთებით მსჯელობა, მაშინ როცა ლიტერატურული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია სახეებით აზროვნება. აზრის გადმოცემის ორივე სახეობა განსხვავდება ერთმანეთისაგან ენობრივი სამოსელითაც: მეცნიერული ნაშრომის ენა უფრო ზუსტია და ცნებატერმინებით მდიდარი, ლიტერატურული ნაწარმოების ენა კი უფრო თავისუფალი და მრავალგვარი ენობრივი ფორმების შემცველი. ცნებებისა და მათი შესაბამისი სიტყვა-ტერმინების გარეშე მეცნიერული აზროვნება შეუძლებელია, ასევე, მხატვრული სახეების გარეშე მხატვრული ნაწარმოები არ არსებობს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მეცნიერული ნაშრომების ენისათვის არის დამახასიათებელი ტერმინებისა და ცნებების გამოყენება, ასეთი რამ გარკვეული დოზით მხატვრულ ნაწარმოებშიც შეიძლება, ისევე როგორც ლიტერატურული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი სამეცნიერო ნაშრომშიც შეიძლება შეგვხვდეს გარკვეული დოზით. ამგვარად, აზრის გადმოცემის სხვადასხვა სახე არსებობს. ამის მიხედვით გამოყოფენ სტილის

სახეებს: ა. საიფორმაციო, ბ. მეცნიერული, გ. პუბლიცისტური, დ. მხატვრული, ე. საყოფაცხოვრებო-სასაუბრო, ვ. ეპისტოლარული და სხვა.

საერთოდ, როცა ლაპარაკობენ ენობრივი სტილის სხვადასხვა სახეზე, მხედველობაში აქვთ გამოშახველობით საშუალებათა საერთო ნიშნები, რითაც ერთი სახის სტილი განსხვავდება მეორისაგან, მაგალითად: ყოველდღიური სასაუბრო სტილი განსხვავდება ოფიციალურ-საქმიანი თუ სამეცნიერო სტილისაგან და ა. შ. სტილის სხვადასხვა სახეთა შემსწავლელ მეცნიერებას ფუნქციურ სტილისტიკას უწოდებენ. ენობრივი გამოხატვის ამა თუ იმ სახეში საგანგებოდ არის შერჩეული ამ სახის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი შესაძლებლობანი და ფორმები, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთის ნიშნები შეიძლება მეორეშიც შეგვხვდეს. მაგალითად: პუბლიცისტური სტილის ძირითადი დანიშნულებაა ინფორმაციის მიწოდება ამა თუ იმ მოვლენაზე. მის გადმოსაცემად უმთავრესად გამოიყენება საყოველთაოდ მიღებული ენობრივი ფორმები, რაც ყველასათვის მისაღები და გასაგებია. მხატვრული სტილის ძირითადი დანიშნულებაა მკითხველსა თუ მსმენელზე ესთეტიკური ზემოქმედება და ა. შ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაძლებელია არსებობდეს პოეტური ნაწარმოებები, რომლებშიც მხატვრული გამოსახვის არც ერთი ხერხი (ტროპის სახე) არ გვხვდებოდეს, მაგრამ ასეთი თხზულება სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ერთი სიტყვით, მკითხველზე ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენა ჩვეულებრივი ენობრივი საშუალებებითაც არის შესაძლებელი.

სხვადასხვა ფუნქციური სტილი, რომელიც მეტყველების განსაკუთრებულ ტიპთან არის დაკავშირებული, იყოფა ორ ძირითად ჯგუფად. პირველ ჯგუფს, რომელშიც სამეცნიერო, პუბლიცისტური და ოფიციალურ-საქმიანი სტილი შედის, ახასიათებს მონოლოგიური მეტყველება; მეორეს კი, რომელშიც შედის: სალაპარაკო სტილის სხვადასხვა სახე-დიალოგიური. მხატვრული სტილი პირველ ჯგუფში შედის, თუმცა მხატვრულ სტილში ორივე ფორმა-როგორც დიალოგი, ისე მონოლოგი, გამოიყენება. პირველი ჯგუფი წიგნის სტილია, მეორე

კი- სალაპარაკო. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ზეპირი და წერიითი მეტყველების ფორმებიც.

ზოგიერთი მკვლევარი ცალკე გამოყოფს ეპისტოლარულ, ემოციურ და სხვ. სტილებსაც.

I. ზეპირი მეტყველების სტილი. სალაპარაკო სტილი უპირისპირდება წიგნის სტილს. მისი ძირითადი ფუნქცია არის აზრთა ურთიერთგაზიარება. იგი ქმნის სისტემას, რომელსაც ახასიათებს საკუთარი ნიშნები ენობრივი იერარქიის ყველა საფეხურზე: ფონეტიკაში (უფრო ზუსტად გამოთქმასა და ინტონაციაში), ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში, სიტყვაწარმოქმნაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში. მოლაპარაკეს წინასწარ არა აქვს მოფიქრებული ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც უნდა გამოიყენოს მეტყველების პროცესში, თანამოსაუბრესთან ურთიერთობისას. სასაუბრო სტილისათვის დამახასიათებელია უშუალოება. მასში დიდ როლს თამაშობს სიტუაციის მომენტი და არაენობრივი საშუალებები (მიმიკა, ვესტი, მოსაუბრის რეაქცია, ფრაზობრივი და ემოციურ-გამომხატველობითი ინტონაცია, მახვილები, პაუზები, ტემპი, ტემბრი, რიტმი და სხვ.). სასაუბრო სტილისათვის ასევე დამახასიათებელია საყოფაცხოვრებო ლექსიკის, ჩართული სიტყვებისა და წინადადებების, თავისებური ფრაზეოლოგიისა და სინტაქსის, ელიფსური და არასრული წინადადებების, სხვადასხვა სახის მიმართებების, სიტყვა-წინადადებების, განმეორებების და ა. შ. გამოყენება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სალაპარაკო სტილი უმთავრესად დიალოგური ხასიათისაა და მასში ძირითადად მარტივი წინადადებებია გამოყენებული.

სავარჯიშო 1. ნ. ღუმბაძის ნაწარმოებებიდან ამოიწერეთ დიალოგები და მათზე დაყრდნობით დაახასიათეთ ზეპირი მეტყველების სტილი.

II. სამეცნიერო სტილი. სამეცნიერო სტილი განეკუთვნება წიგნის სტილს, რომელიც გამოირჩევა ნათქვამის წინასწარი მოფიქრებით, ხასიათდება მონოლოგურობით. აქ მკაცრად არის შერჩეული ენობრივი საშესაძლებელი და ნორმირებული მეტყველების ფორმები.

სამეცნიერო ენა და სტილი მრავალფეროვანი და ამა თუ იმ მეცნიერული დარგის მიხედვით განსხვავებულია. სამეცნიერო სტილის ამოცანაა, რაც შეიძლება სრულად და ზუსტად ახსნას სინამდვილის ფაქტები. მიუხედავად მეცნიერულ სფეროთა განსხვავებულობისა, შეიძლება გამოიყოს ამ სტილის საერთო ნიშან-თვისებანი: მისთვის დამახასიათებელია სიტყვა-ტერმინები, მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამსახველი ლექსიკა, თხრობის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა, სხვადასხვა სახის მსჯელობებისა და დასკვნების გამომხატველი ენობრივი საშუალებების გამოყენება, მისწრაფება გამონათქვამის ერთმნიშვნელობისა და სიზუსტისაკენ. იგი გამოირჩევა აგრეთვე ინტერნაციონალური ტერმინების სიუხვითა და სიტყვა-ცნებების ამსახველი ლექსიკით. მასში დიდ როლს ასრულებს აბსტრაქტული (განყენებული) შინაარსის გამომხატველი სიტყვები და მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულები, მაგ.: ფარისებრი ჯირკვალი, გადაკვეთის წერტილი, დახრილი სიბრტყე, მუდერი თანხმობანი, რთული წინადადება... ხშირია მხოლოდითი რიცხვის ხმარება მრავლობითის მნიშვნელობით: „მგელი ძაღლის ჯიშის მტაცებელი ცხოველია.“ მგელი აქ განზოგადებული მნიშვნელობითაა ნახმარი. წინადადების აგებისას შეინიშნება სწრაფვა ნაკლებად გამოიყენონ ზმნები და უფრო მეტად-სახელები. აგრეთვე ფართოდ იხმარება ზედსართავი სახელებიც, რომლებიც აზუსტებენ ცნების შინაარსს.

სინტაქსურ თავისებურებათაგან აღსანიშნავია ტენდენცია სირთულისაკენ. რთული კონსტრუქციები უფრო მოსახერხებელია მეცნიერულ ცნებათა რთული სისტემის გამოსახატავად. უფრო ხშირია წინადადებები ერთგვაროვანი წევრებითა და განმაზოგადებელი სიტყვებით. რთული წინადადების ესა თუ ის სახე ტვეად ფორმას წარმოადგენს რთული აზრების გადმოსაცემად. მასში ხშირად გვაქვს ისეთი მაქვემდებარებელი კავშირები, როგორიცაა: იმის გამო რომ, მიუხედავად იმისა რომ, ასე რომ, იმისათვის რომ, ამიტომ, მაშინ და სხვ. ასევე შედეგის გამომხატველი ჩართული სიტყვები: ამგვარად, ამრიგად, მაშასადამე, დაბოლოს, ჯერ ერთი, მეორეც, ერთის მხრივ, მეორეს მხრივ...

ერთ-ერთი გამოკვლევით, გასული საუკუნის სამოციანი წლების მხატვრულ ნაწარმოებებში ნახმარ წინადადებათა 50,7%-ს რთული კონსტრუქციები შეადგენდა, ხოლო სამეცნიერო შრომებში კი მათი რაოდენობა 73,8 %-ს აღწევდა.

III. ოფიციალურ-საქმიანი სტილი. წიგნის სტილში გამოირჩევა ოფიციალურ-საქმიანი სტილი თავისი სიმყარითა და შეკუმშულობით. მართალია იგი დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდის, მაგრამ მისი მრავალნიშნიანობა ისტორიულად ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნის სპეციფიკური ლექსიკა-ფრაზეოლოგიითა და სინტაქსური წყობით, ამასთანავე იგი რამდენადმე კონსერვატიულიცაა. ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი სამეტყველო სტანდარტები, კლიშეები. საქმიანი დოკუმენტების ენას მასალის დალაგებისა და აზრის გადმოცემის ზოგადად მიღებული წესები აქვს. შემთხვევითი არაა, რომ საქმიან ურთიერთობაში ხშირად გამოიყენება მზა ბლანკები, რომელთა მხოლოდ შევსებაღაა საჭირო.

სხვადასხვა ქვეყნებში კონვერტებზეც კი განსხვავებულად იწერება მისამართი, მაგ.: ევროპის ქვეყნებში ჯერ იწერება გვარი და სახელი, შემდეგ მისამართი (ქალაქი, დაბა, სოფელი, შემდეგ კი ქვეყნის სახელწოდება).

ოფიციალურ-საქმიანი სტილი ესაა დოკუმენტების, საერთაშორისო შეთანხმებების, სახელმწიფო აქტების, იურიდიული კანონების, დადგენილებების, შეთანხმებების, წესდებების, ინსტრუქციების, სამსახურეობრივი მიწერ-მოწერის, საქმიანი ქაღალდებისა და სხვათა ენა.

ოფიციალურ-საქმიან სტილს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

ა. თხრობის კომპაქტურობა (შეკუმშულობა), ენობრივ საშუალებათა ეკონომიურობა;

ბ. მასალის სტანდარტულობა (სპეციალური კლიშეები);

გ. ტერმინოლოგიურ და ნომენკლატურულ დასახელებათა ფართო გამოყენება, ინტერნაციონალური ლექსიკა და ფრაზეოლოგიის განსაკუთრებულ სახეთა არსებობა;

დ. შემოკლებული სიტყვების (აბრევიატურის) ჩართვა;

ე. აზრის გადმოცემის თხრობითი (მონოლოგური) ხასიათი; ნომინატიური წინადადებების სიმრავლე. სიტყვათა პირდაპირი წყობა;

ვ. რთული წინადადებების სიჭარბე;

ზ. ემოციურ-ექსპრესიულ ენობრივ საშუალებათა თითქმის არარსებობა;

თ. სტილის სუსტი ინდივიდუალიზაცია.

ოფიციალურ-საქმიანი სტილი თემატიკის არაერთფეროვნების გამო შეიძლება დაიყოს ორ სახესხვაობად: I. ოფიციალურ-დოკუმენტურ და II. ყოველდღიურ საქმიან სტილად. პირველში შეიძლება გამოიყოს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დოკუმენტების სტილი და საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული დიპლომატიური აქტების სტილი.

ყოველდღიური საქმიანი სტილიც თავისი შინაარსით, ჟანრებითა და ენობრივ საშუალებათა მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან, სახელდობრ: სამსახუროებრივი ხასიათის მიმოწერა სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, ერთის მხრივ, და კერძო საქმიანი ქალაქების არსებობა თვით დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

დიპლომატიური დოკუმენტების ენაში ხშირად გვხვდება სხვადასხვა სახის მყარი სიტყვათშეხამებანი, როგორცაა: საყოველთაო განიარაღება, საერთაშორისო კონტროლი, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა და მისთ. ამ სტილისათვის დამახასიათებელია ე. წ. „მაღალი ლექსიკა“, რაც დოკუმენტს გარკვეულ ზეიმურობას ანიჭებს.

სავარჯიშო. ამოიწერეთ სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი ხასიათის ნაშრომებიდან ათ-ათი მაგალითი და დაადგინეთ მათ შორის მსგავსება-განსხვავება.

IV. პუბლიცისტური სტილი. პუბლიცისტური სტილით დაწერილ ნარკვევთა ძირითად ამოცანას წარმოადგენს აგიტაცია-პროპაგანდა. მისი ძირითადი ფუნქცია არის ზემოქმედება, რასაც შეერწყმის ინფორმაცია. პუბლიცისტულში შედის მრავალფეროვანი საკითხები, კერძოდ, პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი, კულტურის, საყოფაცხოვრებო და სხვა. სტილის ეს სახე ძირითადად გამოყენებულია საზოგა-

დოქტორი-პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, პოლიტიკურ გამოსვლებში და ა. შ.

პუბლიცისტური სტილის ძირითადი ნიშნებია:

1. თხრობის ლაკონიურობა, კომპაქტურობა;
2. ენობრივ საშუალებათა შერჩევა საყოველთაოდ მისაწვდომობის გათვალისწინებით;
3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლექსიკა და ფრაზეოლოგია;
4. ჟანრობრივი სხვადასხვაობა;
5. თავისებური სინტაქსი (რიტორიკული კითხვები, თხრობის აგების პარალელიზმები, განმეორებები, ინვერსია...);
6. მეტად მრავალფეროვანი ლექსიკა და ფრაზეოლოგია...(მაგ., საარჩევნო კამპანია, პოლიტიკური დემოკრატია, რეაქციული და პროგრესული ძალები, წარმოების ნოვატორობა და სხვ.)...

პუბლიცისტური სტილის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ლიტერატურული ენის ლექსიკა და საერთაშორისო სიტყვა-ტერმინები (მეცნიერების, სამხედრო, ხელოვნების, სპორტის და სხვა სფეროს აღმნიშვნელი), რომლებიც გარკვეულ კონტექსტში სტილისტიკურ შეფერილობას იძენენ და უმეტეს შემთხვევაში მყარი ფრაზეოლოგიით გამოირჩევიან, მაგ.: პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი, უმუშევართა არმია, მეგობრული ატმოსფერო, ეკონომიკური ურთიერთობანი, კულტურული კონტაქტები, კეთილი ნების ადამიანები, საერთაშორისო სოლიდარობა, მშვიდობისმოყვარე ძალები, პროგრესის გზა, სწორება მოწინავეებზე და მისთ.

ზოგჯერ სამეცნიერო კლიშეები და სტერეოტიპები თავიანთ პირველად გამომსახველობას კარგავს და შტამპად იქცევა, მაგ.: დახლის მუშაკები, ინდუსტრიის ფლაგმანი, ფოლადის არტერიები (რკინიგზა), ცისფერი მაგისტრალები (საზღვაო გზები), შავი ოქრო (ნავთობი), მწვანე ოქრო (ჩაი, ასევე ტყის სიმდიდრე)...

გაზეთის სტილში სტილურ დატვირთვას ხშირად ასრულებენ სათაურები (მკითხველის მიზიდვის მიზნით), რომლებიც სინტაქსურ სტრუქტურათა მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. არის როგორც ნომინატიური ხასიათის, ისე ზმნებით გამოხატული შესიტყვებები: ხელებით ჯადოქრობა, ახა-

ლი ვირუსი, სკოლა მომავალი დედებისათვის, მხეცი ადამიანის ნიღბით...რას გვპირდება მინისტრი, რა ელოდება ქვეყანას, რა ჰქვია ამას?! და სხვ.

ბევრი პუბლიცისტური ჟანრი (ნარკვევი, ფელეტონი, პამფლეტი, პოლემიკური სტატია) ენის ყველა რესურსის თავისუფალი გამოყენებით ხასიათდება. ხშირად ისინი დიდი ემოციურობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევიან და მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობების პათოსითაა გაჟღერებული.

სავარჯიშო 1. ამოიწერეთ პუბლიცისტური ხასიათის ნაწარმოებებიდან მყარი გამონათქვამები და დაახასიათეთ ენობრივი რესურსების გამოყენების თვალსაზრისით.

სავარჯიშო 2. პუბლიცისტური წერილებიდან ამოიწერეთ მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულების შემცველი მაგალითები.

სავარჯიშო 3. შეარჩიეთ პუბლიცისტური სტატია, რომელშიც გამოყენებული იქნება მაღალ-ექსპრესიული ენობრივი საშუალებები.

V. მხატვრული სტილი. მხატვრული ლიტერატურის ენობრივი სტილიც მიეკუთვნება წიგნის სტილს, მაგრამ იგი მკვეთრად არაა გამიჯნული სხვა ენობრივი სტილისაგან, მასში კონკრეტული ენის თითქმის ყველა სფერო აისახება, გამოიყენება არალიტერატურული ელემენტებიც (დიალექტური, ჟარგონული, პროვინციული ლექსიკა და სხვ.) და აზრობრივ-გამომსახველობით საშუალებათა მთელი არსენალი თავისი ფართოდ განშტოებადი სტილისტური სისტემითა და მრავალფეროვნებით. მხატვრული ლიტერატურის ენას ახასიათებს არა მარტო ესთეტიკური (ზემოქმედების ფუნქცია), არამედ კომუნიკაციური (გაგებინების) ფუნქციაც. იგი წარმოადგენს არა მხოლოდ ლიტერატურის, არამედ მეცნიერების, პერიოდული პრესის, სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა, სასწავლებლების საქმიანობისა თუ საყოფაცხოვრებო მოვლენების ამსახველ ენას, მიუხედავად ამისა, მას მაინც მოეპოვება საკუთარი, სხვა სტილის ნიშნებისაგან განსხვავებული და ოდენ მისთვის დამახასიათებელი საერთო ენობრივი ნიშნებიც, კერძოდ:

1. ესთეტიკურ და კომუნიკაციურ ფუნქციათა ერთობლიობა;

2. ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობა;

3. სტილიზაციის ისეთი ენობრივი საშუალებანი, როგორიცაა: გამოსახვის მხატვრული ხერხები (მეტაფორა, შედარება, ეპითეტი...), არქაიზმები (ნაწარმოებში გამოსახული ისტორიული ეპოქის კოლორიტის შესაქმნელად), დიალექტიზმები (მოქმედი პირის ხასიათის საჩვენებლად, თუ კუთხის კოლორიტის შესაქმნელად), ჟარგონები, ბარბარიზმები, პროვინციალიზმები და სხვ.

ზოგჯერ მეტყველების ესა თუ ის ფორმა გამოიყენება პათეტიკურობის, ირონიის, სატირის, პაროდის თუ საზეიმო ელფერის შესაქმნელად და შთაბეჭდილებათა გასაძლიერებლად. თუმცა მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი საშუალებანი შეიძლება შეგვხვდეს არამხატვრულ ნაწარმოებებშიც (პუბლიცისტურ სტატიებში, ეპისტოლარულ თხზულებებში და ა. შ.).

საგარჯიშო 1. ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ამოიწერეთ მხატვრული გამოხატვის ხერხები და ახსენით, რა მიზნით იყენებს მას მწერალი.

საგარჯიშო 2. ნ. დუმბაძის მხატვრული თხზულებებიდან ამოიწერეთ იუმორის გამომხატველი ნიმუშები და ახსენით რა მიზნით იყენებს მას მწერალი.

საგარჯიშო 3. მხატვრული ნაწარმოებიდან ამოიწერეთ დიალექტიზმები და ბარბარიზმები და გაარკვეეთ მათი დანიშნულება.

§4. სინონიმი, ანტონიმი, ომონიმი, პარონიმი და მათი სტილური მნიშვნელობა

I. სინონიმიკა ენის ლექსიკის სიმდიდრისა და მოქნილობის მაჩვენებელია. მისი საშუალებით ზუსტად და კონკრეტულად ხასიათდება საგანი, კარგად იკვეთება მისი შინაგანი

თუ გარეგანი ნიშან-თვისება. სინონიმების გამოყენებით ადვილად ხერხდება განმეორების (ტავტოლოგიის) თავიდან აცილება, სრულყოფილად ფასდება მოვლენა; გვეძლევა მეტყველების სახეთა შერჩევისა და ერთფეროვნების თავიდან აცილების შესაძლებლობა, რაც სტილისტიკის ძირითად არსს წარმოადგენს. რამდენადაც უფრო ზუსტად ასახავს სინონიმი გადმოსაცემ შინაარსს, იმდენად უფრო დახვეწილი და იდეალური იქნება სტილი.

ქართული ენა მდიდარია სინონიმებით. სინონიმური წყვილები მოიპოვება თითქმის ყველა მეტყველების ნაწილში. განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ზმნა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნიზედები, მაგალითად:

ა. არსებითი სახელით გადმოცემული სინონიმები: ქვევრი და ჭური; ვირთხა და ვირთაგვა; კნუტი და ცინდალი; თოკი და ბაწარი; მურყანი და თხმელა; ბატკანი და კრავი; ფაშატი და ჭაკი; გოგრა, ხაპი და კვახი; ერკემალი და ყოჩი; ცური და ჯიქანი; დეკეული და უშობელი...

ბ. ზმნური სინონიმები: დააქცია||ააოხრა||დაანგრია||დაარბია; ამჩნევდა და ხედავდა; ეტრფის და უყვარს; გადაიყარა და გადაცვივდა; გაბრაზდა და განრისხდა; შეებრაღა და შეეცოდა; გაუკვირდა და განცვიფრდა; გაამჟღავნა და გააცხადა და მისთ.

გ. ზედსართავული სინონიმები: ვაჟკაცი||მამაცი||გულადი||შეუპოვარი; ფარისეველი და ქლესა; ზედმეტი და ჭარბი; ნელი და ზანტი; დაღონებული და დაძმარებული; ვერაგი და ფლიდი; ზარმაცი და უქნარა; ლამაზი და მშვენიერი და მისთ.

დ. ზმნიზედური სინონიმები: უეცრივ||უცბად||ანაზღად; ადვილად და იოლად; ამგვარად და ამრიგად; აშკარად და ნათლად; ცუდად და აუგად; ახლა და ამჟამად; ხშირად და მეტწილად; ბრმად და თვალდახუჭულად; მუდმივ და მარად-ჟამ; განკერძოებით და განცალკევებით; დუნედ და დონდლოდ; ქვემოთ და ქვევით; ნაზად და აზიზად და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტურად თანხვედნილი, ტოლი სინონიმი ენაში ძალიან ცოტაა. სინონიმთა უმეტესობა ან სხვადასხვა დიალექტური წრის კუთვნილებაა, ან კიდევ ნასესხები. ყოველგვარ კონტექსტში მათი შენაცვლება არ შეიძ-

ლება, მაგ.: მრუდი და არასწორი გარკვეულ შემთხვევაში ერთმანეთის სინონიმები არიან, ვთქვათ ასეთ კონტექსტში: „მოსწავლემ არასწორი (მრუდი) ხაზი გაავლო“ და „მან ცხოვრების არასწორი (მრუდი) გზა აირჩია“. „უშიშარი“, „ვაჟაკი“, „მამაცი“, „გაბედული“ სინონიმური ერთეულებია, მაგრამ ყოველთვის ისინი ერთმანეთის ბადლად არ გამოდგება, მაგ.: „მომხსენებელმა გაბედული სიტყვა წარმოთქვა“ შეიძლება, მაგრამ „მომხსენებელმა უშიშარი სიტყვა წარმოთქვა“ მიუღებელია.

სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები გარკვეული ნიუანსების მიხედვით განსხვავებულ ვითარებას გამოხატავენ, რაიმე დეტალით სხვაობას ქმნიან, მაგ.: ტირის, ქვითინებს, იცრემლება, სლუკუნებს...მართალია, ერთმანეთის სინონიმები არიან, მაგრამ განსხვავებულ მნიშვნელობას გამოხატავენ ასეთ წინადადებებში: ადამიანი შეიძლება ტიროდეს, მაგრამ ცრემლები არ ცვიოდეს, ე. ი. არ იცრემლებოდეს. ტირის-ხაზგასმულია მწუხარების გამოხატვა, ხოლო იცრემლებაში კი გახაზულია მისი გარეგნული ნიშანი (ცრემლის დენა); ასევე, ქვითინებს სხვაა და სლუკუნებს სხვა, თუმცა ორივე ერთ საერთო მნიშვნელობაზე (მწუხარების გამოხატვაზე) მიგვანიშნებს.

ზოგჯერ სინონიმური ერთეულები გამოირჩევიან ერთმანეთისაგან ხმარების სიხშირითაც, მაგ.: ჩიბუხი და ყალიონი სინონიმებია. XIX საუკუნის მწერალთა შემოქმედებაში (კერძოდ ვაჟას ნაწერებში) ყალიონი თორმეტჯერ არის გამოყენებული, ხოლო ჩიბუხი კი-ოცდათექვსმეტჯერ (ბ. ფონხუა).

ენობრივ საშუალებათა შერჩევა კონკრეტულ სიტუაციაში სწორედ იმიტომაც შესაძლებელია, რომ ერთი და იმავე შინაარსის გამოსახატავად ენას სხვადასხვა საშუალება მოეპოვება. საერთო მნიშვნელობის თვალსაზრისით ასეთი ერთეულები ერთიანდება სინონიმურ მწკრივებად, რომელთა ყოველ წევრს თავისი განსაკუთრებული ლექსიკური ან სტილისტიკური ელფერი აქვს. სინონიმთა მწკრივიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აირჩევა ერთ-ერთი მათგანი (ან რამდენიმე). მათი შერჩევა, კონკრეტული კონტექსტისათვის ყველაზე შესაფერისი სიტყვის გამოძებნა დამოკიდებულია მოუბარზე. აქ ვლინდება მისი ინდივიდუალური სტილი.

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები და ხაზი გაუსვით სინონიმებს, აღნიშნეთ რა სახის განმეორებაა თავიდან აცილებული.

1. პაპა არ ჩქარობდა, თითქოს არაფერს არ ამჩნევდა, ნამდვილად კი ყველაფერს ხედავდა და უღვაშებში იღიმებოდა (მ. ჯავახ.); 2. ეგ ჩვენი ამომგდებელი, ჩვენი მრბეველი ძალითა, გაუმაძღარი მუდამ უამს \ ჩვენი სისხლით და ძვალითა (ვაჟა); 3. უყურე უნამუსოთა, ჩემს ოჯახს როგორ ჰქელავენ, ჩაიგდეს ჩემი კაცობა, ფეხქვეშ ტყლაპივით სთელავენ! (ვაჟა); 4. პირველ ხანებში ოჯახში სრული კმაყოფილება იყო, ეს სიამოვნება დაარღვია ბეკინას ცოლის გარდაცვალებამ (დ. კლდ.); 5. კუჭატნელი არსენას დათვივით ჰბუბნიდა, ანჯღრევდა (მ. ჯავახ.)...

სავარჯიშო 2. მხატვრული ნაწარმოებიდან ამოიწერეთ სინონიმების შემცველი წინადადებები და გაარკვიეთ კონკრეტულ სიტუაციაში რამდენად სწორად არის შერჩეული თითოეული მათგანი.

II. ანტონიმები. ანტონიმები საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებია. ანტონიმებად გვხვდება თითქმის ყველა მეტყველების ნაწილი: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, ნაწილაკი და ა. შ. საუბრისას მოვლენათა შორის დაპირისპირება ყველაზე უკეთ ანტონიმების საშუალებით ხერხდება.

ქართული ენა მდიდარია ანტონიმებით. იგი შეიძლება იყოს ძირეული და წარმოქმნილი. მაგალითად,

ძირეული ანტონიმებია: დღე და ღამე, ღიძი და პატარა, მთა და ბარი, წყალი და მიწა, ძუ და ხვადი და სხვ.

წარმოქმნილი ანტონიმებია: ბედნიერი და უბედური, გემრიელი და უგემური, გონიერი და უგუნური, დადებითი და უარყოფითი, მკვდარი და ცოცხალი, ნაყოფიერი და უნაყოფო, ღონიერი და უღონო, წესიერი და უწესო და ა. შ. დადებითი შინააწის გამოხატველი და მის საპირისპიროდ „არა“-თი ნაწარმოები სიტყვები: სწორი-არასწორი, კაცი-არაკაცი, ზომიერი-არაზომიერი, ზუსტი-არაზუსტი, წესიერი-არაწესიერი,

ცოცხალი-არაცოცხალი, ნაყოფიერი-არანაყოფიერი, ცნობიერი-არაცნობიერი და მისთ.

მხატვრულ მეტყველებაში ანტონიმი იგივე ანტითეზაა . იგი უმდიდრესი საშუალებაა საგანთა და მოვლენათა საპირისპირო მხარეთა წარმოსაჩენად, კონტრასტული სურათების შესაქმნელად. მაგ.: ხან უგუნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც ისა, გარემოების საყვირი, ხან მიწისა ვარ, ხან-ცისა (აკაკი); ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდამერე იცი კი რარიგ ტკბილია! აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე, აქ ჭირია და იქ კი ლხინია (ილია); სიმართლეს შევიყვარებ და უსამართლობას შევიძულე, მდიდარს წავართმევ და ღარიბს დაეურიგებ (მ. ჯავახ.)....თუ რამდენად მარჯვედ ახერხებს მოუბარი ანტონიმების შერჩევას—ეს ინდივიდუალური სტილის საქმეა, ამაზეა დამოკიდებული მწერლის ოსტატობაც.

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში გახაზეთ ანტონიმები და, სადაც შესაძლებელია, შეცვალეთ წარმოქმნილი ან „არა“-თი ნაწარმოები ანტონიმებით.

1. ქვეყანა ყირაზე დადგა...დაიკარგა უფროს-უმცროსობა (კ. გამს.); 2. უმისოდ არც ჭირი და არც ლხინი არ ივარგებდა, ავშიაც გამოსადეგი იყო და კარგშიაც, დიდსა და პატარას-ყველას იცნობდა (აკაკი); 3. ბოროტი მუდამ მარცხდება, კეთილი კი იმარჯვებს; ძლიერი იღუპება, საწყალი კი რჩება; ავი კაცი ადუღებულ კუბრში ვარდება, მართალი კი ბედნიერად ცხოვრობს (მ. ჯავახ.); 4. ისინი ჩაკირულნი მარიან, ჩვენ კი-დონდლონი, დუნენი (ილია); 5. ძველისგან ვარგისს ვისესხებთ, უვარგისს მოვიშორებთ (მ. ჯავახ.); 6. უწმინდურ სიცოცხლეს წმინდა სიკვდილი მიჩვენია (აკაკი)...

სავარჯიშო 2. რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოებიდან ამოიწერეთ ანტონიმები და გაარკვიეთ მათი სტილური ფუნქცია.

III. ომონიმები. ომონიმიც შესაძლებელია იქცეს სტილისტიკურ ოდენობად გარკვეულ შემთხვევაში. ქართულში არც თუ იშვიათად მოიპოვება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთაც ბგერითი შედგენილობა ერთი აქვთ, მნიშვნელობა

კი-განსხვავებული. მაგ.: „გაუსწორდება“ სიტყვა რამდენიმე მნიშვნელობით გეხედება ქართულში: „ფეხი გაუსწორდება“, „პასუხს გასცემს“ (გაუსწორდება), ვალს გადაუხდის“ (გაუსწორდება), „იმასაც გაუსწორდება, მოიცვლის მისთვისაც“...

ომონიმი საუკეთესო საშუალებაა მაჯამური ლექსის შესაქმნელად. გავიხსენოთ აკაკის ცნობილი ლექსი „აღმართ-აღმართ“:

„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექე, ჭმუნვის აღი მენელა,
მხემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა“...

სავარჯიშო: თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებში მოძებნეთ ომონიმები და გაარკვიეთ მათი სტილური ფუნქცია.

§5. პარონიმია ქართულში

პარონიმია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ახლოსიტყვას“. ტერმინის ქვეშ იგულისხმება შინაარსით სხვადასხვა, მაგრამ ბგერითი შედგენილობით მსგავსი სიტყვები, მაგ.: აესტრია და აესტრალია, შვეცია და შვეიცარია, საცოლო და საცოლე, განჩინება და განაჩენი და მისთ.

პარონიმებად მიჩნეულია როგორც ერთი ძირიდან მომდინარე ბგერობრივად მსგავსი სიტყვები, ისე შემთხვევით, გარეგნულად მიმსგავსებულებიც, რომელთაც განსხვავებული ან რამდენადმე სხვა მნიშვნელობა აქვთ. ამიტომაც ხშირად აღრევას აქვს ადგილი, ერთის მაგივრად იყენებენ მეორეს. კერძოდ: შევალე არის ის, ვისაც ვალი მართებს, ხოლო მოვალე კი ის, ვისაც რაიმე ვალდებულება აკისრია, მაგ.: „მოვალეებმა რო შეგვაწუხეს, ცოტა რიგიანი სახლი გვედგა, ის გაყიდეთ“ (დ. კლდ.). რა თქმა უნდა, აქ შევალე უნდა იყოს. ასევე საცოლეს უწოდებენ ქალს, რომელიც ცოლად უნდა შეირთონ, ხოლო საცოლო კი ის ვაჟია, ვისაც ცოლის თხოვნის ასაკი შეუსრულდა, ვინც დასაქორწინებელია, ან ცოლი არ ჰყავს. მაგ.: მახარეს კარგი საცოლე ავუჩინოთ (შ.

არაგვი; ორმოცი წლის საცოლო თეიმურაზი შევიდა ქალების ამორჩევაში (ლ. არდაზ.). მოყვანილ მაგალითებში საცოლე და საცოლო სწორადაა ნახმარი. ამ სიტყვათა პარონიმია ჩანს ასეთ წინადადებაში: მშობლები მონახვევენ ვაჟიშვილისათვის საცოლოს და ქალიშვილისათვის საქმროს (ე. ი. ნოშე.).

ქართულში პარონიმია უფრო მეტად ადგილი აქვს უცხო წარმოშობის სიტყვათა ხმარებისას, როცა არ იცნობენ, ან კარგად არ იციან ასეთ ენობრივ ერთეულთა ზუსტი მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევას უფრო მეტად ვხვდებით თანამედროვე პუბლიცისტიკის ენაში, მაგალითად: კამპანია|კომპანია, ექსპერტი|ექსპორტი, ფაქტი|ფაქტორი, პენალი|პენალტი, ადრე-სატი|ადრესანტი, დიპლომატი|დიპლომანტი და მისთ.

სიტყვა კამპანია-კომპანია ფრანგულია და სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია, კერძოდ კამპანია ნიშნავს: ა. ლაშქრობას, საომარ მოქმედებას; ბ. ერთდროულად ჩატარებულ რაიმე ორგანიზებულ საქმიანობას (მაგ. საარჩევნო კამპანია); კომპანია კი ნიშნავს: ა. რამდენიმე პირს, რომლებიც ერთად ატარებენ დროს, თანამესუფრეებს; ბ. სავაჭრო ან სამრეწველო ამხანაგობას. ზოგჯერ აღრუულია ამ პარონიმთა მნიშვნელობა. მაგ.: დაიწყო ხელმოწერების კომპანია (უნდა კამპანია); ...სვამენ, თავს ვერ აღწევენ ცუდ კამპანიას (უნდა კომპანიას)...

ასევე, ექსპერტი და ექსპორტი სახვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს. ექსპერტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საქმის მცოდნეს, სპეციალისტს, რომელსაც იწვევენ რაიმე საქმის გადასაწყვეტად, აქედან საექსპერტო გულისხმობს ექსპერტიზისათვის განკუთვნილს. ამ სიტყვის ნაცვლად ხშირად იყენებენ ექსპორტს, რაც გატანას ნიშნავს. აქედან საექსპორტო ისაა, რაც ექსპორტისათვის, გასატანად არის განკუთვნილი. მაშასადამე გამოთქმებს „საექსპერტიზოდ გაამზადა“ და „საექსპორტოდ გაამზადა“ სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ.

ფაქტი ისაა, რაც სინამდვილეში ხდება, ნამდვილი, უეჭველი რამ, რაც დასკვნის გამოსატანად გვჭირდება. ფაქტორი კი ნიშნავს მოვლენის განმსაზღვრელს, მამოძრავებელ ძალას: „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ ფაქტობრივი რედაქტორი

იყო გიორგი ლეონიძე”- აქ ფაქტობრივი არასწორადაა ნახ-
მარი, უნდა ფაქტიური.

ასევე, სრულიად განსხვავებულია ასეთი პარონიმები: პე-
ნალი და პენალტი. პენალი გერმანულია და ნიშნავს სა-
კალმე ყუთს, პენალტი კი ინგლისურია და ფეხბურთში
თერთმეტმეტრიან საჯარიმოს ნიშნავს.

არც თუ იშვიათად პარონიმიული ხასიათის შეცდომებს
ადგილი აქვს თვით ქართული წარმოშობის სიტყვებშიც, მაგ.:
შესახედაობა და შეხედულება, სწავლა და სწავლება, სასმი-
სი და სასმელი, აღქმა და აღთქმა, თარგმანი და თარგმნა,
უებრო და უებარი, გონივრული და გონებრივი, თითქმის და
თითქოს, იწყებს და იწყობს, აცხობს და აცხებს... თითოეული
მათგანის არადანიშნულებისამებრ გამოყენება ცვლის
წინადადებით გამოხატულ აზრს. ამდენად, პარონიმია წმინდა
სტილისტურ ფუნქციას ასრულებს ენაში. მაგ.: შესახედაობა
გულისხმობს ადამიანის გარეგნულ მხარეს, შეხედულება კი-
აზრს; სწავლა სხვაა, სწავლება კი სხვა. პირველი ცოდნის
მიღებაა, მეორე-ცოდნის გადაცემა; სასმისი სხვაა, სას-
მელი-სხვა. სასმისი ჭურჭელია, რაშიც სასმელს ასხამენ;
აღქმა შეთვისებას, შეგრძნებას, ასახვას გულუსხმობს, აღთქ-
მა კი პირობის დადებას...

§6. არქაიზმების, ნეოლოგიზმების, დიალექტიზმებისა და ჟარგონების სტილური ფუნქციები

ზოგჯერ ენაში შესამჩნევია ამა თუ იმ სფეროს აღმნიშე-
ნელი ლექსიკის განსაკუთრებული სიხშირით გამოყენება,
მაგ.: მოჭარბებულად იხმარება არქაული ლექსიკა, ან ნეოლო-
გიზმები, ან კიდევ სხვადასხვა სახის პროვინციალიზმები.
ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ვილაპარაკოთ ენის სტი-
ლიზაციის შესახებ.

I. არქაიზმები. არქაიზმების ხმარება თანამედროვე მწერ-
ლობაში გამოწვეულია გარკვეული მიზანდასახულებით: ა.

ისტორიული ხასიათის თხზულებებში შეიქმნას ისტორიული ფონი, არქაული იერი; ბ. შეიქმნას მაღალფარდოვანი მეტყველება, ნათქვამს მიენიჭოს სადღესასწაულო, საზეიმო ელფერი. ეს უკანასკნელი უფრო მეტად პოეზიაშია შესაძლებელი, თუმიცა არც პროზაული ნაწარმოებებისთვისაა იგი უცხო (გაეიხსენოთ კ. გამსახურდიას, ვ. ბარნოვისა და სხვათა ისტორიული რომანები, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და სხვათა პოეტური ქმნილებები).

უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება არქაიზმების გადაჭარბებით ხმარება, რაც ამძიმებს ლიტერატურული ნაწარმოების ენას და ძნელად გასაგებს ხდის მას. მართალია, პერსონაჟთა მეტყველება ეპოქის შესაბამისად და მათთვის ტიპური გარემოს შექმნის საჭიროებითაა გამართლებული, მაგრამ ავტორისეულ თხრობაში არქაიზმების მომეტებული ხმარება მაინც არ არის მისაღები. მაგ.: თუ ავიღებთ ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებს, აღმოჩნდება ბევრი ისეთი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობის გასარკვევად სპეციალური ლექსიკონია საჭირო. ასეთი ენობრივი ერთეულებია: აღქი-ქაჯი, გაღიაკი-პატარა ოთახი, ტაგრუცი-კოლოფი, შიმუნვარი-მსახური ქალი, ორხო-ნოხი, ხადილი-სტუმრობა და სხვა მრავალი. კ. გამსახურდიას რომანებში ვხვდებით ასეთ ლექსიკურ ერთეულებს: ბომონი-საკერპე, მარჩვიბი-ტყუპი, ქეიბური-ისარი, მკოდოვანი-ღატაკი, მტილი-ბალი და მისთ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული ხასიათის თხზულებებში არქაიზმების სავსებით არგამოყენება არაა გამართლებული. თანამედროვე მკითხველისათვის გასაგები არქაიზმების ზომიერი გამოყენება ზრდის მხატვრული ნაწარმოების ღირებულებას.

სავარჯიშო 1. კ. გამსახურდიას თხზულებებიდან ამოიწერეთ არქაიზმები და განსაზღვრეთ მათი სტილური ფუნქცია.

სავარჯიშო 2. თანამედროვე პოეტების შემოქმედებაში მონახეთ არქაიზმები და ისაუბრეთ მათ სტილურ ფუნქციაზე.

II. ნეოლოგიზმები. ნეოლოგიზმები გარკვეულ შემთხვევაში სტილიზაციის საშუალებას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ნეოლოგიზმი ახლად წარმოქმნილს ნიშნავს. ახალი

სიტყვა შეიძლება იქცეს ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის ბაზად. ქართულში ახლადწარმოქმნილია და სამწერლობო ენაში დამკვიდრებული ასეთი ლექსემები: შინა-არს-ი, ნა-ქერ-ალ-ი, სა-ღხინ-ო, სა-მთავრ-ო, ანას-ეულ-ი, ვაზ-იან-ი, ნა-დარბაზ-ევი, ნა-ტახტ-არ-ი, ნა-ძალად-ევი, მო-აზროვნ-ე, მო-ქალაქ-ე, მო-ნათესავ-ე, სა-ღგურ-ი, კოლექტიურ-ი...

ნეოლოგიზმებია ისეთი საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვები, როგორიცაა: განკვეთა, გაპარსვა, განვითარება, გაკეთება, გაღეწვა, დღეობა, დღიური, ერთობა, დადაღვა და სხვ. პირველად ეს სიტყვები ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში (XIX ს-ის 40-იანი წლები) შევიდა.

მეცნიერების ახალი დარგის წარმოქმნასთან ერთად ენაში ჩნდება ახალი სიტყვა-გამოთქმები. ახალ სიტყვას ხშირად ქმნის სიტყვიერი ხელოვნების მუშაკი, მაგრამ ასეთ სიტყვას სიცოცხლე არ უწერია, თუ იგი არ ამოდის ენის შინაგანი ბუნებიდან და არას ხელოვნური და ნაძალადევი. 1861 წელს ილია ჭავჭავაძემ თავის ცნობილ „პასუხში“ პირველად გამოიყენა ახალი სიტყვა „მიმართულება“, რომელიც დამკვიდრდა ლიტერატურაში და საყოველთაოდ გავრცელდა ენაში. მაგრამ ილიას მიერვე შექმნილი მეორე სიტყვა „მიგნიტიკური“ არ მიიღო ენამ, ვერ იგუა და დავიწყებას მიეცა.

ზემოჩამოთვლილი ნეოლოგიზმები ნეიტრალური ენობრივი ერთეულების როლს ასრულებენ წინადადებაში და ავსებენ ენის ლექსიკურ ფონდს. აქვე იბადება კითხვა: როდის იქცევა ნეოლოგიზმი სტილისტიკის ობიექტად? პასუხი ასეთია: მაშინ, როცა ნეოლოგიზმი დაიტვირთება გარკვეული ემოციით და შეიძენს სტილისტიკურ შეფერილობას. უფრო მეტად ასეთ შეფერილობას ღებულობენ ისეთი ნეოლოგიზმები, რომლებიც პოეტური ლიცენციის საფუძველზე წარმოიქმნებიან. ამ შემთხვევაში ძირეულ სიტყვად შეიძლება გამოყენებული იქნეს დიალექტური მასალა, მაგ.:

„...სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი მეწვის,
ყნულა ნასახლარს და ყველა ნაკორძალას ვენოსავ“ (ზ. გორგ.).

ნაკორძალა ნაწარმოებია სიტყვისაგან კორძი. იგი ახალ შეფერილობას იძენს ზემოაღნიშნულ კონტექსტში. ასევე

ემოციურია და ესთეტიკურად ატკობს მკითხველს ლექსის მომდევნო ტაქები:

„...საფორჩხელას ღელეში ჩაცვენილან ჭინკები,
მღერიე ღურღუმელებში გაჩხერილა ლოქო,
ნენევი-ჩემი სოფელი,
თორთქოშელა გოგო” (ზ. გორგ.).

„ღურღუმელა” აჭარულში იხმარება და ნიშნავს ქვა-ღორღს, ხოლო „თორთქოშელა” კი პოეტის მიერ შექმნილი ჩანს და აღნიშნავს ნორჩს (<ლორთქოს). თორთქოშელა მოიპოვებს თუ არა არსებობის უფლებას, ეს მომავლის საქმეა.

სავარჯიშო 1. თანამედროვე პოეტების ლექსებში მონახეთ ნეოლოგიზმები და ისაუბრეთ მათ სტილისტურ ფუნქციაზე.

სავარჯიშო 2. ამოიწერეთ რომელიმე მწერლის ნაწარმოებებიდან ნეოლოგიზმები, ისაუბრეთ მათ წარმომავლობაზე.

III. დიალექტიზმი. დიალექტიზმი ორი სახისაა-გრამატიკული და ლექსიკური. მხატვრული სიტყვის ოსტატები მას იყენებენ პერსონაჟის მოქმედების ტიპური გარემოს შესაქმნელად. დიალექტიზმები გვიჩვენებენ მოქმედი პირის ხასიათს, მისი განათლებისა და კულტურის დონეს, ქმნიან კუთხურ კოლორიტს. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის ერთ-ერთი გმირის-ღელთ-ღუნისას ხასიათის გამოსაკვეთად მწერალმა გამოიყენა მოხეური კილო, რითაც ხაზი გაუსვა მის წარმომავლობას და იმ გარემოს, რომელშიც გმირი მოქმედებს.

გრამატიკული ხასიათის დიალექტიზმები თითქმის არაფერს მატებენ სალიტერატურო ენას. ისინი, შეიძლება ითქვას, ერთგვარ სამკაულებს წარმოადგენენ კუთხური კოლორიტის შესაქმნელად. ლექსიკური დიალექტიზმები კი სალიტერატურო ენის მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს. გრამატიკული ხასიათის დიალექტიზმებია: გოუკეთა (<გაუკეთა), წუულო (<წაულო), შიმყვარდა (<შემყვარდა)...რაც შეეხება ლექსიკური ხასიათის დიალექტიზმებს, ისინი ამდიდრებენ ეროვნული ენის ლექსიკურ ფონდს. მრავალი კუთხური სიტყვა შევიდა სალიტერატურო ენის ლექსიკურ ფონდში. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით დიდ ქართველ მწერლებს: შოთა რუსთაველს, სულხან-საბას, ილიას, აკაკის,

ვაჟას, დავით კლდიაშვილს და სხვ. მაგ.: ვაჟამ სალიტერატურო ენაში შემოიტანა: დეკა, ღვია, ქუჩი, ჩქამი (ხმაური), ათირება (გაჩუმება), ფიხვნობა (საუბარი), ჭიუხი (წვეტიანი კლდე), კულუხი (ტაბლა), წინწელი (ნაპერწკალი) და მარავალი სხვა.

დ. კლდიაშვილმა სამწერლობო ენაში შემოიტანა იმერული ლექსიკა: გაცუცურაება (გაწბილება), მოღეული (დამთავრებული), ჩხინკი (ჩხირი), აპოლიკება (ნელა სვლა), ყანყალი (ყიალი), წრიპა (სუსტი) და ა. შ.

სავარჯიშო 1. ამოიწერეთ რომელიმე ქართველი მწერლის შემოქმედებიდან დიალექტიზმები და გაარკვიეთ მათი სტილური ფუნქცია. დაადგინეთ, გრამატიკული ხასიათისაა იგი, თუ ლექსიკური.

სავარჯიშო 2. ქვემოთ მოყვანილ ტექსტში ხაზი გაუსვით დიალექტიზმებს. აღნიშნეთ, რომელი კუთხის კოლორიტს ქმნის ეს დიალექტიზმები.

„მანა, ან შენ რეიზა იტეხ გულს და ან მე რეიზა მაწვალელებ?-უთხრა წყენით სიმონამ. —თავადაზნაურობა და ყაზახობა კაცის გამონაფიქრია, ჩვენი სიყვარული ჩვენი გულ-ღვიძლის ნამდვილი შვილია...ჩვენი სიყვარული მაშვინ მოკტება, თვითონ ჩვენ რომ არ ვიქნებით ქვეყანაზე. ...დღეს მე ვარ აზნაური, ასე ჰქვია, ხვალ ეგება მე ყაზახი შევიქნა და ჩემი ყაზახი —აზნაური. ამას წამართვი-წაგართვი ქვია და მეტი აფერი...რაა, რომ გეიკვირე? დიდი საქმეა ჩვენი გაყაზახება თუ?

IV. ჟარგონი. ჟარგონი ქურდების, მოხეტიალე მეწვრილმანეთა და სხვათა პირობითი „ენაა“. იგი იქმნება ერთი ან რამდენიმე ენიდან აღებული სახეცვლილი სიტყვებისაგან. ჟარგონს, რა თქმა უნდა, არა აქვს საკუთარი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა. მას საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები იყენებენ საზოგადოებისაგან გამოყოფის მიზნით. ჟარგონიზმებია: ევასება (მოსწონს), გოიმი (ჟარგინზე მოლაპარაკეთათვის შეუფერებელი, შეუგნებელი, მიუღებელი პიროვნება; მათი აზრით ბრიყვი), ხიხო (გამოუსვლელი, მოუხერხებელი), იპლეტე (მოუსვი, გაიქეცი, გაქრი),

დედალი (მშიშარა, ლაჩარი), ძაღლი (პოლიციელი), ჯიგარი (კარგი), ქეში (ნარკომანი), ვორონა (პოლიციის მანქანა), ფუფლო (მოდალატე, სიტყვის გამტეხი), მოტყდა (გაიპარა, გაიქცა), სტრელკა (შეხვედრა, პაემანი), შვაწერა (წაართვა), შვახუჭუჭა (გამოიჭირა), წერო (გარყვნილი ქალი), ქსივი (დამამტკიცებელი საბუთი), პროშლიაკი (ქურდებისაგან შერისხული ქურდი), შესტიორკა (დაბეჩავებული ხელქვეითი) და მრავალი სხვა. ასეთი სიტყვები აუხამსებს ენას, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებაში არსებობენ მათი მატარებლები. ისინი პერსონაჟის ხასიათის დასახატავად ზოგჯერ მხატვრული ლიტერატურის ენაშიც გამოიყენება.

ქარგონიშმებს უახლოვდება არაწიგნური, ქუჩის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ვულგარული გამონათქვამები, ლანძღვისა და გინების ფორმულები, მაგ.: მოსაკლავი ხარ, შე მკვდარძაღლო! (გ. ლორთ.); ძაღლი მიაკვდა სამარეში... (გ. ლორთ.); მაგის დედა ვატირე (გ. ლორთ.)...

ზოგჯერ წინადადება არაა დასრულებული, მაგრამ მკითხველისათვის თუ მსმენელისათვის ნათელია აზრი, ნათლად ჩანს უპატივცემულო დამოკიდებულება ობიექტისადმი: რვეიზორები დამახვია თავს, მე მაგის... (გ. ლორთ.); უჰ, მე მაგათი... (გ. ლორთ.)...

ქარგონიშმებად მიჩნეულია აგრეთვე მეტყველებაში უცხო ენობრივი ელემენტების, ბარბარიზმების ხმარებაც, რომელთა ეკვივალენტი მოეპოვება ენას, მაგ.: კოტე, ზამალჩი, რადი ბოგა!.. სუმაშედში სტარიჩოკ! (გ. ლორთ.); მოიცა, შენთან დელავოი რაზგოვორი მაქვს!... (გ. ლორთ.) და. სხვ.

მხატვრული ლიტერატურის ენაში ასეთი სიტყვები და გამოთქმები იხმარება სტილისტური დანიშნულებით. იგი გახაზავს მოქმედი პირის ხასიათს, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენისადმი მის კუთვნილებას...

სავარჯიშო. ამოიწერეთ წინადადებები, ხაზი გაუსვით ქარგონებსა და ბარბარიზმებს, გაარკვიეთ მათი სტილური ფუნქცია.

1. დაყაჭე, ბიძია, ხუთასი მანეთი (გ. ლორთ.); 2. ჩემო კოტე, რამე უნდა გაშანსო! (ა. სამს.); 3. გრიშას გაუყვირდა-ამისთანებს ვინ ჭამს ახლაო! (ა. სამს.); 4. მოიგეს ჩვენებმა,

მაგრამ მოგებას გააჩნია, დახიეს ყველაფერი (ა. სამს.); 5. ჩორთი ჩავაგდე მათ შორის (ა. შერე); 6. ძალი მიაკვდა სამარეში! (გ. ლორთ.); 7. ყოფას ვუტირებ მაგენს! (ბ. მაღაზ.)...

§ 7. გამეორება და ტავტოლოგია, მათი სტილისტური დანიშნულება

I. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ზოგჯერ ადგილი აქვს სიტყვების ან გამოთქმების გამეორებას. მის ექსპრესიულ-ემოციურ მხარეზე ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მსჯელობდნენ რიტორები. შეიძლება გამეორდეს სავსებით იდენტური, ან მნიშვნელობით მსგავსი სიტყვები, რაც აძლიერებს ექსპრესიას, მაგ.: ცხრა ძე ჰყავდა, ცხრა ვაჟკაცი დედას... (ს. ჩიქ.); ვერ მიხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი (შ. რუსთ.); სიცოცხლეს, სიცოცხლეს საღამი, სიცოცხლეს გაუმარჯოს, მან განსაჯოს ყოველივე (ჭ. ამირეჯ.)...

გამეორებას უფრო მეტი ემოციური დატვირთვა აქვს მაშინ, თუკი ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ფორმით იქნება გამოხატული, მაგ.: გულმან გლახ, რა ქნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია?! (შ. რუსთ.); იგი ნახეს დაღრეჯილნი, მზე დაიდრეჯს მათის ღრეჯით (შ. რუსთ.)...

გამეორების, როგორც მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთი ხერხის, მოხდენილად ხმარების, სიტყვის ესთეტიკური მხარის გაძლიერების შესანიშნავ ნიმუშებს ვხვდებით ქართველ კლასიკოსთა ქმნილებებში, რის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს გ. ტაბიძის „დროშები ჩქარა“, ირ. აბაშიძის „ო, ენაე ჩემო“... მ. მაჭავარიანის „ვითარცა მტკვარი“ და სხვა მრავალი.

II. ტავტოლოგია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „იმავე სიტყვას“. ტავტოლოგიაა, როცა ხდება ერთი და იმავე სიტყვის თუ აზრის გამეორება სხვადასხვა სინონიმური სიტყვებით, მაგ.: „იგი მოკვდა, ანუ სული განუტევა“; „სამშობლოდან წავიდა და დატოვა ქვეყანა“ და მისთ.

იგივეობრივი შინაარსის სიტყვათა არადანიშნულებისა-
მებრ ხმარება უფერულსა და მდარეს ხდის თხრობას და
ზედმეტსიტყვაობის შთაბეჭდილებას ქმნის, მაგ.: სამშობლოს
ტრფობა და სიყვარული გულში ჰქონდა; ნინო თვალღია,
თვალგახელილი იწვა; გიორგი განრისხდა, გაბრაზდა და სხვ.

ტავტოლოგიას უახლოვდება პლენონაზმის მოვლენაც
(პლენონაზმი ბერძნულია და ნიშნავს უხესიტყვაობას), მაგ.:
„ჩვენს სკოლას ირგვლივ ბალი აქვს გარშემორტყმული“. აქ
ერთ-ერთი ზედმეტია. ან „ირგვლივ“ უნდა დაეტოვოთ, ან
„გარშემორტყმული“.

უმიზნო გამეორებები, ზედმეტი სიტყვების ხმარება ბუნებ-
რივ იერსა და ლაზათს უკარგავს თხრობას. გამართული
(ლაპიდარული) სტილი მოითხოვს ზომიერების დაცვას.

სავარჯიშო. მხატვრული ნაწარმოებიდან ამოიწერეთ გა-
მეორებისა და ტავტოლოგიის მაგალითები და განსაზღვრეთ
მათი სტილისტური ფუნქციები.

§8. ანდაზა-აფორიზმისა და იდიომატურ გამოთქმათა სტილისტური დანიშნულება

ანდაზა, აფორიზმი და იდიომა ფრაზეოლოგიის ძირითად
ობიექტს წარმოადგენს. ისინი ხატოვნად, ძირითადად ალეგო-
რიულად გამოხატავენ აზრს და ენაში არსებობენ, როგორც
სტილური შესაძლებლობები. მათი მიზნობრივად და მოხერხე-
ბულად გამოყენება ზრდის ნათქვამის ექსპრესიულ-ემოციურ
მხარეს და ემსახურება აზრის ხატოვნად გამოხატვას.

როგორც ანდაზა, ისე აფორიზმი გადმოგვცემს ბრძნულ,
დამრიგებლურ აზრს, რომელთაც უმეტესად გადატანითი
მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ მათ შორის არსებობს განსხვა-
ვება: ანდაზა ხალხურია, მისი ავტორი ცნობილი არ არის და
ზეპირი გზით ვრცელდება, აფორიზმის ავტორი კი ცნობი-
ლია. აფორიზმები ხშირად გეხედება კლასიკოსთა ნაწარმოე-
ბებში, მაგ.: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“

(შ. რუსთ.); „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“ (ნ. ბარათ.); „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“ (დ. გურ.)...

ანდაზები: „თივაში ცეცხლი არ დაიმალება“; „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო“; „დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო“ და სხვა.

ერთი და იგივე აზრი ანდაზითაც შეიძლება გამოიხატოს და აფორიზმითაც, მაგ.: „ტკბილი ენით მთას ირემი მოწველესო“-ანდაზაა, მაგრამ „გველსა ხერვლით ამოიყვანს ენა-ტკბილად მოუბარი“ (შ. რუსთ.)-აფორიზმი.

ფრაზეოლოგიზმი ყველაზე უკეთ იდიომში არის გამოხატული. იდიომი მყარი, ფიგურალური გამონათქვამია, რომელშიაც აზრი ყოველთვის გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი. იგი ენის სპეციფიკური სიტყვათშეხამებაა, რომლის თარგმნა სხვა ენაზე ზუსტად არ ხერხდება. იდიომი ხატოვანი, ექსპრესიული ენობრივი შენაერთია, რომელიც ალამაზებს და შთაბეჭდავს ხდის მეტყველებას. მაგალითად, იდიომებია: „სული დაღია“, „ჭურში ზის“, „ენა მუცელში ჩაუვარდა“, თვალში ეცა“, „თავი აიშვა“, „ჭკუაში დაუჯდა“, „თავს ლაფი დაასხა“ და სხვ. მოყვანილი იდიომების აზრი ადვილად გასაგებია, მაგრამ ქართულში არსებობს ისეთი იდიომებიც, რომელთა შინაარსი დაფარულია და ამოსაცნობად ისტორიის გათვალისწინებაა საჭირო, მაგ.: „აბაშიძეების გზა“-ქართველთა ტყვედ გაყიდვა ოსმალეთში (აბაშიძეების გზა სოფ. ქვიშხეთიდან ქედ-ქედ გადადიოდა და ბორჯომის მთაზე, გოგიას ციხესთან თავდებოდა. ამ გზით მიჰყავდათ ქართველი ტყვეები ოსმალეთში გასაყიდად). „აბაშიძეების გზა“-ნიშნავს დაკარგვას, სიკვდილს; „შიოს მარანი“-ულეველი სიმდიდრე, სიუხვე (VI საუკუნის საქართველოში ქრისტიანობის გასაფრცვლებლად ჩამოსულა ცამეტი წმინდა მამა, მათ შორის ერთს მცხეთასთან ახლოს მონასტერი აუშენებია, აქვე მარანიც ჰქონია, საიდანაც მლოცველებს ღვინით უმასპინძლდებოდა. ქვევრები, ლეგენდის თანახმად, ისევ პირამდე ივსებოდა თურმე. თ. სახოკია)...

იდიომების ექსპრესიული ბუნება ალამაზებს და ამალ-ლებს მეტყველების კულტურას, ხატოვანს ხდის სტილს.

სავარჯიშო. ქვემოთ მოყვანილი წინადადებებიდან ამოიწერეთ იდიომები და ახსენით მათი მნიშვნელობა.

1. როცა შეიღის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს, ბუხსაც არ ავიფრენთ, ხელსაც არ გავანძრევთ (ილია); 2. ვერც გაგვანიორწყლებენ და ვერც ბუხს აგვიფრენენ, ვაი არ ჰქონდეს მიხასა! (ს. მგალობ.); 3. მართალია, დევი ყურით არ დაუჭერიათ სიძე-ცოლისძმას, მაგრამ ბევრჯერ კი კარგი სამსახური გაუწიეს იმერეთს (აკაკი); 4. რას მიბრძანებ, ეკატერინეჯან, თავით ფეხამდე მყავხარ აწონილი (ლ. არდაზ.); 5. სოფელი ძალიან არის აღშფოთებული, ამბობენ, მოვასწრებთ და თავს ღაფს დავასხამთ ბაბაღესაც და მღვდელსაცაო (ვ. ბარნ.); 6. მგონი, ჩვენზე კბილებს იღვესავს (შ. არაგ.); 7. მაიორს კუდით ქვა ასროლინეთ? თქვენ კი გენაცვალეთ მარჯვენაში! (მ. ჯავახ.)...

§9. მხატვრული სამკაულების სტილისტური ფუნქციები

მხატვრული მეტყველების ხერხებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტროპებს, რომლითაც ნათქვამი დიდი ემოციით იტვირთება.

ტროპის ნიშნები ყველაზე თვალსაჩინოდ მოცემულია მეტაფორაში. მასში მკაფიოდ ჩანს სათქმელის ინდივიდუალობა და ხატოვნება.

როგორც ენის განსაკუთრებული შესაძლებლობა, მეტაფორა მეტყველების თითქმის ყველა სახეში ვლინდება, განსაკუთრებით პოეტურ მეტყველებაში, პუბლიცისტიკაში, ყოველდღიურ სასაუბრო ენაში და სხვ. მაგ.: ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირვალი (შ. რუსთ.); ვაი რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო (დ. გურამ.); ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო...(აკაკი) და მისთ.

ენის მხატვრული ბუნება, სიტყვის ემოციის ძალა კარგად ვლინდება უჩვეულო, მეტაფორული ხასიათის ეპითეტებშიც, რომელთაც ზოგიერთი ენათმეცნიერი სტილისტურ ამხსნელს უწოდებს და რომლებშიც ერთიანდება ეპითეტი-განსაზღვრება, ეპითეტი-გარემოება, ეპითეტი-დამატება (უბრალო) (ა. გვენცაძე). მაგალითები:

„იყო არაბეთს როსტევეან მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“.

(მ. რუსთაველი).

ამაზე უკეთ პერსონაჟის დახასიათება ალბათ შეუძლებელია. ხაზგასმული სიტყვები ეპითეტებია, რომლებიც ხსნიან მეფის ხასიათს და გახაზავენ მის რაინდულ თვისებებს. მოყვანილი მაგალითი განსაზღვრება-ეპითეტის კლასიკური ნიმუშია.

დამატება-ეპითეტი: იბრძვიან ხმლით, ხიშტით, ხანჯლით, რევოლვერის ტარებით, თოფის კონდახებით, ხელებით, ფეხებით და კბილებით (მ. ჯავახ.); სახე გამხდარი, კუშტი და მწყურალი სიწმინდის მადლით დაჰშეენებოდა (ილია)...

გარემოება-ეპითეტი: დედისერთა სანდრო ძალიან სათუთად და ნებიერად იზრდებოდა (ა. წერ.); იყო ხალისი სოფლად, ქალაქად, ოქროყანაში, ზვარში, მდელოზე (ლ. ასათ.); [ისინი] დარბაზში ფახით, რიხით და მუქარით შეცვივდნენ (მ. ჯავახ.); დღედაღამ ლოცვით, გოდებით, გვემით, ხორცი სულისთვის უწამებია (ილია)...

მეტაფორული შინაარსის ეპითეტი შთამბეჭდავს ხდის მეტყველებას: დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი (ილია); ახოვანი, მშვენიერი, თეთრწვერა და თეთრთმიანი, წინ წამოდგა სასაუბროდ მოწიწებით ტკბილხმიანი (აკაკი)...

ენის სტილისტიკური შესაძლებლობის ერთ-ერთ გავრცელებულ მხატვრულ ხერხს წარმოადგენს *შედარება*. იგი მრავალფეროვანი ენობრივი ინვენტარით გადმოიცემა. მასში მთავარია შესადარებელი ელემენტების მსგავსების ხარისხის განსაზღვრა. მაგ.: ჰკრა მოგვერდი და გააკრა დედამიწას, როგორც შოთი თონესა (ილია); ჰგავს ალვის ხე თეთრ

ჩოხაში საქორწინოდ მორთულ სიძეს და ატამი ტურფა ყმაწვილს, აკვანში რომ გაიღვიძებს (გ. ლეონ)...

სტილისტიკა არ განიხილავს მხატვრულ ხერხებს, როგორც სინამდვილის გამოხატვის საშუალებებს; იგი აფასებს იმას, თუ რამდენად კარგად აისახა ეს სინამდვილე მხატვრულ ფერებში, რამდენად ექსპრესიული და ხატოვანია ეს ასახვა და რამდენად ექვემდებარება იგი სტილისტიკის კანონებს.

სავარჯიშო. ვაჟა-ფშაველას პოემებიდან ამოიწერეთ მეტაფორის, ეპითეტისა და შედარების ნიმუშები და გაარკვიეთ მათი სტილისტიკური ფუნქციები.

§10. სტილისტიკა ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე (ფონემური და გრაფემული დონეები)

ენობრივი ფაქტი სტილურ ფუნქციას იძენს კონკრეტულ სიტუაციაში ენობრივ ერთეულთა შერჩევა-შეხამებისას.

როგორც ვიცით, ფონეტიკა ენის ბგერითს მხარეს შეისწავლის. ახალ სალიტერატურო ქართულში 33 სამეტყველო ბგერაა. ყოველ მათგანს ფონოლოგიური ღირებულება აქვს, რაც მთლიანობაში ქმნის ენის ფონოლოგიურ სისტემას. მაგრამ მეტყველების გამომხატველობითი მხარის გასაძლიერებლად ზოგჯერ ბგერებს ვიყენებთ განსაკუთრებული დანიშნულებითაც. მაგ.: სალექსო სტრიქონში ხმოვან ბგერათა კანონზომიერი განმეორება ქმნის რიტმს, რაც თავის მხრივ რითმის საფუძველია. რითმა და რიტმი ენის ფონეტიკური ფაქტორის შედეგია. მაშასადამე, ფონეტიკის ობიექტი-ბგერა სტილისტიკური ფუნქციით იტვირთება.

ასევე, ერთი და იმავე, ან მსგავსი ბგერების განმეორება სალექსო სტრიქონში ქმნის მუსიკალურ ჟღერადობას და ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგერის მკითხველს. თანხმოვანთა ასეთ განმეორებას ალიტერაციათა, ხოლო ხმოვანი ბგერებისას

ასონანსს უწოდებენ. მაღალმხატვრულ პოეზიაში ხშირად ადგილი აქვს ასონანსისა და ალიტერაციის მონაცვლეობას. მხატვრული გამოსახვის ამ ენობრივ საშუალებას უძველეს ეპოქაშიც მიმართავენ პოეტები.

ალიტერაციისა და ასონანსის უბადლო ოატატად „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორი ითვლება. მთელ პოემაში ვერ ნახავთ სტროფს, რომელშიაც მარტივი ალიტერაცია მაინც არ იყოს. რუსთველისეული ალიტერაცია და ასონანსი არის ბგერათა საუკეთესო მუსიკალური შეხამება-განმეორება. მაგალითად:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მის ძლიერთა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბურთა...“

აქ რ, ლ, ნ და ზ თანხმოვნები მეორდება, ასევე ო, ა, ი, ე ხმოვნებიც.

ე-სა და შ-ს ალიტერაცია ა-ს, ი-სა და ე-სთან მიმართებაში ჩანს შემდეგ მაგალითში:

„ვის შეენის ღომსა ხმარება შუბისა ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბალახშ-თმა-გიშერისა.

მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა შე რისა,

მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ჰხამს მართ მიშერისა“.

თ-ს ალიტერაცია მი, ღი-სა და მე-სთან:

„მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,

ბროლ-ბალახშისა თლილისა, მით მიჯრით

მიწყობილისა...“

მო: მოსამართლე და მოწყალე, მორტყმული განგებიანი...

მე: ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისად...

სი: სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა...

ბა, მ: ენა, გონება, დათმობა, მძლეთა, მებრძოლთა მძლეობა...

თუ გამოვითვლით რუსთველის შაირის სტრიქონის ალიტერაციის კოეფიციენტს, აღმოჩნდება, რომ იგი ყოველთვის დაბალია მომდევნო პერიოდის პოეტების შაირის ალიტერაციის კოეფიციენტთა რიცხვზე (ალიტერაციის კოეფიციენტის ხარისხი განისაზღვრება ლექსის სტრიქონში მონაწილე სხვადასხვა თანხმოვანთა რაოდენობით. რაც დაბალია სხვადა-

სხვა თანხმოვანთა რაოდენობა ტაქტში, მით უფრო მაღალია ალიტერაციის ხარისხი და პირიქით).

ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ მარტო აფორიზმების ანალიზი ცხადყოფს, რომ პოემის დიდ ღირებულებას შინაარსთან ერთად ქმნის სიტყვის ფორმაც. რუსთაველი სიტყვათქმნადობის უდიდესი ოსტატიცაა.

ქართულ პოეზიაში გრ. ორბელიანმა პირველმა შემოიღო ურითმო ლექსი, მაგრამ მის ლექსს მაინც ჰქონდა მუსიკალობა, რასაც ძირითადად იგი ალიტერაციით აღწევდა, მაგ.: ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა... („ფსალმუნი“).

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ალიტერაციით განსაკუთრებით მდიდარია „მერანი“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“:

სა, ც, წ: სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი...

მ, ნ: გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?

არე: მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოვარე, დისკო გადახრით შექმბინდული...

ენობრივ ერთეულთა ბგერითს მხარეთაგან სტილისტიკური შესაძლებლობის გამოვლენის თვალსაზრისით საყურადღებოა ე. წ. ხმაბაძეთი ბგერათკომპლექსები, რომლებიც სიცილს, კაკუნს, ბრახუნს...გამოხატავენ. მაგალითად: ჰა, ჰა, ჰა... ხა, ხა, ხა...ხი, ხი, ხი...(სიცილი); ბრახ, ბრახ, ბრახ...დრახ, დრახ, დრახ...(ბრახუნი); შრრ, შრრ, შრრ...(შრიალი); კაკ-კუკ, კაკ-კუკ, კაკ-კუკ...(კაკუნი)...

ამავე რიგში უნდა განვიხილოთ ცხოველთა, ფრინველთა და ქვეწარმავალთა მიერ გამოცემული ხმები, როგორიცაა: მიაუუუ! მმააა... მმუუუ...წია,წია,წია...კა...კაკაკააა...ჰამ-ჰამ, ჰამ...სსს...სსს...

სტილისტიკურ ოდენობად შეიძლება ჩაითვალოს ასევე შორისდებულებიც, რომელთაც, ჩვეულებრივ, მორფოლოგიაში განვიხილავთ, მაგრამ მათაც იგივე ფუნქცია აქვთ დაკისრებული, რაც ხმაბაძეთს სიტყვებს.

ცნობილია, რომ ნაწერის გრაფიკულ მხარეს (ასოთა მოყვანილობას, კალიგრაფიას) დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანზე ესთეტიკური ზეგავლენის მოსახდენად. მას ზემოქმედების

ძალა აქვს ნაწერის გასწორების დროსაც. ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა შრიფტის გამოყენებას გარკვეული ფუნქცია აკისრია. იგი გამოყოფს აზრს, აძლიერებს მკითხველის ინტერესს, აადვილებს წაკითხვას და ერთგვარად ასვენებს კიდევ მხედველობის ორგანოს. სუფთა, ღამაზი კალიგრაფია მიმზიდველს ხდის ნაწერს, ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს.

სტილისტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე პუნქტუაციის ნიშნების სწორად გამოყენებაც. არასწორად ნახმარი სასვენი ნიშნები არათუ ცვლის შინაარსს, არამედ ზოგჯერ ბუნდოვანსაც ხდის მას. თუ თხრობითი წინადადების ბოლოს დავსვამთ ძახილისა და კითხვითს ნიშნებს სხვადასხვა შინაარსის წინადადებებს მივიღებთ. მაგ.: გიგა სკოლაში წავიდა! გიგა სკოლაში წავიდა? პირველი წინადადებით გადმოცემული აზრი დადებით შინაარსს გამოხატავს: გიგა სკოლაში წასულა და ეს უკვირს, ან უხარია მოუბარს; მეორე წინადადებით გამოხატული აზრი კი გაურკვეველია. მთქმელი სვამს კითხვას: წავიდა თუ არა გიგა სკოლაში? ზოგჯერ კი, როცა სავენი ნიშანი გამოტოვებულია, შესაძლებელია აზრიც სხვაგვარად იქნას გაგებული. მაგალითად: „გაბროს დათიკოს მწერალი შესანიშნავად გვიხატავს“—აქ გამოდის, რომ დათიკო გაბროსი ყოფილა. თუ გაბროს მომდევნოდ დავსვამთ მძიმეს (,) წინადადებაში გაბროსა და დათიკოს ერთნაირი პოზიცია და ფუნქცია ექნებათ დაკისრებული.

სიტყვას ან წინადადებას სრულიად შეიძლება შეუცვალოს მნიშვნელობა ბრჭყალებმაც. შევადაროთ ორი ასეთი წინადადება: 1. გიორგი ჭკვიანი კაცია; 2. გიორგი „ჭკვიანი“ კაცია. აქ პირველ წინადადებაში მეორის სწინააღმდეგო აზრია გამოხატული, თუმცა ორივე წინადადებაში ერთი და იგივე სიტყვებია ნახმარი. მიზეზი ისაა, რომ მეორეში ჭკვიანი ბრჭყალებშია ჩასმული.

სავარჯიშო 1. მეოცე საუკუნის ქართველ პოეტთა ლექსებიდან ამოიწერეთ ალიტერაციის მაგალითები.

სავარჯიშო 2. ქართველ კლასიკოსთა ლექსებიდან ამოიწერეთ 5-5 მაგალითი ალიტერაციისა და ასონანსის მონაცვლეობაზე.

§11. მორფოლოგიასა და სინტაქსთან დაკავშირებული სტილისტიკის საკითხები

სტილისტიკა მჭიდროდ უკავშირდება ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგს-გრამატიკას, ლექსიკოლოგიას, სემასიოლოგიას, ორთოგრაფიას და სხვ.

I. ა. მორფოლოგიური და სინტაქსური კატეგორიების სტილისტიკური ფუნქციით აღჭურვა ადვილი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი დასახელებულ კატეგორიათა გამოსახატავად ენას შესაბამისი საშუალება მოეპოვება. მაგ.: სახელის მრავლობითი რიცხვი ახალ ქართულში აღინიშნება ორგვარად--ებ და -ნ -თ სუფიქსებით. ვიცით, რომ მრავლობითი რიცხვი -ებ სუფიქსით ახალ ქართულშია გაბატონებული, ნარ თ'ანიანი კი უმეტესად ძველ ქართულში იხმარებოდა. თუ ახალ ქართულში მრავლობითს ამ უკანასკნელით გამოვხატავთ, არქაულ, მაღალფარდოვან, ან საზეიმო ელფერს შევიტანთ თხრობაში. ამ შემთხვევაში აღნიშნული ფორმანტები სტილისტიკური დანიშნულებით იხმარება, თუმცა ახალ ქართულში იმავე სუფიქსებმა აღნიშნული ფუნქცია შეიძლება ვერ შეასრულოს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ნარ თ'ანიანი მრავლობითი მყარ გამოთქმებშია ნახმარი და ტრადიციით დამკვიდრებული. მაგ.: პიონერთა სასახლე, მამაკაცთა სალონი, ბავშვთა სახლი და მისთ.

ნარ თ'ანიანი მრავლობითის (და საერთოდ არქაიზმების) სტილისტიკური ფუნქციით გამოყენების შემთხვევები ხშირად გვხვდება კონსტანტინე გამსახურდიას, ვასილ ბარნოვის, ლევან გოთუას, რევაზ ჯაფარიძის და სხვათა ნაწარმოებებში. მაგ.: „მეფეთ მეფე გიორგი სულგრძელია. იგი დიახაც ისმენს თათბირთა ჩემთა, რამეთუ არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღებაი. ესე ხამს ქრისტიან მეფეთა და

ეკლესიის მწყემსთა სახარებითა მაცხოვრისათა და ჯვართა პატიოსნითა უჩვენონ ქვეშევრდომთა თვისთა გზაი ჭეშმარი-
ტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, რათა ძალმან ძე-
ლიცხოველისამან განანათლოს ბნელი ცთომილების გზაზე
შემდგართა გულში”(კ. გამს.). მსაზღვრელ-საზღვრულის ძვე-
ლი წყობა, მოთხრობითის არქაული ფორმები და სხვა არქა-
იზმები ძველი საქართველოს კოლორიტს ქმნის. იგივე ენობ-
რივი საშუალებანი გამოიყენება აგრეთვე მაღალფარდოვანი
სტილის, საზეიმო განწყობილების შესაქმნელად. მოვიყვანთ
ასეთ ნიმუშს:

„ფეხი დამადგით, \ გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით... \ საქართველოს ყოველის მპყრობელმან
ვისურვე, დავით... \ ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტვენებით... \ ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევები? \ ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რადი გადარდებ? \ გასწიე იგი ნიკოფსითგან
ღარუბანდამდე...”

(ანა კალანდაძე)

ბ. არსებითი სახელის ნიშან-თვისების გამოსახატავად
ქართულში ძირითადად ზედსართავი სახელია გამოყენებული,
მაგრამ ზოგჯერ იგი არაზუსტად არის ნახმარი და არ ეგუ-
ება არსებითის შინაარსს, მაგ.: „სუფთა” არის ის, რაც არაა
„ბინძური”, რასაც ჭუჭყი, ტალახი, მტვერი არა აქვს, ხოლო
„წმინდა” კი ის, რაც შეურყენელი, ფაქიზია, დარჩეულია.
ამის მიხედვით სწორი იქნება სიტყვათშეხამებანი: წმინდა აბ-
რეშუმის ძაფი, წმინდა ალაგი, წმინდა მოგება, წმინდა მოვა-
ლეობა, წმინდა სანთელი, წმინდა შალი და სხვ. ხოლო
„სუფთა” კი შეიძლება იყოს ბოსელი, ეზო, თეთრეული, ჭურ-
ჭელი... ასევე შესაძლებელია „სუფთა წერა”, „სუფთა ჩაცმა-
დახურვა”, „სუფთა ხელი...”

ამ ბოლო დროს ფეხს იკიდებს ასეთი ზედსართავები: „მა-
ღალი” ან „დაბალი მოსავალი”, რაც არაბუნებრივია. მართე-
ბული იქნება „უხვი” ან „დიდი მოსავალი” და მისთ.

გ. ნაცვალსახელთა შორისაც შესაძლებელია სტილისტუ-
რი პარალელიზმები დაიძებნოს და შერჩევის შესაძლებლობა
მოგვეცეს.

ნაცვალსახელთა სინონიმური ჯგუფებია: პირისა და ჩვე-
ნებითი ნაცვალსახელები: ეს|ეგ, ის|იგი; განსაზღვრებითი: ყო-
ველი|ყველა, თვითეული|თითოეული, თვით|თვითონ|თავად,
ზოგი|ზოგიერთი; ურთიერთობითი: ერთმანეთი|ერთიმეორე, ერ-
თურთ|ურთიერთი, რომელთაგან ზოგიერთი სავსებით იგი-
ვეობრივია და ყოველნაირ კონტექსტში შესაძლებელია მათი
მონაცვლეობა, ზოგიერთი მათგანი კი სტილისტიკურ ნიუანსს
გვაძლევს, მაგ.: ასეთ კონტექსტში: „მას ის გოგონა მოს-
წონს“, არ ვარგა „მას იგი გოგონა მოსწონს“. ასევე ერთმა-
ნეთისაგან განსხვავებულ ნიუანსს გვაძლევს: „ყოველი
ჩვენგანი კმაყოფილია“, არ ვარგა „ყველა ჩვენგანი კმაყოფი-
ლია“. აქ ყველა ერთად აღებული ს ნიშნავს.

სინონიმური მნიშვნელობისაა განუსაზღვრელობითი „ვი-
დაც“ და „ერთი“ ნაცვალსახელებიც. მაგ.: „იყო ერთი ხელ-
მწიფე“ ნიშნავს „იყო ვიდაც ხელმწიფე“.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადა-
სხვა საფეხურზე განსაზღვრებით ნაცვალსახელთაგან თვით,
თვითონ, თავად-სხვადასხვა იყო გაბატონებული. ახალ ქარ-
თულში „თავად“ იშვიათად გამოიყენება. იგი უფრო ექსპრე-
სიულად შეფერილი ჩანს, კერძოდ, ღმერთის, მახარობელთა,
მოციქულთა, საეკლესიო მოღვაწეთა, წმინდანთა მსაზღვრე-
ლად.

ღ. ქართული ენა მდიდარია ზმნის ფორმებით. აქ ფართო
შესაძლებლობებია შერჩევისა და ფორმათა შენაცვლებისათ-
ვის, რაც, თავის მხრივ, უამრავ სტილისტურ ნიუანსთან არის
დაკავშირებული. ამის მაგალითად ილიას „ოთარაანთ ქერი-
ვიც“ არის საკმარისი, მაგ.: „გიორგის ეოცა, გაუკვირდა“;
„შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიდვრიმა, დანადგლიანდა“;
კესოსაც ელდა ეცა, გაფითრდა, გაშრა, გაშტერდა...“ „ასე
ეკრძალებიან, ერიდებიან და უფრთხიან ყველანი“...

მსატერული სიტყვის ოსტატები ზმნათა პარაფლერული
ფორმებით აღწევენ თხრობის დინამიკას, მიზეზ-შედეგობრივ
კავშირებს, სხვადასხვაგვარ ასოციაციებს, რაც იწვევს მოფ-
ლენათა გრძნობად-კონკრეტულ აღქმას, დეტალებში წვდომას.

ე. ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილებითაც შეიძლება
სტილისტიკური ნიუანსების გამოხატვა სინონიმური წყვილებ-
ის საშუალებით, მაგ.: კონკრეტული სიტუაციიდან გამომდი-

ნარე სინონიმურ წყვილთაგან ვირჩევთ იმას, რომელიც უფრო უკეთ გამოხატავს სათქმელს: გულდასმით თუ სასოებით; მშვიდად, დინჯად თუ წყნარად; ტკბილად თუ გემრიელად; უეცრად, უცბად თუ სწრაფად; უთქმელად თუ ხმამაღულად; გაჯავრებით თუ მრისხანედ და სხვ.

ვ. პარალელური ფორმები გვხვდება თანდებულებშიც. მსგავსებისა და შედარების გამოსახატავად ქართულში გამოიყენება -ვით და -ებრ თანდებულები, მდებარეობის აღსანიშნავად შორის და შუა, გარკვეულ პუნქტამდე მიღწევას -მდე და -მდის აღნიშნავს... მაგალითები: „წამოხტა კაკო ლომივით ზეზე“ (ილია). პოეტმა უპირატესობა სახელობითის ფორმას მიანიჭა, თუმცა შეიძლება მიცემითიც ეხმარა—ლომსავით... ლომივით იქნება, ლომსავით, ლომებრ თუ ლომისებრ მნიშვნელობით ერთი და იგივეა. მრავალი შესაძლებელიდან მწერალი (თუ საერთოდ მოუბარი) აირჩევს იმ კონკრეტულ ფორმას, რომელიც მისთვის მისაღებია. სანიმუშოდ მოვიყვანოთ მაგალითებს ვაჟას პოემებიდან:

„გაღმა ჩანს ქისტის სოფელი
არწივის ბუდესავითა,
სამო არის საცქერლად
ღიაცის უბესავითა“...

ან კიდევ:

„კარგი ვაჟკაცი ყოფილა,
ყველა ალახსა ჰფიცაუდა,
იმიტომ ვეფხეებრ გვებრძოდა
თავის მიწა-წყალს იცაუდა.“

შორის შუა, მდეშდის თანდებულები კი დიდად ვერ ცვლიან გამომხატველობით ხარისხს, რადგან ისინი თითქმის იდენტურნი არიან.

ზ. სინონიმური მნიშვნელობისაა და და თუ მაჯგუფებელი, მაპირისპირ-ებელი—მაგრამოლონდლთუმცა, მიზეზის—გინადანსრადგან, მაიგივებელი—ე.ი. ანუ კავშირები. მაგ.: ასჯერ დასერა მახარამ სომხეთი თუ ახალციხე, ჯავახეთი თუ ჭარბელაქანი, არეზი თუ მტკერის შესართავი, შექი თუ შამშადილი, განჯა თუ ყარაბაღი (მ. ჯავახ.). მოყვანილ მაგალითებში თავისუფლად შეიძლება თუ დათი შევცვალოთ, თუმცა

ავტორისეული გადაწყვეტა უფრო მართებულია, უფრო უკეთ გამოხატავს სათქმელს.

ზოგჯერ და და თუ კავშირები ერთმანეთის ბადალი არ არის და არც მათი შენაცვლება ხერხდება, მაგ. „მთა და ბარი აყვავდა“, არ შეიძლება ვთქვათ: „მთა თუ ბარი აყვავდა“.

ასევე, მაგრამ, ოღონდ, თუმცა კავშირებს განსხვავებული სტილისტური დატვირთვა აქვთ, ამიტომ კონკრეტული სიტუაციისათვის მათი შერჩევა უნდა მოხდეს; წინადადებაში: „ამ სიტყვებზე ელგუჯამ სამჯერ წყნარად, ოღონდ ხანგრძლივ დაუსტინა“ (აღ ყაზბ.) ოღონდ დაპირისპირებას უფრო მკვეთრად გამოხატავს, ალბათ ამიტომაც გამოიყენა იგი მწერალმა. ამ ნიუანსს „მაგრამ“ და „თუმცა“ ასე კარგად ვერ გადმოგვცემდა. ასეთ წინადადებაშიც „სროლა მაინც არ წყდებოდა, თუმცა ტყვიები იკარგებოდა“ (აღ ყაზბ.)-„თუმცა“-ს ვერ შევცვლით მაგრამ ან ოღონდ კავშირებით, რადგანაც აზრი ნაწილობრივ შეიცვლება. აბა შევადართო წინადადებები: „სროლა მაინც არ წყდებოდა, მაგრამ ტყვიები იკარგებოდა“ (ან „სროლა მაინც არ წყდებოდა, ოღონდ ტყვიები იკარგებოდა“). I წინადადებაში გატარებულია ის აზრი, რომ სროლას გარკვეული მიზანი ჰქონდა—მსროლელებმა იცოდნენ, რომ ტყვიები იკარგებოდა, მაგრამ მაინც ისროდნენ; მეორე წინადადებაში კი ის აზრია გატარებული, რომ თითქოს სროლა უმიზნოდ გრძელდებოდა. ეს აიხსნება იმიტაც, რომ თუმცა კავშირი ერთდროულად გამოხატავს როგორც დაპირისპირებას, ისე გამორიცხვასაც, დანარჩენი ორი კომბოლოდ დაპირისპირებას.

მაშასადამე, ავტორისეული ფრაზა ზუსტად გამოხატავს სათქმელს.

ახალ ხალიტერატურო ქართულში მაიგივებელი კავშირის ფუნქციას ასრულებს ანუ და ე.ი. ისინი, ჩვეულებრივ დანართთან გამოიყენება, მაგ.: „გურიის მუშა ხალხს, ანუ გლეხკაცობას, თოფისათვის მოეკიდა ხელი“ (ე. ნინოშვილ.). ამ წინადადებაში „მუშა ხალხი“ და „გლეხკაცობა“ ერთსა და იმავე მნიშვნელობას გადმოგვცემს, ამიტომაც თავისუფლად შეიძლება მათ შორის ვისმართო ე.ი. კავშირი. ე.ი. კავშირს მაშინაც იყენებენ, როცა მსჯელობის შედეგად გამოაქვთ

რაიმე დასკვნა. მაგ.: „ძალღსა და მგელს ერთნაირი თვისებები აქვთ, ძალღი ყუფს, მგელი კი ყმუის, ძალღი ადამიანმა უხსოვარი დროიდან მოიშინაურა, მგელი კი ტყეში ცხოვრობს ნადირთა შორის. ე.ი. მგელი არის ძალღის ჯიშის გარეული ცხოველი“. ასეთ კონტექსტში ე.ი. ვერ იქნება ანუ`ს ბადაღი.

მაქვემდებარებელი კავშირებს შორის სინონიმურია, როცა//როდესაც; რადგან|რადგანაც|რამეთუ. ამათგან როცა და როდესაც თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს, მაგრამ რადგან|წინაიდან|რამეთუ ერთმანეთს ცვლიან იმ შემთხვევაში, როცა ისინი მიზეზს გამოხატავენ. „გუღის წყრომას ნუ მიეცემი, რამეთუ იტყვის ბრძენი: გუღის წყრომა წიადსა შინა უგუნურთასა განისვენებს“ (ღ. ქიან.).

რამეთუ`ს ზოგჯერ რომ კავშირის ფუნქციით ხმარობენ ცოცხალ მეტყველებაში, რაც არასწორია. არქაული „რამეთუ“-ს გაცოცხლება ახალ ქართულში გაპირობებული ჩანს კულტურული, მაღალფარდოვანი მეტყველებიდან მიწრაფებით, ფრაზისადმი არქაული ელფერის მისაცემად, თუმცა სასურველი შედეგი ამით ვერ მიიღწევა.

თ. სინონიმური მნიშვნელობის ნაწილაკებიც სტილისტიკური შეფერილობის საფუძველს ქმნის და მათი მოხმარებაც გარკვეულ კანონზომიერებას უნდა ექვემდებარებოდეს

სინონიმური მნიშვნელობის ნაწილაკები: დადასტურებითი-ჰო, კი, დიახ(<დიად); ჩვენებითი- აი, აჰა, ჰა; გამორჩევითი- მხოლოდ, მარტო; შესაძლებლობა-ვარაუდის- ეგებ|ეგემბის, იქნებ|იქნება, შეიძლება; მიახლოებითი- კინაღამ, ლამის, თითქოს...

დადასტურებითი ნაწილაკები ძირითადად კითხვა-მიგების დროს გამოიყენება და განკერძოებული ადგილი უჭირავს წინადადებაში. მათგან დიახ (დიად) მორიდებულ (ზრდილობიან) საუბარში იხმარება, „ჰო“ და „კი“ კი ჩვეულებრივში.

არის შემთხვევები, როცა დადასტურებითი ნაწილაკები კითხვა-მიგების გარდა არ გამოიყენება მაშინ, როცა ადამიანს თავისი ან სხვისი ნათქვამისა თუ ვარაუდის დაშორება-დადასტურება სჭირდება. მაგალითები:

„დედა მენატრება მე, ატირდა ღოთი და ორივე ხელი აიფარა სახეზე. იმ ვაჟმა ის ფული აიღო, ღოთს ჯიბეში ჩაუკუჭა და მსუბუქად უბიძგა.

-ჰო, მორჩი, გეყოფა...

-ვიცი და არ ვამბობ? მეზობლის ბავშვია, მაგან კი არა მამამისმა მიატოვა მუცელში და ეს ჭირისუფალი გამოუჩნდა ასეთი?

-ღიახ, მძიმე სურათია,-დავემოწმე მე...(ნ. დუმბ.).

ჩვენებით ნაწილაკთაგან -ა'ს ვიხმართ თუ ჰა'ს (ისე წარმოშობით ორივე ერთი და იგივე ოდენობაა) სტილისტიკურად რაიმე განსხვავებული ფუნქცია არა აქვთ.

გამორჩევითი მარტო და მხოლოდ კი ერთმანეთის მონაცვლედ ყოველგვარ კონტექსტში არ შეიძლება გამოვიყენოთ, მაგ.: „მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ, იცის ჩემი საიდუმლო...”(გ. ტაბ.). ამ სტრიქონში „მხოლოდ” ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს სათქმელს, აქ „მარტო” არ გამოდგებოდა. თუმცა აღნიშნული ნაწილაკები უმრავლეს შემთხვევაში თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს.

ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე შესაძლებლობა-ვარაუდის გამოხატველი ნაწილაკების ხმარების დროსაც. მაგ.: „ეგებ გულს ჟანგი მოაშორო კარგი ამბითა”(ილია). ამ წინადადებით სათქმელი ზედმიწევნით კარგადაა გადმოცემული. მაგრამ თუ „ეგებ” ნაწილაკის ნაცვლად გამოვიყენებთ მის სინონიმებს, მივიღებთ: „იქნებ გულს ჟანგი მოაშორო კარგი ამბითა”-სათქმელი აქაც კარგადაა გადმოცემული, მაგრამ აქ უფრო წიგნურია ფრაზა და ის კოლორიტი აღარ აქვს, პირველ შემთხვევაში რომ ჰქონდა. იმ შემთხვევაში თუ ეგებ და იქნებ ფორმებს შეიძლება თი შეეცვლით, წინადადება მთლიანად დაკარგავს ემოციურ მხარეს: „შეიძლება გულს ჟანგი მოაშორო კარგი ამბითა”.

მიახლოებითი ნაწილაკების ხმარების დროსაც საჭირო იქნება სტილისტიკური მაქსიმუმის მიღწევა, თუ სწორად შევარჩევთ მათ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, მაგ.: „კურდღელს შიშით კინაღამ გული გაუსკდა”, შეეცვალათ კინაღამ ნაწილაკით ლამის: „კურდღელს შიშით ლამის გული გაუსკდა”. ამ შენაცვლებით სტილისტიკურად ბევრი არაფე

რი შეცვლილა, მაგრამ „კინალამ“ და „ლამის“ ნაცვლად თუ ვინმართ „თითქმის“ ნაწილაკს, წინადადების ექსპრესიული და ნაწილობრივ შინაარსობრივი მხარეც დაზარალდება. „თითქმის“ მთლიანად ვერ გამოხატავს იმას, რასაც „ლამის“ და „კინალამ“.

ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: „მე იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა“ (ილია). აქ სათქმელის კარგად გამოსახტავად არ გამოდგება „კინალამ“ და „ლამის“. კონტექსტის მიხედვით „თითქმის“ გვიჩვენებს, რომ დაბერებას არაფერი აკლდა, ხოლო კინალამ და ლამის მხოლოდ დაბერების საშიშროებაზე მიუთითებენ.

შორისდებულთა შორისაც მოიძებნება სინონიმური წყვილები და მათი შერჩევა სიტუაციის შესაბამისად უნდა მოხდეს სათქმელის ხასიათიდან გამომდინარე.

სავარჯიშო 1. ამოიწერეთ რომელიმე ლიტერატურული ტექსტიდან — ებ'ანი და ნ'არ-თ'ანიანი მრავლობითის ფორმები და გაარკვიეთ მათი სტილისტიკური დატვირთვა.

სავარჯიშო 2. ქვემოთ ჩამოთვლილ ლექსიკურ ერთეულებს მოუძებნეთ სინონიმები და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ფიცხი, ამაყი, დაუნდობელი, მშიშარა, მუქარა, დაცინვა, ყრუ, უტვინო, ხეიბარი, თავმომწონე, დააყოვნებს, შეავიწროებს, მოკლავს, უეცრად, კინალამ, თუმცა, შეიძლება.

II. როგორც ცნობილია, სინტაქსი შეისწავლის სიტყვათა შორის დამოკიდებულების წესებს და წინადადების სახეებს. ენაში ენობრივ ერთეულთა ურთიერთშეთანხმება, წინადადებაში სიტყვისათვის საჭირო ადგილის მიჩენა სტილის ერთ-ერთი ნიშანია. კონკრეტულ ენაში რამდენადაც მრავალფეროვანი წინადადების წვერები მოიპოვება, იმდენად მრავალმხრივი მიმართება შეიძლება გამოიხატოს მათ შორისაც, რაც, თავის მხრივ, სტილის მრავალფეროვნებას განაპირობებს.

ა. ქართულში წინადადების უმთავრესი წვერი არის ზმნა-შემასმენელი. სტილის თვალსაზრისით ყურადღება უნდა გამახვილდეს შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის „არის“ და მისი შემოკლებული „ა“-ს ხმარების საკითხზე.

ფრაზაში ზოგჯერ ჯობს მისი შემოკლებული სახით ხმარება, ხან კი უპირატესობა ენიჭება „არის“ მეშველ ზმნას. მაგ.: „ჩიტი არის პატარა ფრინველი“ (ი. გოგ.) ან „ჩიტი პატარა ფრინველია“. ორივე შემთხვევაში აზრი გამართულია სტლისტიკურად. ხოლო წინადადებაში „არწივის საყვარელი საჭმელი არის პირუტყვის სისხლი“— უმჯობესია ვიხმაროთ „არის“ მეშველი ზმნა. ზოგჯერ, შესაძლოა ორივე ფორმა იყოს ერთდროულად გამოყენებული: „უმანკოა სურვილი ჩემი, ღრმაა ტანჯვა ჩემი, სპეტაკი არის სული ჩემი“ (ნ. ლორთ.).

„ა“ უფრო ლაკონურად გამოხატავს სათქმელს, „არის“ კი უფრო გახაზავს რაიმეს არსებობას, მაგ.: „ისეთი თავმდაბალია და ყველას მორჩილი, რომ კაცი სულში ჩაიძვრენს“ (ლ. ქიან.).

ზოგჯერ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი ა სხვა სიტყვასთან არის უადგილოდ ნახმარი, მაგ.: „რომელი გამოჩენილი ადამიანების სახელები გამოყენებულია ქიმიური პრეპარატების აღსანიშნავად?“ უნდა იყოს: „რომელი გამოჩენილი ადამიანების სახელებია გამოყენებული ქიმიური პრეპარატების აღსანიშნავად?“

და კავშირით შეერთებულ ერთგვარ წევრებთან ზმნური ნაწილის ხმარება მართებულია ერთ-ერთთან და არა ორივესთან (ყველასთან): „ვარდი ლამაზია და სურნელოვანია“ არაა სწორი. მართებულია „ვარდი ლამაზია და სურნელოვანი“ ან „ვარდი ლამაზი და სურნელოვანია“.

არ შეიძლება მიმღეობით გამოხატული შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის მრავლობითში ჩასმა: „ერთმანეთთან ისე ახლოს ვართ, თითქოს ბავშვობიდან ერთად ვიყოთ შეზრდილები“. მართებულია: „ერთმანეთთან ისე ახლოს ვართ, თითქოს ბავშვობიდან ერთად ვიყოთ შეზრდილი“.

ბ. წინადადების სხვადასხვა წევრთა ფორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ერთგვაროვან წევრთა გავრცობილი და გაუვრცობელი სახით ხმარების შემთხვევები. თუ ასეთ წევრებს და ან თუ კავშირი ახლავს, მიზანშეწონილია ამ კავშირის წინ მდგომი სიტყვა გავრცობილი ფორმით ვიხმაროთ, მაგ.: „აღაყაფთან ქალები პურს, ნესესა თუ ხილს ყიდიან“ (ა. გაწ.); „გაისმა დედაკაცებისა და ბავშვების ხმა (თ. რაზ.)... თუმცა მხატვრულ ლიტერატურაში

ხშირად არ არის დაცული ეს წესი, მაგ.: „შაშვი კიდევ იკვებოდა თავის ჭკუას და მოხერხებას”(ვაჟა); „კონსტანტინეს იასონ ჭაეწავაძე მიჰყვებოდა მხლებლად, მრჩევლად და ელჩად”(ლ. გოთ)...

გ.ზოგჯერ —ზე თანდებულის ნაცვლად უმართებულოდ ხმარობენ —გან თანდებულს: „გაზეთის გამოშვება ახალგაზრდებისაგან იყო დამოკიდებული”, ნაცვლად: „გაზეთის გამოშვება ახალგაზრდებზე იყო დამოკიდებული”.

ცნობილია, რომ —თვის თანდებულიანი (ან „გულისთვის” სიტყვიანი) ფორმები წინადადებაში უბრალო დამატებას ან მიზნის გარემოებას აღნიშნავენ, ხოლო —იან სუფიქსიანი (ან „ერთად” და „თანხლებით” სიტყვიანი) სახელები კი —უბრალო დამატებას. მათი ხამარებისას გარკვეული წესების დაცვაა საჭირო, კერძოდ: „გულისთვის” უფრო მეტად გამოიყენება პიროვნების სახელთან, „თვის” კი—არაადმიანთა სახელებთან, მაგ.: „ტყუილად ჩემი გულისათვის თავს ნუ გაიფუჭებ”(ილია); „მე შენი სიკეთისთვის ვარ აქ მოსული”(ილია). მოყვანილ ორივე წინადადებაში სწორად არის ნახმარი —თვის თანდებულიანი სიტყვები. მაგრამ თუ მეორე წინადადებაში „გულისთვის” სიტყვას ჩავამატებთ წინადადება სტილისტურად გაუმართავი გახდება: „მე შენი სიკეთის გულისთვის ვარ აქ მოსული”.

თანაობის უბრალო დამატების გადმოცემისას შეიძლება ერთმანეთს შევუნაცვლოთ თანდებულიანი და უთანდებულო ფორმები. მაგ.: „ბიძაჩემი გვესტუმრა თავის შვილებთან ერთად”, ან „ბიძაჩემი გვესტუმრა შვილების თანხლებით”, ან კიდევ: „ბიძაჩემი გვესტუმრა თავის შვილებიანად”. სამივე ამ ფორმას ვხვდებით ქართულ სალიტერატურო ენაში. ბუნებრივია ვიკითხოთ, თუ რომელს მივანიჭოთ უპირატესობა? ყველაზე გავრცელებულია პირველი წინადადების ტიპი („ბიძაჩემი გვესტუმრა თავის შვილებთან ერთად”), მაგრამ თანაობა შეიძლება გამოვხატოთ მხლებლების (თავის, ერთად) გარეშეც: „ბიძაჩემი შვილებით გვესტუმრა”. ახალ სალიტერატურო ქართულში უფრო მარტივი და მოქნილია ეს უკანასკნელი (მხლებლების გარეშე) სახე, თუმცა შესაძლებელია სხვა კონტექსტში გამოყენებული იქნას —იან სუფიქსიანი, —ურთ თანდებულიანი ან „ერთად” და „თანხლებით” წარმოდ-

გენილი ფორმები. მაგ.: „აგერ ესტატეც გამორჩნდა თავის სტუმრებიანად“ (ვაჟა). ზოგჯერ კი უფრო მოსახერხებელი ჩანს „თანხლებით“ სიტყვიანი კონტექსტი: „შეუძლებელი იყო ქალის თანხლებით იერიშების მიტანა მტრის ალყაზე“ (ლ. ქიან.)...

ასეთი მაგალითები სწორედ მთქმელის ინდივიდუალური სტილით არის ნაკარნახევი.

დ. მრავალფეროვან სტილურ შესაძლებლობებს გვიჩვენებს ქართული ენა მხატვრული განსაზღვრების გამოხატვის მხრივ. ცნობილია, რომ განსაზღვრება გადმოიცემა ძირითადად ზედსართავით, ან მასთან გათანაბრებული სახელებით: მიმდევრათა ფორმებით, არსებითი სახელებით, რიცხვითი სახელებითა და ნაცვალსახელებით. მსაზღვრულ-საზღვრული გვხვდება როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული წყობით, როგორც გათიშული, ისე განკერძოებული სახით.

პირდაპირი წყობა ჩვეულებრივია ახალი ქართულისათვის, მაგრამ სინამდვილის ინდივიდუალური ასახვისას სიტყვის ოსტატები განსაზღვრებას იყენებენ ყველა პოზიციაში: საზღვრულის წინაც და შემდეგაც, საზღვრულთან უშუალო მეზობლობაში (კონტაქტურად) თუ მისგან დაშორებით (დისტანციურად). ასევე ცნობილია, რომ განსაზღვრება წინადადებაში სახელით გადმოცემულ წევრს ახასიათებს რაიმე ნიშნის მიხედვით. ეს ნიშანი სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია და მსაზღვრელის კარგად შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რამდენადაც ეს ეპითეტ-განსაზღვრებანი ბუნებრივი და ადეკვატურია სიტყვის შინაარსისა, იმდენად შთამბეჭდავია სურათი, რომელსაც შემოქმედი ქმნის. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები: შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონი, აკაკი, და სხვანი.

ე. ამაღლებული სტილის გამოსახატავად საუკეთესო საშუალებაა წინადადებაში სინონიმური მნიშვნელობის მქონე წევრები, მაგ.:

სინონიმური შემასმენლები: „სკა ბზუოდა, ხმაურობდა, გუგუნი გაჰქონდა“ (თ. რაზ.)...

სინონიმური ქვემდებარეები: „უსაქმურობა და სიზარმაცე სძლევა დარეჯანს“; „დიდგულობა და ამპარტავნობა უკეთური ადამიანის თვისებაა“...

სინონიმური დამატებები: „შაშვი კიდევ იკვებდა თავის გამჭრიახობასა და მოხერხებულობას“; „მამუკას ხელობა დიდ შრომასა და მუყაითობას მოითხოვდა“ (ღ. გოთ.)...

სინონიმური განსაზღვრებანი: „ერთ უღრან, დაბურულ ტყეში დათვი დაბანაკებულყო“; „მის უფერულ, მკრთალ სახეზე სიხარულის ერთი ძარღვიც არ კრთოდა“...

სინონიმური გარემოებანი: „მუდმივ და განუწყვეტლად წყალი ჩამოჩუხჩუხებდა“ (ილია); „თვალის წინში ეჯდა დარიკოს სახე მუდამ ჟამს, ყოველ წუთს, მარად წამს“ (ვ. ბარნ.)...

მიზანმიმართულად, თავის დროზე და საჭირო ადგილას ნახმარი სინონიმი საგნისა თუ მოვლენის ყოველმხრივი დახასიათების, მოვლენის არსებითი ნიშნების გამოვლენა-გახაზვის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ წინადადებაში ზოგჯერ სინონიმების ნაცვლად ვხვდებით სიტყვათა თუ გამოთქმათა განმეორებას; ზოგჯერ ასეთი განმეორება შთაბეჭდილების გასაძლიერებლად გამოიყენება და ესთეტიკური ფუნქცია აქვს დაკისრებული, მაგ.: „ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენი სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე და, თუ გული გაქვს, გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს—სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სად?“ (ილია)... ზოგჯერ კი განმეორებას ტავტოლოგიის სახე აქვს, ზედმეტია და სტილს აუფერულებს.

სავარჯიშო: ქვემოთ მოყვანილი სინონიმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.

გაძლიერება | მომატება; გაძალიანება | გააკერპება | გაჯიქება; დაღვრება | დანალექიანება | დასევდიანება; გაშრა | გაქვავდა; მოკრძალება | მორიდება; მორევა | ძლევა; უმიზეზოდ | ტყუილბრალოდ დაბერებული | მოხუცებული; უტყვად | უთქმელად | ხმაამოუღებლად...

III. ა. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად მოქმედებითი ბრუნვისაგან ნაწარმოებ განსაზღვრებას მიცემით ბრუნ-

ვაში -ს უნდა დაეუროთო, მაგ.: „ქარხანამ შრომითს აღმავლობას მიაღწია“; „მათს წარმატებითს საქმიანობას ყველა თვალს ადევნებდა“; „დიდი ყურადღება ექცევა შემოქმედებითს საქმიანობას“...

თავიდან უნდა ავიცილოთ ერთგვარი დაბოლოებანი, მაგ.: არ ვარგა: „მოვისმინეთ ქარხნის გეგმის შესრულების შემომოწმებელი კომისიის დასკვნა“. ეს წინადადება ასე შეიძლება გადავაკეთოთ: „მოვისმინეთ დასკვნა კომისიისა, რომელმაც შემოწმა ქარხნის მიერ გეგმის შესრულება“.

შემასმენლების მიხედვით შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრებიც იმავე ბრუნვაში უნდა იყოს წარმოდგენილი, რომელშიც დგას განმაზოგადებელი სიტყვა: „გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს მუშებმა: ახალკაცმა, მგელაძემ, ღლონტმა და აფაქიძემ (და არა: ახალკაცი, მგელაძე, ღლონტი და ა. შ.)“.

ბ. უარყოფითი აზრის გამოსახატავად ქართულში გამოიყენება უარყოფით ნაწილაკთა სამი ძირითადი რიგი: არ, ვერ და ნუ. თითოეულ მათგანს ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქცია ეკისრება: არ კატეგორიულ უარყოფას და ნებასურვილს, ვერ-შესაძლებლობას, ნუ კი-აკრძალვას გადმოგვცემს. ამათ დაემატება აღნიშნული ნაწილაკებით შედგენილი უარყოფითი ნაწილაკები: არავინ, ვერავინ, ნურავინ, არარა, ვერარა, ნურა; უარყოფითი ზმნიშედები: არასოდეს, ვერასოდეს, ნურასოდეს, არსად, ვერსად, ნურსად არაერთი...რომელთაც დაერთვის -და, -ც(ა), -ვე, -მე ნაწილაკები და ვლებულობთ: აღარავინ, არცავინ და მისთ., რომელთაგან ზოგიერთი ახალმა ქართულმა განდევნა და მათ ნაცვლად ახალი ფორმები დაამკვიდრა, ესენია: არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი...

„ძველ ქართულში თუ ერთ-ერთი ზემომოყვანილი უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნიშედა რომელიმე სინტაქსურ ორგანიზაციაში ამოჰყოფდა თავს, იქ მეორე ნაწილაკი საჭირო არ იყო და იგი არც იხმარებოდა, გექონდა მუდამ ერთმაგი უარყოფა“ (ვ. თოფურია). დროთა ვითარებაში ენაში მოხდა ცვლილება, თითქოს შეიცვალა უარყოფის გამომხატველ ენობრივ ერთეულთა ფუნქცია და შესაბამისად გამოყენების წესებიც: თითქოს მათს პირველ შემადგენელ ნაწილაკს

ძალა დაეკარგა და ენა იძულებული გახდა მეორე უარყოფითი ნაწილაკიც ეხმარა, განნდა ორმაგი უარყოფის შემთხვევები. ორმაგი უარყოფა სამწერლობო ენაში ფეხს XI საუკუნიდან იკიდებს.

ორმაგი უარყოფის ფორმების ხმარება სტილური მოვლენაა და უარყოფის ინტენსივობის ამოცანით არის გაპირობებული; ისინი აორკეცებენ უარყოფას: „ჯერ არახდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“ (გ. ტაბ.); „შენი ბრძანებით არსადაც არ წავალ“... თუმცა გვხვდება ერთმაგი უარყოფის შემთხვევებიც: „ასეთი ცა მე ჯერ არსად მინახავს“ (ი. გრიშ).

ახალ ქართულში ორმაგი და ერთმაგი უარყოფა პარალელურად გამოიყენება.

სავარჯიშო 1. რომელიმე მხატვრული თხზულებიდან ამოიწერეთ ერთმაგი და ორმაგი უარყოფის ნიმუშები და გაარკვიეთ მათი სტილური ფუნქცია.

სავარჯიშო 2. მოყვანილ მაგალითებში გაარკვიეთ, განმეორებები ტავტოლოგიას წარმოადგენენ თუ აზრის გასაძლიერებლად გამოიყენებული.

1. გაიგონე, დედა ვარ შენი, დედა! 2. ბადალი არა ჰყავს ამ ქვეყანაზე, ბადალი. 3. ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, არავის. 4. გუმანმა კი წაიღო, გუმანმა აიყოლია მისი გონება. 5. გიორგი დედისგან დატუქსვას, შერისხვას მოელოდა. 6. მას ასე ეკრძალებოდა და უფრთხოდა ყველა. 7. გიორგი წიგნიამეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა. 8. იგი კიბეებზე ჩადიოდა დინჯად, მშვიდად და წყნარად. 9. გლექსკაცისთანა ხარბს, გლექსკაცისთანა გაუტანელს, გლექსკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ნახავს კაცი. 10. იმისმა თვალმა, კესოზედ მიქცეულმა, უფრო სთქვა ხეწნა და ვედრება, ვიდრე ენამ და ხმამ. 11. ოჯახის უფროსობას და მეთაურობას არავინ თმობდა.

სავარჯიშო 3. წინადადებებში წერტილების ნაცვლად ჩასვით შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი „არის“ და „ა“.

1. რა ღამაზი სანახავი... განთიადის სურათი! 2. აქა-იქ მიმოფანტული... დრუბლის ფანტელი. 3. ღამაზი... ტყე განთიადისას. 4. რა გრილი... და სასიამოვნო... ტყე! 5. ნიკა და ვანო

ფრიადოსანი მოსწავლეები... 6. დღე და ღამე გათიშული...და არაფერი ესმის. 7. სახლი გომურს...მიშენებული.

საგარჯიშო 4. გამოიყენეთ -თვის, გულისთვის, -ვით და -ებრ თანდებულებიანი ფორმები და შეადგინეთ სტილისტურად გამართული წინადადებები.

საგარჯიშო 5. ამოიწერეთ მხატვრული თხზულებებიდან მეტაფორული განსაზღვრების მაგალითები და გაარკვიეთ მათი სტილური ფუნქცია.

საგარჯიშო 6. ნებისმიერი ტექსტიდან ამოიწერეთ თანაობის გამომხატველი უბრალო დამატების მაგალითები, სადაც გამოყენებული იქნება თანდებულებიანი და უთანდებულო ფორმები.

საგარჯიშო 7. ქვემოთ მოყვანილ სიტყვებს მოუნახეთ სინონიმები და შეადგინეთ წინადადებები:

უმწეო, მხნე, ბნელი, მართალი, ფეხაკრფით, მკრთალი, მათრობელა, ფრთხილი, მხეცი, სიხარული, გულკეთილი, ძლიერი, ვაჟკაცი, ალალი, ვერაგი, უზნეო.

§12. სიტყვათა რიგი მარტივ წინადადებაში და მისი სტილური ფუნქცია

I. ცნობილია, რომ ქართულ ენაში სიტყვათა რიგი მეტნაკლებად თავისუფალია, მაგრამ ზოგჯერ არ ხერხდება წინადადების წევრთა ადგილების შეცვლა.

ქართულში წინადადების წევრები არსებითად ორი წევრის ირგვლივ ჯგუფდებიან, ესენია შემასმენელი და ქვემდებარე მიმყოლი სიტყვებით და წინადადების სხვა წევრთა ადგილიც ამათ მიხედვით არის განსაზღვრული.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ახალ ქართულში მარტივ წინადადებაში ზმნა-შემასმენელს ბოლო ადგილი უკავია. პროფ. შ. აფრიდონიძემ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა სიტყვათა რიგს მარტივ წინადადებაში. მკვლევარმა საანალიზოდ აიღო XIX-XX საუკუნის

მხატვრული პროზიდან ამოკრებილი მასალები. კელევის ძირითადი შედეგები ასეთია:

ორ, სამ და ოთხწევრა წინადადებაში შემასმენლის ადგილი უფრო ბოლოკიდურ პოზიციაშია („ბუღბუღი გალობს“; „მხატვარი სურათს ხატავს“; „ბებია შვილიშვილს წინდას უქსოვს“...); ხუთ და მეტწევრა წინადადებაში შემასმენელს უპირატესად ბოლოსწინა ან მისი წინამავალი პოზიცია უჭირავს, წინადადების სხვა წევრებს კი შემასმენლის მიმართ პოსტპოზიციური ან პრეპოზიციური პოზიცია, მაგ.: „გაკურპე ბულმა დედამ სახეს არ ამოაბუჭდვინა მწვავე ტკივილი გულისა“ (ილია).

ქვემდებარისათვის ნორმაა თავკიდურა პოზიცია მოკლე წინადადებაში. წინადადების გავრცობასთან ერთად იგი მარჯვნივ გადაიწევა. გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან ქვემდებარე თითქმის ყოველთვის პრეპოზიციურია, გარდაუვალთან კი-პოსტპოზიციური. მაგ.: „კალატოზი სახლს აშენებს“; „დადგა შემოდგომა“; „შემოკლდა დღეები“...

პირდაპირი დამატების ყველაზე გავრცელებული პოზიციაა ბოლოკიდური ან ბოლოსწინა, შემასმენლის მიმართ წყობა – კონტაქტური და პრეპოზიციური.

პირდაპირი დამატება ვითარების გარემოების შემდეგ შემასმენელთან ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული: „მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა“...

ირიბი დამატება მოკლე წინადადებებში მარცხნივია გადაწეული, გრძელში-მარჯვნივ (ბოლოსკენ). თუ წინადადებაში პირდაპირი დამატებაც გვაქვს, მაშინ ირიბი დამატება შემასმენლისაგან გათიშულია და უსწრებს როგორც შემასმენელს, ისე პირდაპირ დამატებასაც, მაგ.: „მამამ გიგას სათამაშო გაუკეთა“.

უბრალო დამატება და ადგილის გარემოება მარტივ წინადადებაში ერთნაირ პოზიციებს იკავებენ. ხშირად მათ ერთი და იგივე თანდებულებაც დაერთვის. ორივე ეს წევრი განაპირა პოზიციას ამჯობინებს: მოკლე წინადადებაში თავკიდურს, გრძელში-ბოლოკიდურს. შემასმენლის მიმართ ისინი დისტანციურ პოზიციაში არიან, ხოლო თუ პოზიცია კონტაქტურია, მაშინ შემასმენლის მიმართ წყობა პოსტპოზიციურია. მაგალითები: „ცაცხვისაგან კარგი გობი კეთდება“;

„ბელურა საკვებს ეძებდა თავისი ბარტყებისათვის...“;
„გათენებისას ძლივს ჩავედით ქალაქში“...

ღროის გარემოება ძირითადად წინადადების თავშია, ამიტომაც იგი უმეტესად დისტანციურ პოზიციაშია შემასმენელთან: „ნავახშმევს სტუმრები გაიკრიფნენ“. ღროის გარემოება უმეტესად წინა პოზიციას ირჩევს.

ვითარების გარემოება შემასმენელთან ყველაზე ახლოს დგას. იგი უფრო მეტად წინ უსწრებს შემასმენელს, ზოგჯერ კი მოსდევს. ძირითადად ამავე პოზიციას ინარჩუნებს ზომადენობის გარემოებაც. მაგ.: „ყმაწვილებს თანდათან ერეოდით სასმელი“; „სამ დღეს თოვდა განუწყვეტილად“.

მიზეზის გარემოება მარტივი წინადადების არამთავარ წევრებს შორის დამოუკიდებლობით გამოირჩევა. იგი დისტანციურად უკავშირდება შემასმენელს. მიზეზის გარემოება, როგორც წესი, თავიკიდურ პოზიციაშია. იგიც, ღროის გარემოების მსგავსად, მთელი წინადადებით გამოხატული მოქმედების მიზეზს გამოხატავს და არა მხოლოდ შემასმენლით გადმოცემული მოქმედებისა: „უჭმელობისაგან სახე გაყვითლებოდა“...

მიზნის გარემოება კი უმეტესად წინადადების ბოლოშია და შემასმენლის მიმართ კონტაქტურად პოსტპოზიციური ადგილი უჭირავს: „ფრინველები თავს იყრიდნენ საზრდოს გულისათვის“...

II. სხვადასხვა სახის კითხვით წინადადებათა ანალიზით გაირკვა, რომ კითხვითი სიტყვის შემცველ კონსტრუქციაში კითხვითი სიტყვა ძირითადად შემასმენლის წინ დგას, ხოლო უკითხვითისიტყვო კითხვით წინადადებაში შემასმენელი ინაცვლებს წინა პოზიციებისაკენ, მაგ.: იყავი სამუშაოზე? არ წარმოგიდგენია გეგმა? ელაპარაკე შენს მეგობარს?... როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევაში კითხვითი ინტონაცია მოდის ზმნა-შემასმენელზე, თუმცა არაა გამორიცხული შემასმენელმა ასეთ წინადადებებშიც დაიკავოს ბოლო ადგილი (შენს მეგობარს ელაპარაკე?). მართალია, ქართულში სიტყვათგანლაგება უმეტესწილად თავისუფალია და განსაზღვრულია იგი როგორც გრამატიკული, ისე რიტმული ინტონაციური და სტილისტიკური ფაქტორებითაც (შ. აფრიღონიძე), მაგრამ, ბუნებრივია, რომ იგი აბსოლუტურად თავი-

სუფალი არაა. წინადადებაში წარმოდგენილ სიტყვათა დალაგების ყველა შესაძლო ვარიანტი ერთნაირი ღირებულების ვერ იქნება: ზოგი ბუნებრივია, საყოველთაოდ გავრცელებული, სტილისტურად დატვირთული, ზოგიც- ხელოვნური, ან სრულიად მიუღებელი.

სიტყვათა რამდენადმე მყარი წყობა გვაქვს გარკვეული სახის წინადადებებში, კერძოდ: განსაზღვრების შემცველ ზოგიერთ წინადადებაში, ასევე მაშინ, როცა სახელზმნით გადმოცემულ წევრს წინ უსწრებს უბრალო დამატება თუ გარემოება. ასეთ წინადადებებში, ჩვეულებრივ, შემასმენლის წინ დგას კითხვითი ნაცვალსახელებითა და კითხვითი ზმნიზედებით გადმოცემული ქვემდებარე-დამატება, გარემოება და სხვ.(ლ. კვაჭაძე).

ქართული ენა მდიდარია მიმოსახრელი აფიქსებით, რომელთა საშუალებითაც მყარდება მიმართება სიტყვებს შორის. ქართული აგლუტინაციურ ენათა რიგს განეკუთვნება, ამითაა გამოწვეული, რომ ქართულში სიტყვათა მყარი რიგის საჭიროება არაა და იძლევა სიტყვათა რიგის შეცვლის დიდ შესაძლებლობებს, რაც ფართოდ გამოიყენება სტილისტიკური მიზნებისათვის. მაგალითად:

1. მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად (შ. რუსთ.);
2. თბილმა, შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო (ილია);
3. ჩემს უხუცეს მმასთან მოვიდა ერთი სნეული (საბა);
4. მწერალი შეუდგა ბრძანების აღსრულებას (დ. კლდ.);
5. სავსე მთვარე უშურველად ჰფენდა ქალაქს თავის ნაზ სულს (ვ. ბარნ.);
6. ჩვენს წინ გადაიშლა მშვენიერი სურათი ქართლისა (ჭ. ლომთ.);
7. დიდრონი ხეები ცას ებჯინებოდნენ (ვაჟა);
8. ის ფიქრობდა თავის ავადმყოფ ქმარზე (შ. არაგვი);
9. ხანჯლით ორგან იყო მსუბუქად დაჭრილი (ნ. ლომ.)...

მოყვანილ წინადადებებში, რომლებშიც მოიპოვება სხვადასხვა სახის განსაზღვრება, უბრალო დამატება და გარემოება, შეუძლებელია წინადადების წევრთა ნებისმიერი თავისუფალი გადაადგილება, მაგ.: „მის გამართეს ყმათა მონათა ხელი შესაპყრობელად“, ან ასე: „გამართეს მის ყმისა მონათა შესაპყრობელად“ და სხვ. როგორც ვხედავთ, სიტყვათა რიგის შეცვლამ აზრი ბუნდოვანი გახადა. თუმცა ზემომოყვანილ წინადადებებში სიტყვათა სხვაგვარი დალაგებაც შეიძ-

ლება, ისე რომ აზრი არ შეიცვალოს, მაგ.: „გამართეს მონათა ხელი მის ყმისა შესაპყრობელად“, ან: „მის ყმისა შესაპყრობელად გამართეს მონათა ხელი“; ანდა: „მის ყმისა შესაპყრობელად გამართეს ხელი მონათა“...

ყოველივე ეს მოქმედის მხატვრული აზროვნებისა და მეტყველების კულტურის მანიშნებელია. თუ როგორ ააგებს წინადადებას მოუბარი პირი, რა თანმიმდევრობით დაალაგებს წინადადების წევრებს, ეს მის გემოვნებაზე დამოკიდებული.

საგარჯიშო: რომელიმე მხატვრული თხზულებიდან ამოიწერეთ მარტივი წინადადებები და ცვალებით მათი წევრების ადგილი, როგორც ეს შესაძლებელია. დააკვირდით სიტყვათა რიგს და გაარკვიეთ მისი სტილური ფუნქცია.

§13. შერწყმული წინადადების სტილური ფუნქცია

შერწყმულ წინადადებაში, მარტივისაგან განსხვავებით, საგნის თუ მოვლენის მრავალმხრივი დახასიათება არის შესაძლებელი.

როგორც ცნობილია, შერწყმულ წინადადებაში ორი ან ორზე მეტი ერთგვარი წევრია წარმოდგენილი და, ბუნებრივია, სტილისტურადაც უფრო მრავალფეროვანია. მაგალითად, ერთგვარშემასმენლიანი წინადადება დინამიურად, სხარტად ახასიათებს ზმნით აღნიშნულ მოქმედებას, მაგ.: „ორად მოხრილი წვივმაგარი არსენა ორთავ ფეხზე წამოღგა, ზურგი აიბურტვა, ცოცხალი ტვირთი გუდასავით აიკიდა და კარისკენ გაიქცა“ (მ. ჯავახ.). ამ ტიპის წინადადებაში შეიძლება გამოისახოს მოვლენათა თანამიმდევრობა, მიზეზ-შედეგობრიობა, ერთდროულობა, დაპირისპირება, ერთ-ერთის შესაძლებლობა და მონაცვლეობა.

ერთგვარქვემდებარიან და ერთგვარდამატებიან შერწყმულ წინადადებაში სახელებით გადმოცემული წევრები მრავალფეროვან სურათს ქმნიან, მაგ.: „პატარა ლეკვების წვალება, ჩიტის ბუდეების ჩამოშლა, წიწილ-კრუხების დაწოკება და სხვა ამგვარები დიდს კმაყოფილებას აგრძნობინებდა მას“ (ნ.

ლომ.); „ათჯერ დასერა მახარამ სომხეთი და ახალციხე, ჯავახეთი და ჭარ-ბელაქანი, არეზი და მტკვრის შესართავი, შექი და შამშადილი, განჯა და ყარაბაღი“ (მ. ჯავახ.); „ქართულ ტკბილ ღვინოს, ვაჟკაცურ შემმატკბილებასა და სასოების მომგვრელ გალობას ბოლო ვერ მოუღო თათრულმა შექაქანებამ“ (აკაკი); „კონსტანტინეს იასონ ჭაუჭავაძე მიჰყვებოდა მხლებლად, მრჩეულად და ელჩად“ (ლ. გოთ.)...

ერთგვარგანსაზღვრებიან შერწყმულ წინადადებებში ერთგვარი წევრები სახელით გადმოცემულ წევრებს ახასიათებენ გარკვეული ნიშან-თვისების მიხედვით, რითაც იქმნება შთაბეჭდავი სურათები, მაგ.: „ლამაზი, მოხდენილი და გულკეთილი გუგუა. მთის საღისის ჩვეულებაზე იზრდებოდა“ (ალ. ყაზბ.); „სწრაფი, გადამწყვეტი და უმცდარი ხელის გამოღება იყო საჭირო“ (ლ. გოთ.); „დედის კეთილი, მიმზიდველი სახე საზარელ ფიქრს დაემახინჯებინა“ (რ. ჯაფ.)...

ერთგვარგარემოებიან შერწყმულ წინადადებაში ხასიათდება ზმნით აღნიშნული მოქმედების დრო, ადგილი, მიზანი, მიზეზი და ხარისხი. მაგ.: „მეტწილ დროს ბელღებში სასიმიწდეებში, საბძლებსა და მარანში ატარებდა“ (ბ. ჩხ.); „თვალისჩინში ეჯდა ჯველს დარიკოს სახე მუდამ ჟამს, ყოველ წუთს, მარად წამს“ (ვ. ბარნ.); „მიდიოდა დრო დაუდგრომლად, შეუყოვნებლად, შეუფერხებლად“ (ვ. ბარნ.); „მეზობლებში ივანე პატივცემული იყო თავისი ჭკუის, პატიოსნებისა და სიმარჯვის გამო“ (ე. ნინოშვი.); „მრავალჯერ შევსულვარ მასთან შესამოწმებლად, ბევრჯერაც გამიფრთხილებია“...

როგორც დასახელებული ნიმუშები გვიჩვენებენ, ერთგვარ წევრებს ეკისრებათ მოვლენის თუ საგნის ამომწურავი სურათის დახატვა, მოქმედების დინამიკის ჩვენება და ექსპრესიულობის ხარისხის ამაღლება. ზოგჯერ ერთ წინადადებაში გვაქვს სხვადასხვა სახის შერწყმული წევრები. ასეთი წინადადებები გამოირჩევიან რიტმულ-მელოდიკური გამომხატველობით, მაგ.:

„სახლში შემოვიდა ჩვენი ძველი ნაცნობი — გლახა ბაქრაძე, მოიხსნა სველი ნაბაღი და მიაყუდა კედელზე, მოიხადა ყაბაღ ახი, უკან, ზურგისკენ გადაიგდო ფაფანაკი, თოფი იქვე მიაყუდა, დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი ტანზევე გაისწორა და ღმილით გადაეხვია მეღანოს“ (აკაკი).

ზოგჯერ ერთგვაროვანი წვერები სინონიმებითაა გამოხატული, რაც უფრო მეტ გამომსახველობას ანიჭებს ფრაზას: „შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიდვრიმა, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო დანადვლიანდა“ (ილია).

ზოგჯერ ყურადღების გასაძლიერებლად ერთგვარ წვერებს ც(ა) ნაწილაკიც დაერთვის: „მთელი თრიალეთი, კახეთი და არაგვიც კი მღეროდა არსენას მამაზე“ (მ. ჯავახ.); „ყმაწვილმა მალე შეაყვარა თავი სახლის პატრონსაც და უბანსაც“ (ვ. ბარნ.); „ქვა ერთი და იგივეა ზაფხულშიც, ზამთარშიც და სხვა დროსაც“ (ი. გოგებ.)...

როგორც ვხედავთ, -ც(ა) ნაწილაკი ყოველთვის ყველა ერთგვაროვან წვერს არ ერთვის.

შერწყმული წინადადება შეიძლება იყოს კავშირიანი და უკავშირო. ერთგვარი წვერების შესაერთებლად მკერთებელი კავშირები გამოიყენება. ზოგიერთი მათგანი სინონიმურ ჯგუფებს ქმნიან, თუმცა ყველანაირ კონტექსტში ერთმანეთის ბადლად არ გამოდგება. ესენია, მაჯგუფებელი და და თუ, მაპირისპირებელი მაგრამ, ოღონდ, თუმცა. მაგალითად: „ახოვნებით და გაბედულებით ლომს არა ნადირი არ შეედრება“ (ი. გოგებ.). აქ ადვილი შესაძლებელია და'ს ნაცვლად თუ ვისმართ: „ახოვნებით თუ გაბედულებით ლომს არა ნადირი არ შეედრება“. ასევე, თუ'ს ნაცვლად და'ს გამოყენება შეიძლება ასეთ წინადადებაში: „დიდძალი ხალხი ირეოდა ქუჩებში თუ (და) მალაზიებში“ (ვ. ბარნ.). მაგრამ ამ კავშირებს ერთმანეთს ვერ შევუნაცვლებთ წინადადებებში: „ღამით და მეორე დღეს დაბა ატალახდა“ (ბ. ჩხ.); „მე სამოკეთოდ მოვედი და არა სამტროდ“ (თ. რაზ.); რისთვის მოსულხარ, მოყვრად თუ მტრადა?“ (ილია)...

როგორც ირკვევა, და და თუ კავშირების თავისუფლად შენაცვლება მაშინ არის შესაძლებელი, როცა ორივე მათგანი მაჯგუფებლის ფუნქციით არის გამოყენებული: „მთა და ველი, ხე თუ ბალახი, ვარდი თუ ასკილი ერთგვარის სიკეკლუცით იჩენდა თავის სიმშენიერეს“ (ე. გაბაშ.). იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში გამოთქმული აზრი გარკვეულ სიზუსტეს მოითხოვს, მაშინ თუ'ს ხმარება აბუნდოვანებს აზრს. მაგ.: „ღამით და მეორე დღეს დაბა ატალახდა“, აქ და'ს

ნაცვლად თუ'ს გამოყენება არ შეიძლება. შდრ.: „ღამით თუ მეორე დღეს დაბა ატალახდა“.

ასევე მაპირისპირებელი კავშირებიც—მაგრამ, თუმცა, ოღონდ ყოველთვის ერთმანეთის მონაცვლედ არ გამოდგება. მათ შეიძლება გარკვეული ცვლილება შეიტანონ წინადადებით გამოხატულ აზრში. მაგ.: „ბარნაბას სათქმელი კიდევ ჰქონდა, მაგრამ ერთბაშად გაჩუმდა“ (კ. ლორთ.). თუ აქ მაგრამ'ს შევეუნაცვლებთ თუმცა'ს, წინადადების აზრი არ დაირღვევა, მაგრამ თუ მათ ნაცვლად ოღონდ კავშირს ვიხმართ, წინადადება გამართული ვერ იქნება: „ბარნაბას სათქმელი კიდევ ჰქონდა, ოღონდ ერთბაშად გაჩუმდა“. ასეთივე მდგომარეობა გვექნება ამ წინადადებაშიც: „დარეჯანი ისევ აწრიალდა, მაგრამ უმაღვე დამშვიდდა“ (ა. გაწერ.). შდრ.: „დარეჯანი ისევ აწრიალდა, ოღონდ უმაღვე დამშვიდდა“. ზემოაღნიშნული კავშირები თავისუფლად შეიძლება შევეუნაცვლოთ ერთმანეთს ასეთ წინადადებებში: „ძლიერ გულკეთილი ქალი იყო ლიზიკო, მაგრამ ამაყი“ (ვ. ბარნ.). შდრ.: „ძლიერ გულკეთილი ქალი იყო ლიზიკო, თუმცა ამაყი“, ანდა: „ძლიერ გულკეთილი ქალი იყო ლიზიკო, ოღონდ ამაყი“. ასევეა: „თვედორემ მორცხვად გაიღიმა, მაგრამ (ოღონდ, თუმცა) ხმის ამოღება მაინც ვერ მოახერხა“ (ე. გაბაშ.)...

მაპირისპირებელი ფუნქციით ზოგჯერ ნახმარია არამედ კავშირი. მას მეტადრე მაშინ იყენებენ, როცა სურთ დაპირისპირება მკაფიოდ გამოჩნდეს, მაგ.: „ზომიერ ცხოვრებას პაპა არა მარტო პატარებისათვის ნდომობს, არამედ დიდებისთვისაც“ (ვაჟა); „არამედ“ გამოიყენება ისეთ წინადადებაშიც, რომლის პირველ ნაწილში უფრო მეტად წარმოდგენილია სიტყვები: „არა მარტო“, „არათუ“, „კი არა“, მაგ.: „მე მოვრთე სახლი არა მარტო ჩემის გემოვნებით, არამედ მიხედულობით“ (ლ. არდაზ.)...

კავშირიან შერწყმულ წინადადებაში ზოგჯერ რამდენჯერმე მეორდება მაერთებელი ფუნქციით აღჭურვილი უარყოფითი ნაწილაკები: არც, ვერც, ნურც და კავშირები: ან, ხან, ოღონდ, თუნდ, რითაც მახვილდება ყურადღება გადმოსაცემ მანაარსზე და მალღდება წინადადების ესთეტიკურ-ემოციური ღირებულება: „არც უღონობამ, არც სიგამხდრემამ, არც სიბერემამ, არც თეთრმა წვერმა,

არც კაცის და არც ღეთის სამართალმა

არ მიპატივეს მოხუცი მამა”(ილია);

„ნუ შეეფარვი ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა”(ნ. ბარათ.);

„...ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა”(შ. რუსთ.);

(ძველ ქართულში მაცალკეებელი კავშირის ფუნქციით იხმერებოდა კავშირი ანუ, ახალში კი ან იხმარება):

„ან მოგიყვან იმ ცხენს

ან თავს შევსწირავ შენს მეგობრობას”(აკაკი);

„ზაზა კი ხან დედას ეხვეოდა, ხან მამას, ხან წამოზრდილ სიაუშს, ხან სუფრაზე შემოსწრებულ მეზობლებს”(ლ. გოთ.).

კავშირი ხან შესანიშნავ ენობრივ საშუალებას წარმოადგენს მოვლენათა დასაპირისპირებლად:

„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,

ხან არც ისა ვარ, არც ისა

გარემოების საყვირი,

ხან მიწისა ვარ, ხან ცისა”(აკაკი).

მაცალკეებელი ფუნქციით გვევლინება გინდ, თუნდ კავშირებიც, რომელთაც ზოგჯერ ც(ა) ნაწილაკი ერთვის: „ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე”(ილია); „შენ თუნდ წადი, თუნდაც დარჩი”(ილია)...

როგორც ვხედავთ, ერთგვარი წვერების შესაერთებლად გამოიყენება შესაბამისი კავშირები. გვაქვს უკავშირო შეერთების შემთხვევებიც, რომლის დროსაც იხმარება ინტონაცია და პაუზა, რაც საშუალებას იძლევა ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვაგვარად გამოიხატოს. სინონიმური კავშირები კი იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. თუ ამ კავშირების ფუნქციასა და ცალკეულ ნიუანსებში კარგად ვერკვევით, არ გაგვიჭირდება წინადადების ისე აგება, რომ მაქსიმალური სიზუსტითა და ექსპრესიით გამოვხატოთ აზრი.

სავარჯიშო 1. ქვემოთ წარმოდგენილ წინადადებებში წერტილების ნაცვლად გამოიყენეთ მაპირისპირებელი კავშირები და აღნიშნეთ პარარელურ კავშირთაგან რომელი უკეთ გამოხატავს სათქმელს.

1. თამარმაც შეიხედა მალღა,....იქ წეროების მეტი ვერაფერი დაინახა (თ. რაზიკ.); 2. ერასტი სამუშაოს ძებნას შეუდგა,....ვერსად ვერაფერს მიაგნო (ბ. ჩხ.); 3. დარეჯანი ისევ აწრიალდა,....უმალვე დამშვიდდა (ა. გაწერ.); 4. გამოლაპარაკება დააპირა,....ისევ დუმილი არჩია (რ. ჯაფ.); 5. გეზი არ აუღია,....რატომღაც მტკვრისაკენ კი წავიდა (გ. აბაშ.)...

სავარჯიშო 2. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში წერტილების ადგილას გამოიყენეთ მაერთებელი კავშირები, ახსენით, რა ელფერი მიიღო წინადადებაში.

1. ნურავის დაზოგავთ:....დიდს,....პატარას,....ბებერს,....ახალგაზრდას; 2. ეს ხმა სიჩუმეს კი არ არღვევს,....რატომღაც ამძაფრებს კიდევაც (ს. კლდ.); 3. ამ საშინელის წამების დროს ძმანი ხერხეულიძენი არამც თუ არ შედრკნენ,....ლომებად გადაიქცნენ (ი. გოგებ.); 4. ცარციტ წერდნენ ხის ფიცარზე,....კურდღლის ფეხით შლიდნენ დაწერილსა (ი. გოგებ.); 5. მისი ხმალი...კრაზანასავით კბზუოდა,....წკეკლასავით შხუოდა,....გველივით სისინებდა (მ. ჯაყახ.); 6. იმღერეთ,....ნუ აბლაველდებით (მ. ჯაყახ.); 7. შენ ასჯერ დამტკიცე შენი ერთგულება, ქველობა...პატიოსნება (მ. ჯაყახ.); 8. იაგო მარჯვე, ყოჩაღი, გულადი...მოაზრებული ბიჭი იყო (ალ. ყაზბ.)...

§14. რთული წინადადების სტილური ფუნქციები

გავრცელებული განმარტებით, რთულია წინადადება, რომელიც ორი ან ორზე მეტი მარტივი ან შერწყმული წინადადებისაგან შედგება და ერთ აზრს გამოხატავს. იგი ორი სახისაა: რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი. ორივე მათგანი შეიძლება იყოს კავშირიანიცა და უკავშიროც. რთულ თანწყობილში გამოიყენება მაერთებელი კავშირები, ქვეწყობილში კი-მაქვემდებარებელი.

ერთი და იგივე აზრი შეიძლება გადმოიცეს როგორც მარტივი, ისე რთული წინადადებებით. მაგალითად ავიღოთ ორი-მარტივი წინადადება:

„სტუმრები გასცდნენ ჭიშკარს. მასპინძელმა შვევით ამოისუნთქა”

თუკი ამ წინადადებებს ერთ მთლიან ერთეულად გავიაზრებთ, მათგან შეიძლება მივიღოთ რთული წინადადების რამდენიმე სახე, მაგ.:

1. სტუმრები გასცდნენ ჭიშკარს და მასპინძელმა შვევით ამოისუნთქა (რთული თანწყობილი);

2. როცა სტუმრები გასცდნენ ჭიშკარს, მასპინძელმა შვევით ამოისუნთქა (რთული ქვეწყობილი);

3. რაკი სტუმრები გასცდნენ ჭიშკარს, მასპინძელმა შვევით ამოისუნთქა (რთული ქვეწყობილი);

4. რადგან სტუმრები გასცდნენ ჭიშკარს, მასპინძელმა შვევით ამოისუნთქა (რთული ქვეწყობილი);

5. ვინაიდან სტუმრები გასცდნენ ჭიშკარს, მასპინძელმა შვევით ამოისუნთქა (რთული ქვეწყობილი);

6. სტუმრები ჭიშკარს რომ გასცდნენ, მასპინძელმა შვევით ამოისუნთქა (რთული ქვეწყობილი);

7. მასპინძელმა მაშინ ამოისუნთქა შვევით, როდესაც სტუმრები გასცდნენ ჭიშკარს (რთული ქვეწყობილი);

8. სტუმრების ჭიშკარს იქით გასვლის შემდეგ მასპინძელმა შვევით ამოისუნთქა (მარტივი გავრცობილი წინადადება).

როგორც ვხედავთ, ერთი წინადადებისაგან რამდენიმე სტრუქტურულად განსხვავებული კონსტრუქცია მივიღეთ, რომლებიც გარკვეული ნიუანსებით განსხვავდებიან, მაგრამ ერთსა და იმავე აზრს გამოხატავენ.

I. სტილისტიკური თვალსაზრისით ერთ რთულ თანწყობილ წინადადებაში ორი მაპირისპირებელი კავშირის ერთდროულად გამოყენება ზედმეტსიტყვაობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამიტომაც უმჯობესია დარჩეს ერთ-ერთი, მაგ.: „დილის მზე ჯერ არსად ჩანდა, მაგრამ მისი სხივები კი ელამუნებოდნენ მწვერვალს”(ი. ევდ.); „მტრედები გაკვრით მიდიოდნენ, ხოლო მწყერი კი მალე დაიღალა და ბალახებში ჩაეშვა”(ვაჟა). აქ წინადადების წვერებს შორის დაპირისპირება ხოლო კავშირით ისედაც კარგად არის გამოხატული, ამიტომაც კი ზედმეტია. აღვნიშნავთ, რომ იგივე დაპირისპირება კი კავშირითაც კარგად გადმოიცემა. ასე რომ, დაპირისპირების აღსანიშნავად ერთ-ერთი მათგანი სავსებით საკმარისია.

როგორც ცნობილია, რთულ თანწყობილ წინადადებებშიც გამოიყენება მაერთებელი (მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი, მაცალკეებელი, მაიგივებელი) კავშირები, რომლებითაც კარგად ხერხდება წინადადების ნაწილებს შორის მიმართების გამოსატვა. თანწყობილ წინადადებაში, ისე როგორც შერწყმულში, გადმოიცემა მოქმედების თანამიმდევრობა, მიზეზ-შედეგობრიობა, ერთდროულობა, მოვლენათა მონაცვლეობა, ერთ-ერთის შესაძლებლობა. მაგალითად, წინადადებაში „მომღერალი ყმაწვილები წინა ურემს დაუსხდნენ და ქარავანი უხიდოს დაღმართზე დაეშვა“ (კ. ლორთ.)- გამოსატულია მოქმედებათა თანამიმდევრობა. მოქმედებათა ერთდროულობა გამოსატულია ასეთ წინადადებაში: „მთელი დღე მეძინა და მთელი ღამე თავზე მადგა თეთრი ქალბატონი“ (ნ. დუმბ.); გამოსატულია მიზეზ-შედეგობრიობა: „ქართველების ბედზე ბრძოლის ველი ვიწრო იყო და ამის გამო ლეკების ბრბოვერ იშლებოდა თავისუფლად“ (ნ. ლომ.); მოვლენათა დაპირისპირება: „დათიკოს მოკვლის სურვილმა ელვასავით გამირბინა ფიქრში, მაგრამ თავი ღავიჭირე, დაეძლიე ეშმაკის ცდუნება“ (ილია); მონაცვლეობა: „ხან ბაბალე წარმოუდგებოდა თვალწინ, ხან გიქო მოაგონდებოდა და ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში“ (ვ. ბარნ.)...

უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში თითქოს თხრობა უფრო დინჯია და არამკვეთრი, თითქოს მკითხველი რაღაცის დამატებას მოელის, წინადადება დაუსრულებლის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგ.: „ბევრი უშალეს, არ დაიშალა“ (აკაკი); „ქარი ქროდა, თოვდა, ნამქერი ტრიალებდა“ (თ. რაზიკ.)... უკავშირო რთული თანწყობილი წინადადებები უფრო მეტად გამოიყენება სურათის აღწერისას, მოვლენათა დახასიათებისას, დაპირისპირებისას. მათი შემასმენლები, როგორც წესი, მეტწილად გადმოცემულია ზმნის ერთი და იმავე დროისა და კილოს ფორმებით (იშვიათად სხვადასხვა ფორმებითაც). ასეთი წინადადების ნაწილებში ზოგჯერ მეორდება სიტყვა, ზოგჯერ კი შეიძლება გეკონდეს საერთო წევრი, მაგ.: „ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება“ (ვაჟა); „ქალს გულს ნისლი გადაჰყოფდა, სევდა მოსწოლოდა, სახე უდიმოდა“ (ვ. ბარნ.). ბოლო წინადადებაში საერთო წევრია „ქალს“.

თუკი საერთო სიტყვა ზმნა-შემასმენელია, მაშინ მომდევნო ნაწილში იგი ტირეთი აღინიშნება: „დღეს ღამე მოსდევს, დარს-ავდარი, ტკბილს-მწარე, სიცოცხლეს-სიკვდილი, ლხინს-მწუხარება, ასეთია წუთისოფელი“ (ვაჟა).

უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება ადვილად გადაკეთდება კავშირიან თანწყობილ წინადადებად შესაბამისი კავშირის აღდგენით, მაგ.: „ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია“ (ილია). თუ ამ წინადადების მეორე ნაწილში დაეშვა ტებთ კი კავშირს, დაპირისპირება მიკვეთრად გამოჩნდება: „ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კი გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია“ (ილია).

ადვილად ხერხდება უკავშირო რთული თანწყობილი წინადადების რთულ ქვეწყობილ წინადადებად გადაკეთებაც, მაგ.: „ქარი ამოვარდა და ზღვა აღელდა“—რთული თანწყობილი წინადადებაა, მისი ქვეწყობილად გადაკეთების შემთხვევაში გვექნება: „რადგანაც ქარი ამოვარდა, ზღვა აღელდა“, ან: „რაკი ქარი ამოვარდა, ზღვა აღელდა“, ან კიდევ: „როდესაც ქარი, ამოვარდა ზღვა აღელდა“ და ა.შ.

სავარჯიშო. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში გაარკვიეთ ნაწილებს შორის მიმართება. ხაზი გაუსვით საკავშირებელ სიტყვებს. თუ ასეთი არაა, აღადგინეთ.

1. სინათლემ თანდათან იმატა, აღმოსავლეთი გაწითლდა“ (ვაჟა); 2. ტრედები გაფრინდნენ, მწყერიც უკან გაჰყვა (ვაჟა); 3. უცრად შავი ღრუბელი გაიპო, მიდამოს უჩვეულო ნათელი მოეფინა (ბ. ჩხ.); 4. მარო გახარებული შინ წავიდა, დაღონებული კაჭკაჭები წნორებზე ჩამწკრივდნენ (თ. რაზ.); 5. ხან მომჩვენა ვაზი ოდიშის, მაღალ ტალავრის მწვანე თაღები, ხან შრიალებდნენ ქართულ ოდის წინ ტოტებდახრილი ვაშლის ბაღები (ი. აბაშ.)...

II. ქართულში მრავალფეროვან სურათს ქმნის რთული ქვეწყობილი წინადადება. მასში მთავარი ადგილი უჭირავს მთავრისა და დამოკიდებულის ურთიერთმიმართებას, მთავრისა და დამოკიდებულის ადგილს, საკავშირებელ და მისათითებელ სიტყვებს, ინტონაციას და სხვა. სშირად ტექსტში

ერთმანეთს ენაცვლებიან რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი, კავშირიანი და უკავშირო წინადადებები, მათ შორის დიდია სტილური განსხვავებაც. უკავშირო რთული ქვეწყობილი და თანწყობილი წინადადებები გარეგნულად ძალზე ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის სხვაობის დადგენა ადვილია, რადგან თანწყობილში არ გვაქვს მთავარი და დამოკიდებული, ხოლო ქვეწყობილში კი ერთზე დამოკიდებულია მეორე, ერთი ხსნის და აზუსტებს მეორეს. მაგ: „მზე ამოვიდა და იქაურობა განათდა“, რთული თანწყობილია, თუმცა მის შემადგენელ ნაწილებს შორის შინაგანი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს, მაგრამ მაინც რამდენადმე დამოუკიდებელ, თანასწორ (თანაბარუფლებიან) წინადადებებს წარმოადგენენ. თუ რომელიმე მაქვემდებარებელ კავშირს გამოვიყენებთ, მაშინ ერთი მთავარ, გაბატონებულ ადგილს დაიჭერს, მეორე კი -დაქვემდებარებულს, მაგ: „როდესაც მზე ამოვიდა, იქაურობა განათდა“. მთავარი არის მეორე წინადადება („იქაურობა განათდა“), პირველი კი მასზე დაქვემდებარებულია.

უკავშირო ქვეწყობილი წინადადებაც (ისევე როგორც უკავშირო რთულ თანწყობილი) დაუსრულებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანში. ასეთი წინადადებები ხშირად გამოიყენება ისეთი ხასიათის თხზულებებში, რომლებშიც მოვლენათა სურათხატოვანი აღწერაა, ან სურთ შეკუმშულად, მოკლედ და სხარტად შეაფასონ მოვლენები, როცა თავს არიდებენ ზედმეტსიტყვაობას, მაგ: „მეშინიან, რამე უბედურება არ აუტეხოს თავის თავს“ (ვ. ბარნ.); „რუსუდანი დარწმუნდა, ირაკლი აღარ ხუმრობდა“ (ვ. ბარნ.). ორივე ამ წინადადებაში თავისუფლად შეიძლება აღვადგინოთ მაქვემდებარებელი „რომ“ კავშირი.

ზოგჯერ უკავშირო წინადადება იმდენად გაურბის უხვმეტყველებას, რომ გამოტოვებული სიტყვების ნაცვლად იძულებული ვართ ტირეები გამოვიყენოთ, მაგ: „მიწამ ყანა გაგიკეთოს-ნუ ჩამოეკიდები, მოგიცდინოს-ნუ შემოსწყრები“ (ხალხ.). მოყვანილი წინადადება სრულად გადმოცემის შემთხვევაში ასეთ სახეს მიიღებს: „თუ გინდა, რომ მიწამ ყანა გაგიკეთოს, ნუ ჩამოეკიდები, რომ მოგიცდინოს, ნუ შემოსწყრები“. წინადადება პირობით დამოკიდებულია. ასეთივეა:

„კახური ვთქვი-ვერაინ მომყვა, ღვინო დავლიე-ყველა გავ-
ლახე, ჯირითში გავედი-უკან დავყარე, სროლა გავმართეთ-
ყველას ვაჯობე, ქალებს გავხედე-ცეცხლი დავანთე“ (მ. ჯა-
ვახ.). წინადადებაში იგულისხმება კავშირი „როცა“. შდრ.
„როცა კახური ვთქვი-ვერაინ გამყვა, როცა ღვინო დავლიე-
ყველა გავლახე, როცა ჯირითში გავედი-უკან დავყარე, როცა
სროლა გავმართე-ყველას ვაჯობე, როცა ქალებს გავხედე-
ცეცხლი დავანთე“.

ჩვეულებრივ, უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში
ადღებება „რომ“ და „თუ“ კავშირები, მაგ.: „ჩვენ ყველამ კარ-
გად ვიცით, მგლები გაუმაძღარნი არიან“ (შდრ. „ჩვენ ყველამ
კარგად ვიცით, რომ მგლები გაუმაძღარნი არიან“); „ქალს
კიდევ ვერ გაეგო, (თუ) რას ლაპარაკობდნენ“ (აღლ. ყაზბ.).

სტილისტურად მრავალფეროვან სურათს გვაძლევს რთუ-
ლი ქვეწყობილი წინადადებები იმ შემთხვევაში, როცა სხვა-
დასხვა კონტექსტში ერთმანეთს ენაცვლება ერთი და იმავე
მიშენელობის საკავშირებელი სიტყვები, მაგ.: დროის გამომ-
ხატველნი: როდესაც, როს, რაწამს, როგორც კი, თუ არა,
რაკი, რა, რომ; მაგ.: ონისემ რაწამს ხელის მიკარება იგრძნო,
როგორღაც შეკრთა“ (აღლ. ყაზბ.). საკავშირებელი სიტყვების
შეცვლის შემდეგ ამ წინადადებაში შეიძლება სხვადასხვა
სახე მიიღოს, კერძოდ:

„ონისემ როგორც კი ქალის მიკარება იგრძნო, როგორ-
ღაც შეკრთა“;

„იგრძნო თუ არა ონისემ ქალის მიკარება, როგორღაც
შეკრთა“;

„ონისემ რომ იგრძნო ქალის მიკარება, როგორღაც შეკრ-
თა“;

„რაკი ონისემ იგრძნო ქალის მიკარება, როგორღაც შეკრ-
თა“;

„იგრძნო რა ონისემ ქალის მიკარება, როგორღაც შეკრ-
თა“...

როგორც ვხედავთ, საკავშირებელი სიტყვების შეცვლით
წინადადებით გადმოცემული შინაარსი არ შეცვლილა, იერსა-
ხე კი რამდენადმე იცვალა. ე. ი. ეს წინადადებები ერთმანე-
თისაგან სტილისტურად განსხვავდება. სათქმელს ყველაზე
უკეთ გამოხატავს ავტორისეული არჩევანი-რაწამს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სინონიმური მნიშვნელობის საკავშირებელი სიტყვების მონაცვლეობა ყოველთვის არაა შესაძლებელი, მაგ.: „სთქვა თუ არა, გადაბრუნდა კედლისკენ“ (აღ, ყაზბ.). „თუ არას“ შეცვლა აქ შეიძლება „რაწამს“ და „როგორც კი“ საკავშირებელი სიტყვებით: „რაწამს სთქვა ეს...“, „როგორც კი სთქვა ეს...“ სხვა საკავშირებელ სიტყვებს თუ გამოვიყენებთ, წინადადებას სიზუსტე დააკლდება, რადგან „როცა“, „რომ“, „რა“ კავშირები ამ კონკრეტულ სიტუაციაში ვერ გამოხატავენ მოქმედების მომენტალურობას („როცა სთქვა ეს გადაბრუნდა კედლისკენ“; „ეს რომ სთქვა, გადაბრუნდა კედლისკენ“; „სთქვა რა ეს, გადაბრუნდა კედლისკენ“), რადგანაც წინადადებაში არ გვაქვს მისათითებელი სიტყვა „მაშინ“. შდრ. „მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა“ (ილია).

როგორც ცნობილია, რთულ ქვეწყობილ წინადადებებში მტკიცედ არაა განსაზღვრული მთავრისა და დამოკიდებულის ადგილი. იგი დაკავშირებულია წინადადების ტიპებთან, მათს აზრობრივ მიმართებასთან, დამოკიდებულის სინტაქსურ ფუნქციასთან მთავართან და ა.შ. ამდენად, გვაქვს ძალზე ჭრელი, სტილურად განსხვავებული სურათი. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ადგილების შეცვლა ზოგჯერ თავისუფლად ხერხდება, ზოგჯერ კი სრულიად შეუძლებელია. მაგ. ავიღოთ რამდენიმე წინადადება:

1) “რაც აქამდე ვთქვი, ყველაფერი გამართლდა” (მ. ჯავახ.). ამ რთულ წინადადებაში შეიძლება ადგილების შეცვლა: „ყველაფერი გამართლდა, რაც აქამდე ვთქვი“.

2). პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება: „ტასიას მოტყუება რომ ადვილი საქმე იყო, ეს კარგად იცოდა გონამ“ (ლ. ქიან.). წევრ-წინადადებათა ადგილების შეცვლით მივიღებთ: „ეს კარგად იცოდა გონამ, რომ ადვილი საქმე იყო ტასიას მოტყუება“. ვფიქრობთ, სტილისტიკურად ავტორისეული წინადადება სჯობს.

3. ირიბ დამატებითი: „ჩხიკვი სრულად არ მოელოდა, თუ მისი სტუმრობა ასეთ თავზარს დასცემდა ქათმებს“ (თ. რაზ.). ადგილების შეცვლით გვექნება: „მისი სტუმრობა თუ ასეთ თავზარს დასცემდა ქათმებს, ჩხიკვი სულაც არ მოელოდა“. აზრი იგივეა, მაგრამ წინადადებას თითქოს რაღაც აკლია.

4. უბრალო დამატებითი: „გვადი იმაზე ფიქრობდა, თუ საით წასულიყო: ქალაქში, ბაზრობაზე თუ შინისაკენ”(ლ. ქიან.). ადგილების შენაცვლებით მივიღებთ: „თუ საით წასულიყო: ქალაქში, ბაზრობაზე თუ შინისაკენ, გვადი იმაზე ფიქრობდა”.

5. განსახლვრებითი: „როგორც ავთანდილი შენ იყავ, იმისთანა შერმადინობა გაგიწიე”(ილია). მთავარი რომ წინ გადმოვიტანოთ, გვექნება: „იმისთანა შერმადინობა გაგიწიე, როგორც ავთანდილიც შენ იყავ”.

6. გარემოებითი. ა. ადგილის: „საცა ქაერი ორთქლით ღარიბია, იქ თხელი ნამი იცის”(ი. გოგებ.). წვერ-წინადადებათა გადაადგილებით მივიღებთ: „იქ თხელი ნამი იცის, საცა ქაერი ორთქლით ღარიბია”.

ბ. დროის: „როგორც კი ტარიელი ბუკაძის სახლს დაუახლოვდა, ლევანმა მთელი არსებით იგრძნო თავისი უძლურება”(ლ. ქიან.). ადგილების შენაცვლებით მივიღებთ: „ლევანმა მთელი არსებით იგრძნო თავისი უძლურება, როდესაც ტარიელი ბუკაძის სახლს დაუახლოვდა”.

გ. ვითარების: „ურმები ისე იყო დაჭვდილი ბარგით, საცოდავ საქონელს მოძრაობა უჭირდებოდა”(აღ. ყაზბ.). შდრ. „საცოდავ საქონელს მოძრაობა უჭირდებოდა, ურმები ისე იყო გაჭვდილი ბარგით”.

დ. მიზეზის: „რადგან შენ მე მომეხმარე, მეც შემოგზღავ”(საბა). შდრ. „მეც შემოგზღავ, რადგან შენ მე მომეხმარე”.

ე. მიზნის: „გულიდან დარდი რომ გადაეყარა, იქაურობას გაეცალა”(ბ. ჩხ.). შდრ. „იქაურობას გაეცალა, გულიდან დარდი რომ გადაეყარა”.

7. პირობით დამოკიდებულებით: „გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა”(ილია). შდრ. „თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა, გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა”.

8. დათმობით დამოკიდებულებით: „ყოველთვის თავის მამულზე ლაპარაკობდა, თუმცა ადლი მიწა არსად მოექეოდა”(ვ. ბარნ.). შდრ. „თუმცა ადლი მიწა არსად მოექეოდა, ყოველთვის თავის მამულზე ლაპარაკობდა”.

როგორც ვხედავთ, აქ არ ჩანს შედეგობით დამოკიდებუ-
ლი წინადადება, რადგან ასეთ წინადადებაში დამოკიდებულს
ყოველთვის მომდევნო ადგილი უჭირავს (მთავარი+დამოკი-
დებული); „ბიძაჩემი ადრე გაპარულიყო სანადიროდ, ისე რომ
ჩვენებს ვერავის გაეგო იმისი წასვლა“ (ევაჟ).

თუ დამოკიდებულ წინადადებას იწყებს „რომ“ და „რომე-
ლიც“ მაქვემდებარებელი კავშირები, ასეთ შემთხვევაში და-
მოკიდებული წინადადება ვერ მოექცევა თავში, თუმცა იშვი-
ათად „რომ“ კავშირიანი დამოკიდებული წინადადება შეიძ-
ლება იწყებდეს რთულ კონსტრუქციას: „რომ ბედში მყოფი
შენ ძმად მიგაჩნდეს, ვგ ვერაფერი სიყვარულია“ (ილია).

რთული ქვეწყობილი წინადადების წევრ-წინადადებების
ადგილების შეცვლა არ შეიძლება მაშინაც, როცა დამოკიდე-
ბული მთავარშია მოქცეული, მაგ.: „ელისო, რომელიც წყა-
როსთან იჯდა, ეძლეოდა მწუხარებას“.

ხშირად მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისათვის
ადგილების შეცვლა იწვევს მათ შორის დამყარებული მიმარ-
თების დარღვევას და აზრის გაბუნდოვანებას, მაგ.: „თალი-
კოც წამოხტა, მაგრამ ბილიკზე მომავალს რომ გახედა,
მეისვე შედგა“ (კ. ლორთ.). თუ დამოკიდებულს წინ გადმოვ-
სვამთ მივიღებთ: „მაგრამ ბილიკზე მომავალს რომ გახედა,
მეისვე შედგა, თალიკოც წამოხტა...“ როგორც ვხედავთ,
აზრი დაირღვა.

რთული წინადადების წევრ-წინადადებათა ადგილების
შეცვლა არ შეიძლება ისეთ წინადადებაშიც, რომელშიც მოქ-
მელებათა თანმიმდევრობაა გამოხატული.

კიდევ უფრო რთულადაა საქმე, როცა ერთ მთავართან
რამდენიმე ერთგვარი ან არაერთგვარი დამოკიდებული წინა-
დადება გვაქვს. მაგ.: „რომ დაასრულა ეს ნატვრა, ნახა, რომ
ფრთები ესხმება“ (აკაკი). ერთ მთავართან (ნახა) დაკავშირე-
ბულია ორი სხვადასხვა სახის (დროის გარემოებითი და
პირდაპირდამატებითი) დამოკიდებული წინადადება.

„როცა ხალხი ქუჩაში გამოეფინა, ვიღაც უცნობმა მან-
დილოსანმა, რომელსაც მკერდთან ღრმად ამოჭრილი კაბა
ეცვა, თეთრი სახე და ლაჟვარდოვანი თვალები აქონდა, ხალ-
ხის ტალღა გაარღვია და შამილთან მიიჭრა“ (ა. გაწერ.). ამ
წინადადების წევრ-წინადადებათა ადგილების შეცვლა არ

ხერხდება. კონსტრუქცია იწყება დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით („როცა ხალხი ქუჩაში გამოეფინა), რომელსაც მოსდევს მთავარი („ვილაც უცნობმა მანდილოსანმა ხალხის ტალღა გაარღვია და შამილთან მიიჭრა“), რომელიც გათიშულია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით („რომელსაც მკერდთან ღრმად ამოჭრილი კაბა ეცვა, თეთრი სახე და ლაჟვარდოვანი თვალები ჰქონდა“), რომელიც, თავის მხრივ, ერთგვაროვანი წვერებისაგან შედგება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გამოთქმული აზრი უფრო ნათელია მაშინ, როცა გამოყენებულია მისათითებელი სიტყვები და მაქვემდებარებელი კავშირები. ზოგჯერ წინადადებაში შეცვლილია მისათითებელი სიტყვებისა და კავშირების ადგილი განსაკუთრებით ეს ითქმის „რომელიც“ საკავშირებელ სიტყვაზე. აზრის სიზუსტის თვალსაზრისით „რომელიც“ წვერ-კავშირი უშუალოდ უნდა მოსდევდეს ასახსნელ სიტყვას, სხვა შემთხვევაში მოგვიხდება სიტყვის განმეორება ან მივიღებთ ორაზროვნებას. მაგ.: 1. „ცოცხალი გოჭები უკანა ფეხებით ეჭირათ, რომლებიც საშინლად ჭკვიტინებდნენ (შ. არაგვ). აქ ასახსნელი სიტყვა არის „გოჭები“, რომელიც დაშორებულია წვერ-კავშირისაგან „რომელიც“. უმჯობესია წინადადება გაიმართოს ასე: „ცოცხალი გოჭები, რომლებიც უკანა ფეხებით ეჭირათ, საშინლად ჭკვიტინებდნენ“

2. „იმ სიმაღლე დედაკაცი ხანდახან მარტო ჯუბას ჩაიცვამდა, ჯუბას, რომელიც ერთი-ორად სიმაღლეს უმატებდა“ (ვაჟა). რა თქმა უნდა, სჯობს დამოკიდებული წინადადების წვერ-კავშირი უშუალოდ მოსდევდეს ასახსნელ სიტყვას: „იმ სიმაღლე დედაკაცი ხანდახან მარტო ჩაიცვამდა ჯუბას, რომელიც ერთი-ორად სიმაღლეს უმატებდა“. თუმცა ყოველთვის ეს არ ხერხდება. მაშინ აუცილებელია ასახსნელი სიტყვის განმეორება, მაგ.: „ჩვენი მეომრები ფხიზლად დგანან სამშობლოს სადარაჯოზე, სამშობლოს, რომელიც ესოდენ ძვირფასია თითოეული მათგანისათვის“. ასახსნელი სიტყვის განმეორების გარეშე წინადადება სხვა შინაარსს მიიღებს: „ჩვენი მეომრები ფხიზლად დგანან სამშობლოს სადარაჯოზე, რომელიც ესოდენ ძვირფასია თითოეული მათგანისათ-

ვის". ამ შემთხვევაში ძვიფასია „სადარაჯო“ და არა „სამ-
შობლო“.

ისე როგორც თანწყობილ წინადადებაში, ქვეწყობილშიც
ზოგჯერ მოიპოვება საერთო წევრი, რომელიც შეიძლება
შეგვხვდეს როგორც მთავარში, ისე დამოკიდებულში. ასეთ
შემთხვევაში უმჯობესია, რომ ეს საერთო წევრი მთავარში
მოვათავსოთ, მაგ.: „რაწამს კაცმა თვალი მოჰკრა მომავალ
ჯარს, მაშინვე თოფი ჰაერში გაისროლა“ (აღ. ყაზბ.); „ქაღმა
დაინახა თუ არა უცხო კაცი, ვახვახით კედელს მიეკრა“ (აღ
ყაზბ.); „დათვი გამოვიდა თუ არა, შესდგა და ბლუილით
დაღუნა თავი“ (აღ. ყაზბ.)... უკეთესი იქნება მოყვანილი წინადა-
დებები ასე გაიმართოს: „რაწამს თვალი მოჰკრა მომავალ
ჯარს, კაცმა მაშინვე თოფი ჰაერში გაისროლა“; „გამოვიდა
თუ არა, დათვი შესდგა და ბლუილით დაღუნა თავი“; „დაი-
ნახა თუ არა უცხო კაცი, ქალი ცახცახით კედელს მიეკრა“...
თუმცა ზოგჯერ სჯობს საერთო წევრი დამოკიდებულში
იყოს წარმოდგენილი.

თუ უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ჩავსვამთ
სხვადასხვა საკავშირებელ სიტყვებს, მივიღებთ სვადასხვაგ-
ვარ წინადადებას. მაგ.: თუ წინადადებაში მაერთებელ კავში-
რებს ვიხმართ, წინადადება რთულ თანწყობილად გადაკეთ-
დება: „ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცი ვიყავით, ხმალი უნდო-
და, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა,
ომის საქმენი ვიცოდით“ (ილია). თუ აქ მაერთებელ და'ს
გამოვიყენებთ, წინადადება რთული თანწყობილი გახდება:
„ვაჟკაცობა უნდოდა და ვაჟკაცი ვიყავით, ხმალი უნდოდა
და ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა
და ომის საქმენი ვიცოდით“. ხოლო თუ მაქვემდებარებელ
„როცა'ს“ გამოვიყენებთ, წინადადება სხვა სახეს მიიღებს:
„როცა ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცი ვიყავით, როცა ხმალი
უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, როცა ომის საქმეთა ცოდნა
უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით“...

რა თქმა უნდა, სხვადასხვა სტრუქტურის წინადადება
სტილისტიკურად განსხვავებულია. ასე იქმნება ინდივიდუალ-
ლური სტილი.

წინადადებაში ზოგჯერ ადგილი აქვს მაქვემდებარებელ
კავშირის არამიზნობრივ გამოყენებას. ავიღოთ ასეთი ნიმუშე-

ბი: „რომელიც წინ წავიდა, ცოცხალი არ დაბრუნებულა“;
„რომელმაც ხმა ამოიღო, დაიჭირეს“; „რომელსაც ეჩქარებო-
და, გაატარეს“; „რომელმაც ეს ამბავი მოიტანა, დაასაჩუქ-
რეს“; „რომელზედაც იმედს ვამყარებდი, იმან მიღალატა“ და
სხვ. მათში არასწორადაა ნახმარი კავშირი „რომელიც“ სხვა-
დასხვა ფორმით. აზრი გაიმართება თუ „რომელიც“ კავშირის
ნაცვლად გამოვიყენებთ „ვინც“ წვერ-კავშირს სხვადასხვა
ბრუნვის ფორმით:

„ვინც წინ წავიდა, ცოცხალი არ დაბრუნებულა“;

„ვინც ხმა ამოიღო, დაიჭირეს“;

„ვისაც ეჩქარებოდა, გაატარეს“;

„ვინც ეს ამბავი მოიტანა, დაასაჩუქრეს“;

„ვისზედაც იმედს ვამყარებდი, იმან მიღალატა“...

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოყვანილი წინადადებები გაასწო-
რეთ და ისე გადაიწერეთ.

1. არსენა ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში ვერა-
გულად დაეცა, რომელსაც სიკვდილის წუთებშიც გლეხკაცო-
ბა ედგა. 2. რომანში აღწერილია გლეხთა მოძრაობა არსენას
ხელმძღვანელობით, რომელიც მიმართული იყო თვითმპყრო-
ბელობის წინააღმდეგ. 3. პირველად გიორგი გამოუშვეს, რო-
გორც პენსიონერი იყო. 4. ხელმწიფეს რომ ჰყავდა დაბარებუ-
ლი, პირველად ის კაცი მოვიდა. 5. მცხეთაში არსენას ხედე-
ბიან თავისი მტერი კუჭატნელი და მისი ამხანაგი გამზათი,
სადაც არსენას კლავენ. 6. დიასახლისი შეუდგა სარეცხის
რეცხვას, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. 7. ლევანის მეგობა-
რი ბეჟანა ყველაზე მეტს მუშაობდა, იმიტომ რომ დასუსტე-
ბული ტარიელისათვის შრომა შეემსუბუქებინა.

ზოგიერთი საენათმეცნიერო ტერმინის განმარტება

-ა-

აბრევიატურა—(ლათ. **abreviatura**) შეკვეცა, შემოკლება; წერისას სიტყვების პირობითი შეკვეცა.

ალბანური დამწერლობა—ერთ-ერთი იბერიულ-კავკასიური ენის დამწერლობა. აღმოაჩინა ილ. აბულაძემ.

ალფაბეტი—იგივეა, რაც ანბანი.

ალეგოპალატარული თანხმოვანი—სასა-ნუნისმიერი თანხმოვანი.

ანბანი-ასოთა ერთობლიობა. ასოები გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული.

ანტონიმი—(ფრანგ. **antonymes**) სიტყვა, რომელსაც სხვა სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს.

არქაიზმი—(ბერძ. **archaios**) ძველი, ძველებური...

ასიმილაცია—(ლათ. **asimilatio**) ერთი ბგერის მეორესთან დამსგავსება სრულად, ან რაიმე ნიშნის მიხედვით.

ასომთავრული—ქართული დამწერლობის უძველესი სახე, უწოდებენ მრგლოვანსაც.

აფიქსი—(ლათ. **affixus**) ბგერა, ან ბგერათკომპლექსი, რომელიც დაერთვის სიტყვას და უცვლის მას მნიშვნელობას ან ფორმას. აფიქსი ორგვარია—მნიშვნელობის მცვლელი და დამოკიდებულების აღმნიშვნელი.

აფრიკატი—ხშულნაპრალოვანი თანხმოვნებისაგან შემდგარი ერთი რთული თამხმოვანი: ძ=დ+ზ; ც=თ+ს; წ=ტ+ს; ჯ=დ+ჟ; ჩ=თ+შ; ჭ=ტ+შ.

-ბ-

ბაგისმიერი ბგერა—მის წარმოთქმაში აქტიურად მონაწილეობს ბაგეები, ასეთებია ბ, ფ, პ, მ.

ბგერა-ჰაერის ნაწილაკთა განსაზღვრული რხევითი მოძრაობა, შეგრძნობილი სმენით.

ბგერის დაკარგვა—როცა მოსალოდნელი ბგერა სიტყვაში აღარ მოიპოვება, ამოვარდნილია.

ბგერის განვითარება—სიტყვაში განვითარდება ხოლმე ახალი ბგერა, რომელიც არაა მოსალოდნელი მოცემულ სიტყვაში.

ბიბლია (ბერძ. **biblia**) ქრისტიანული ეკლესიის მიერ აღიარებული საღმრთო წიგნები, ე. წ. „საღმრთო წერილი“. ქრისტემდე დაწერილი ბიბლიის წიგნები იწოდება „ძველ აღთქმად“, ქრისტეს შემდეგ დაწერილი კი — „ახალ აღთქმად“.

ბოლნისის სიონის წარწერები—V-VI საუკუნეების უძველესი ასომთავრული წარწერები ბოლნისის სიონზე.

-ბ-

გათიშული მსაზღვრელი—როცა მსაზღვრელი საზღვრულსაგან გათიშულია წინადადების სხვა წევრით ან სიტყვათა ჯგუფით.

გარდამავლობა—ზმნის ფუნქცია, როცა სუბიექტი I სერიის ფორმებთან სახელობითში დგას, ობიექტი კი-მიცემითში, II სერიის ფორმებთან კი სუბიექტი მოთხრობითში გადადგება, პირდაპირი ობიექტი კი სახელობითში.

გარემოება—წინადადების არამთავარი წევრია, რომელიც აღნიშნავს ზმნით აღნიშნული მოქმედების ადგილს, დროს, მიზეზს, მიზანს, ვითარებას...

გვარი—ზმნის ფორმაა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის, მაგ. აბოლებს, ბოლდება, ბოლავს.

გრამატიკოლოგია—(ბერძ. **grammatologia**) მეცნიერება დამწერლობის თეორიისა და ისტორიის შესახებ.

-დ-

დამატება—წინადადების წევრი, რომელიც აღნიშნავს სამოქმედო საგანს, ე. ი. ისეთ საგანს, რომელზედაც მოქმედებენ, რომლისთვისაც მოქმედებენ, ან კიდევ რომლითაც მოქმედებენ.

დიალექტი—(ბერძნ. **dialektos**) კუთხური მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობა.

დიალექტიზმი—ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური, გრამატიკული თუ ლექსიკური თავი-

სებურება, რომელიც გამოიყენება სალიტერატურო ენაში ადგილობრივი თუ სოციალური კოლორიტის დასახატავად.

დისიმილაცია—(ლათ. **dissimilatio**, განმსგავსება) ფონეტიკური მოვლენა, როდესაც სიტყვაში ორი ერთგვარი ან მსგავსი ბგერები განემსგავსებიან ერთმანეთს.

-ე-

ემფატიკური ხმოვანი—(ბერძნ. **emphatikos** გამომეტყველებითი), გამოიყენება ბრუნვის დაბოლოების სავრცობი ა ელემენტის სახელად.

ენისწვერისმიერი ბგერა—გამოითქმის ნუნების მიმართ ენის წვერის აქტიური მონაწილეობით, მაგ. ჟ-შ.

ეტიმოლოგია—(ბერძ. **etimos** ჭეშმარიტი, ნამდვილი. **logos**- მოძღვრება) ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვის წარმოშობას, მის შედგენილობას და თავდაპირველ მნიშვნელობას.

-ე-

ველარული ბგერა—რბილსასისმიერი ბგერა

ვოკალური—(ლათ. **vokalis**) ხმოვანი

-ზ-

ზმნისართი—სიტყვა, რომელიც აღნიშნავს, თუ სად, როდის, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება

ზმნისწინი—იგივე პრევერბი. ზმნის წინა ნაწილი, რომელიც აღნიშნავს გეზს, ორიენტაციას, აწარმოებს სრულ ასპექტს და ახალ ფუძეს. ზმნისწინებია: მი, მო, ა, და, ჩა, შე, გა, გადა, წა...

-თ-

თემა—ზმნის ბაზისი, რომელზედაც დაყრდნობილია პირველი ან მეორე სერიის მწკრივთა ფორმები.

თემის ნიშანი—სუფიქსთა ჯგუფი, რომელიც გამოიყენება I სერიის ფორმათა საწარმოებლად. თემის ნიშნებია ი, ავ, ამ, ებ, ობ, ემ, ოფ.

-ი-

ინდო-ევროპული ენები—მონათესავე ენათა ოჯახი, რომელშიც შედის ინდური, ირანული, ბერძნული, სლავური, რომანიული, გერმანული და სხვა ენები.

-კ-

კავშირი—დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა, რომელიც აკავშირებს წინადადების ორ წევრს, ან ორ წინადადებას.

კაუზატივი—(ლათ. **kauza**) ზმნა, რომლითაც გამოხატულია არა უშუალოდ სუბიექტური პირის მოქმედება, არამედ მოქმედება სხვა პირის მეშვეობით; კაუზატიური ზმნებია: აჭრევენებს, აკლევინებს, ათეთრებინებს...

კბილისმიერი თანხმოვანი—ბგერა, რომელიც წარმოითქმება ენის წვერის კბილებთან მიბჯენით. დ, თ, ტ კბილისმიერი ბგერებია.

კილოკავი—კილოზე უფრო მცირე ენობრივი ერთეული, დიალექტის ფარგლებში არსებული მეტყველების სხვაობა. მაგ. იმერულში გამოიყოფა ზემომიერული და ქვემომიერული კილოკავები.

კლასიკური ბერძნული—ძველი ბერძნული ენა.

კონსონანტური სისტემა—დამწერლობა, რომელშიც ნიშნები მხოლოდ თანხმოვანთათვის არის შექმნილი, ხმოვანთათვის კი —არა. მაგ. ძველი სემიტური დამწერლობა.

კონტაქტი—ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის ჩარევით: აკეთებს ან აკეთებინებს

კონფიქსი—(ლათ. **confixum**) ორი აფიქსი, უპირატესად პრეფიქს-სუფიქსი, რომელთაც ერთი ფუნქცია აქვთ: სა-ო, სა-ე...

-ლ-

ლარინგალური ბგერა—ხორხისმიერი ბგერა.

ლურსმული დამწერლობა—დამწერლობა, რომელიც იყენებს სოლისებურ (ლურსმნისებურ) ნიშნებს. ასეთი დამწერლობა ჰქონდათ ბაბილონელებსა და ასურელებს, ასევე ხეთებს, სირიელებს, შუმერებს და სხვა.

-მ-

მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი-ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მსაზღვრელი საზღვრულის შემდეგ დასმული და ხელახლა ნაბრუნები: სახლი ქვისა, სურათი მამისა...

მარტივი შემასმენელი-ზმნის პირიანი ფორმით გადმოცე-
მული მსაზღვრელი.

...მართული მსაზღვრელი-მსაზღვრელი, რომელიც ყოველ-
თვის ნათესაობითში დგას და მართულია საზღვრულის მიერ.

მარცვალი-ხმოვანი, ან ჯგუფი ხმოვნისა და თანხმოვნისა,
რომელიც ჰაერის ერთი ტალღით წარმოითქმება.

მასდარი-იგივეა, რაც საწყისი.

მახვილი-სიტყვის ელემენტთა გამოყოფა-გამოჩინება ან
მათი დაპირისპირება სიძლიერე-სიმაღლით და ამათი მოდუ-
ლაციით. სიძლიერის მახვილს დინამიკური მახვილი, ხოლო
სიტყვის ნაწილის სიმაღლით გამოყოფა გამოჩინებას ან მის
მოდულაციას მუსიკალური ანუ ტონური მახვილი ეწოდება.

მეტათეზისი-ბგერათგადასმა.

მიმღეობა-ზმნის უუღლებადი ფორმა, რომელიც იბრუნვის
და ისეა გამოიყენებული, როგორც ზედსართავი სახელი: მოჭ-
რილი, დაუჭრელი...

მონათესავე ენები-ენები, რომელთაც საერთო წარმომავ-
ლობა აქვთ, მომდინერეობენ ერთი ფუძე-ენისაგან.

მორფოლოგია-(ბერძ. *morphe*-ფორმა, *logos*-სიტყვა, მოძ-
ღვრება), გრამატიკის დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვის
ფორმაცვალების წესებს.

მჟღერი ბგერა-ბგერა, რომლის წარმოთქმისას სახმო
სიმები პერიოდულად ჟღერენ. ქართულში ასეთი 18 ბგერაა,
აქედან 13 თანხმოვანია და 5 ხმოვანი.

მრგვლოვანი-ქართული დამწერლობის სახეობა. იგივეა,
რაც ასომთავრული.

მწიგნობრობა-წარა-კითხვა.

მხატვრული სტილი-სიტყვიერ საშუალებათა ერთობლიო-
ბა, რომელიც ემოციური მეტყველებით ქმნის სინამდვილის
სურათს მხატვრულ თხზულებაში.

მხედრული ანბანი-ქართული დამწერლობის სახეობა,
რომელსაც დღეს ვიყენებთ.

-6-

ნაზმნარი სახელი-იგივეა, რაც ზმნისაგან ნაწარმოები სახელი.

ნაპრალოვანი ბგერა-საწარმოთქმო ორგანოების ერთმანეთთან ძლიერ მიახლოებით წარმოთქმული ბგერა.

ნასახელარი ზმნა-სახელისაგან ნაწარმოები ზმნა.

ნეოლოგიზმი-(ბერძ. **neos**-ახალი, **logos**-სიტყვა) ახალი სიტყვა, ახალი ცნება, ახალი ტერმინი...

ნუსხური ანბანი-ქართული დამწერლობის სახე, რომელიც ჩამოყალიბდა IX საუკუნიდან ასომთავრულის შემდგომი განვითარების შედეგად.

-ო-

ობიექტი-(ლათ. **objectum**-საგანი) დამატება.

ოთხთავი-სახარების ძველი ქართული სახელწოდება.

ომონიმი-(ბერძ. **homos**-ერთნაირი, **onuma**-სახელი) სიტყვა, რომელიც ბგერითი შედგენილობით ერთნაირი სხვა სიტყვას, მნიშვნელობითა და წარმომავლობით კი განსხვავდება.

ორთოგრაფია-(ბერძ. **ortos**-სწორი, **grapxo**-ვწერ) იგივეა, რაც მართლწერა.

ოშკის ბიბლია-ოშკში შექმნილი ბიბლიის რედაქცია.

-პ-

პალეოგრაფია-(ბერძ. **palaios**-ძველი, **grapho**-ვწერ), იგივეა, რაც დამწერლობათმცოდნეობა, სხვაგვარად გრამატოლოგია.

პარონიმია-(ბერძ. **para**-ახლოს, **onuma**-სახელი) ისეთი მოვლენა, როცა ორი სიტყვა, რამდენაღმე ერთნაირი ბგერადობისა, შეცდომით ერთი-მეორის ნაცვლად იხმარება: ბოცმანი და ლოცმანი...

პარხლის ოთხთავი-გადაუწერათ 973 წელს შატბერდში და შეუწირავთ პარხლის მონასტრისათვის.

პირი-ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს მოუბარს, ან იმას, ვისაც მიმართავს მოუბარი, ან კიდევ იმას, ვინც ან რაც არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა.

პოსტპოზიცია—(ლათ. **post** —შემდეგ და **positio**—მდგომარეობა) სიტყვის მდგომარეობა იმ სიტყვის მიმართ, რომელსაც იგი უშუალოდ უკავშირდება.

პრაენა—წინარე ენა

პრევერბი—იგივეა, რაც ზმნისწინი

პრეპოზიცია—როცა მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს

პრეფიქსი—(ლათ. **praefixus**) თავსართი.

პრეფიქს-სუფიქსი—თავსართ-ბოლოსართი.

-ჟ-

ჟარგონი—(ფრანგ. **jargon**) რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის, კლასის...თავისებური მეტყველება

ჟესტი—(ფრანგ. **geste**, ლათ. **gestus**-სხეულის მოზრაობა) სხეულის ნაწილების, განსაკუთრებით ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; ჩვეულებრივ თან ახლავს ბგერითს ენას.

-რ-

რედუქცია —(ლათ. **reducere**) ბგერის დასუსტება მის სრულ დაკარგვამდე.

რთული სახელი—იგივეა, რაც თხზული სახელი.

-ს-

სამეულები—სამი ცალისაგან შემდგარი ერთეული. მაგ. თანხმოვანთა სამეულები: დტტ, გკქ...

სამეტყველო ბგერა—იგივეა, რაც ფონემა. სიტყვის უმარტივესი ელემენტი.

სასვენი ნიშანი— წერისას გამოყენებული გრაფიკული ნიშნები-წერტილი (.), მძიმე (.), ორწერტილი (:), ტირე (-), წერტილ-მძიმე (;)...

საშუალი ქართული—იგულისხმება XII-XIII საუკუნეების ქართული სამწერლობო ენა.

სახელზმნა—სიტყვა, რომელიც შიდავს სახელის ნიშნებსაც და ზმნისაც. სახელზმნას ზმნის კატეგორიათაგან აქვს გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, კონტაქტი...სახელზმნა იბრუნვის.

საწყისი—ზმნისაგან ნაწარმოები არსებითი სახელი.

სინონიმი—(ბერძ. **synonymos** სახელმსგავსი, თანასახელი, მსგავსნიშნიანი) ფორმით განსხვავებული, მნიშვნელობით მსგავსი სიტყვა; მაგ.: კომში-ბია...

სპირანტი—ნაპრალოვანი თანხმოვანი

სუბიექტი—(ლათ. **subjectum**) გრამატიკაში იხმარება ქვემდებარის ნაცვლად.

სუბსტიტუცია—ბგერათა შენაცვლება: ნავთი-ნაფთი.

სუფიქსი—(ლათ. **suffixum**) სიტყვის ძირის შემდეგ მოთავსებული აფიქსი, ბოლოსართი.

-ტ-

ტაქტოლოგია—ერთისა და იმავე სიტყვების, გამოთქმებისა და აზრების გამეორება.

ტროპი—(ბერძ. **tropos**)_მხატვრული გამოსახვის ხერხი, სიტყვა ან გამოთქმა, ნახმარი გადატანითი მნიშვნელობით დიდი მხატვრული გამომსახველობის მისაღწევად.

-ფ-

ფიზიკური ბგერა—ფიზიკურ სხეულთა შეჯახებით გამოცემული ბგერა.

ფონემა—სამეტყველო ბგერა.

ფუძე ენა—პრა ენა, წინარე ენა.

ფუძედრეკადი ზმნა—სიტყვა, რომელსაც ფორმათა ცვლილას ფუძის დრეკა, ალტერნაცია ახასიათებს, მაგ. გრეხს-გრისხა, გლეჯს-გლიჯა...

ფშინიერი ბგერა—ბგერა, როლის წარმოთქმას ახლავს ფშინვა. ქართულში ასეთი თანხმოვნებია: ფ, თ, ც, ქ, ჩ.

-ქ-

ქართველური ენები—ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური ენები.

ქვემდებარე—წინადადების წევრი, რომელიც შემასმელით აღნიშნულ მოქმედებას ასრულებს, ან რომელსაც ეს მოქმედება მიეწერება.

-შ-

შედგენილი შემასმენელი—შემასმენელი, რომელიც შეიცავს ბრუნებად სიტყვას და მეშველ ზმნას.

-ჩ-

ჩქამიერი—ჩქამის მქონე; ჩქამის ხასიათისა.

-ც-

ცალეული ბგერა—ბგერა, რომელსაც მეწყვილე არა ჰყავს, ასეთია ვ, მ, ნ, რ, ლ, ჰ.

ცხვირისმიერი ბგერა— ცხვირის ღრუს მონაწილეობით წარმოებული ბგერა, სხვაგვარად ნახალური ბგერა, მაგ.: ქართ. მ, ნ.

-წ-

წვრთი მეტყველება—წერილობით გადმოცემული აზრი.

წინარე ენა—პრა ენა, იგივე ფუძე ენა.

წყვილეული თანხმონები—ორი ცალისაგან შემდგარი თანხმონები: ზ-ს, ჟ-შ, ღ-ხ.

-ჭ-

ჭილ-ეტრატის იადგარი—იადგარი, რომლის საწერ მასალად გამოყენებულია ჭილი (იგივეა, რაც პაპირუსი) და ეტრატი (იგივეა, რაც ტყავი)

-ხ-

ხორხისმიერი ბგერა—ხორხში წარმოქმნილი, იგივე ხორხისმიერი ბგერა, მაგ. ქართული ჰ.

ხუცური ანბანი—საერთო სახელწოდება ასომთავრული და ნუსხური დამწერლობისა.

-ჯ-

ჯრუჭის ოთხთავი—გადაწერილი შატბერდში 936 წელს. ბოლოს ის დაცული იყო ჯრუჭის მონასტერში (იმერეთი), აქედან წარმოსდგება მისი სახელიც.

შემოკლებანი:

- ლ. ავალ-ლ. ავალიანი
 შ. არაგვ-შ. არაგვისპირელი
 ლ. ასათ-ლ. ასათიანი
 ლ. არდაზ-ლ. არდაზიანი
 ვ. ბარნ-ვ. ბარნოვი
 ა. ბელ-ა. ბელიაშვილი
 ე. გაბ-ე. გაბაშვილი
 ა. გაწ-ა. გაწურელია
 კ. გამს-კ. გამსახურდია
 რ. გვეტ-რ. გვეტაძე
 ი. გოგებ-ი. გოგებაშვილი
 ლ. გოთ-ლ. გოთუა
 ი. გრიშ-ი. გრიშაშვილი
 ნ. დუმბ-ნ. დუმბაძე
 რ. ერის-რ. ერისთავი
 ე. ზედგ-ე. ზედგენიძე
 ა. კალან-ა. კალანდაძე
 დ. კლდ-დ. კლდიაშვილი
 ს. კლდ-ს. კლდიაშვილი
 მ. ლებ-მ. ლებანიძე
 გ. ლეონ-გ. ლეონიძე
 ნ. ლორთ-ნ. ლორთქიფანიძე
 კ. ლორთ-კ. ლორთქიფანიძე
 მ. მაჭ-მ. მაჭავარიანი
 ს. მგალ-ს. მგალღობლიშვილი
 ნ. ნაკ. ნ. ნაკაშიძე
 ე. ნინ-ე. ნინოშვილი
 გრ. ორბ-გრ. ორბელიანი
 ს.ს.ორბ.-სულხან-საბა ორბელიანი
 თ. რაზიკ-თ. რაზიკაშვილი
 შ. რუსთ-შ. რუსთაველი
 გ. ტაბ-გ. ტაბიძე
 ვაჟა-ვაჟა ფშაველა
 ლ. ქიაჩ-ლ. ქიაჩელი
 ალ. ყაზბ-ალ. ყაზბეგი
 გ. შატბ-გ. შატბერაშვილი
 დ. შენგ-დ. შენგელია
 აკაკი-აკაკი წერეთელი
 გ. წერ-გ. წერეთელი
 ილია-ილია ჭავჭავაძე
 ვ. ჭელ-ვ. ჭელიძე
 დ. ტონქ-დ. ტონქაძე
 მ. ჯავახ-მ. ჯავახიშვილი
 რ. ჯაფ-რ. ჯაფარიძე

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში. „მეცნიერება“, თბ., 1986.
2. ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები, სოხუმი, 1956.
3. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1990.
4. თ. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, თბ., 1979.
5. თ. გაჩეჩილაძე, ქართული ენა, თბ., 1985.
6. აღ. გვენცაძე, სტილისტიკის საკითხები, თბ., 1971.
7. აღ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, თბ., 1974.
8. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, წიგნი I. თბ. 1970.
9. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, წიგნი I (მეორე გამოცემა), თბ. 1986.
10. ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.
11. ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბ., 1998.
12. შ. კეკელია, აკ. დავითიანი, ქართული ენა, თბ., 1973.
13. გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990.
14. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ. 1966.
15. ნ. მიქელაძე, ვ. ხომერიკი, ქართული ენა, X კლასი, ბათ., 1998.
16. ვ. რამიშვილი, სტილისტიკის სწავლება და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები, თბ., 1966.
17. თ. სანიკიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1998.
18. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
19. ზ. სარჯველაძე, კ. დანელია, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1995.

20. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.
21. თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.
22. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიის საკითხები, ქუთ., 1992.
23. მ. ფაღავა, ნაწილაკები ახალ ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1985.
24. ბ. ფონჩუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
25. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბ., 1972; II-1979; III-1980; IV-1981; V-1983; VI-1984; VII-1985; VIII-1988; IX-1989; X-1993; XI-1998.
26. შ. ქურდაძე, ზეპირი მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 1976.
27. აღ. დღონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.
28. აღ. დღონტი, ქართული წინადადება, თბ., 1978.
29. გ. შალამბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 1964.
30. გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1965.
31. გ. შალამბერიძე, ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980.
32. გ. შალამბერიძე, რ. გაბეჩავა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974.
33. რ. შამელაშვილი, ა. საზანდრიშვილი, მეტყველების კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1988.
34. რ. შამელაშვილი, ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ. 1975.
35. შ. ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969.
36. შ. ძიძიგური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974.
37. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1982.
38. კ. ჭიჭინაძე, ალიტერაცია ქართულ შაირში, თბ., 1979.
39. ზ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ., 1962.
40. ზ. ჭუმბურიძე, როგორ გაჩნდა სიტყვა, თბ., 1963.

41. მ. ჩინჩალაძე, ქართული ზმნიზედის სწავლება სკოლა-ში. თბ., 1955.
42. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
43. ბ. ჯორბენაძე, ბალაგარი მწერლობისა, თბ., 1987.
44. ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997.
45. ბ. ჯორბენაძე. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ნაწილი I

თავი I. ზოგი რამ ქართველებისა და ქართული ენის შესახებ	
§1. ქართული ენა, როგორც ქართველთა საერთო ეროვნული ენა	5
§2. ქართული ენის ადგილი მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის	7
§3. ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა	9
§4. ქართული ენა და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა	12
§5. ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი	16
§6. ქართული ანბანის განვითარების საფეხურები	22
§7. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები	24
ა. წარწერები	24
ბ. ხელნაწერები	25
§8. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და განვითარების საფეხურები	29
§9. ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები	32
§10. სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითადი ნორმები	35
§11. მეტყველების კულტურა, როგორც სულიერი კულტურის შემადგენელი ნაწილი	39
§12. ზეპირი და წიგნითი მეტყველება	42
§13. ქართული ორთოგრაფიის ძირითადი პრინციპები	48
თავი II. ფონეტიკა	
§1. ქართული ანბანი	51
§2. სიტყვის დამარცვლისა და გადატანის წესები	52
§3. ბგერათა კლასიფიკაცია	54
§4. ძირითადი ფონეტიკური მოვლენები	58
ა. ასიმილაცია	59
ბ. დისიმილაცია	60

გ. მეტათეზისი	62
დ. სუბსტიტუცია	63
ე. ბგერის რედუქცია, დაკარგვა	64
ვ. ბგერის განვითარება	67
ზ. ვს შენახვის, ჩართვისა და დაკარგვის შემთხვევები	68
თ. ბგერათა შერწყმა	77
ი. ბგერთი ანალოგია	77
§5. უცხო სიტყვათა გადმოცემის ზოგიერთი წესი ქართულში	78
თავი III. მორფოლოგია	
§1. არსებითი სახელის ბრუნვისა და რიცხვის წარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	85
§2. თავისებურად ბრუნებადი სახელები	94
§3. ემფატიკური ხმოვანი ახალ ქართულში	95
§4. მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	96
§5. რიცხვითი სახელის მართლწერის საკითხები	101
§6. ნაცვალსახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	105
§7. რთული სიტყვების(კომპოზიტების) მართლწერის საკითხები	110
§8. შემოკლებული სახელები	114
§9. ზმნასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	116
§10. ზმნისწინის ხმარებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	121
§11. -ავ სუფიქსიანი ზმნების მართლწერა	125
§12. სუფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა მართლწერის საკითხები დრო-კილოთა მეორე ჯგუფში	126
§13. ვნებითი გვარის ზმნები III სერიაში	128
§14. მართლწერის საკითხები სხვა თემის ნიშანთა ხმარებასთან დაკავშირებით	129
§15. თხოულობს, ფიცულობს და მისთანა ზმნების მართლწერის საკითხები	132

§16. კომპოზიციებისაგან (რთული სახელებისაგან) ნაწარმოები და რთული ზმნების მართლწერა	133
§17. კონტაქტის (კაუზატივის) ფორმათა მართლწერის საკითხები	135
§18. ზმნიზედათა მართლწერის საკითხები	138
§19. თანდებულთა და თანდებულისაგან სახელთა მართლწერის საკითხები	140
§20. ცალკე მდგომ თანდებულებთან და ზმნიზედებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	144
§21. ნაწილაკი და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	147
§22. კავშირებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	152
§23. შორისდებულებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	156

თავი IV. სინტაქსი

§1. ზმნა-შემასმენელთან წინადადების სხვა წევრების ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	160
§2. განსაზღვრებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	170
§3. სხვადასხვა ტიპის წინადადებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	178
§4. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები	183
§5. სასენი ნიშნების ხმარებასთან დაკავშირებული ძირითადი წესები	187

ნაწილი II

თავი V. პრაქტიკული სტილისტიკის საკითხები

§1. სტილისტიკის საგანი. ობიექტური (ნეიტრალური) და სუბიექტური (ინდივიდუალური) სტილი. სტილისტიკური მინიმუმი და მაქსიმუმი	196
§2. სალიტერატურო ენისა და სტილისტური ნორმები	200

§3. ფუნქციური სტილისტიკა. ფუნქციური სტილის სახეები	203
§4. სინონიმი, ანტონიმი, ომონიმი, პარონიმი და მათი სტილური მნიშვნელობა	211
§5. პარონიმია ქართულში	216
§6. არქაიზმების, ნეოლოგიზმების, დიალექტიზმებისა და ჟარგონების სტილური ფუნქციები	218
§7. გამეორება და ტავტოლოგია, მათი სტილური დანიშნულება	224
§8. ანდაზა-აფორიზმისა და იდიომატურ გამოთქმათა სტილისტიკური დანიშნულება	225
§9. მხატვრული სამკაულების სტილური ფუნქციები	227
§10. სტილისტიკა ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე (ფონემური და გრაფემული დონეები)	229
§11. მორფოლოგიასა და სინტაქსთან დაკავშირებული სტილისტიკის საკითხები	233
§12. სიტყვათა რიგი მარტივ წინადადებაში და მისი სტილური ფუნქცია	247
§13. შერწყმული წინადადების სტილური ფუნქცია	251
§14. რთული წინადადების სტილური ფუნქციები	256
ზოგი საენათმეცნიერო ტერმინის განმარტება	268
შემოკლებანი	277
გამოყენებული ლიტერატურა	278

ნაზი მიქელაძე მამია შალვა

ქართული ენის პრაქტიკული კურსი და სტილისტიკის საკითხები

რედაქტორი: შერი ცინცაძე

გამომცემლობის რედაქტორი: თამაზ ფუტყარაძე

ტექნიკური რედაქტორი: ელზარდ ანანიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მზია სურმანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.11.2005

ქალაქის ზომა 60X84 1/16

ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №2

+